ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ევგენია (მანანა) ლილუაშვილი

ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სპეციალობა _ 24.00.02 _ ისტორიული კულტუროლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ქეთევან პავლიაშვილი**

თბილისი
2006

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.
თავი I ქართული განათლების სათავეებთან.
§1. საქართველოში უმაღლესი სკოლის ევოლუციის ისტორია.
§2. ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის ბრძოლისა და მისი დაარსების წინაისტორია (XIX-XX სს-ის მიჯნა).
თავი II თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე.
თავი III საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამოკიდებულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებისადმი.
§1. ივანე ჯავახიშვილისა და ქართველი ინტელიგენციის ბრძოლა თბილისში უნივერსიტეტის დასაარსებლად («ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოება»).
§2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხი.
§3. ქართველი მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს ერთობლივი მუშაობა ეროვნულ-საგანმანათლებლო რეფორმის შესამუშავებლად.
§4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა მატერიალურ-სოციალური ბაზისი და სამეურნეო კორპორაციათა
დაარსება.
§5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კულტურული რეფორმა.
თავი IV თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკისადმი.
§1. რელიგიის სწავლების პრინციპების შემუშავება თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტში.
§2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელთა დამოკიდებულება ეკლესიისადმი.
§3. თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სამღვდელოების ერთობლივი ძალისხმევა საქართველოს ეკლესიის დაცვა-გადარჩენის საქმეში.
თავი V ევროპული საგანმანათლებლო პრინციპების დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
დასკვნა.
ბიბლიოგრაფია.

შესავალი

წინამდებარე საკანდიდატო დისერტაციაში დასმული საკვლევი პრობლემის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918-1921 წლების ისტორიის გაშუქება; მისი დაფუძნებისა და შემდგომი განვითარების რთული პროცესის წარმოჩენა-განზოგადება; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული მისია ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში; უმაღლესი სკოლისა და ახლადფეხადგმული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ურთიერთობა. ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის ხელის შემშლელი მოვლენები თუ ფაქტები, რომელიც წინ უძღოდა უნივერსიტეტის დაარსებას საქართველოსათვის ესოდენ მძიმე პოლიტიკური გარემოების ჟამს.

თემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ეტაპზე, მიმდინარე ეროვნული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ფონზე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განათლების რეფორმას და თავად რეფორმის პროცესში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლს. ვფიქრობთ, დღესდღეობით საჭიროა, გათვალისწინებულ იქნას პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელთა გამოცდილება ევროპული განათლების მოდელის გადმოღების საქმეში. სწორედ პროფესორ-მასწავლებელთა იმ პირველი შემადგენლობის წყალობითა და ძალისხმევით ჩამოყალიბდა თბილისის უნივერსიტეტი ევროპული ყაიდის უმაღლეს სასწავლებლად, ხოლო მისი აღზრდილი თაობა კი საერთაშორისო მასშტაბის მქონე კვალიფიცირებულ კადრად.

ნებისმიერი სახელმწიფოს მცდელობას _ ფეხი აუწყოს თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე დიდ პოლიტიკურ-კულტურულ პროცესებს, მოერგოს მიმდინარე საერთაშორისო ძვრებს, პასუხი გასცეს გამოწვევას და შეინარჩუნოს თვითმყოფადობა _ ესაჭიროება ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შემუშავება, რომელიც ტრადიციულ, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნდება და ამავდროულად, მსოფლიო საგანმანათლებლო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

ქართულმა საგანმანათლებლო სისტემამ დღიდან თავისი არსებობისა საინტერესო ტრადიციაც შექმნა. ერთიანი განათლების სისტემა, რომლის დასანერგავად ბრძოლა არა ნაკლები სიმწვავით იდგა XX საუკუნის 20-იან წლებში, უნივერსიტეტის დამაარსებელთა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვდა. ისტორიული

გამოცდილების გათვალისწინება, ვფიქრობთ, საშური საქმეა და მას თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

ნაშრომში, რომელიც ძირითადად გამოუქვეყნებელ წყაროებს ეყრდნობა, მრავალრიცხოვანი საარქივო მასალის ურთიერთშეჯერებით, განხილულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი და მისი დანიშნულება ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. საარქივო დოკუმენტებში ასახულია ის რთული გზა, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა, განათლების სამინისტროს მუშაკებთან ერთად, განვლეს ერთიანი ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამის შესაქმნელად და განსახორციელებლად.

საკვალიფიკაციო ნაშრომში, ფაქტობრივად, პირველად, საარქივო მასალის გამოყენებით ახალი კუთხით წარმოჩინდა ეროვნული კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი სფერო, როგორიცაა ეკლესია, კერძოდ: 1. საქართველოს ეკლესიისა და ინტელიგენციის ერთობლივი ძალისხმევა საერო და სასულიერო განათლების ნაციონალიზაცია-დემოკრატიზაციის საქმეში. 2. საქართველოს ეკლესიისადმი უნივერსიტეტის დამოკიდებულება. 3. ღვთისმეტყველების სწავლებისა და რელიგიის ისტორიის პრინციპები თბილისის უნივერსიტეტში. 4. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სამღვდელოების ერთობლივი ძალისხმევა საეკლესიო და სამუზეუმო განძის დაცვა-გადარჩენისათვის. 5. თბილისის უნივერსიტეტის როლი ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში და კონკრეტულად, სამუზეუმო დარგის განვითარების საქმეში 6. საქრთველოს საგანძურის საზღვარგარეთ გატანის საიდუმლოების ისტორია. 7. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობა, სამეურნეო კოოპერაციათა დაარსება, და ა.შ.

საკანდიდატო დისერტაციაში შესწავლილი და კრიტიკულად არის გაანალიზებული 1918-1921 წლების უნივერსიტეტის შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტური მასალა, რომელიც დაცულია საქართველოს საისტორიო და უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში;

გამოკვეთილი და მეცნიერულად გაშუქებულია სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებული პრესაში არსებული მასალა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია მისი განვითარების პირველი ნაბიჯები თუ ცალკეული სამეცნიერო დარგების დინამიკა, უნივერსიტეტის ბაზაზე ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბება თუ სხვა საკითხები, არაერთ მკვლევარს აქვს შესწავლილი, მათ შორისაა ცნობილი მკვლევარების ნაშრომები: ს. ჯორბენაძის «თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია», (თბ. 1968 წ.), და «ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა", (თბ. 1984 წ.), ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია'', (თბ. 1988 წ.), «ტაძარი», (თბ. 2003 წ.), პ. სურგულაძის «ეროვნული კულტურის კერა», (თბ. 1988 წ.), რ. მეტრეველის «ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი», (თბ. 1996 წ.), ა. თელიას და ლ. მდივნის - «თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ისტორიული სათავეები», (თბ. 1968 წ.), გ. გამყრელიძის "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1948 წლებში", (თბ. 1948 წ.), ი. გურგენიძის «თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორები», (თბ. 1988 წ.), ფ. გოგიჩაიშვილის «წერილები, მოგონებები», (თბ. 1993 წ.), ვ. ქაჯაიას "ნიკო ცხვედაძე, 150 წლის გამოჩენილი განმანათლებელი და მამულიშვილი", (თბ, 1995 წ.), გ. ჩუბინაშვილის «ქართული ოქრომჭედლობა», (თბ., 1959 წ.), ზ. ბაბუნაშვილი, ,,კულტურის ორი ტაძარი'', (თბ., 1981 წ.), ვ. ბენიძე, გ. ხარატიშვილი, ,,პოლიტექნიკური ფაკულტეტიდან ტექნიკურ უნივერსიტეტამდე _ (1922-1992 წწ.)'', (თბ., 1996 წ.), თ. გომართელი, ,,ბილიკები ხელოვნების მწვერვალებისკენ'', (თბ., 1981 წ.), ,,თეთრი ტაძრის ასი მზე'', (თბ. 1990 წ.), ,,ცისფერი მედალიონები'', (თბ., 1996 წ.), შ. ვადაჭკორია, ,,თბილისის უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია დიდ სამამულო ომის წლებში'', (თბ., 1977 წ.), შ. ვადაჭკორია, ჯ. გაგუა, ,,თბილისის უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის ისტორიის ნარკვევები (1918-1978 წწ.)'', (თბ., 1980 წ.), ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1998 წლები'', (თბ., 1998 წ.), ,,სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლის თავზე'', (თბ., 1957 წ.), ე. კოპალიანი, ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორები'', (თბ., 1998 წ.), ,,უნივერსიტეტი დღეს'', (თბ., 2003 წ.), ,,ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე'', (თბ., 2004 წ.), ვ. ქარუმიძე, დ. ჯიქია, ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია'', (თბ., 1988 წ.),

ზ. შველიძე, ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კომუჯრედი'', (თბ., 1968 წ.) და სხვა.

საინტერესო მოსაზრებები და შეხედულებებია გამოთქმული თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებასა და მისი შემდგომი აღმავლობის შესახებ პერიოდიკაში დაბეჭდილ სტატიებში, მათ შორის: ვ. ბერიძის «ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი», (თ.ს.უ. შრომები, XXXIII, 1948 წ.), და «კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წ.წ.», (თბ, 1992 წ.), დ. გერსამია - «ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა», (ჟურნ. ნეკერი, 1996 წ.), ა. გვახარიას «ნიკო მარი – მტერი თუ მოყვარე? ესეც საკითხავი ყოფილა!», (გაზ. ქართული წიგნი, 2001 წ.), ზ.გაიპარაშვილის «ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობა საქართველოს საგანძურის საზღვარგარეთ გატანის საქმეში», (კრ. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XX, თ.ს.უ. 2004 წ.), ლ. ზურაბიშვილის - «ქართული უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავზე» და «ნიკოლოზ ცხვედაძე», (ჟურნ. კავკასიონი, პარიზი, 1968 წ.), ც. თოფურიძის «ქართული უნივერსიტეტი და ქართველი ერი», (გაზ. სახალხო გაზეთი, 1918 წ.), ე. თაყაიშვილის «მოგონებებიდან ნაწყვეტი», (ჟურნ. საქართველოს ქალი, [1]10, 1968 წ.), ვ. თოფურიას «პირველი წლები», (გაზ. თბილისის უნივერსიტეტი, 1968 წ.), ალ. ინ-ის «ქართველი სტუდენტობა მეცნიერებას უნდა დაუბრუნდეს!», (გაზ. სახალხო საქმე, 1920 წ.), ლ. იანვარაშვილის «სალოცავი ხატი», (გაზ. ალაზნის განთიადი, 1988 წ.), უნივერსიტეტის გახსნათან დაკავშირებით უწმინდესისა და უნეტარესის კათალიკოს პატრიარქის კირიონ II-ის სიტყვა, (გაზ. საქართველო, 1918 წ.), კ.კეკელიძის «მცირე მოგონებები მამაჩემზე», (გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1988 წ.), ე. ლეჟავა «დიდი დავითის დღეს», (გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1993 წ.), ს. ლეკიშვილი «ილია ჭავჭავაძე ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლე», (ჟურნ., მნათობი, 1968 წ.), პ. მდივნის «კიდევ ჩვენი სტუდენტობა», (გაზ., სახალხო საქმე, 1920 წ.), რ. ნიკოლაძის «მამების ოცნება და შვილები», (ჟურნ. მეცნიერება და ტექნიკა, 1968 წ.), შ. ნუცუბიძის «თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია», (ჟურნ., სკოლა და ცხოვრება, 1968 წ.), პ.ქ.-ს «ქართული უნივერსიტეტი», (გაზ., ალიონი, 1917 წ.), თ. ტაბლიაშვილის «ი.ჯავახიშვილი საარქივო დოკუმენტების მიხედვით», (კრ., საისტორიო მოამბე, 1967 წ.), ო. ურიდია «საარქივო ცნობები თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ», (ჟურნ., ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969 წ.), გ. შენგელიას «ქართველი

სტუდენტობა განმათავისუფლებელ მოძრაობაში», (კრ., საისტორიო მოამბე, 2001 წ.), ა. ჩიქობავას «თბილისის უნივერსიტეტი და ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინება», (ჟურნ., ცისკარი, [1]10, 1968 წ.), მ. ჯანაშვილის «ქართული უნივერსიტეტი», (გაზ. საქართველო, 1917 წ.), ი.ჯავახიშვილის «თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის», (თ.ს.უ. შრომები XXXIII, 1948 წ.), გ. ციციშვილის «გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები», (ჟურნ., ცისკარი, 1995 წ.), შ. ხანთაძის «მასალები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის», (ჟურნ., მნათობი, 1968 წ.) და სხვა.

ეპოქის დასახასიათებლად დისერტაციაში გამოყენებული იქნა იმ ავტორთა მონოგრაფიული შრომები, რომლებიც საქართველოში შექმნილ რთულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობას და ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეროვნულ პოლიტიკას ეხება, კერძოდ: ზ. ავალიშვილის «საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში», (თბ,. 1990 წ.), ფ. ლომაშვილის «საქართველოს ისტორია 1918-1921 წლებში”, (თბ., 1997 წ.), გ. ღამბაშიძის «საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან», (თბ., 1961 წ.), Голоян-ის - ,,Борьба за Советскую власть в Армении”, (1957 წ.), «საქართველოს ისტორიის ნარკვევები» - VI ტომი, (თბ., 1978 წ.), ქ.პავლიაშვილის ,,საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში’’, (თბ., 1995 წ.), ს. ვარდოსანიძის ,,საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში’’, (თბ., 2001 წ.) ს.ვარდოსანიძის, ,,საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა’’, (ჟურნ., ისტორია და გეოგრაფია საკოლაში, თბ., 1989 წ.), ი. ანთელავას, ,,მმართველობის სისტემა’’, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, (თბ., 1972 წ.), ა.ვარაზაშვილის, ,,საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ავტოკეფალიის ზოგიერთი საკიხები’’, (თბ,. 2000 წ.), ნ. პაუაშვილის ,,საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის’’, (თბ., 2000 წ.), გ. ჟორდანია ,,დაბრუნებული საუნჯე’’, (თბ., 1976 წ.)

საქართველოში ეროვნული განათლების განვითარების სხვადასხვა საკითხს მიეძღვნა არაერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნაშრომი თუ სტატია, მათში აისახა ის რთული გზა, რომელიც გაიარა ეროვნულმა საგანმანათლებლო უმაღლესმა სკოლამ, ესენია: ვ. ქაჯაიას «სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები» (თბ., 1953 წ.), ტ. ხუნდაძის «ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში» (თბ., 1940 წ.) და სხვა.

სადისერტაციო ნაშრომში მიზნად დავისახე მონოგრაფიულად შემესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ერთ-ერთი რთული პერიოდი.

ნარკვევზე მუშაობისას საჭიროდ ჩავთვალე, გამეშუქებინა უნივერსიტეტი არა როგორც მარტო უმაღლესი სასწავლო-აკადემიური დაწესებულება, არამედ, როგორც ქართული კულტურის, ეროვნული თვითმყოფადობითი აზროვნების ჩამოყალიბების ცენტრი; ეროვნულული საგანმანათლებლო კადრის აღზრდის კერა; უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დამოკიდებულება ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმებისადმი, და, ზოგადად, სახელმწიფო პოლიტიკისადმი.

უნივერსიტეტის ისტორიის შესახებ მრავალი მონოგრაფიული ნაშრომი გამოიცა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, მაგრამ ზოგიერთი თემა კერძოდ, უნივერსიტეტისა და ეკლესიის ურთიერთობა ტაბუდადებული იყო. ამავე დროს, ბევრი საარქივო დოკუმენტი საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივების ფონდების საიდუმლო განყოფილებაში ინახებოდა, რის გამოც ისინი სამეცნიერო და ფართო საზოგადოებრიობისთვის მიუწვდომელი იყო. მათმა განსაიდუმლოებამ ბევრ საკითხს ნათელი მოჰფინა, ამიტომაც დღესღეობით უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ახლებურ გაანალიზებას მოითხოვს და ჩვენ პირველად გამოგვაქვს ფართო სამეცნიერო სამსჯავროზე.

წინამდებარე მონოგრაფიის მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, 1918-1921 წლების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის შესწავლა და ამ მიმართებით ჯერ კიდევ არსებული ზოგიერთი ხარვეზის შევსების მოკრძალებული მცდელობაა.

თავი I

ქართული განათლების სათავეებთან

§ 1. საქართველოში უმაღლესი სკოლის ევოლუციის ისტორია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალგაზრდაა მსოფლიოს იმ უნივერსიტეტებთან შედარებით, რომელთაც ასეული წლების ისტორია აქვთ, თუმცა ქართული საგანმანათლებლო ტრადიციები შორეულ საუკუნეებში იღებს სათავეს.

ანტიკურმა წყაროებმა შემოგვინახა უტყუარი ცნობები IV საუკუნის კოლხეთის აკადემიის შესახებ, რომელიც ქალაქ ფაზისში მდებარეობდა. ისტორიული დოკუმენტების თანახმად, აქ მიუღია განათლება იოანე ლაზს, რომელიც შემდეგ, თავის სახელგანთქმულ მოწაფესთან პეტრე იბერთან ერთად, კონსტანტინეპოლსა და პალესტინაში მოღვაწეობდა. ბიზანტიაში მძევლად წაყვანილმა, შემდეგში პეტრე იბერად და დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილმა, უფლისწულმა მურვანოსმა საფუძვლიანი განათლება მიიღო საზღვარგარეთ. «მცირეთა ჟამთა ისწავა ენა ბერძნული და სწავლულება ასურებრივი და ფილოსოფოსობა სრული» [81, 34]. მოგვიანებით მათ სამშობლოსგან მოშორებით ახალი ქართული საგანმანათლებლო კერა დააფუძნეს, რომელმაც უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო როლი ითამაშა ახლო აღმოსავლეთში.

ადრეული ფეოდალიზმის პერიოდში ქართველებს თავიანთი სასწავლო ცენტრები ჰქონდათ როგორც საზღვარგარეთის მთელ რიგ სამონასტრო ცენტრებში, ასევე, საკუთრივ, საქართველოშიც, როგორიცაა ხანძთა და შატბერდი, ბანა და პარხალი, იშხანი და ოპიზა, ოშკი, წყაროსთავი და სხვ. ათონსა და სინას მთაზე, კონსტანტინეპოლსა და პეტრიწონში განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში ჰყვაოდა ქართული სწავლა-განათლება.

XII საუკუნის დამდეგს, დავით აღმაშენებლის თაოსნობით, დაარსდა გელათის აკადემია, რომელსაც თანამედროვენი «სხვად ათინად, აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად მოიხსენიებენ» [18, 3], გელათის აკადემიაში, სამეცნიერო კვლევა-ძიების კვალდაკვალ, წარმოებდა ახალგაზრდობის აღზრდაც. ისევე როგორც მომდევნო საუკუნეებში ევროპის უნივერსიტეტებს, გელათის აკადემიასაც «მოძღვართ-მოძღვარი» ედგა სათავეში. აქ ასწავლიდნენ ცნობილი სწავლულნი: მათემატიკას, რიტორიკას, ასტრონომიას, ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას. იყალთოსა და გელათის აკადემიებია სწორედ ჩვენი დღევანდელი უნივერსიტეტის შორეული წინაპრები. მათ ფუნქციონირება XIV საუკუნეში შეწყვიტეს. ოთხი საუკუნის განმავლობაში ქართველობას მრავალ მომხვდურთან უხდებოდა ბრძოლა. ამ ისტორიის რთულ მონაკვეთში ჩვენი წინაპრების წინაშე მწვავედ დადგა ერის ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად მატერიალური კულტურის დაცვის საკითხი.

მოგვიანებით, არაერთხელ გაჩენილა სურვილი უმაღლესი საგანმანათლებლო კერების აღორძინებისა. ამას ემსახურებოდა 1755 წელს თბილისსა და 1782 წელს

თელავში დაარსებული სასულიერო სემინარიები, რომლებიც წარმოადგენდნენ მაღალი ტიპის საშუალო სასწავლებლებს და ატარებდნენ უმაღლესი სკოლის მთელ რიგ ნიშნებს, როგორიცაა: სპეციალისტთა მომზადება, ლექციური სისტემა, საჯარო პაექრობანი და ა.შ. მათი წყალობით საქართველოში, გაიოზ რექტორის სიტყვებით რომ ვთქვათ - «წარმოდგნენ მაღალნი გონებანი. გამრავლდნენ მეცნიერებითნი ნათელნი», შეიქმნა ქართველ მეცნიერ-მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი კადრი» [89, 73].

ასეთ ვითარებაში ჩვენს საზოგადოებაში თანდათანობით მწიფდებოდა აზრი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ. XVIII საუკუნის დასასრულს გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ იოანე ბატონიშვილმა, დაამუშავა საქართველოს სახელმწიფოებრივი გარდაქმნის პროექტი. იგი მოგვიანებით დაამტკიცა გიორგი XII-მ. იოანე ბატონიშვილი ამ თავის ნაშრომში, რომელსაც «სჯულისდება» ეწოდება, თბილისში, თელავსა და გორში უმაღლესი სკოლის დაარსებას გულისხმობდა. უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებშიც «მიებარებოდნენ» თავად-აზნაურნი და «პირველნი მოქალაქეს» შვილები, საქმე ისე უნდა ყოფილიყო დაყენებული, რომ «მიეჩინოთ მუნ მცოდნენი კაცნი რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლასა და სამხედროსაცა, აგრეთვე ენებთა... სასწავლებელსა მას შინა ჰსწავლობდნენ ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუსულსა და თუ შეიძლება ბერძნულს და ლათინურსაც» [85, 5]. ეს იმ დროისათვის ერთ-ერთი სერიოზული, პროგრესულად ჩამოყალიბებული პროექტი იყო, რომელიც, ფაქტობრივად, ითვალისწინებდა იმ ხალხთა ენების საფუძვლიან შესწავლას, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოში. ამ იდეის განხორციელებას ხელი შეუშალა რუსეთის იმპერატორის მიერ 1801 წელს გამოცემულმა მანიფესტმა, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და სამეფო გვარის წარმომადგენლების პეტერბურგში გადასახლება მოჰყვა.

XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებები მოხდა. გადაწყდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია, იგი რუსეთს დაუკავშირდა. ამით საბოლოოდ გაირღვა საქართველოს გარშემო მყოფი მტრული მაჰმადიანური გარემოცვა და ქართველი ხალხი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების ახალ გზაზე გავიდა. მუსლიმანური სამყაროს პოლიტიკური გავლენისგან განთავისუფლებული საქართველო კვლავ ამიერკავკასიის ცენტრად გადაიქცა. რუსეთის იმპერიასთან ნებსით თუ უნებლიეთ დაკავშირებულ ჩვენს ქვეყანას ევროპულ და რუსულ კულტურასთან ზიარების

ყველა პირობა შეექმნა. არ დარჩენილა მეცნიერების თითქმის არცერთი სფერო, სადაც ქართველ მოღვაწეთ თავიანთი ნიჭი და უნარი არ გამოემჟღავნებინოთ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების დარგი. ქართველი ერის ევროპისკენ ლტოლვის პარალელურად, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოში კულტურის განვითარება ძირითადად ეროვნული ტრადიციების საფუძველზე წარმართულიყო. ამ მიმართულებით ქართველი ერი მთელ რიგ წინააღმდეგობებს წააწყდა; რუსეთის თვითმპყრობელობა მიუღებლად თვლიდა დაპყრობილი ერების ზიარებას ევროპულ ცივილიზაციასთან, _ ეს მის ინტერესებში არ შედიოდა, ამიტომაც იგი კოლონიურ მხოლოდ ცარიზმის პოლიტიკისათვის დასაშვები კულტურული ორიენტაციის დამკვიდრებას ლამობდა. ქართველი ერი კი ევროპისკენ იყურებოდა.

ასეთ ფონზე, ბუნებრივია, მოწინავე ქართველი საზოგადოების ნაწილს მძაფრი ბრძოლა უხდებოდა ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ, რათა დაეცვა ეროვნული თვითშეგნება, კულტურა და შესაძლებლობა მისცემოდა, მაქსიმალურად აეთვისებინა ევროპული მიღწევები.

ამრიგად, ევროპულ ცივილიზაციასთან კავშირი ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი და მისაღები იყო ქართული კულტურისათვის. ამისათვის ამოსავალი იყო ევროპული განათლების ათვისება და შემდგომ მისი დამკვიდრება ქვეყანაში. რუსეთთან ურთიერთობის დამყარებისთანავე ქართველი ახალგაზრდობა დაეწაფა ევროპულ და რუსულ განათლებას, სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას. მათი საზღვარგარეთ სწავლა ხელს უწყობდა ჩვენში ევროპული იდეების გავრცელებას, ხოლო დრომოჭმული თვითმპყრობელური რუსული საგანმანათლებლო წესი კი მძიმე ტვირთად აწვა ქართველ ერს, რომელიც მისი გადაგვარება-გარუსებისაკენ იყო მიმართული. ამიტომ ქართველი ინტელიგენციის მთავარ ამოცანას შეადგენდა, თვითმპყრობელობის კოლონიური რეჟიმის პირობებში, ქართული ეროვნული ტრადიციების მქონე სკოლის შენარჩუნება, რომელიც უნდა განხორციელებულიყო საზოგადოებრივი და კერძო ფორმების ფართოდ გავრცელების გზით.

§ 2. ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის ბრძოლისა და მისი დაარსების წინა ისტორია (XIX-XX სს-ის მიჯნა).

XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრიობის უპირველეს მიზნად იქცა მეცნიერული აზროვნების განვითარება და ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლის შექმნისათვის პირობების მომზადება. თავდაპირველად თავი იჩინა ცარიზმის პოლიტიკის უარყოფითმა გავლენამ ეროვნული განათლებისა და მეცნიერული აზროვნების განვითარებაზე. თვითმპყრობელურმა რუსეთმა იმთავითვე მოსპო ქართული განათლების სისტემა. დაწყებით ქართულ სასწავლებლებში შეზღუდა ქართული ენა და განდევნა იგი სახელმწიფოს ცხოვრების ასპარეზიდან. ამას თან დაერთო საქართველოს სამეფო ოჯახის წევრთა და სხვა დიდგვაროვანთა იძულებითი გადასახლება პეტერბურგსა და მოსკოვში, რაც, ბუნებრივია, დიდი ინტელექტუალური დანაკლისი იყო ქვეყნისათვის. თუმცა იმ ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა სამშობლოსგან მოშორებით გააძლიერეს ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობა და რუსეთში დააარსეს ქართული კულტურის კერები. პეტერბურგსა და მოსკოვში ქართველ მოახალშენეთა წრეში გრძელდება პაექრობა ჯერ კიდევ საქართველოში აღძრულ პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და ისტორიულ საკითხებზე, იწერებოდა ახალი ტრაქტატები, ჯამდებოდა და ფასდებოდა ქართული კულტურის მონაპოვრები. სწორედ მათ წრეში გაჩნდა პირველად ადგილობრივი უმაღლესი სკოლის, კერძოდ, თბილისში უნივერსიტეტის გასნის იდეა.

საქართველოში იმ დროს უმაღლესი განათლების კერის არქონის გამო ქართველი ახალგაზრდობა სასწავლებლად რუსეთსა და საზღავრგარეთ მიემგზავრებოდა, რაც, ბუნებრივია, დიდ ეკონომიკურ და ენობრივ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამა თუ იმ დარგის სპეციალისტთა საჭიროებას საქართველოში მეფის რუსეთის მთავრობაც გრძნობდა. იმისათვის, რომ განეხორციელებინათ მათ თავიანთი კოლონიზატორული ზრახვები, საჭირო იყო კვალიფიცირებულ მოხელეთა დიდი არმია, რომლის დეფიციტსაც განიცდიდნენ ისინი აქ, იმპერიის პერიფერიაში. ამას ერთვოდა ისიც, რომ ბევრი რუსი მოხელე შორეულ კავკასიაში სამსახურს გაურბოდა. ეს კიდევ უფრო აძნელებდა და ართულებდა ვითარებას. მთელი სიმძაფრით დგებოდა დღის წესრიგში საქართველოში უმაღლესი სკოლის გახსნის აუცილებლობა, რომლისთვისაც მთავრობას ჯერ არ ეცალა.

XIX საუკუნის I ნახევრის მიწურულს საქართველოში საუნივერსიტეტო მოძრაობა მძლავრ ტალღად გადაიქცა. მთავარმართებელი თავადი გოლოვინი (1838-1842 წწ.) იძულებული გახდა, აღეძრა შუამდგომლობა რუსეთის იმპერატორის წინაშე, რათა

თბილისში ისეთი უმაღლესი სასწავლებელი გაეხსნათ, რომელიც უნივერსიტეტის მაგივრობას გასწევდა*. მაგრამ ამ მოთხოვნას შედეგი არ მოჰყოლია.

რუსეთის ცარიზმი დაპყრობილ ქვეყნებს თავის საკუთრებად თვლიდა. «მთლიანი და განუყოფელი რუსეთის შემადგენლობაში ამ ქვეყნების მოქცევა იმპერიული იდეოლოგიით პროგრესად ცხადდებობდა. ცარიზმის საერო დაწესებულებანი და ეკლესია შეთანხმებით იღვწოდნენ დაპყრობილ ხალხთა ტრადიციების, ეროვნული ენის, კულტურის ამოძირკვისა და მის სანაცვლოდ რუსულის დამკვიდრებისათვის. ეს პოლიტიკა სხვადასხვა მეთოდებითა და ხერხებით, სიტუაცის შესაფერისი აქტივობით ხორციელდებოდა საქართველოს ანექსიის მთელ პერიოდში, 1801 წლიდან 1917 წლმდე.

XIX საუკუნის დასაწყისში ცარიზმის მიერ საქართველოში დამყარებული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი ქართველი ხალხისათვის უცხო და მიუღებელი იყო. მან ვერაფერი გაუგო რუსულ ბიუროკრატიულ აპარატს. ,,კაპიტან-ისპრავნიკები'', ,,კომენდანტები'', ,,პოლიცმეისტერები'' მისთვის მიუღებელნი გახდნენ. ამას თან ერთვოდა ისიც, რომ მმართველობა ხალხისათვის გაუგებარ, კერძოდ კი უცხო-რუსულ, ენაზე წარმოებდა. 1829 წ. ამიერკავკასიის მმართველობის სისტემა გამოიკვლია სენატის კომისიამ მეჩნიკოვისა და კუტაისოვის ხელმძღვანელობით, რის შემდეგაც სენატორი მეჩნიკოვი თავის მოხსენებაში წერდა: «დატოვო იგი ამ მდგომარეობაში, ხანგრძლივი დროით გადადო მისი გარდაქმნა, ეს სწორედ ნიშნავს მტრულად იყო განწყობილი რუსეთისადმი და ითმინო პოლიტიკური სხეულის ავადმყოფობა იმ ზომამდე, როცა მისი განკურნება შეუძლებელი იქნება. ამიტომ ჩემი აზრია – ახლავე ჩავუყაროთ საფუძველი მის გარდაქმნას, გადადება მავნეც იქნება და სახიფათოც.» [1,127]

სენატის კომისიის მიერ სააშკარაოზე იქნა გამოტანილი ის საშინელი ქაოსი და უკანონობა, რომელიც 1801 წლიდან იყო ფეხმოკიდებული საქართველოში. როგორც წესი, იგი დაბრალდა უკვე გადამდგარ რუს მმართველებს – ციციანოვს, გუდოვიჩს, ტორმასოვს, ერმოლოვს, სიპიაგინსა და სხვებს.

საქართველოს რუსეთთან «შერწყმის» საქმეში მეფის მთავრობა მნიშვნელოვან ადგილს მმართველობის სისტემას ანიჭებდა. 1801 წლის კანონის საფუძველზე

* ბუნებრივია, ამ შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლება გულისხმობდა რუსული განათლებისა და ორიენტაციის თაობის აღმზრდელი სასწავლებლის დაარსებას.

შექმინილი წესები, XIX საუკუნის 40-იან წლებში უკვე ვეღარ უპასუხებდა, საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნილებებს, რის გამოც საჭირო გახდა ახალი მმართველობითი სისტემის შემუშავება.

გენერალმა პასკევიჩმა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველს წარუდგინა ამიერკავკასიის მმართველობის ახალი პროექტი. ამიერკავკასიაში საომარ მოქმედებათა (რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ. და რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წწ.) ძირითადად დასრულების გამო «პასკევიჩი მიზანშეწონილიად თვლიდა, სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის ნაცვლად შემოეღოთ აქ სამოქალაქო ხელისუფლება წმინდა რუსული სისტემით. გამონაკლისს უშვებდა მხოლოდ მუსლიმანური პროვინციების მიმართ, სადაც ძალაში უნდა დარჩენილიყო ადგილობრივი სამართალი. პასკევიჩის ეს პროექტი გაჟღენთილი იყო რუსიფიკატორული სულისკვეთებით და გამიზნული იყო მხარის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილებისათვის.»[1, 120] პასკევიჩის პროექტმა მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. პეტერბურგიდან თბილისში კვლავ მოვლენილი იქნა სენატის რევიზია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბარონი განი. მან სწორი შეფასება მისცა ამიერკავკასიაში უკიდურესად გამწვავებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო რუსულ მმართველობით რგოლთან და შეიმუშავა ამიერკავკასიის მმართველობის ახალი გეგმა-პროექტი. იგი მოიწონა 1837 წელს თბილისში ჩამოსულმა ნიკოლოზ პირველმა, ხოლო 1840 წელს განის ეს პროექტი დამტკიცებული იქნა იმპერიის სახელმწიფო საბჭოს მიერ. ამიერკავკასია «საქართველო-იმერეთის გუბერნიად» და «კასპიის ოლქად» გაიყო. სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაწილიც საქართველო-იმერეთის გუბერნიაში აღმოჩნდა. ამ სახით ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა ეროვნული მთლიანობის მოშლას, მის ასიმილაციასა და ერის დეგრადირებას ითვალისწინებდა. მმართველობით-ადმინისტრაციულ რგოლში გზა მთლიანად დაეხშო ადგილობრივ კადრს. სამოქალაქო სამართლიდან ქართული სჯულისდება განიდევნა. ბარონ განის მიერ შემუშავებულ რეფორმას საფუძვლად დაედო 3 დებულების შექმნა «კერძოდ: 1. უზენაესად დამტკიცებული დებულება ამიერკავკასიის მმართველობისათვის, 2. დებულება საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ თბილისში და 3. დებულება საერობო საბეგრო კომიტეტების შესახებ ამიერკავკასიაში.'' [1, 127-128]

განის რეფორმა შეუსაბამო აღმოჩნდა მას შემგომ, რაც საგარეო პოლიტიკაში აღმოსავლეთის საკითხი გააქტიურდა. რუსეთის იმპერატორს სჭირდებოდა

ამიერკავკასიაში სიმშვიდის შენარჩუნება და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა. ამიტომაც საჭირო გახდა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის რამდენადმე რბილი, მოქნილი პოლიტიკით შეცვლის აუცილებლობა. ამ პოლიტიკის გამტარებლად პეტერბურგში შერჩეული იქნა გამოცდილი, ჭკვიანი, მაგრამ ამავე დროს ცბიერი რუსი მოხელე მ. ვორონცოვი. შეიცვალა იმპერიის შემადგენლობაში კავკასიის სტატუსიც, კერძოდ კი სამხედრო მმართველობა, ე.წ. მთავარმმართებლის ინსტიტუტი, სამოქალაქო მმართველობით, მეფისნაცვლის ინსტიტუტით შეიცვალა. სამეფისნაცვლო დაიყო თბილისის, ქუთაისის, შემახის და დერბენდის გუბერნიებად. ცარიზმმა ამით ხმარებიდან ამოიღო ტერმინი საქართველო, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სახელწოდება, რაც ცხადია, მხარის რუსიფიკაციისათვის იყო გამიზნული.

კავკასიის კოლონიური ათვისების ვორონცოვისებური მეთოდი ფორმით განსხვავებული, ეპოქასთან შეთანხმებული და ცარიზმისთვის მომგებიანი აღმოჩნდა. მან თავის მმართველობაში უხეშობისა და ძალადობის ნაცვლად შეიმუშავა შემპარავი, მოქნილი ტაქტიკა. რუსეთის ხელისუფლების წინაშე სამოქალაქო მმართველობის დადგენისთანავე მწვავედ დაისვა კავკასიის კულტურული ათვისების საკითხი. თუ წინათ რუსი მმართველები ქართველ არისტოკრატიას მტრული თვალით უცქერდნენ და იგი სეპერატისტული მოძრაობის მოთავედ მიაჩნდათ, ვოროვნცოვმა, პირიქით, ხელი გაუწოდა გაღატაკების გზაზე შემდგარ თავადაზნაურობას და თანდათან ჩაითრია კოლონიურ ღონისძიებათა განხორციელებაში. მან ქართველი თავადაზნაურობა პრივილეგიების მხრივ გაუთანასწორა რუსეთისას, გაუხსნა მას ბანკი და გრძელვადიანი სესხი მიაშველა. ამასთანავე მან თავადაზნაურობას ხელი შეუწყო ხელისუფლების მაღალი ეშელონებისაკენ სვლაში. მისი თაოსნობით, ქვეყანაში გატარდა მრავალი კულტურული ღონისძიება. მის დროს გაიხსნა თბილისში ქართული და რუსული თეატრები, ოპერა, საჯარო ბიბლიოთეკა, აღდგა გაზეთების გამოცემა. გაიხსნა სკოლები.

სწორედ მეფისნაცვალ ვორონცოვის დროს წამოიჭრა უნივერსიტეტის გახსნის იდეა, რომელსაც საფუძვლად დაედო ქართველი ახალგაზრდების რუსეთში სწავლისას ენობრივი ბარიერის არსებობა. სწორედ ამით აიხსნება ის მიმოწერა

საქართველოში მყოფ მოსამსახურე პირებსა და რუსეთის სამეფო კარის მოხელეებს შორის, სადაც ეს უკანასკნელნი ქართველთა უცოდინარობას უჩივიან.

თბილისის უნივერსიტეტის გახსნით დაინტერესებული იყო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი რუსი მოხელე იანოვსკიც. მისი პროექტის მიხედვით, უმაღლესი სასწავლებელი ტექნოლოგიური ინსტიტუტი უნდა ყოფილიყო, სადაც დაფუძნდებოდა აგრეთვე აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ეს უკანასკნელი პრიორიტეტს ანიჭებდა: «პოლიტექნიკურ ინსტიტუტს თავისი სამი განყოფილებით - ქიმიურ-ტექნოლოგიურს, სამთოსა და აგრონომიულს.» [11, 59] იანოვსკიმ ეს პროექტი წარუდგინა მთავრობას დასამტკიცებლად, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია. მართალია, საზოგადოებამ ერთხმად მოიწონა იანოვსკის ინიციატივა, მაგრამ მაინც საეჭვოდ მიიჩნია ორი უმაღლესი სასწავლებლის გასნის იდეა თბილისში. რუსეთის იმპერიის მაღალი ჩინოსნები, როგორც ვხედავთ, თანახმანი იყვნენ, საქართველოში გაიხსნილიყო ვიწრო სპეციალობის თუნდაც რამდენიმე ინსტიტუტი, რომელიც მოამზადებდა ადგილობრივი კადრიდან გარკვეული დარგის ვიწრო სპეციალისტებს. მათ პროფესიული კადრი ესაჭიროებოდათ თავიანთი იმპერიალისტური ზრახვების სისრულეში მოსაყვანად. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი უშვებდა საქართველოში ინსტიტუტის გახსნის პრეცედენტს, მრავალი ათეული წლის განმავლობაში იგი მთელი ძალით უპირისპირდებოდა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის იდეას. ეს შემთხვევითი არ იყო, რადგანაც უნივერსალური უმაღლესი სასწავლებელი ეს არის სამეცნიერო კერა, რომელიც ზრდის ქვეყანაში სამეცნიერო კადრსა და ხელს უწყობს მეცნიერების სხვადასხვა დარგისა თუ კულტურის განვითარებას. ქართული უნივერსიტეტის დაარსება გამოიწვევდა ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებას და ხელს შეუწყობდა ქვეყანაში ეროვნული თვითმყოფადობის დამკვიდრებას. ბუნებრივია, იმპერიული სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის დაპყრობილი ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალსა და მის კულტურულ განვითარებაზე ზრუნვა, რა თქმა უნდა, გამონაკლისს არც თვითმპყრობელური რუსეთი წარმოადგენდა.

პირველი ქართული ცნობა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობისა და მისი მოთხოვნის შესახებ გაჩნდა 1832 წლის შეთქმულთა წრეში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მონაწილეთა უმრავლესობა ნაზიარები იყო რუსულ და ევროპულ განათლებას. მათ თავიანთი ქვეყნის ახლებურად განვითარების გზები

დასახეს თავის პროექტში. «ქართველი ახალგაზრდობის წარმატებით და სწრაფად განვითარებისათვის, მთავრობამ თბილისში უნდა დააარსოს უნივერსიტეტი, სამხედრო კორპუსები და სასწავლებლები» [7, 153] ასეთი იყო მათი აზრი, რომელიც ნათლად გამოხატა შეთქმულების მონაწილემ ზ.ავთანდილაშვილმა დაკითხვის დროს მიცემულ ჩვენებაში, მაგრამ ეს მოთხოვნა იმ დროის შესატყვისობაში უსუსური აღმოჩნდა ისევე, როგორც თვით 1832 წლის შეთქმულება.

XIX საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში ბრუნდებოდა ევროპულ განათლებას ნაზიარები ახალგაზრდობა. მათ თან მოიტანეს ახალი იდეები და საბრძოლო პროგრამა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. ერის დედაბოძის – მშობლიური ენის დაცვა იქცა მათი საქმიანობის ქვაკუთხედად. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები თავგამოდებით იცავდნენ ქართულ ენას, ერის ისტორიასა და კულტურას. ისინი ღირსეულ პასუხს სცემდნენ კავკასიისა და რუსულ რეაქციულ პრესაში გამოთქმულ კოლონიზატორთა ყოველგვარ გამოხტომას, რომელიც მიმართული იყო ერის შეურაცხყოფისა და საქართველოს ისტორიული წარსულის გაყალბებისაკენ. ამასთან ერთად ისინი თავდაუზოგავად მუშაობდნენ ქვეყნის ეროვნული კონსოლიდაციისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. ეს არის გარდამტეხი პერიოდი XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში, საიდანაც იწყება სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი.

ცარიზმის პოლიტიკის საპირისპიროდ იზრდება ხალხის მისწრაფება განათლებისაკენ. ეროვნული მოღვაწენი მის გაღვივებას კიდევ უფრო უწყობდნენ ხელს. საქართველოში დღითიდღე მრავლდებოდა ქართული გიმნაზიების, კერძო პანსიონების, სამონასტრო და საოჯახო სკოლების რიცხვი. საზოგადოებაში მკვიდრდებოდა ქართული უნივერსიტეტის გახსნის იდეა. მაგრამ ამაოდ, ცარიზმი წინ ეღობებოდა ამ მისწრაფებას იმ მიზეზით, თითქოს ქართული საზოგადოება უმაღლესი სკოლის გახსნისათვის ინტელექტუალურად შემზადებული არ იყო.

ამ პერიოდში საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად იქცა. ეს წლები ცნობილია, როგორც უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ყველაზე აქტიური პერიოდი. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მნიშვლენოვანი ადგილი უკავია განათლების საკითხს. «სწორედ იგი გვევლინება უნივერსიტეტის დაარსების მესაძირკვლედ» [50, 132] ილიამ სასკოლო საქმის დედაენაზე დაფუძნებისა და მისი ეროვნული ხასიათის

შენარჩუნებისათვის ბრძოლის რთული გზა აირჩია. ამ წამოწყების პასუხად გადადგმული იყო ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯი.

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით, შეიმუშავეს გეგმა უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, რომელთაც ფილოსოფია მიაჩნდათ ყველა მეცნიერების საფუძველთა საფუძვლად. მათი გეგმა უნივერსიტეტის ევროპულ ყაიდაზე მოწყობას გულისხმობდა. «საკმაოდ ბევრი მომხრე აღმოჩენია ციურიხის ტიპის უნივერსიტეტს, ეს სისტემა ითვალისწინებდა, როგორც სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტს, ასევე პოლიტექნიკურსაც. მისი დამცველები იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, ოდესის უნივერსიტეტის მაგისტრანტი ვასილ პეტრიაშვილი და სტუდენტი პეტრე მელიქიშვილი. გიორგი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის საწინააღმდეგო მიდგომას უმაღლესი სკოლის გახსნასთან დაკავშირებით ურთიერთდაპირისპირებას ისეთი მგზნებარე ხასიათი მიუღია, რომ «დროების» რედაქცია თურმე, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში «აკლებული» ყოფილა მათი გამაცამტვერებელი კამათით. ამ ბრძოლაში ბოლოს და ბოლოს ხელი ჩაუქნევია ნ. ნიკოლაძეს და უფრო მეტიც იმპერატორთან წარსადგნენ არზაში უნივერსიტეტის საჭიროების ბრწყინვალე დასაბუთება ნახევარზე მეტი მის მეირ ყოფილა შედგენილი გიორგი წერეთელთან ერთად.» [59, 21]

უნივერსიტეტისათვის ბრძოლა გაიშალა ადგილობრივი რუსული და ქართული პრესის ფურცლებზეც. აქტიურობდნენ გაზეთები «კავკაზი», «დროება», «ტიფლისკი ვესტნიკი», «ობზორი». გაზეთები აყენებდნენ საკითხს უნივერსიტეტის შექმნის შესაძლებლობის, მისი დანიშნულების, მასწავლებელთა კადრებისა და მოსწავლეთა შესახებ, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხებოდა უმაღლესი განათლების პრობლემებს.

«თბილის ქალაქის გამგეობამ დაადგინა ამ საქმისათვის ერთდროულად გამოეყო 100 ათასი მანეთი, ხოლო საუნივერსიტეტო ფონდებში შეეტანა 40 ათასი მანეთი» [50, 132]

ამ დროს კავკასიის მეფისნაცვლად თვით მეფის ძმა დიდი მთავარი მიხეილი იყო, ხოლო მისი პირველი თანაშემწე კი – პოეტი გრიგოლ ორბელიანი. მმართველი წრეების ოფიციალურ პირთა გამოსვლებში გამოსჭვიოდა გარკვეული შიში. მათ სახიფათოდ მიაჩნდათ უმაღლესი განათლების გავრცელება ქართველ ახალგაზრდობაში, რადგან სწორედ ამ პერიოდში ქართველი სტუდენტობა აქტიურ

მონაწილეობას ღებულობდა რუსეთში მიმდინარე რევოლუციურ მოძრაობაში. ამ საქმის გამო პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ა. ჩოლოყაშვილი და სხვანი. ყოველივე ეს აიძულებდა რუსეთის მეფის მთავრობას ეფიქრა, რომ მომავალი უნივერსიტეტი გახდებოდა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების გამავრცელებელი. ამიტომ, ბუნებრივია, მთავრობა ყველანაირად ცდილობდა ხელის შეშლას. ამას ხსნიდა იგი საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობის კულტურის დაბალი დონით, დაწყებითი და საშუალო განათლების განვითარებული ქსელის უქონლობით.

უნივერსიტეტის დაარსების საკითხზე ასეთი ფართო კამპანიის გაჩაღება კარგად მიუთითებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ საკითხს ,,თერგდალეულები''. უმაღლესი სასწავლებლის გახსნის იდეა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებს ემსახურებოდა და შედიოდა ,,თერგდალეულთა'' საბრძოლო პროგრამაში. მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს განათლების სისტემაში ეროვნული ტრადიციული გამოცდილების დანერგვის საქმეში. ქართული საზოგადოების მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული მუშაობა პირველი ნაბიჯი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებათა ევროპეიზაციის საქმეში.

ამ პერიოდში, კერძოდ კი, XIX ს-ის 60-70-იან წლებში მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობდა როგორც რუსეთის იმპერიაში, ასევე მის გუბერნიებშიც. ყირიმის ომში (1853-1856წ.წ.) რუსეთის დამარცხებამ ცხადყო მისი ჩამორჩენილობა, რაც გამოწვეული იყო დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილებით. კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენდა ბურჟუაზიული რეფორმების გატარება, რომელიც ქვეყანას განვითარების ახალ გზაზე გაიყვანდა. ცარიზმის მიერ ჩატარებულმა საგლეხო (1864-წ-ს საქართველოში), სასამართლო (1864წ.), სამხედრო (1865წ), საქალაქო (1870წ) და საფინანსო (1872წ) რეფორმებმა, მათი პროგრესულობის მიუხედავად, კიდევ უფრო გააუარესა და დაძაბა მდგომარეობა როგორც რუსეთის ცენტრალურ ნაწილში, ასევე მის გუბერნიებშიც. მთელი ქვეყანა აჯანყების ალში გაეხვია. პოლონეთსა და ამიერკავკასიაშიც ადგილი ჰქონდა რევოლუციურ გამოსვლებს.

რევოლუციური სიტუაციის მომწიფებით შეშინებული სამეფო კარი ქვეყანაში მდგომარეობის განმუხტვას ცდილობდა. ამ მიზნით რუსეთის იმპერატორმა რუსეთსა და მის გუბერნიებში იმოგზაურა.

1871 წელს თბილისში ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდრე II-ს ქართველი თავადაზნაურობის მოწინავე ნაწილმა განმეორებით წარუდგინა თხოვნა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე, მაგრამ მათი მოთხოვნა უგულვებელყოფილი იქნა. თუმცა არ შეიძლება, არ აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი თავადაზნაურობა აქაც არ აღმოჩნდა ერთსულოვანი. თავადთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა იმპერატორს კადეტთა კორპუსის დაარსება სთხოვა, ეს ხელისუფლების სურვილსაც ემთხვეოდა. მიუხედავად ამისა, მთავრობამ ეს სურვილიც არ დაუკმაყოფილა ერს, რადგანაც მას ეშინოდა ქვეყანაში უმაღლესი სკოლის გახსნისა, რათა იგი რევოლუციური იდეების ავანგარდად არ გადაქცეულიყო.

მოვლენათა მსვლელობამ სულ მალე ცხადყო ხელისუფლების მხრიდან უმაღლესი სასწავლებლის გახსნისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რადგან იგი რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა მთავრობის მიზნებსა და ამოცანებს, რაც ნათლად გამოხატა ოფიციოზმა გაზეთ «კავკაზში» გამოქვეყნებულ მოწინავე სტატიაში. უნივერსიტეტის დაარსების იდეას მან «უმწეო და უნიადაგო უწოდა, ვინაიდან,'' მისი მტკიცებით, ასეთ უმაღლეს სასწავლებელში «პროფესორები მეტი აღმოჩნდებიან, ვინემ განათლების შეძენის მსურველი ახალგაზრდებიო» [50, 133].

XX საუკუნის მიწურულისათვის ქართული საზოგადოების წინაშე უფრო მეტი სიმძაფრით დაისვა საკითხი უმაღლესი კერის დაარსების შესახებ და დაიწყო ძიება იმ გზებისა და საშუალებებისა, რომელიც ამ სანუკვარი მიზნის განხორციელებისათვის იყო საჭირო. ი. ჭავჭავაძემ თავისი მიზნის სისრულეში მოსაყვანად გარშემო შემოიკრიბა ერის რჩეული მამულიშვილნი, რომელნიც მუხლჩაუხრელად ემსახურებოდნენ ქართული უნივერსიტეტის დაარსების სანუკვარ საქმეს. ესენი იყვნენ: ივანე მაჩაბელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვანი.

უმაღლესი სკოლის დაარსების რეალური შესაძლებლობები კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც დაარსდა სათავადაზნაურო ბანკი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავალს

წოდებრივი დანიშნულებით კი არ იყენებდა, არამედ ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესებს ახმარდა.

თუ გადავხედავთ ქართულ სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში წარმოებულ სხვადასხვა საქმიან ოპერაციას, დავინახავთ, რომ ყველაზე მეტი თანხა მას ქართული გიმნაზიისა და «ეგრეთ წოდებული, მომავალი საუნივერსიტეტო შენობის პირველი კორპუსის მშენებლობისათვის დაუბანდებია. იგი მოიცავს იმდროისათვის 1191032 მანეთს» [50, 11].

1897 წლიდან ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის მშენებლობას ხელმძღვანელობს ნ. ცხვედაძე ახალგაზრდა არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილთან ერთად. 1900 წლის 14 ოქტომბერს (სვეტიცხოვლობას) «საზეიმოდ ჩაეყარა საფუძველი ნანატრ შენობას. ცერემონიალს დაესწრნენ: ნიკო ცხვედაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გიმნაზიის მოსწავლეები და მათი პედაგოგები» [22, 40]. მშენებლობის დაწყების შემდგომ რამდენჯერმე შეიცვალა მისი პროექტი. იგი თავდაპირველად მხოლოდ ორ სართულიანი უნდა ყოფილიყო, საბოლოოდ კი ოთხ სართულიანი შენობა მივიღეთ, ნ. ცხვედაძის დაუღალავი ენერგიის წყალობით.

ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძესთან ერთად, ქართული გიმნაზიის შენობას თვლიდა მომავალი უნივერსიტეტისა და პედაგოგიური კადრების კერად. ამიტომაც იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა არა მარტო სასწავლებლის მატერიალურ უზრუნველყოფას, არამედ მასში სწავლების საკითხსაც. ნ. ცხვედაძის უანგარო თავდადებამ და სიჯიუტემ, შრომამ და სიბეჯითემ, დიდმა ორგანიზატორულმა ნიჭმა და რწმენამ შეუქმნა ერს მეცნიერების ტაძარი, რომელიც მომავალში გახდა ქართული ეროვნულობის, ქართული გენიის ერთიანობისა და განათლების სიმბოლო. «სწორედ ეს რწმენა იყო ნამდვილ პატრიოტულ ემბაზში ნათელღებული და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურის შარავანდედით განმტკიცებული, ჩვენ დიდ წინაპრებს მხნეობას რომ მატებდა თავიანთი მიზნის მისაღწევად» [27, 42] ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის სამშენებლო კომიტეტის გამგე მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი 1906 წლის 23 მაისით დათარიღებულ წერილში, სარევიზიო კომისიის წევრებს სწერდა: ,,თანახმად თქვენი მოწერილობისა, გაცნობებთ შემდეგს... ანგარიშიდან სჩანს შენობაზე დახარჯულია შენობის დაწყებიდან დღევანდლამდის 369,633 მ. 80 კაპ. დამტკიცდა ეს ხარჯი თვით შენობაზე, ბაღის, ხიდის მასალა და აგრეთვე ყოველივე მოწყობილობა, რაც შენობას

აქვს ამჟამად. ეს თანხა სულ შეადგენს 6 წლის განმავლობაში 22255 მან.44 კაპ.» [161, 2].

ნ. ცხვედაძეს როდესაც თანხები შემოაკლდებოდა მშენებლობისთვის და ვალებში ჩავარდებოდა, ბანკში დააგირავებდა დაუმთავრებელ შენობას, აღებული გადიდებული სესხით ბანკის ძველ ვალს დაფარავდა, ხოლო დარჩენილი ნაშთით კი განაგრძობდა მშენებლობას. მას ეს იდეა სიყრმის მეგობარმა ი. გოგებაშვილმა მიაწოდა. დაუძლურებული, სნეული ნ. ცხვედაძე ბანკიდან საზოგადოებებში, საზოგადოებებიდან თავადაზნაურთა სახლებში დაიარებოდა და ცდილობდა, მცირედი შემოწირულობებითა თუ ზოგჯერ ძალით წართმეული თანხით დაესრულებინა ის შენობა, სადაც საბოლოოდ ქართულ უნივერსიტეტს უნდა დაედო ბინა.

რუსეთის იმპერიაში მიმდინარე რევოლუციური სიტუაციის მომწიფებისა და რეაქციის ხანაში ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» და ,,საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება”. XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების ორგანიზატორი ხდება პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი და მისი პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. მან შეადგინა თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის კონკრეტული გეგმა, «რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების იდეისაგან». [12, 10].

მოგვიანებით, რუსეთი შეეცადა შეექმნა დაპირისპირება თბილისის ქართულ უნივერსიტეტსა და ამიერკავკასიის უნივერსიტეტის დაარსების იდეათა შორის. ამით იგი შეეცადა დაებრკოლებინა ეროვნული უმაღლესი სკოლის გახსნა თბილისში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კავკასიის უნივერსიტეტის იდეამ ერთგვარად მოამზადა საზოგადოებრივი აზრი, თბილისში უმაღლესი სკოლის დაარსების აუცილებლობის შესახებ. ქართული უნივერსიტეტის დაარსების საწინააღმდეგო იდეოლოგიურმა მუშაობამ აქტიური ხასიათი მიიღო. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ რუსეთის რეაქციონერ-შოვინისტი მოღვაწენი: ოლდენბურგი, ვასილევსკი და სხვანი. ისინი «მზრუნველობით» ურჩევდნენ, ჩვენს საზოგადოებას, ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვაზე. აღნიშნულს ასაბუთებდნენ იმით, რომ ქართველებს არც სათანადო სამეცნიერო ტერმინოლოგია

ჰქონდათ და არც შესაბამისი სამეცნიერო კადრი ჰყავდათ, ამიტომაც ახალგაზრდების უმრავლესობა სასწავლებლად კვლავ რუსეთს წავიდოდა.

ცარიზმის პოლიტიკის მოხელენი განათლების სისტემაში თავისი მიზნების მისაღწევად ფართოდ იყენებდნენ «შერეულ პოლიტიკას». ბურჟუაზიული ხელისუფლების მაღალი ეშელონებისაკენ გზას უკაფავდნენ რუსული განათლების მქონე ქართველობას, რომელიც ერთგული იყო რუსეთის ხელისუფლებისა და მისთვის უცხო იყო ყოველივე ეროვნული. «ცარიზმის სამოხელეო აპარატს კი რუსული კანონების კარგი მცოდნე, ერთგული და მორჩილი, ამასთან რუსულად განათლებული მოხელეები ესაჭიროებოდა». [29, 15] ისინი თავიანთ ქვეშევრდომთ მოუწოდებდნენ, რომ გარეგნული ნიშნებით ქართული განათლების ინტერესებით შემოფარგლულიყვნენ და უშუალო მონაწილეობა მიეღოთ ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის შეცვლაში. «ასეთი პოლიტიკიდან გამომდინარე ქართველი ხალხის კულტურა, ერთი შეხედვით, ხელშეუხებელი რჩებოდა, ფაქტობრივად კი, ქართული კულტურის საბოლოო მოსპობას და ყოველგვარ ეროვნულისადმი ინდეფერენტიზმისაკენ უბიძგებდა.» [15, 14]

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ყურადღებას იპყრობს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილი აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტი, სადაც მიმდინარეობდა ქართველოლოგიური და არმენოლოგიური სამეცნიერო კვლევა-ძიება. პირველად ამ საკითხით დანიტერესება გამოხატა რუსეთის განათლების მინისტრმა გრაფმა ს. უვაროვმა. ეს გამოწვეული იყო ევროპის ქვეყნების სურვილით, უფრო ახლოს გასცნობოდნენ ქართველ, სომეხ და კავკასიელ ხალხთა კულტურას. ევროპაში არსებული ევროპული, აზიური და ბიბლიური საზოგადოებები აფუძნებდნენ ქართველოლოგიურ და არმენოლოგიურ ცენტრებს, სადაც ცხოველმყოფელი მუშაობა იყო გაჩაღებული. რუსეთის იმპერია, ცხადია, ვერ დაუთმობდა ევროპელებს ასპარეზს კვლევა-ძიებისათვის.

1837 წელს, გრაფ ს. უვაროვის მოთხოვნით, პეტერბურგში ქართველოლოგიასა და არმენოლოგიაში სამუშაოდ მოიწვიეს გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი მარი ბროსე, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა დიდი მეცნიერი ბატონიშვილი თეიმურაზ ბაგრატიონი. მისი შემოქმედებით იწყება ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიოგრაფიაში, იგი ერთგვარად აგრძელებს

ვახუშტის დაწყებულ საქმეს, და თავის მხრივ, «ნიადაგს ამზადებს მარი ბროსეს მოღვაწეობისათვის» [83, 121]

მარი ბროსეს თაოსნობითა და დიდი მუშაობით პეტერბურგის ქართველოლოგიური კერა მსოფლიოში უძლიერეს ცენტრად იქცა. აქ აღიზარდა არაერთი ცნობილი მეცნიერი, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. თუ გადავხედავთ ამ კათედრაზე მომუშავე პირთა სიას, დავინახავთ, რომ ეს არის ერთგვარი ჯაჭვი მასწავლებლებისა და მოწაფეებისა, რომელთაც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვათ ერთმანეთისადმი რიდი, მოკრძალება და პატივისცემა. და ბოლოს, ამ ქართველოლოგიურმა კერამ ერთგვარი სამეცნიერო სკოლა შექმნა, რომელმაც, ფაქტობრივად, საძირკველი ჩაუყარა ქართულ უნივერსიტეტს.

რუსეთის ქალაქების უმაღლეს საგანმანათლებლო კერებში აღიზარდნენ: დავით ჩუბინაშვილი, პლატონ იოსელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი და სხვანი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ამ განათლებულმა თაობამ კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით დასვა საკითხი საქართველოში ეროვნული უმაღლესი სკოლის გახსნის აუცილებლობის შესახებ.

მეტისმეტად რთულ პირობებში, ურთიერთდაპირისპირებისა და ბრძოლის ფონზე, რუსეთის მთავრობის ძალისხმევით, 1917 წელს თბილისში დაარსდა რუსული უნივერსიტეტი [160, 20]. ქალაქის საბჭო დიდი აღფრთოვანებით შეეგება რუსული უნივერსიტეტის დაარსების ამბავს და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა მას. კავკასიის უნივერსიტეტი დამფუძნებელთა მხრიდან ნივთიერად უზრუნველყოფილი იყო. მას უკვე ჰქონდა შენობა - «უმაღლესი კურსების სახლი. ქალაქი აძლევს მასვე მიწას, ფულს, უთმობს კლინიკებისათვის საავადმყოფოებს. ქალაქის საბჭო ისე გაიტაცა რუსული უნივერსიტეტის საქმემ, რომ სრულად დაივიწყა ქართული უნივერსიტეტის ბედი. მოსალოდნელი კი იყო, რომ ქართველი ხმოსნები მაინც აიმაღლებდნენ ხმას ქართული უნივერსიტეტისათვის და აუხსნიდნენ საბჭოს, თუ რაოდენ სათაკილოა და უმართებულო, საქართველოს დედაქალაქი თბილისი რუსულ უნივერსიტეტს იარსებდეს და სრულად უგულვებელჰოფდეს ქართული უნივერსიტეტის საქმეს» [75, 2]. თუმცა აქვე დასძენენ: «რუსული უნივერსიტეტის დაარსების საწინააღმდეგოდ არაფერი ეთქმით

– პირიქით ისინი თანაგრძნობით უნდა მიეგებონ ასეთ საქმეს და, შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყონ ყველას, ვინც განიზრახავს დაარსოს ჩვენში რუსული თუ ფრანგული შკოლა, მაგრამ მხოლოდ შეძლებისდაგვარად...”[75, 3]. მეფის რუსეთი ცდილობდა, კავკასიისა და ტფილისის უნივერსიტეტების გახსნასთან დაკავშირებით, ურთიერთ დაპირისპირების საფუძველზე, შიდა კონფლიქტების გაღვივებას და ასეთი გზით ქართული ეროვნული ინტერესების მიმართულებით მიმდინარე მოღვაწეებისადმი ყურადღების მოდუნებას. რუსეთის დროებითი მთავრობის განათლების კომისარიატმა თბილისის უნივერსიტეტის პროექტი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შემუშავდა და დასამტკიცებლად წარედგინა ხელისუფლებას, დასკვნისათვის საქართველოში აღზრდილ მეცნიერს ნიკო მარს გადასცა. იაფეტური თეორიის ფუძემდებლის აზრით კი, ქართული უნივერსიტეტის თბილისში დაფუძნებას აუცილებლად «კავკასიის უნივერსიტეტის» დაარსება უნდა უძღოდეს წინ. «ამით მან მხარი არ დაუჭირა თავის აღზრდილებს, რითაც, ფაქტობრივად, ქართული უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგ გამოვიდა, მაშინ როდესაც მის მხარდაჭერას შეიძლებოდა გადამწყვეტი როლი ეთამაშა. მან ამით ქართულ უნივერსიტეტს რუსული კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუპირისპირა»[28, 7]. მოგვიანებით, ამ ფაქტის შესახებ ი. ჯავახიშვილი გულისტკივილით სწერდა თავის მასწავლებელსა და მეგობარს « ... თქვენი ბოლო დროინდელ ნაწერებს თითქოს... ჩვენი პოლიტიკური და კულტურულ-ეროვნული განადგურება ჰქონდეს მიზნად დასახული... 1917 წლის მერმინდელი მოღვაწეობა და პეტერბურგიდგან საგანგებოდ ჩამოტანილი თქვენი მოხსენებანი ჩვენსა და ჩვენი უნივერსიტეტის დაუძინებელ მტრებს, პირიქით, სწორედ თავიანთი ზრახვების სახარებად, ხოლო ჩვენი უწმინდესი გრძნობებისა და სულისკვეთების გამანადგურებელ იარაღად მიაჩნიათ» [123, 749].

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ხოლო შემოდგომაზე _ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდგომ რუსეთში პოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა. მას უკვე აღარ შესწევდა ძალა იმ პოლიტიკური დაპირისპირების ინსპირირებისათვის, რომელსაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში აწარმოებდა თავის გუბერნიებში. თბილისში მოქმედმა კავკასიის უნივერსიტეტმა რუსეთის მთავრობის სახით დაკარგა ძლიერი მხარდამჭერი, როგორც ფინანსური, ასევე მეცნიერული თვალსაზრისით. ამ

პერიოდში ახლადდაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძალას იკრებდა და ძლიერ კონკურენციას უწევდა კავკასიის უნივერსიტეტს, რომელმაც 1920 წელს არსებობა შეწყვიტა. აი, რას ვკითხულობთ 1920 წლის 19 აგვისტოთი დათარიღებულ განათლების მინისტრის მოხსენებაში: «ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი მომავალ 1920-21 სასწავლო წლიდან დაიხუროს. წინადადება მიეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს, იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ ამ უნივერსიტეტში, სახელმწიფო უნივერსიტეტთან მოაწყოს პარალელური კურსები რუსულ ენაზე. დაევალოს განათლების სამინისტროს მიიღოს სასწრაფო ზომები უნივერსიტეტის ქონების დასაცველად და მისი ბედის გამოსარკვევად». [138, 119]

ამრიგად, ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის ინვენტარი მისი ლიკვიდაციის შემდგომ მთლიანად გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. 1920 წლის პირველ ივლისს მოწვეული პროფესორთა საბჭოს სხდომის ოქმი ეხება ამ მიმდინარე პროცესებს: «1. ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღებიან იმ მოთხოვნილებათა თანახმად, რომელნიც დაკანონებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის. 2. ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის მასწავლებელნი და მსახურთაგან მოწვეულ იქმნენ სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთო წესით, ის პირნი რომელნიც საჭირო აღმოჩნდებიან უნივერსიტეტისათვის, განსაკუთრებით პარალელურ განყოფილებათა გახსნის შემდეგ და რომელნიც ამასთანავე აკმაყოფილებენ ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც სახელმწიფო უნივერსიტეტი უყენებს თავის მასწავლებელთ და მსახურთ. 3. ამიერკავკასიის უნივერსიტეტის მსმენელთათვის სწავლის ფულის ნორმის გამორკვევა მიენდოს უნივერსიტეტის გამგეობას სახალხო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით» [93,120]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა ამოდიოდა რა ეროვნული განათლების კონცეფციიდან, მასწავლებელთა და სტუდენტთა წარმომავლობის მიუხედავად, მეცნიერების ტაძარში ლექციების კითხვას მხოლოდ ქართულ ენაზე უშვებდა, რაც აქ ამიერკავკასიის უნივერსიტეტიდან გადმომსვლელებს პრობლემებს უქმნიდათ.

ამრიგად, რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით დაარსებულმა ამიერკავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომლის უმთავრეს მიზანს ქართულ თავისუფალ

უნივერსიტეტთან დაპირისპირება წარმოადგენდა, თავისი მოღვაწეობა კრახით დაასრულა.

თავი II

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-21 წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ღრმად სწამდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები მათ დამოუკიდებლობას აღიარებდნენ. პარიზში გამართულ კონფერენციაზე (1919 წლის იანვარი) საქართველოს დელეგაცია (ნ.ჩხეიძე, ი.წერეთელი, ზ.ავალიშვილი) ცდილობდა, მოეპოვებინა ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერა, მაგრამ – ამაოდ, _ საქართველოს დამოუკიდებელობის ცნობა, მძიმე საერთაშორისო მდგომარეობის, კერძოდ, რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო, მათ ინტერესებში არ შედიოდა. ინგლისს ამიერკავკასია, უპირველეს ყოვლისა, ანტისაბჭოურ პლაცდარმად სჭირდებოდა. 1917 წლის მიწურულს საქართველოს მთავრობის დელეგაციამ მიიღო-ინგლისის ნოტა იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთი თანაუგრძნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და მზადაა, გამოვიდეს პარიზის საზავო კონფერენციაზე მისი ცნობის სასარგებლოდ [24, 9-12].

სტრატეგიულად ხელსაყრელი და ნედლეულით მდიდარი ამიერკავკასიის ხელში ჩაგდების მსურველნი ცდილობდნენ, სხვადასხვა ხერხების გამოყენებით, თავიანთი მიზნების განხორციელებას. «იმ დროს, როცა ინგლისის ჯარებს ამიერკავკასია ეკავათ, ამერიკული პრესა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ცნობის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამერიკელი დიპლომატების აზრით, კავკასიის რესპუბლიკათა აღიარება, რომლებიც, ბრიტანეთის არმიის კრეატურას წარმოადგენდა, ამიერკავკასიასა და თურქეთში ბრიტანეთის გავლენის ახალ ზონას შექმნიდა” [19, 633]. ამირკავკასიაში, როგორც ვხედავთ, ერთმანეთს შეეჯახა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სახელმწიფოთა ინტერესები. დიდი ბრიტანეთის ამიერკავკასიით დაინტერესება შემთხვევითი როდი იყო. ჯერ კიდევ 1917 წლის 23 დეკემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს საიდუმლო ანტისაბჭოურ ხელშეკრულებას, რომლის ძალით, უკრაინა და ყირიმი საფრანგეთის, ხოლო მთელი კავკასია - ინგლისის გავლენის სფეროდ ცხადდებოდა.

ამერიკული მისიები გარკვეული დავალებებით ხშირად სტუმრობდნენ ამიერკავკასიას და ადგილობრივ მთავრობათა გავლენიან პირებთან მოლაპარაკებებს ეწეოდნენ. მათ ეკონომიკურ დახმარებას, იარაღითა და საომარი მასალით ადგილობრივი არმიების მომარაგებას ჰპირდებოდნენ. ამავე დროს გაფაციცებით სწავლობდნენ ამიერკავკასიის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ადგენდნენ გეგმებს მისი მომავალი ექსპლოატაციის თვალსაზრისით. ამერიკელთა ასეთი საქმიანობით შეშფოთებულმა ინგლისის ელჩმა ვაშინგტონში ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა მემორანდუმი, სადაც გამოთქმული იყო შეშფოთება იმის გამო, რომ «ამერიკელები თბილისში ადგილობრივ მთავრობას დიდ ფინანსურ დახმარებას ჰპირდებიან, თუ საქართველოს მთავრობა ამერიკის პროტექტორატს აღიარებდა. ასეთი სეპარატიული მოქმედება ვნებს ინგლისელთა ინტერესებს ამიერკავკასიაშიო» [19, 634]. M ბრიტანეთის მხრიდან გამოთქმული პროტესტის მიუხედავად, ამერიკული მისიები და კომიტეტები თავს შეუზღუდავად გრძნობდნენ, უცერემონიოდ ერეოდნენ ადგილობრივ მთავრობათა საშინაო საქმეებში, აწარმოებდნენ დაზვერვით სამუშაოებს და შემდეგ ამიერკავკასიის ეკონომიკის შესახებ ცნობებს ათავსებდნენ ამერიკულ პრესაში. ვილსონის «14 პუნქტისგან» შედგენილი გეგმა ითვალისინებდა ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ კი, სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის წესს და მათ ადგილს საერთაშორისო არენაზე. იგი წერდა, რომ «სომხეთს ხმელთაშუა ზღვაზე უნდა მიეცეს ნავსადგური რომელიმე სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ» [30, 139]. როდესაც ვილსონი «რომელიმეს» წერდა, ბუნებრივია, ამაში ამერიკის შეერთებული შტატები იგულისხმებოდა, რომელმაც გააქტიურა გაჭირვებაში მყოფი სომეხი ხალხისადმი დახმარების პროპაგანდა. ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის განყოფილების მიერ პარიზის საზავო კონფერენციისათვის შედგენილი იქნა სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილი და დასაბუთებული იყო ყველა ის მოთხოვნა, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ამერიკელთა პოზიციას ახლო აღმოსავლეთში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სომხეთისა და საქართველოს საკითხს. «სომხეთის ეკონომიკური უშიშროებისათვის კილიკიის ოლქი აუცილებელია და იგი ნავსადგურ ადანით სომხეთს უნდა ეკუთვნოდეს. მას უნდა ჰქონდეს შავ ზღვაზე გასავლელი, ამიტომ ასევე აუცილებელია მისთვის

ახალქალაქისა და ახალციხის გადაცემა... დამოუკიდებელ საქართველოს კი ექნება ფართო გასასვლელი შავ ზღვაზე ბათუმიდან ჩრდილოეთით, ექნება შესანიშნავი ჩრდილო საზღვარი კავკასიის თოვლიან მთებით, აღმოსავლეთიდან გამიჯნული იქნება მკვეთრად განსახვავებული ეთნიკური ხაზით, ხოლო სამხრეთიდან კი – სომხეთის მთიანეთით. შესაძლებელია ქართველებმა მოისურვონ სომხეთთან შეერთება რაღაც ფედერაციის ფორმით, და თუ ამის განხორციელება შესაძლებელი იქნება, ეს ორთავე მხარისათვის სასარგებლო აღმოჩნდება» [19, 229-230].

როგორც ვხედავთ, მთავარი დასაყრდენი გახლდათ სომხეთისათვის ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ხელს უწყობდა მისი იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებას. საერთაშორისო ურთიერთობათა ასეთ ფონზე საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფო ნელ-ნელა მაინც იკრებდა ძალებს და ცდილობდა მოკავშირეების მოძებნას, რომლებიც შემქნილი რთული მდგომარეობიდან გამოიყვანდა მას. იმ პერიოდის საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ ინგლისს, ამერიკას, გერმანიას, იტალიას, თურქეთსა თუ საფრანგეთს, - ყველას თავისი ინტერესები ამოძრავებდა და თავიანთი პლაცდარმის შექმნას აპირებდა ამიერკავკასიაში. ამით ცდილობდნენ, საფრთხე შეექმნათ ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთისთვისაც. «თუ შეუძლებელია ბოლშევიზმის დამარცხება მის საკუთარ ტერიტორიაზე, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს შევაჩეროთ იგი, ზოგიერთ საშიშ გზაზე როგორიცაა, მაგალითად კავკასია» [19, 646].

ახალგაზრდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მხარეს წარმოადგენდა მის მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის პერიოდშივე დაიწყო დავა ამიერკავკასიის ერების ტერიტორიული გამიჯვნის საკითხზე. ფედერაციის დაშლის შემდგომ კონფლიქტი ახალ ფაზაში შევიდა. «საქართველოსა და სომხეთის მთავრობები დაობდნენ ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილზე, საქართველო-აზერბაიჯანი ზაქათალის თაობაზე, სომხეთი და აზერბაიჯანი ყარაბაღზე» [4, 241].

1918 წლის ნოემბერში მოწვეული იქნა ამიერკავკასიის საერთაშორისო კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში შედიოდა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ურთიერთობის საკითხების დარეგულირება. მხარეებმა საჭიროდ მიიჩნიეს: «1. Aამიერკავკასიის სახელმწიფოთა ურთიერთ ცნობა; 2. ყველა სადავო საკითხით,

დაინტერესებული მთავრობების შეთანხმებით გადაწყვეტა, წარუმატებლობის შემთხვევაში საერთაშორისო არბიტრაჟისათვის მიმართვა; 3) სოლიდარული, ურთიერთმხარდამჭერი გამოსვლა მსოფლიო კონგრესზე იმ მიზნით, რომ მიღწეული ყოფილიყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების საერთაშორისო აღიარება, მათი დეიურე ცნობა” [157, 1].

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, არამედ პირიქით, კიდევ უფრო დაიძაბა.

1918 წლის 30 ოქტომბერს თურქეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის გაფორმებული მუდროსის ზავის შედეგად, ოსმალებმა დატოვეს ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიები. როგორც კი თურქები გავიდნენ ლორიდან, სომხეთის ჯარმა მყისვე დაიწყო წინ წამოწევა და დაიკავა ეს ტერიტორია. ბორჩალოში მდგარმა ქართველთა მხედრობამ მომხდარი ფაქტი საქართველოს მთავრობას მაშინვე ამცნო და «დამატებითი ძალების გაგზავნა მოითხოვა საზღვრების აღსადგენად... ნოემბრის ბოლოს სომეხ-ქართველთა ჯარებს შორის ნამდვილი ომი გაჩაღდა» [157, 25].

1918 წლის 17 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია: «მოქალაქენო, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. იმ დროს, როცა მსოფლიო ომის ხანძარი ჩაქრა, როცა მთავარი სახელმწიფოები ხმალს ქარქაშში აგებენ და იწყებენ მშვიდობიან ცხოვრებას, სომხეთის მთავრობა ფარულად ესხმის თავს საქართველოს რესპუბლიკას... სომხეთის მთავრობის მმართველი წრეები ალბათ დახმარებას გარედან ელიან, მაგრამ არა მგონია, ვინმემ გაამართლოს ჩვენი მეზობლის მოქმედება და მას დახმარება გაუწიოს. ამჟამად შექმნილი კონკრეტული სიტუაცია მოითხოვს, რომ მშვიდობიანი შეთანხმებით განისაზღვროს ამიერკავკასიის ხალხთა უფლებრივი მდგომარეობა, მათი ტერიტორიული საზღვრები, მაგრამ სომხეთის მთავრობა მშვიდობიანი პოლიტიკის წინააღმდეგია, ერებს შორის მტრობას თესავს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მშვიდობიანობის პოლიტიკა მას იარაღის ძალით მივაღებინოთ» [163, 69].

მთელი საქართველო შეძრა ამ გაუგონარმა ბარბაროსულმა ფაქტმა. ქართველთა ლაშქარმა შეძლო 1918 წ. ნოემბრის მიწურულს სომეხთა შემოტევების შეჩერება.

თითქმის ყველა დაწესებულებაში გაიმართა საერთო კრებები, სადაც ისმოდა სამშობლოს დაცვის მოწოდებები.

«ქართული უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, საქართველოს ჯერ იყო ოსმალეთმა შემოუსია თავისი გათამამებული ჯარი. სამშობლომ მოუხმო ახალგაზრდობას და ისინიც თავიანთ ვალდებულების შესასრულებლად გამოცხადდნენ. ქართველი სტუდენტობა შეგნებულად მოწყდა ახლად დაარსებულ მეცნიერების კერას და ნაცვლად სამეცნიერო წიგნებისა თოფ-ზარბაზნებს მოჰკიდეს ხელი. მათ დაამტკიცეს თავისი მამულიშვილობა და სამშობლოსადმი სიყვარული, ჯერ ოსმალებთან და შემდეგ რუს-სომეხ ბოლშევიკებთან ბრძოლაში ქართველი სტუდენტობა წარსულ წელს სისხლის ემბაზში განიბანა. მათ სისხლის წვიმები ვერ შეაშინებს, ისინი გაფაციცებით ელიან საქართველოს მთავრობის ზარის ხმას, აჰა, ეს ხმაც და მთელი ქართველი სტუდენტობა აბჯარს ისხამს» [61, 4].

საქართველო-ოსმალეთის ომის დროს შექმნილ ვითარებას მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სპეციალური სხდომა: «უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებული იქნეს... ეთხოვოს, ვისაც ჯერ არს – დაყენებულ იქნეს საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ საომარ ასპარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმების ახლო-მახლო მიდამოები. საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას» [95, 39].

მოვლენებს კვალდაკვალ ეხმიანება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ცდილობს, პოლიტიკურად აქტუალურ საკითხებს მეცნიერული დასაბუთება მოუძებნოს: მოგვიანებით, 1918 წლის 18 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილმა რიგგარეშე ლექცია წაიკითხა სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში, თემაზე: «ქართველთა და სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა». მან ვრცლად ისაუბრა და დამტკიცა, რომ სადავო ადგილები: «ახალციხე-ახალქალაქი, ლორე და ბამბაკი ეკონომიურად სულაც არ არიან დაკავშირებული სომხეთთან, როგორც სომეხთა საზოგადო მოღვაწენი ამტკიცებენ, ამ ადგილებზე მცხოვრებთ ბუნებრივი სიმაღლეების გამო სომხეთისაკენ გადასვლა ძლიერ ეძნელებათ, მაშინ, როცა ჩრდილოეთისაკენ (ჩვენსკენ) მშვენიერი გზატკეცილები აქვთ... იმის მტკიცება, რომ ამ მაზრებს მეტი მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს სომხეთთან ვიდრე საქართველოსთან, ჭეშმარიტების უკუღმა შებრუნება

იქნება... რაც შეეხება სტრატეგიას, ეს მაზრები ბუნებრივი მდგომარეობის გამო, იმ დროს, როცა საქართველო სადროშეებად იყო დაყოფილი მოწინავე სადროშოდ იწოდებოდა. ამის მნიშვნელობა ადვილი გასაგებია, რადგან სამხრეთიდან შემოსეულ მტერს პირველად ამ მაზრებში მცხოვრებნი უნდა შეგებებოდნენ. აქ მცხოვრებთა სამხედრო წესრიგი საუკუნოებით იყო შექმნილი. საქართველოს სპასალარის საჯდომი ლორის მიუვალი ციხე იყო. თვითონ ამ ადგილებს ბუნებრივი მდგომარეობა იმ უპირატესობას აძლევს, რომ ვისაც ის უჭირავს, მის ხელშია ფაქტობრივად აღმოსავლეთ საქართველოც. სხვადასხვა დროის ისტორიული ფაქტებით მტკიცდება, რომ ეს მაზრები ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა» [61, 3]. ივ. ჯავახიშვილმა დაგმო სომხეთის სახელმწიფოს მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი. მან აღნიშნა, რომ სომხეთის შემოსევა ამ ადგილების დასაპყრობად პირველი ცდა არ არის, რომ ეს საუკუნეებით შექმნილი მათი სურვილია და დღესაც, როცა განახლებული საქართველო მათთან მეგობრული განწყობილების განმტკიცებას ცდილობდა, იგი მოულოდნელად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას და სურს მისი დამოუკიდებლობა საფრთხეში ჩააგდოს. «ჩვენ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა გვსურს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ვებრძოლოთ სომხის ერს, რომელიც ამ დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უმზადებს. საქართველოს არასოდეს არ გასჭირვებია სომხეთთან ომი და არც ახლა გაუჭირდება, მაგრამ, თუ ვინცობაა გაუჭირდა, ქართველურად ქუდზე კაცი გავალთ და საქართველო, რომელიც 30 საუკუნე არსებობდა, ჩვენი მკერდით დაცული კვლავ იარსებებს... გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ მხედრობას» [37, 3].

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანმა ი. ჯავახიშვილმა ლექციის დასასრულს მოუწოდა თავის სტუდენტობას სამშობლოს დასაცავად. «საკვირველი არ არის, რომ ქალებმაც კი იარაღით ხელში დახმარება აღუთქვა მთავრობას – ქართველი ქალი, ქართველ ვაჟებთან ერთად მამა-პაპურ ხმალს უბრუნდება... სტუდენტობამ ერთხმად დაადგინა, რომ იგი მზადაა, მიუხედავად იმისა ეხებათ მათ თუ არა მობილიზაცია, ჩაეწერონ ჯარის ნაწილებში და წავიდნენ იქ, სადაც მათ მოუწოდებთ მთავრობა, მათი მამულიშვილური მოვალეობის შესასრულებლად» [38, 4].

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო კლინიკების კარები ღია იყო ომის საჭიროებისათვის [120, 13].

1918 წლის 20 დეკემბერს ქართველთა ჯარმა შეაჩერა სომეხთა შემოტევა და კონტრშეტევაზე გადავიდა. გამარჯვების სასწორი ქართველთა მხარეს გადმოიხარა. ასეთ მომენტში არბიტრის როლი, ერთი მხრივ, ინგლისის, მეორე მხრივ კი, რუს ბოლშევიკთა მისიამ იკისრა და ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დააზავეს მხარეები. ომი შეწყდა. ჯარებმა დატოვეს სადავო ტერიტორია. შეიქმნა დემილიტარიზებული ზონა, მაგრამ საქართველოსა და სომხეთის მთავრობათა შეთანხმება ვერ მოხერხდა.

1919 წლის აპრილში, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია. საქართველოს მთავრობის რწმუნებულმა ევგენი გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ კონფერენცია შეიკრიბა მეტისმეტად რთულ და საპასუხისმგებლო პირობებში. «ბევრი საკითხი გადაუჭრელია. ჩვენი ვალია გამოვნახოთ საერთო ენა, სოლიდარულად ვიმუშაოთ სიძნელეთა აღმოფხვრისათვის. ყველა ვგრძნობთ, ჩვენს წინაშე აღმართულ რეალურ საშიშროებას, რაც შემჭიდროვებასა და გარეშე მტრებთან ერთობლივ ბრძოლას გვიკარნახებს. ვიმედოვნებ, რომ ეს შეხვედრა საშუალებას მოგვცემს საფუძველი ჩავუყაროთ ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს, აღვადგინოთ საერთო ფრონტი, დავიცვათ ქვეყნის საზღვრები» [165, 1]. სომხეთის მხრიდან ამ კონფერენციაზე მონაწილეობას იღებდა ს. ტიგრანიანი, ხოლო აზერბაიჯანის მხრიდან კი - ხოისკი. მათ უცვლელად მიიღეს საქართველოს მხრიდან მიღებული დღის წესრიგი, გამოყვეს კომისიები, რომელთა მუშაობა ერთ თვეს გაგრძელდა, თუმცა ყველა საკითხი გადაუჭრელი დარჩა [4, 243].

რამდეიმე ხნის შემდეგ ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის გაფორმდა შემდეგი სახის ხელშეკრულება: «1) ტერიტორიული და სხვა სადავო საკითხების მოსაგვარებლად უკვე დაწყებული მოლაპარაკება უფრო ენერგიულად უნდა გაგრძელდეს 2) თუ 6 კვირის განმავლობაში ამ მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყვა, დავა გადაწყდეს არბიტრაჟის მეშვეობით. 3) მოდავე მხარეები ამ მიზნით აყალიბებენ სამ საარბიტრაჟო კომისიას, ერთს სომხეთისა და აზერბაიჯანის, მეორეს აზერბაიჯანისა და საქართველოს, მესამეს სომხეთსა და საქართველოს უთანხმოებათა მოსაგვარებლად. 4) თუ კომისიების მუშაობასაც არ მოჰყვა სასურველი შედეგი, ამიერკავკასიის რესპუბლიკები ერთად მიმართავენ

სამოკავშირეო საბჭოს ან ერთა ლიგას, რათა გამოიყოს საერთაშორისო საარბიტრაჟო კომისია, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოს იქნება» [157, 117].

ამრიგად, ვერც ამ გადაწყვეტილებამ და ვერც საერთაშორისო არბიტრაჟმა უშველა საქმეს. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიული დავა ბოლომდე გადაუწყვეტელი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შექიმნა კომისია, ი. ჯავახიშვილისა და პ. .ინგოროყვას შემადგენლობით, რომლებმაც შეიწავლეს და დაადგინეს საქართველო-სომხეთის საზღვრები, მაგრამ მისი რეალურად გატარება მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა.

საქართველომ ამ ომში დაკარგა თავისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, რამაც, ბუნებრივია, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ახალგაზრდა სახელმწიფოს ფორმირებაზე. იგი დიდი სახელმწიფოების ფარული გარიგებების მსხვერპლი გახდა. ამ ბრძოლაში საქართველო მუხანათურად იქნა ჩაბმული და სულ მარტო, მოკავშირეთა გარეშე აღმოჩნდა გლობალური დაპირისპირების ეპიცენტრში.

თავი III

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამოკიდებულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებისადმი

§ 1. ივანე ჯავახიშვილისა და ქართველი ინტელიგენციის ბრძოლა თბილისში უნივერსიტეტის დაარსებისათვის („ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოება”)

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ახალი იმედები აღუძრა ქართველ ინტელიგენციას. პეტროგრადში მყოფი ი. ჯავახიშვილი რევოლუციის პირველი დღეებიდანვე შეუდგა უმაღლესი სკოლის გახსნისათვის მზადებას. არსებობდა ნ. ნიკოლაძისა და სხვათა განსხვავებული აზრიც პოლიტექნიკური სასწავლებლის გახსნის თაობაზე, მაგრამ დავას არ იწვევდა ერთი საკითხი - თბილისში ეროვნული უმაღლესი სკოლის გახსნის აუცილებლობა.

საქართველოში არსებული საარქივო მასალა მწირ ცნობებს შეიცავს პეტროგრადის ქართველ სტუდენტთა და იქ მომსახურე პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო შეკრებებისა და მათი მუშაობის შესახებ. ამ დანაკლისის შევსება

მხოლოდ ჩვენი მეცნიერების მოგონებების საფუძველზეა შესაძლებელი. აი, როგორ იხსენებდა შალვა ნუცუბიძე 1917 წელს ი. ჯავახიშვილის ბინაში მყოფ ქართველ მეცნიერთა ჯგუფს, რომელიც «სულ უფრო ბეჯითად და დაჟინებით მსჯელობდა საქართველოში უმაღლესი სასწვლებლის გახსნის თაობაზე. უნივერსიტეტი გახდება ეროვნული კადრების სამჭედლო, იგი უდიდეს გავლენას მოახდენს მთელი ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე... ყველა ჩვენგანი მხურვალედ უჭერდა ი. ჯავახიშვილს მხარს. ახლა უკვე სიტყვა მთავრობას ეკუთვნის. და აი, ჩვენ ზამთრის სასახლეში მივდივართ. დროებითი მთავრობის მეთაურმა გარეგნულად თბილად მიგვიღო, მაგრამ თხოვნის დაკმაყოფილებაში არ თანაგვიგრძნო. – თქვენ არ გაქვთ არც ქართული სახელმძღვანელოები და არც ქართველი პედაგოგები გყავთ. ასეთი ცდა პრაღაშიც წამოიწყეს, მაგრამ ის კრახით დამთავრდა. იგივე შედეგი მოგელით თქვენც – ჩვენ უკან არ დავიხიეთ. მაშინ მან მიიღო ორჭოფული გადაწყვეტილება. თბილისში გამოგზავნილი იქნა ტელეგრამა ქალთა კურსების ამიერკავკასიის უნივერსიტეტად რეორგანიზების შესახებ, რაც შეეხება ფინანსურ დახმარებას, ამაზე კერენსკის კრინტიც არ დაუძრავს» [60, 32].

ივ. ჯავახიშვილმა კარგად გაისიგრძეგანა, რომ მისი ადგილი საქართველოში იყო, რათა ერი და ბერი დაერაზმა საშვილიშვილო საქმის სისრულეში მოსაყვანად. მომავალში ქართული უნივერსიტეტი ხელს შეუწყობდა ქართველი ახალგზრდების გონებისა და ნებისყოფის განვითარებას. შეიქმნებოდა ნამდვილი ეროვნული ცნობიერების მქონე გენოფონდი, რომელიც ასე სჭირდებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

ამრიგად, საუნივერსიტეტო იდეისათვის ბრძოლა ორი მიმართულებით წარიმართა – ერთი მხრივ, თბილისში მყოფ მთავრობასა და პატრიოტთა ჯგუფს შორის, მეორე მხრივ კი, პეტროგრადში მყოფ ქართველ ინტელიგენციასა და დროებით მთავრობას შორის. ი. ჯავახიშვილი აყენებს მხოლოდ ქართული კერძო უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხს. «ამისათვის იგი ე.წ. თავისუფალი უნივერსიტეტების მოდელს იყენებს, პირველ რიგში კი - მოსკოვის შანიავსკის უნივერსიტეტის არსებობის გამოცდილებას. ამას ემატებოდა ლეგალური საფუძველი: 1914 წლის პირველი ივლისის კანონი სახალხო განათლების სამინისტროს იმ კერძო სასწავლებლების კლასებისა და კურსების შესახებ, რომლებიც არ სარგებლობდნენ მთავრობის სასწავლებლების უფლებებით. ამ კანონის მიღებას

დიდი სიხარულით შეხვდნენ საქართველოში, ეჩვენებოდათ, ამით განათლების ახალმა შუქმა შემოანათა ქვეყანაშიო» [26, 186] ამ კანონის მიხედვით, უმაღლესი სასწავლებლის დამფუძნებლებს უფლება ეძლეოდათ, რომ მთელი რიგი დისციპლინების სწავლება მხოლოდ სახელმწიფო ენაზე წარმართულიყო მხოლოდ ერთი გამონაკლისით, დისციპლინების ამორჩევა მთავრობის ორგანოთა პრეროგატივა იყო. კერძო უმაღლესი სასწავლებლის გახსნაც სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვის საფუძველზე ხორციელდებოდა, ხოლო რაიმე ზნეობრივი, სასწავლო აღმზრდელობით დარგში დარღვევების შემთხვევაში იგი სასამართლო განაჩენით იხურებოდა. მიუხედავად ამ კანონის მრავალმხრივი ნაკლოვანებისა, იგი მაინც საფუძვლად დაედო ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დაარსებას თბილისში. მეორე შეკრება ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გამართეს პეტერბურგის კინოთეატრ «ელიტაში». ი. ჯავახიშვილმა იქ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მომავალი ქართული უნივერსიტეტის მონახაზი და ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელსაც 1914 წლის კანონის გამოსვლა იძლეოდა. იგი მოუწოდებდა რუსეთში მყოფ ინტელექტუალურ სამეცნიერო პოტენციალს სამშობლოში გამომგზავრებისაკენ.

ამ დროს ი. ჯავახიშვილს უკვე დაგზავნილი ჰქონდა ანკეტური კითხვარი რუსეთის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქში. ამით მან შეძლო, განესაზღვრა ის სამეცნიერო პოტენციალი, რომლითაც შეიძლებოდა მომავალი ქართული უნივერსიტეტი დაკომპლექტებულიყო.

ამრიგად, ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დაფუძნებას საფუძვლად დაედო მეფის რუსეთის განათლების სამინისტროს მიერ 1914 წლის პირველ ივლისს მიღებული კანონი კერძო უმაღლესი სასწავლებლების შესახებ.

ქართველი მოწინავე საზოგადოების მთავარი ამოცანა იყო ეროვნული კონცეფციის ბაზაზე შექმნილი ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა ქართული განათლების, მეცნიერების აღორძინება. იმ გზის გაგრძელება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ისტორიის შორეულ წარსულში გელათის, იყალთოს აკადემიების სახით და რომლითაც განხორციელდებოდა ევროპული და ქართული განათლების სინთეზი.

ი.ჯავახიშვილი სამშობლოში 1917 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა. ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე იგი, მცირერიცხოვან თანამოაზრეებთან ერთად,

აქტიურად ჩაება უნივერსიტეტის გახსნისათვის ბრძოლის ფერხულში. მან, ფაქტობრივად, თავის თავზე აიღო ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება. ილიას მკვლელებმა ვერ შეძლეს ქართული სულის ჩაკვლა, პირიქით, ამით თითქოს ერი გამოფხიზლდა და კიდევ უფრო დაირაზმა სულიერი აღორძინებისათვის ბრძოლაში. მის მედროშედ გვევლინება ქართული უნივერსიტეტის სულისჩამდგმელი და ილიას მემკვიდრეობის გამგრძელებლი ი.ჯავახიშვილი.

1917 წლის 12 მაისს პეტრე მელიქიშვილის ბინაში გაიმართა უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეკრება. მას სულ 28 კაცი ესწრებოდა. კრებას ხელმძღვანელობას უწევდა ექვთიმე თაყაიშვილი. კრების დადგენილების თანახმად, საბოლოოდ დაფუძნდა «ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის" განსაკუთრებული საზოგადოება, რომელმაც, ფაქტობრივად, უდიდესი როლი ითამაშა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. მთავარ პრობლემად რჩებოდა ფინანსური საკითხის გადაწყვეტა. ამასთან დაკავშირებით შემუშავდა სპეციალური გეგმა: «1. საჭირო ლოტარიის გამართვა. 2. ქართველთა შორის გადასახადების აღწერა შემოწირულობის კვალობაზედ. 3. კოოპერატივების მიერ დახმარება. 4. საადგილმამულო ბანკში დაცული თანხა 800 000 (გირავნობის ფურცლების სავალდებულო განაღდების ზედმეტი გადასახადი). ამავე კრებაზე გადაწყდეს პროექტი ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის საზოგადოებისა... კრებამ ერთხმად მიიღო უნივერსიტეტის წესდებაც და ძირითადი დებულებანიც... კრებამ გადაწყვიტა ამოღებული იყოს სიტყვა «თავისუფალი», რადგანაც იგი მას კერძოობის ხასიათს აძლევს მიღებულ იქნა «ქართული უნივერსიტეტი» და «ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება" [97, 1].

ამ კრებაზე სიტყვით გამოსულმა ი.ჯავახიშვილმა ვრცლად ისაუბრა და დაასაბუთა ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა: «ყოველი ერის მეცნიერებას მსოფლიო გონებრივ შემოქმედებისათვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რადგანაც იგი საერთო კაცობრიობის სალაროში საკუთარ წვლილს შეიტანს და თავისებურობას გამოიჩენს... ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდების და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება. ამ უნივერსიტეტის

პროფესორები და ხელმძღვანელნი მარტო ლექციების მკითხველნი კი არ უნდა იყვნენ, არამედ უპირველესად ყოვლისა მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც თავიანთ ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას უნდა უწყობდნენ ხელს და მეცნიერებაზე ცხოველ მისაბაძავი მაგალითიც იყვნენ მოზარდ თაობისათვის» [85, 11]. როგორც ვხედავთ, ი. ჯავახიშვილმა თავის გამოსვლაში ზუსტად ჩამოაყალიბა მომავალ პროფესსორ-მასწავლებელთა მუშაობის და უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა, რომელსაც დიდი სამეცნიერო დატვირთვა ჰქონდა. უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის სტრუქტურული აგებულებისა და მისი გაფართოებისათვის ზრუნვისას უნივერსიტეტის დამაარსებლები გამოდიოდნენ არა მხოლოდ თავიანთი შექმნილი დაწესებულების, არამედ, უპირველყოვლისა, ერისა და სახელმწიფო ინტერესებიდან.

ი. ჯავახიშვილს არც მეცნიერებათა აკადემიის სისტემა გამორჩენია მხედველობიდან, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ «სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთად შენახვა ჩვენ არ შეგვიძლია და არც იმოდენი ძალა შეგვწევს, ამიტომ ცხადია ჩვენი მოვალეობა უნდა იყოს ქართული უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე ვიზრუნოთ და არა აკადემიაზე. დასავლეთ ევროპის მაგალითიც ნათლად გვიჩვენებს, რომ იქაც ჯერ უნივერსიტეტები იყო, ხოლო შემდეგ გაჩნდა აკადემიები. ჩვენშიაც მომავალი გვიჩვენებს, საჭირო იქნება თუ არა ისეთი ძვირფასი დაწესებულების შექმნა, როგორიც სამეცნიერო აკადემიაა? ამჟამად კი ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა» [85, 9]. ი.ჯავახიშვილმა, იმდროინდელი სამეცნიერო პოტენციალისა და შექმნილი რთული ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარების გათვალიწინებით, მეცნიერებათა აკადემიის გახსნა მომავლისათვის გადადო. იგი მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში აქტიურად იბრძოდა ამ მიზნის განხორციელებისათვის. არაერთი მნიშვნელოვანი საქმე აიღო თავის თავზე, გადადგა სწორი და მიზანდასახული ნაბიჯი ამ მიმართულებით. მას კარგად ესმოდა, რომ მეცნიერებათა აკადემია აუცილებლობას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ნაწილისათვის. სამწუხაროდ, თავისი ერისათვის ზრუნვაში დამაშვრალი მეცნიერი ვერ მოესწრო მის ოფიციალურ გახსნას, თუმცა, ფაქტობრივად, მეცნიერებათა აკადემია მის შექმნილად ითვლება.

1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად კიდევ უფრო ფართოდ იქნა გაშლილი. 1917

წლის 20 სექტემბერს შედგა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის კრება. ი. ჯავახიშვილმა აუწყა დამსწერთ, რომ «ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი თავის დროზედ წარდგენილ იქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტში. ამ კომიტეტის თავმჯდომარემ ხარლამოვმა შესაძლოდ სცნო საზოგადოების წესდების დამტკიცება, მხოლოდ იმ პირობით, რომ წესდებიდან ამოშლილი ყოფილიყო ის მუხლები, რომლებიც შეეხება საზოგადოების უფლებას საჯარო ლოტერეის გამართვისა. ხარლამოვის განცხადებით ამ უფლების მინიჭება შეადგენს უმაღლესი მთავრობის კომპეტენციას. ზემოაღნიშნულ გამონაკლისით წესდება გადაეცა თფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციოდ. სამინისტროში გაიგზავნა უნივერსიტეტის ძირითად დებულებათა პროექტი, რადგანაც მისი დამტკიცება მხოლოდ სამინისტროს შეუძლიათ. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრის ბ-ნ ჩხენკელის წარმომადგენელი ბ-ნი ნიკოლოზ ქარცივაძე დაპირებულია მისწეროს ბ-ნ ჩხენკელს პეტროგრადში დააჩქაროს ძირითად დებულებათა დამტკიცება.

იურისტების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების რეგისტრაცია ჯერ არ მომხდარა მაინც საზოგადოებას შეუძლიან უკვე მოქმედებას შეუდგეს.

რადგანაც ამ ახლო ხანში დაარსდა ქართული ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, ი.ჯავახიშვილმა საჭიროდ სცნო მოხსენება უნივერსიტეტის დაარების შესახებ წაეკითხა ამ საბჭოში. საბჭომ ერთხმად მიიღო წინადადება ქართული უნივერსიტეტის დაარსების გამო და გამოსთქვა სურვილი, რომ თუ გარემოება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტი გახსნილი იყოს მომავალი წლის დამდეგიდან.'' [92, 28-28ა]

შეიცვალა პოლიტიკური სურათი როგორც რუსეთში, ასევე საქართველოშიც. ამიტომაც, რუსეთში მიმდინარე რევოლუციური პროცესებიდან გამომდინარე, ბევრი ქართველი მეცნიერი სამშობლოში დაბრუნდა. ამავე წლის 3 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველ საერთო კრებაზე, რომლის საპატიო თავმჯდომარეც პეტრე მელიქიშვილი იყო, კვლავ სიტყვით გამოდის ი. ჯავახიშვილი. მან ვრცლად ილაპარაკა ქართული უნივერსიტეტის გახსნის განსახორციელებლად პრაქტიკული ღონისძიებების გატარებაზე, ერთხელ კიდევ გააცნო დამსწრე საზოგადოებას უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი და წესდების მთავარი

მუხლები, ვრცლად ისაუბრა ეროვნული უნივერსიტეტის უპირატესობაზე კავკასიის უნივერსიტეტთან შედარებით. მან «უნივერსიტეტს მიზნად დაუსახა: ერისა და ქვეყნის აღორძინება, სახელმწიფოებრივი მიზნები და სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა» [94, 1]. ამ კრებას ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პროფესორი როსი, რომელმაც მოიწონა ქართველ მეცნიერთა საქმიანობა. ჯავახიშვილმა საზოგადოებას აუწყა რომ «უნივერსიტეტის წესდება დასამტკიცებლად გაეგზავნა განათლების სამინისტროს. შეიძლებოდა ამის გვერდის ავლა მთავრობის 1914 წლის კანონის (კერძო სასწავლებლებთან დაკავშირებით) თანახმად, მაგრამ ეს საჭირო გახდა იმისთვის, რომ უნივერსიტეტს მისცემოდა პროფესორებისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება. აქვე დასძენდა, რომ პროფესორები განთავისუფლდნენ სამხედრო ბეგარისაგან» [94, 2]

ი. ჯავახიშვილის ამ დასაბუთებულ მსჯელობას ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებისა და მისი უპირატესობის შესახებ ამიერკავკასიის უნივერსიტეტთან მიმართებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გაბატონებულ აზრს ერთხელ კიდევ აბათილებდა.

ასევე ნაყოფიერი აღმოჩნდა 1917 წლის 8 ოქტომბრით დათარიღებული კრება ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის. აქ საბოლოოდ დადგინდა «გამგეობის შემადგენლობა: 1. თავმჯდომარე – ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი. 2. თავმჯდომარის ამხანაგი – კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აბხაზი. 3. ხაზინადარი – ვასილ როსტომის ძე ყიფიანი. 4. წევრი – ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი. 5. წევრი – იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე, იგივე თავმჯდომარე საფინანსო კომისიისას, კანდიდატები: 6. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა. 7. ივანე გედეონის ძე გომართელი. 8. გრიგოლ სვიმონის ძე რცხილაძე. საკონტროლო საბჭო: 1. გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული. 2. დავით ქუთათელაძე. 3. იოსებ ჩხეიძე. 5. სოფრონ ტარუაშვილი. საფინანსო კომისია: 1. თავმჯდომარე იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე. 2. რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძე. 3. ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი. 4. ნიკოლოზ წვერავა. 5. ვასილ კახიძე. 6. ალექსანდრე ლორთქიფანიძე. 7. გრიგოლ გველესიანი. 8. იოსებ დადიანი. 9. აკაკი ხოშტარია. 10. ლევან მამულაიშვილი. 11. ნიკოლოზ ჯაყელი. 12. ნიკოლოზ თავდგირიძე. 13 ყარამან კიკნაველიძე. 14. გრიგოლ ოცხელი. 15 რეჯიბ ბეგ ნიჟარაძე. 16. ისრაელ გორილიშვილი. 17 ნინო ნაკაშიძისა. 18 ანასტასია მიხეილის ასული

წერეთლისა. 19 სოფიო ნაკაშიძისა. 20 ანასტასია ვირსალაძისა» [94, 3-3ᵃ] ამრიგად, დამფუძნებელთა მიერ მკაცრად იქნა განსაზღვრული გამგეობის, «საკონტროლო საბჭოს» და «საფინანსო კომისიის» შემადგენლობა თავიანთი კანდიდატურებითურთ. აქ შეყვანილ წარმომადგენლებს თუ გადავავლებთ თვალს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, თუ როგორი მიდგომა ჰქონდათ ამ საკითხისადმი იმდროინდელ ჩვენს წამყვან მეცნიერებს. ახლად დაარსებული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის შემადგენლობა და მისი საქმიანობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე, ხოლო აქ დასაქმებული პირები კი - საზოგადოებისათვის მისაღები. ამავე კრებაზე ი. ჯავახიშვილმა წარმოთქვა სიტყვა უნივერსიტეტის მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ. «...იმთავითვე შეიძლება დაარსდეს ფაკულტეტი სიბრძნის მეტყველებისა. – ეს ფაკულტეტი შეიცავს ჰუმანიტარულ სამეცნიერო-საგნებს – როგორც მაგალითად, ფილოსოფიას, საისტორიო-საფილოლოგო და სპეციალურ საგნებს – ბუნების მეტყველებას და მათემატიკისას. ასეთი სისტემა ერთ ფაკულტეტზე რამდენიმე დარგის შეერთებისა - გერმანული სისტემაა და ყოვლად ხელსაყრელი, განსაკუთრებით ქართული უნივერსიტეტისათვის. ასე, თუ ამ თავითვე საბუნებისმეტყველო განყოფილების გახსნა ქონებრივად შევიძელით, მაშინ, სამკურნალო ფაკულტეტის პირველი ორი კურსი იგივეა, რაც საბუნების-მეტყველო განყოფილებისა – ორი წლის შემდეგ შესაძლებელია მოეწყოს სამკურნალო – ფაკულტეტიც.» [94 ,4-5]

1917 წლის 8 ოქტომბრით დათარიღებულ სხდომაზე, რომლის შესახებ ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, უნივერსიტეტის გამგეობამ, ფაქტობრივად, გადაჭრა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა საუნივერსიტეტო ბაზის შესაქმნელად. ივანე ჯავახიშვილმა ამ კრებაზე პრიორიტეტულ საგნებად მშობლიური ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება გამოაცხადა. თუმცა «...ამ განყოფილებაზედ სწავლება იქნება, სხვათა შორის არაბულის და სპარსული ენებისა და მეცნიერებისა და, რომ უნივერსიტეტი გაჰგზავნის ამ ქვეყნებში თვალსაჩინო მოწაფეთ მეცნიერებაში გასაწვრთნელად და მერე მათვე გამოიყენებს თავისთვის» [94, 5ᵃ].

ი. ჯავახიშვილმა შეიმუშავა და გამგეობას წარუდგინა ეროვნული განათლების განვითარების პროგრამა, სადაც იგი საქართველოს მთავრობასთან

თავისი მეცნიერული დასაბუთებით ცდილობდა საუნივერსიტეტო და ეროვნული საკითხების მოგვარებას საკუთარი შეხედულებების შესაბამისად. მისი მთავარი მიზანი იყო ქართული საუნივერსიტეტო განათლება ეროვნულ პოზიციებზე დაფუძნებული ყოფილიყო. ამავე წლის 9 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ და საფინანსო კომისიამ პროფესორთა მოწვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა მიანდო ნოვოროსიის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს პეტრე მელიქიშვილს, ივანე ჯავახიშვილსა და ანდრია რაზმაძეს [94, 9].

ახალი უმაღლესი სკოლის დაფუძნებასა და ფაკულტეტის შენახვას, რა თქმა უნდა, ესაჭიროებოდა გარკვეული თანხა, ამას თან დაერთო ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარება და ინფლაცია, რაც, ბუნებრივია, აისახა ჩვენი უნივერსიტეტის ბიუჯეტზეც. 1917 წლის 17 ოქტომბერს შეკრებილ გამგეობის სხდომაზე ფართო მსჯელობის საგნად იქცა იმ თანხების მოსაპოვებლად გზების გამოძებნა, რომელიც საჭირო იყო ორი ფაკულტეტის, ჰუმანიტარულისა და საბუნებისმეტყველოს, მოსაწყობად და შესანახად. მსჯელობის შემდეგ გამოირკვა, რომ «ორი წლის განმავლობაში ორი ფაკულტეტის შენახვის, შენობის გადაკეთების, და აუდიტორიების მოწყობისა და სხვა ხარჯებისათვის საჭირო იყო არა ნაკლებ 500 ათასი მანეთი. აქედან 160 ათასი მანეთი დასჭირდება შენობის გადაკეთებას და აუდიტორიების მოწყობას» [105, 60]. მძიმე მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის საზოგადოებამ ფინანსური დახმარება სთხოვა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, მაგრამ უარი მიიღო. ამას დაემატა მძიმე სამხედრო და პოლიტიკური კონიუნქტურაც ქვეყანაში, რამაც დააფრთხო მეცნიერთა ერთიანი გუნდი და ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზების ძიება დაიწყო.

ეკონომიკური საკითხის გადაჭრა საფინანსო კომისიის წევრ რაჟდენ დათეშიძის აზრით, შესაძლებელია შემდეგნაირად შედგეს: «1. შეძლებულ პირთა სია და მივმართოთ, მხოლოდ წერილებით კი არა, ყველასთან კაცები გავგზავნოთ და პირადათ ვიმოქმედოთ, 2. კერძო პირთა შემოწირულობებით, 3. 800 000 მან, რომელიც განცალკავებულად ინახება სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში და რომელიც შესაძლებელია უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ მიიღოს...» [105, 60^{ა}].

XX საუკუნის 20-იან წლებში დიდ ეკონომიკურ პოლიტიკურ და სოციალურ ძვრებს ჰქონდა ადგილი რუსეთში, რომელიც, ბუნებრივია, თავის გავლენას ახდენდა საქართველოზეც. მიმდინარე მოვლენები და აქედან გამომდინარე პროცესები ელვის უსწრაფესად იცვლებოდა. უნივერსიტეტის დამფუძნებლები ცდილობდნენ ესარგებლათ ამ საერთო მდგომარეობით და ცდილობდნენ, ქვეყანაში შექმნილი ქაოსური სიტუაცია ერისათვის სასარგებლო, უნივერსიტეტის დაფუძნებით დაეგვირგვინებინათ.

ტფილისის ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულება აკაკი ჩხენკელის მიერ წარდგენილი იყო რუსეთის განათლების სამინისტროში, სადაც დიდი მოწონება ხვდა წილად, მაგრამ რუსეთს რევოლუციის ქარიშხალმა გადაუარა და პეტერბურგთან ყოველგვარი კავშირი შეწყდა. ჩვენი უნივერსიტეტი ამაოდ ელოდა იქიდან პასუხს. მოვლენათა პოლიტიკურ ცვლილებათა შედეგად კავკასიაში დაარსდა ამიერკავკასიის საგანგებო კომისარიატი, რომლის ცენტრიც თბილისში მდებარეობდა. უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა, კოტე აბხაზის მეთაურობით, უნივერსიტეტის წესდება თავისი ძირითადი დებულებებით 1917 წლის 29 აგვისტოს დასამტკიცებლად წარუდგინეს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს. ,,თავად კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზს _ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა 22 აგვისტოს სხდომაზე განიხილა შუამდგომლობა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პროექტის დამტკიცების თაობაზე. დაადგინა: წარედგინოს წესდების პროექტი თბილისის საოლქო სასამართლოს''.[162, 20]. ყველა ამ ინსტანციის გავლის შემდეგ უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი 1917 წლის 2 დეკემბერს საბოლოოდ დაამტკიცა ამიერკავკასიის კომისარიატმა. ჰარვარდიდან დაბრუნებული ემიგრანტულ საარქივო მასალაში გვხვდება 1917 წლის საოქმო ჩანაწერი: ,,ა.ჩხენკელის მოხსენება ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულების დამტკიცების შესახებ, რომელიც 1918 წლის 1 იანვარს იხსნება _ დამტკიცდეს ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებები.''[164, ყუთი 1, 1254].

უნივერსიტეტის დაარსება უკავშირდება რუსეთის იმპერიულ-კოლონიური მდგომარეობიდან თავის დაღწევის პერიოდს და ამიერიდან იწყება ახალი ძალით ბრძოლა იმ მამულიშვილთა მიერ, რომელნიც XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამგრძელებელნი არიან. ისინი ეროვნულ

მთავრობასთან ერთად აქტიურად იღვწიან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებისა და ყოველგვარი ეროვნული წამოწყების აღორძინებისათვის.

ფინანსური კრიზისის გამო 1917 წლის 6 დეკემბერს «ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ, ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობამ და ქართველ მსახიობთა კავშირის გამგეობამ – ერთმანეთთან შეთანხმებით, გადაწყვიტეს გამართონ მომგებიანი ლოტერეა ამ დაწესებულებათა ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად... ლოტარიის მომწყობ ორგანიზაციაში უნდა შევიდნენ სამ-სამი წარმომადგენელნი უნივერსიტეტის და დრამატულ საზოგადოებებიდან, მხოლოდ მსახიობთა კავშირიდან ერთი წარმომადგენელი. ამასთანავე კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ ხსენებულ ორგანიზაციაში მოწვეულნი იყვნენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ამიერკავკასიის კომისარიატის და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელნი, რადგანაც, - კრების აზრით, - მათი მონაწილეობა უფრო მეტ ავტორიტეტს მისცემს ხალხის თვალში ხსენებულ ლოტერეას» [92, 90]. ი. ჯავახიშვილმა კრებას წარუდგინა სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა უნივერსიტეტისა მომავალი აკადემიური წლის განმავლობაში, რომელიც 200 000 მანეთით განისაზღვრა, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იქნება გახსნილი. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება უნივერსიტეტში მხოლოდ 1918 წლის სექტემბრიდან იქნება შესაძლებელი, ხოლო სამკურნალო ფაკულტეტის გახსნა, სამწუხაროდ, ორ წელზე ადრე ვერ მოხერხდება. ხანგრძლივი კამათის საგანი გახდა უნივერსიტეტის გახსნის ზუსტი თარიღი. ი.ჯავახიშვილი იმ აზრისა იყო, რომ უნივერსიტეტი უეჭველად 1918 წლის იანვარში უნდა გახსნილიყო. «დამსწრეთა უმრავლესობა, და მათ შორის პ.მელიქიშვილიც, იმ აზრს ადგა, რომ არც ნივთიერი მდგომარეობა და არც ტექნიკური ვითარება უნივერსიტეტის მოწყობისა, აგრეთვე პოლიტიკური კონიუნკტურა – საშუალებას არ იძლევა, რომ უნივერსიტეტი იანვარში გაიხსნას. უფრო ხელსაყრელია უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის სექტემბრამდის გადაიდოს... საბოლოოდ კრების უმრავლესობამ (წინააღმდეგნი იყვნენ ი. ჯავახიშვილი, მ. ორბელიანისა და ნ. ნაკაშიძისა) აზრი გამოსთქვა, რომ შეუძლებელია უნივერსიტეტის იანვარში გახსნა ნივთიერის უსახსრობის, ტექნიკურად მოუწყობლობისა და პოლიტიკურ ვითარების გამო. ამიტომ კრება საჭიროდ სცნობს – ეს გახსნა გადადებულ იქმნას 1918 წლის სექტემბრამდე, როდესაც ყველა ეს

დაბრკოლებანი თავიდან აცილებული იქმნება» [94, 10]. ი.ჯავახიშვილისთვის მიუღებელი იყო ეს აზრი. მას კარგად ესმოდა, რომ აუცილებელი იყო ოქმში დაფიქსირებულიყო შემდეგი: «თუ პროფესორთა კოლეგია დაინახავს და მოახერხებს სწავლის ამთავითვე დაწყებას, უნივერსიტეტის საზოგადოება ეცდება ხელი შეუწყოს, რითაც შეეძლება» [94, 10]. ეს იყო ყველაზე მძიმე დღე ი. ჯავახიშვილის ცხოვრებაში, როგორც თვითონ აღნიშნავდა, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ მისი ამ გადაწყვეტილების მიღება იმ დროს გმირობის ტოლფასი იყო. ოქმში დაფიქსირებულმა მისმა პოზიციამ მომავალში გადამწყვეტი როლი ითამაშა უნივერსიტეტის გახსნის თარიღის დადგენის საკითხში. სწორედ ამ ერთმა აბზაცმა განაპირობა 1918 წლის 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტის გახსნა. მეცნიერი არ შეუშინდა ქვეყანაში შექმნილ არც პოლიტიკურ, არც ეკონომიკურ და არც ფინანსურ კრიზისს. იგი მძიმედ, მაგრამ მაინც ნაბიჯ-ნაბიჯ ჯიუტად მიიწევდა წინ.

1918 წლის 20 იანვარს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა მთავრობის წარმომადგენელი ა. ჩხენკელი, სიტყვით გამოვიდა ი. ჯავახიშვილი და «აუწყა კრებას, რომ ქართული უნივერსიტეტის გახსნა – პროფესორთა კოლეგიის თაოსნობით, განზრახულია 26 იანვრისთვის. 27 იანვრიდან კი მეცნიერების ტაძარში დაიწყება ლექციების კითხვა. უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ უნდა მიიღოს უნივერსიტეტის გახსნის ზეიმში მონაწილეობა, როგორც მასპინძელმა. სადღესასწაულო კრებას გახსნის საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია... დასასრულს ი. ჯავახიშვილი წარუდგენს კრებას უნივერსიტეტის სამომავლო მოქმედების გეგმას» [94, 11].

სტუმრების მიღება და დღესასწაულის ხელმძღვანელობა ილია ჭავჭავაძის დისწულმა, ცნობილმა ეროვნულმა მოღვაწემ და მოგვიანებით რუსული სოციალიზმის წინააღმდეგ აქტიურმა მებრძოლმა კოტე აბხაზმა იტვირთა. სხვადასხვა საკითხის შესაჯერებლად გამგეობის კრება მეორე დღეს კვლავ უნდა შემდგარიყო ამიერკავკასიის ბანკის შენობაში.

როგორც მოგვიანებით, 1918 წლის 25 იანვარს, გაირკვა, ამ საზეიმო დღესასწაულს ნოე ჟორდანია ვერ დაესწრებოდა თბილისში არყოფნის გამო. ამიტომაც ეს საპატიო მისია საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, სოციალ-დემოკრატ აკაკი ჩხენკელს დაევალა.

ყველაფერი ეს, კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს უნივერსიტეტის დაარსებისადმი საერთო ეროვნულ მისწრაფებას. მთავრობისა და უნივერსიტეტის მესვეურთა ერთსულოვნებას.

ქართველმა ხალხმა შეისრულა დიდი ხნის ოცნება, დადგა ნანატრი 26 იანვარი, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, მიუხედავად არსებული ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა, ჩვენი ერი უნივერსიტეტის გახსნას ზეიმობდა. ეს იყო უდიდესი გამარჯვება ჩვენი სამეცნიერო ძალების. მოგვიანებით პარიზში მყოფი ლ.ზურაბიშვილი ჟურნალ «კავკასიონში» წერდა: «თბილისის უნივერსიტეტის დაარსება ეს იყო ღრმა ნატვრა და მოთხოვნილება, რომლის სისრულეში მოყვანას ხელს მეფის რუსეთი უშლიდა, მაგრამ როდესაც საქართველომ აღიდგინა ეროვნული და სახელმწიფოებრივი სუვერენობა, ქართველმა ხალხმა შეისრულა თავისი ოცნება და დააარსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი» [39, 9], როგორც მას ავტორი უწოდებს – ეს იყო «საქართველოს გონების სუვერენობის აღდგენა».

უნივერსიტეტის გახსნის დამთხვევა დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან შემთხვევით არ იყო, მას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და მომავალი სამოქმედო გეგმებისა და მიზნების გამოხატულებას წარმოადგენდა. უნივერსიტეტი აკურთხა და მომავლის გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II. მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, თუ რა დიდი როლი ითამაშა საქართველოს სულიერი და ფიზიკური გადარჩენის საქმეში მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ და სურვილი გამოთქვა, რომ ქართულ მეცნიერების ტაძარში მომავალში თეოლოგიის ფაკულტეტიც გახსნილიყო. მან თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: «სულითა და გულით ვისურვებ, რომ ამ ჩვენ ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გახსნილიყოს ყველა განზრახული ფაკულტეტები და მიჰმატებოდეს მათ საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი» [46, 1].

კათალიკოს-პატრიარქი უნივერსიტეტის დამფუძნებლების წინაშე მწვავედ აყენებდა საკითხს «ღვთისმეტყველების» სწავლების აუცილებლობის შესახებ. მან წინასწარ განჭვრიტა ის საშიშროება, რომელიც მომავალში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების

წინააღმდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბრძოლით გამოვლინდა.

უნივერსიტეტის საზეიმო გახსნას დაესწრნენ მეზობელ ერთა წარმომადგენელნი და უცხო სახელმწიფოთა ელჩები. აქ დამსწრე საზოგადოების წინაშე თავისი სიტყვით წარსდგა ა. ჩხენკელი: «მე ვსთქვი, რომ ჩვენ არ გვქონდა მაღალი სასწავლებელი, ეს იმიტომ, რომ რუსეთის სახელმწიფოში ჩვენ ვიყავით, ისე როგორც სხვა მრავალი ჩაგრული ერი... ჩვენი სასწავლებელნი, უფრო გამარუსებელნი, ბიუროკრატიულნი, ცოდნის ნაკლებ მომცემნი ვერ იტევდნენ სწავლის მოსურნე ქართველებს... მაგრამ იბადება კითხვა რატომ ვხსნით ახლა პირველყოვლისა უმაღლეს სასწავლებელს, როცა არ გვაქვს საშუალო და დაბალი. იმიტომ, რომ სწორედ ასეთ ხანაში საჭირო იყო გახსნილიყო უმაღლესი სასწავლებელი, სადაც განსწავლულნი გაუძღვებიან და დააარსებენ კიდეც ახალ სასწავლებლებს... მაგრამ დღევანდელი ქართული უნივერსიტეტი არ არის ქართული ნაციონალური უნივერსიტეტი სახელმწიფოებრივი ხასიათისა, რომელსაც ჰყავდა თავისი მზრუნველი და პატრონი – სახელმწიფო» [77, 3-4]. როგორც ვხედავთ, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში მკაფიოდ ჩამოაყალიბა ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკა. სამრევლო და დაწყებითი სკოლები ვერ აკმაყოფილებდნენ არსებულ მოთხოვნებს, ამას თან ერთვოდა ისიც, რომ იგი მთლიანად მოწყვეტილი იყო ეროვნულ ფესვებს. არ ისწავლებოდა ისეთი საგნები, როგორიცაა საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. რაც მთავარია სწავლება არ მიმდინარეობდა მშობლიურ ენაზე. ერთი სიტყვით, საქართველოს არ ჰქონდა ერთიანი ეროვნული განათლების სისტემა, რომელიც თაობებს გაზრდიდა. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ი. ჯავახიშვილისა და მისი თანამებრძოლების მიერ ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე სასწავლო პროგრამის შედგენისას აქცენტი აღებული იყო ისეთ საგნებზე, რომლებსაც ეროვნული თვითმყოფადობის დამკვიდრებისათვის უნდა შეეწყო ხელი. უნივერსიტეტის დამაარსებლების პოლიტიკური მრწამსი ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წიაღიდან მოდიოდა.

ქართულ უნივერსიტეტს იგივე სამეცნიერო მიზანი ჰქონდა დასახული, როგორიც საზოგადოდ ყველა ხალხისა და ქვეყნის უმაღლეს სკოლას, მაგრამ ამასთანავე თავის განსაკუთრებულ, უპირატეს ყურადღებას საქართველოს,

კავკასიისა და ახლო-აღმოსავლეთის წარსულისა და აწმყოს, ადამიანისა და ერების ყოველმხრივ შესწავლას აქცევდა. «ამისდა მიხედვით უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაც შედარებით სხვა მაღალი სკოლის პროგრამებთან უფრო ვრცელია და შევსებულია ისეთი საგნებით, რომელთაც ამ სახით ადგილი არა აქვთ სხვა უნივერსიტეტებში. განსაკუთრებით ფართოდ დაყენებულია საქართველოსა და ქართულის შესახებ სხვადასხვა მეცნიერების შესწავლა [97, 3-4].

თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ უნივერსიტეტის პირველი რექტორი პ. მელიქიშვილი წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე. - «ვინ არ იცის, რა ძვირფასი განძია შენახული მეცნიერებისათვის კავკასიის მრავალგვარს ენებში და ქართულის მრავალსაუკუნოვან სამწერლობო ენასა და კილოებში, ამიტომ არის, რომ უკვე კარგა ხანია რაც ევროპულ მეცნიერთა გულისყური ამ საგნისკენ იყო მიპყრობილი. მხოლოდ ჩვენი ენების თავისებურებებით აიხსნება, რომ მათ ენათმეცნიერების ამ დარგის სიძნელე ჯეროვნად ვერ სძლიეს. ვინ არ იცის, რაოდენათ საგულისხმოა ჩვენი ქვეყნის წარსულიცა და ნივთიერი კულტურაც, რომელთა მრავალრიცხოვანი ძალები ჩვენს სამშობლოს ამკობდნენ და მნახველთა თვალს აკვირვებენ. არც გასაკურველია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის არსებობას საფუძველი სწორედ ჰუმანურ-მეცნიერებათა დარგის მოწყობით ედება» [97, 6-7].

დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით წარსდგა პროფესორთა საბჭოს პირველი მდივანი იოსებ ყიფშიძე, ხოლო ზეიმის დასასრულს ი.ჯავახიშვილს უნდა წაეკითხა პირველი ლექცია, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ეს ვერ მოხერხდა. იგი მხოლოდ 1918 წლის 30 იანვარს შედგა. მეცნიერების ტაძარში პირველი ლექციის მოსასმენად უამრავი ხალხი მოვიდა, მსმენელნი სულგანაბულნი უსმენდნენ ლექტორს, რომელიც კითხულობდა ლექციას, თემაზე «ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფოსო მწერლობასა და ცხოვრებაში».

ამრიგად, ქართველი მოწინავე საზოგადოების მთავარი ამოცანა ეროვნული კონცეფციის ბაზაზე შექმნილი ქართული უნივერსიტეტის დაარსება იყო, რომლის მთავარ მიზანს ქართული განათლების, მეცნიერების აღორძინება წარმოადგენდა. მას უნდა გაეგრძელებინა ის ტრადიციები, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ისტორიის შორეულ წარსულში, გელათისა და იყალთოს აკადემიების სახით. ქართულ უმაღლეს სკოლას უნდა განეხორციელებინა ქართული და ევროპული

განათლების სინთეზი. ი.ჯავახიშვილისა და უნივერსიტეტის დამფუძნებლების დაუღალავი შრომის შედეგად ქართულმა უნივერსიტეტმა იტვირთა არა მარტო როგორც სასწავლო, არამედ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ფუნქციებიც. ნ. ცხვედაძის ხელმძღვანელობით აგებულ შენობაში ფართოდ იქნა გაშლილი სამეცნიერო მუშაობა. შემოწირულობის ხარჯზე შეიქმნა ერთ-ერთი საუკეთესო წიგნთ-საცავი, რომელიც უნივერსიტეტის პირველ სართულზე განლაგდა. დამზადებული იქნა სპეციალური ბეჭედი, რომელიც შემოწირულ წიგნებს ერტყმებოდა, მადლიერების ნიშნად. ამ ბიბილიოთეკის დირექტორად დაინიშნა გრიგოლ წერეთელი, რომელიც დიდი გულისყურით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ყურადღების გარეშე არ რჩებოდა არცერთი ნიუანსი, რომელიც ეხებოდა წიგნთსაცავს. იგი საზღვარგარეთიდან იწერდა ახალ ლიტერატურას, ცდილობდა, დაემყაროებინა კავშირი საზღვარგარეთის ქვეყნების ბიბლიოთეკებთან, თვალყურს ადევნებდა სამეცნიერო ლიტერატურის ახალ გამოცემებს, მხედველობის არედან არ რჩებოდა არც ბუკინისტური იშვიათობა არც უძველესი ქართული ხელნაწერები.

პროფესორთა საბჭოს 1919 წლის 25 ივლისის სხდომათა დღიურში ვკითხულობთ: «რომ დამატებითი ხარჯთაღრიცხვა ჯერ-ჯერობით დამკიცებული არ არის, რის გამოც უნივერსიტეტი დიდ გასაჭირს განიცდის. შეჩერებულია გამომცემლობა, საზღვარგარეთიდან წიგნებისა და იარაღების გამოწერა და სხვა. ეთხოვოს რექტორს, დეკანებსა და აგრეთვე პროფ ე. თაყაიშვილს, რათა წარუდგინონ სახალხო განათლების მინისტრსა და მთავრობის თავმჯდომარეს წერილი და აუხსნან უნივერსიტეტის ქონებრივი გასაჭირი და მისი შედეგები» [93, 51-52].

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ი. ბერიტაშვილი 1919 წლის 25 ივლისს ოდესიდან იტყობინებოდა, რომ იქ მას პროფესორ მედვედევისაგან შეუძენია ფიზიოლოგიისა და ფიზიოლოგიური ქიმიის წიგნთსაცავი ჩვენი უნივერსიტეტისათვის, სამწუხაროდ, მისი წამოღების ნებას არ რთავდა ადგილობრივი მთავრობა, რომელსაც ყველა წიგნი სახელმწიფო ქონებად გამოეცხადებინა; ,,ეს გარემოება საჭიროებს ჩვენი მთავრობის ჩარევას ამ საქმეში, რათა მან ოფიციალურად სთხოვოს საბჭოთა მთავრობას აღნიშნული წიგნთსაცავის გადმოტანის ნებართვა.»[108, 52]. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ უნივერსიტეტისათვის საზღვარგარეთიდან გამოწერილ წიგნებსა თუ სხვა

ლაბორატორიებისათვის განკუთვნილ პრეპარატებსა და ნივთებს საქართველოსმთავრობა ბაჟისაგან ათავისუფლებდა [108, 88].

1918-1921 წლები ერთ-ერთი ურთულესი მონაკვეთია საქართველოს ისტორიისა და ამ პროცესში უდიდესი მისია შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანადგომითა და დახმარებით. კერძოდ, 1) 1919 წლის სექტემბერში სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა მთლიანად გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამგებლობაში, თან დართული სასულიერო სასწავლებლის ნაგებობებითა და კლინიკებით. [98, 2] 2) საქართველოს მთავრობის ნებართვით, უნივერსიტეტს მიეცა ნება, შეღავათიან ფასებში მეტეხის სტამბაში წიგნების ბეჭდვისა. [98, 124] 3) ხელისუფალთა უშუალო ჩარევით უნივერსიტეტის სახელზე გამოგზავნილი ტვირთი ბაჟიდან თავისუფლდებოდა, [108, 88] რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, იმ დროის პოლიტიკური ქაოსური სიტუაციიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლები რუსეთიდან საქართველოში მოემგზავრებოდნენ. მათ პირად ნივთებთან ერთად, თან მოჰქონდათ სამეცნიერო ლიტერატურა და სამეცნიერო ლაბორატორიების აპარატურა. 4) საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ბრძანებულებით, უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი თავისუფლდებოდა სამხედრო ბეგარისაგან. 5) 1921 წელს, როდესაც გამწვავდა უნივერსიტეტის თანამშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობა, შრომის სამინისტროს უშუალო ჩარევით, ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ სურსათითა და სხვა აუცილებელი მოხმარების საგნებით. [99, 3]

§2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხი

1918 წლის 26 იანვარს თბილისში ამოქმედდა ქართული უნივერსიტეტი თავისი ავტონომიური უფლებებით. მისი დამფუძნებლები უნივერსიტეტის მუშაობის მთავარ არსს მის ავტონომიურობაში, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობაში ხედავდნენ. მათი შინაგანაწესი ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის მეტად საინტერესო იქნება XX საუკუნის 60-იანი წლების ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსისა და პოლიტიკოსის ჯ.უილიამ ფულბრაიტის წიგნი «ძალის ამპარტავნობა», სადაც მან ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია უნივერსიტეტისა და მთავრობის დამოკიდებულების შესახებ. «თუკი უნივერსიტეტები თავიანთ საქმიანობას მთავრობის დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად წარმართავენ, ნებით თუ უნებლიეთ, ბიზნესის ატმოსფეროში ექცევიან და კარგავენ თავის, როგრც სასწავლო ცენტრის, ძირითად დანიშნულებას. უპირატესობა ძირითადად ენიჭებათ ზუსტ მეცნიერებებს და ეს ხდება ჰუმანიტარულ საგანთა ხარჯზე... «საღადმოაზროვნე» მეცნიერი «საღადმოაზროვნე» მოწაფეს ზრდის... მთავრობის სამსახურში ჩადგომისას უნივერსიტეტი ივიწყებს, რომ მისი მაღალი დანიშნულება წინაპართაგან ნაანდერძევი იდეების გადახედვა-გადამუშავებაა, იდეებისა, რომელთა გარეშე კაცობრიობის არსებობა წარმოუდგენელია. უნივერსიტეტს აღარ აღელვებს ის უმთავრესი პრობლემები, რომლებზეც მომავალი თაობის ყოფნა-არყოფნაა დამოკიდებული. უნივერსიტეტი აღარ ცდილობს, მოგვაწოდოს «იდეა», რომელსაც კაცობრიობა დაეყრდნობა. იგი აღარ ასრულებს თავის დანიშნულებას სტუდენტებისა და საზოგადოების წინაშე» [74 ,2].

ამრიგად, როგორც ამ მოკლე ჩანაწერიდან ჩანს, ჯ.უილიამ ფულბრაიტი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან ხელისუფლებასა და უნივერსიტეტს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. იგი არ შეიძლება სათავეში მყოფი რომელიმე პარტიის ინტერესების მსახურად მოგვევლინოს. ბუნებრივია, უნივერსიტეტი საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულს ვერ ჩამორჩება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერული გამოკვლევები პარტიების შეკვეთით ან პოლიტიკური კურსის მიხედვით იქნეს შეფასებული. ამრიგად, უნივერსიტეტის ავტონომიურობის შენარჩუნების პრინციპი ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია ყველა დროსა და ყველა სახელმწიფოში, მიმდინარეობს მუდმივი ჭიდილი უნივერსიტეტის სამეცნიერო კადრსა და ხელისუფლებას შორი. მთავრობის სურვილია, მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყავდეს უმაღლესი სკოლა და მეთვალყურეობა გაუწიოს. აღნიშნულ შემთხვევაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დაფინანსების წყარო, კერძოდ კი, ის, თუ ხელისუფლება რა თანხას და რა ფორმით იძლევა ახალგაზრდის განათლების მისაღებად.

ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ჯ.ფულბრაიტი თავის ცნობილ წიგნს ,,ძალის ამპარტავნობას'' დაწერდა, ი.ჯავახიშვილის მიერ შედგენილ და ქართული უნივერსიტეტის გამგეობის მიერ დამტკიცებულ უნივერსიტეტის წესდებაში მკვეთრად განისაზღვრა სახელმწიფოს მიმართება უნივერსიტეტთან და პირიქით - უნივერსიტეტის დამოკიდებულება მთავრობისადმი. ჯავახიშვილმა ზუსტად ჩამოაყალიბა უნივერსიტეტის სამოქმედო პროგრამა, მისი დანიშნულება ერისა და ქვეყნის წინაშე. ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ წესდების მიხედვით, პროფესორთა საბჭო მკაცრად იცავდა მის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას და მკაცრად ემიჯნებოდა პარტიულ ინტერესებს. უნივერსიტეტის მესვეურთა მიერ შედგენილ წერილში, რომელიც განათლების სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1918 წლის გაზაფხულზე გაეგზავნა განსახილველად, მეცნიერებმა უნივერსიტეტის მოწყობის სამი მოდელი შესთავაზეს ხელისუფლებას. ამ წერილის ავტორები ამტკიცებენ, რომ საერთოდ დედამიწის ზურგზე უნივერსიტეტის მოწყობის სამგვარი ფორმა არსებობს. წესდებათა ერთი ნაწილი უნივერსიტეტის მთავრობისაგან სრულ დამოუკიდებლობაზეა აგებული: სახელმწიფოს არავითარი უფლება არა აქვს უნივერსიტეტის საქმეებში ჩაერიოს. უნივერსიტეტი მთავრობას არაფერში ანგარიშს არ უწევს, იგი ხელშეუხებელია. ამგვარი წესდება ძირითადად ვრცელდება თავისუფალ უნივერსიტეტებზე, რომელნიც თავიანთ თავს თვითონ ინახავენ. მათ საკუთარი ქონება აქვთთ. უმეტეს შემთხვევაში იგი მეცენატების მიერაა შემოწირული. ამგვარი უნივერსიტეტები განსაკუთრებით ამერიკასა და ინგლისშია გავრცელებული, ეს უმაღლესი სასწავლებლები ძირითადად კერძო საზოგადოებათა და კერძო პირთა მიერ არიან ხოლმე დაარსებულნი. მეორე და მესამე ტიპის უნივერსიტეტებს მეტ-ნაკლები დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფოსთან. ეს ურთიერთობა ზოგჯერ უფრო მტკიცეა, ან უფრო სუსტი. «სახელმწიფოს გავლენა განსაკუთრებით იმით გამოიხატება, რომ უნივერსიტეტის საბჭოს მიერ არჩეულ სამ კანდიდატისაგან პროფესორს თვით მინისტრი ირჩევს, ხოლო რექტორს, დეკანებს და თანამდებობის პირთ კი _ უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიუმი. ასეა გერმანიაში, ზოგან საფრანგეთში, ან ამ უკანასკნელთაც მთავრობა ნიშნავს და იგი უმტკიცებს მათ ყოველწლიურ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვასაც». [135, 7^{ა}-8]. დასაშვებია კიდევ მესამე შემთხვევა, როდესაც მთავრობა მხოლოდ ზოგადად

მეთვალყურისა და კონტროლის ფუნქციას ითავსებს. საინტერესო მოდელი შექმნეს ჩვენმა მეცნიერებმა უნივერსიტეტის ავტონომიასთან დაკავშირებით - «ჩვენი უნივერსიტეტის წესდებაში მთავრობის ორგანოებს, სახალხო განათლების მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს, საზოგადო მეთვალყურეობა და კონტროლი აქვს მიკუთვნილი, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო კი სამეცნიერო-სასწავლო და შინაურ მართვა გამგეობის სფეროში დამოუკიდებელია. ამას გარდა, უნივერსიტეტი მოვალეა, ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვა დასამტკიცებლად წარუდგინოს მთავრობას და ეროვნულ საბჭოს. მაშასადამე, ამ უნივერსიტეტს ავტონომია აქვს, მაგრამ თავისუფალ უნივერსიტეტად ვერ ჩაითვლება... ჩვენს მთავრობას სრული საშუალება ექნება უნივერსიტეტის ორგანოების მოქმედების კანონიერებას თვალ-ყური ადევნოს. თავისუფალი უნივერსიტეტის მსგავსი სრული დამოუკიდებლობა იმიტომ არ აქვს ჩვენ უნივერსიტეტს, რომ მას სახელმწიფო შეინახავს და ამის გამო მთავრობის საზოგადო კონტროლი აუცილებელია». [135, 8]

1918 წლის 26 იანვარს საქართველოში უნივერსიტეტის გახსნას გულწრფელი აღტაცებით შეხვდა საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სზოგადოება. მრავალი მათგანი გამოთქვამდა სურვილს, თავისი წვლილი შეეტანა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ შეადგინა სია იმ სწავლულ-მეცნიერთა შესახებ, რომელიც რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში მოღვაწეობდნენ და სახალხო განათლების კომისარიატის მეშვეობით ცდილობდნენ მათ ჩამოყვანას: «ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა, გაახლებთ რა ამასთანავე რუსეთიდან უკვე მოწვეულ და აგრეთვე მოსაწვევ პროფესორთა სიას, რომელთა ჩამოყვანა აუცილებლად საჭირო არის, გთხოვთ, ბატონო მინისტრო, აღძრათ სათანადო შუამდგომლობა მათ ჩამოყვანისათვის სათანადო ზომების მისაღებად». [107, 14] მიუხედავად იმისა, რომ ქართულ უნივერსიტეტს სამეცნიერო კადრი უჭირდა და ცდილობდა, მათ მოზიდვას საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, უფრო მეტად კი რუსეთიდან, ი. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული ენის ცოდნის სკითხს: «ზოგი საგნისათვის უცხო მეცნიერთა მოწვევა შეიძლება იმ პირობით, რომ ქართული შეისწავლონ განსაზღვრულ დროში და შემდგომ ქართველი მოწაფეები მოამზადონ». [135, 253]. ი. ჯავახიშვილმა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე გერმანიიდან მოიწვია აღმოსავლეთმცოდნე პროფ. დირი, რომელიც ქართული ენის მცოდნე იყო. «ეხლა კი რათგან ჯერ ჩვენ

წრეში დაღესტნის ენების მცოდნე მეცნიერი არ მოიპოვება, საქმის შეფერხება კი საზიანო იქნებოდა, კარგი იქნება ამ საგნისათვის გერმანიითგან დაღესტნის ენების ცნობილი და ერთადერთი მკვლევარი დოქ. დირი მოგვეწვია, რომელსაც არაერთი და ორი შრომა მოეპოვება ამ დარგში. მას ამასთანავე ის ღირსებაც აქვს, რომ ქართულიც იცის და ჩვენ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვას ქართულად შესძლებს. ის თვითონაც გაიღრმავებს და გაიფართოვებს კვლევის საგანს და ქართველ მკვლევარებსაც მოგვიმზადებს» [109, 22ᵃ].

უნივერსიტეტის გამგეობამ შეადგინა რუსეთიდან ჩამოსაყვან პროფესორთა სავარაუდო სია. ესენი იყვნენ: პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გრ. წერეთელი და ნ. მუსხელიშვილი, ეკატერინოსლავის უნივერსიტეტიდან ნ. კახიანი, ხარკოვის უნივერსიტეტიდან ს. ამირეჯიბი, ალ. ალადაშვილი და პ. ჭეიშვილი, ოდესის უნივერსიტეტიდან ი. ბერიტაშვილი, ოდესის პოლიტექნიკუმიდან ა. დიდებულიძე, დონის-როსტოვის უნივერსიტეტიდან კრინიცკი–დარახველიძე, ვარშავის უნივერსიტეტიდან დ.ღულაძე.

თუ გადავხედავთ 1918-1921 წლების ისტორიულ მოვლენებს დავინახავთ, რომ ეროვნულ ხელისუფლებას საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელება მეტად რთულ პერიოდში უხდებოდა. სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, საკმარისია ბოლშევიკური რუსეთის წაქეზებით გამოწვეული ეთნოკონფლიქტები, აგრეთვე სომხეთის, თურქეთის, დენიკინისა თუ საბჭოთა რუსეთის მხრიდან ინტერვენციის მუდმივი საფრთხე, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლიდა ხელისუფლებას ქმედითი ღონისძიებების გატარებაში უნივერსიტეტის დასახმარებლად, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ იგი არ ეხმარებოდა თავისი ქვეყნის სტუდენტობას.

შექმნილი მდგომარეობა კიდევ უფრო საჭიროს ხდიდა უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების აუცილებლობას. უნივერსიტეტს უკვე აღარ შეეძლო დამოუკიდებლად, ფინანსური დახმარების გარეშე არსებობა, თუმცა მისი ხელმძღვანელობა მოითხოვდა დაცული ყოფილიყო მთავრობისაგან მის საქმიანობაში ჩაურევლობის პოლიტიკა. აი, რას ვკითხულობთ უნივერსიტეტის საბჭოს მიერ განათლების კომისარიატისადმი გაგზავნილ წერილში: «რაკი ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და მაშასადამე მაღალი სკოლაც სახელმწიფომ უნდა ქმნას, მხარს ვუჭერ პროფესორთა შემადგენლობას და ვთხოვ: ა)

რომ აქ ცნობილ იქმნას ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვას მას «ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი», ვინაიდგან ეს სახელი საქართველოში უპირველესად მას ეკუთვნის; ბ) მიეცეს ხოლმე ტფილისის უნივერსიტეტს სახელმწიფოს ხაზინიდგან დახმარება თანახმად ყოველწლიურ წარმოდგენილ ხარჯის-აღრიცხვისა; გ) უნივერსიტეტის უზენაესი მეთვალყურეობის უფლება სახალხო განათლების მინისტრს მიენიჭოს; დ) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალოს მომავალ სამოსწავლო წელიწადის განმავლობაში წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა სამინისტროში და ეროვნულ საბჭოში დასამტკიცებლად» [135, 9ᵃ].

ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამებრძოლთა მიერ ჩამოყალიბებული უმაღლესი სკოლის კონცეფცია ქმნიდა განათლების რეფორმის ერთიან მწყობრ სისტემას. ეს იყო ეროვნული ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ინტერესების უნივერსიტეტის მაგალითზე განვითარებული მეცნიერული პროგრამა, რომელიც ასოცირებული იყო შემდგომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ პოლიტიკასთან. პროფესორთა საბჭოზე განიხილებოდა უნივერსიტეტის მოწყობის გეგმა და ის კონკრეტული გზები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელი იყო უმაღლესი სკოლის სრულყოფილად ჩამოყალიბებისათვის. ,,მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ უნივერსიტეტი სამეცნიერო ტაძარია და არა პრაქტიკული ცოდნის შემძენი დაწესებულება.''[93,111]

1918 წლის 29 ივლისს სოციალ-ფედერალისტ სამსონ ფირცხალავას მიერ «ქართულ ეროვნულ საბჭოზე განსახილველად გატანილ იქნა კანონპროექტი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ» [135, 30-33ᵃ], ამ 22 პარაგრაფიან დოკუმენტში ვრცლად იყო საუბარი უნივერსიტეტის ავტონომიურობის შენარჩუნებაზე და განსაზღვრული იყო უნივერსიტეტის მთავრობასთან დამოკიდებულება. კერძოდ კი წესდება შედგებოდა ორი ნაწილისაგან _ ,,პირველ ნაწილში გამოხატული იყო უნივერსიტეტის დამოკიდებულება და ურთიერთობა სახელმწიფოსადმი უნივერსიტეტის ფართო ავტონიმიის საფუძველზე. მეორე ნაწილი კი შეიცავდა უნივერსიტეტის შინაური ცხოვრების ყოველმხრივ დაწვრილებით განხილვასა და მის მოწესრიგებას. კომისიაში არჩეული იქნა: რექტორი, ორივე დეკანი, საბჭოს მდივანი და ან. რაზმაძე.''[93,21] ეს კანონი

განხილული იქნა 1918 წლის 2 აგვისტოს ხოლო 1918 წლის 3 სექტემბრის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონით, თბილისის ქართული უნივერსიტეტი გამოცხადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად [62, 57]. «გადაკეთდეს ტფილისის ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვას მას ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი... დამტკიცდეს ძირითადი დებულებანი უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ... დამტკიცდეს ძირითადი დებულებანი – ერთი სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ (დოქტორის ანუ მოძღვართ-მოძღვრის) [136, 2].

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, ყოფილი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაეთმო, მაგრამ იყო წინააღმდეგობები, რადგანაც შენობაში განლაგებული იყო მფრინავთა რაზმი, ლტოლვილები, ვაჟთა II გიმნაზია და უცხო ქვეყნის ჯარის ნაწილები. აღნიშნული შენობის ერთი ნაწილს კი გერმანელები თხოულობდნენ დროებით სარგებლობისათვის. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის გამგეობა დაბეჯითებით სთხოვდა მთავრობას, მიეღო ზომები ნაგებობა მთლიანად განთავისუფლებულიყო და იგი სრულ გამგებლობაში გადასცემოდა უნივერსიტეტს. «გერმანელების გასვლის შემდეგ უნივერსიტეტის ძირა სართულიც უნივერსიტეტს გადაეცეს და არავის ნება არ მიეცეს (მხედველობაში ჰყავდათ ინგლისელები – ე.ლ.) ამ სართულის დაჭერისა, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო უნივერსიტეტში ნორმალური მეცადინეობა ყოვლად შეუძლებელი გახდება.» [144, 4-4ᲐᲑ]. მთავრობამ ამ საქმის მოგვარება სამხედრო მინისტრს მიანდო. შექმნილი ვითარება, ბუნებრივია, უნივერსიტეტს ნორმალური სამეცნიერო მუშაობის საშუალებას არ აძლევდა. მისი ხელმძღვანელობა ამ პრობლემის გადაჭრას ცდილობდა განათლების სამინისტროსა და მთავრობის მეშვეობით. «ვინაითგან უნივერსიტეტის შემადგენლობა ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ მთავრობის მიერ შეწყნარებული იქნა, ამისათვის უნივერსიტეტის გამგეობას აქვს პატივი მოგმართოთ შემდეგი თხოვნით: 1. დაუყოვნებლივ გადმოეცეს უნივერსიტეტს ქართული გიმნაზიის შენობა. 2. რაც შეიძლება მოკლე დროში განთავისუფლებულ იქნას დასახელებული შენობა ... წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტს საშუალება არ ექნება მთავრობის

დადგენილება განამტკიცოს, რადგანაც ლაბორატორიებისა და აუდიტორიებისათვის საჭირო ადგილი და მოწყობილობა არა აქვს.» [98, 51].

1918 წლის 5 აგვისტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით, უნივერსიტეტის შენობა განთავისუფლდა ლტოლვილებისაგან. [98, 88]. 1919 წლის ივნისისათვის იგი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო დაცლილი. [141, 18]. «ამჟამად უნივერსიტეტის გამგეობა იწყებს უნივერსიტეტის შენობის საჭირო რემონტსა და ლაბორატორიების მოწყობას. ამ შემთხვევაში მას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ერთი ნაწილი შენობისა დაკავებული აქვს ვაჟთა მეორე გიმნაზიას. გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ თქვენ, ბატონო მინისტრო, განკგარგულება მოახდინოთ, რათა გიმნაზია დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას უნივერსიტეტის შენობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უზრუნველყოფილი არ იქნება ყოველგვარი მოულოდნელობებისაგან.» [108, 32].

უნივერსიტეტი მტკიცედ, მაგრამ ნელა მიიწევდა წინ, იგი თანდათან ფართოვდებოდა. თუ თავიდან მას მხოლოდ სამი ოთახი ჰქონდა დათმობილი, 1919 წლის აგვისტოსთვის იგი ქართული გინაზიის შენობის მთლიან ნაწილს განკარგავდა. «სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის კაპიტალური შეკეთება დაჩქარებით სწარმოებს. მომავალი სამეცნიერო წლისთვის აწყობენ ლაბორატორიებსა და ახალ აუდიტორიებს.» [71, 3].

უნივერისტეტმა წერილით მიმართა განათლების სამინისტროს, რათა ამ უკანასკნელს ეშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ «მიხეილის საავადმყოფოსა და საბებიო (ოლღას ინსტიტუტის) ინსტიტუტის გადაცემა მოხდეს რაც შეიძლება მალე. რაგანაც საჭიროა ახლავე ანატომიაში მოეწყოს სტუდენტთა მეცადინეობა და სწრაფად შეუდგეთ საავადმყოფოების სისტემატიურ მომზადებას და გადაკეთებას მომავალი კლინიკებისათვის.» [98, 1-2]. უნივერსიტეტის შენობის შეკეთების შემდგომ აქ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ახალი სამეცნიერო ლაბორატორიების გახსნა, რომლებიც აღჭურვილი იყო სხვადასხვა მეცენატების მიერ (ისიდორე ვარაზაშვილი) საზღვარგარეთიდან უსასყიდლოდ ჩამოტანილი აპარატურით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თბილისის უნივერსიტეტი, მართვა-გამგეობის მხრივ, ავტონომიური იყო. ზოგადი მეთვალყურეობა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის კომპეტენციას შეადგენდა. უნივერსიტეტის წლიურ ხარჯთაღრიცხვას პროფესორთა

საბჭო და გამგეობა ადგენდა. იგი ვალდებული იყო, ყოველ თვე გატანილი ფულის რაოდენობა და დანიშნულებისამებრ გამოყენება მთავრობისათვის ეცნობებინა. პარალელურად საბჭო ინფორმაციას აწვდიდა საქართველოს უზენაეს საკონტროლო უწყებას. ეს სრულებით არ არღვევდა უნივერსიტეტის ავტონომიურ უფლებებს, არ ზღუდავდა უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ფულის დახარჯვის უფლებას, არ აბათილებდა პროფესორთა საბჭოს მიერ შემუშავებულ გეგმებს, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის შინაგან წესებს, მისი ცხოვრების გაუმჯობესებას.

სახელმწიფო რევიზიას ექვემდებარებიან მთავრობის ყველა დაწესებულებანი, მათ შორის, უნივერსიტეტიც, როგორც ერთი სახელმწიფო დაწესებულებათაგანი, ექვემდებარება კონტროლს: «იგი შეეხება უნივერსიტეტის მოქმედებას, რევიზიის წესდებით განსაზღვრულ ფარგლებში, მხოლოდ როგორც მისდამი მინდობილი თანხების განმკარგულებელ დაწესებულებას, შემოსავალ-გასავლის გამგეს, რაიცა მის ავტონომიას არ სპობს” [146, 70].

1918 წლის 5 ნოემბერს საგანგებო რაზმის უფროსს ვინმე ნოდიას შეულახავს უნივერსიტეტის ავტონომიური უფლებები: «რომელიც უნივერსიტეტის გამგეობის ნებართვის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის ავტონომიურ უფლებებს, კერძოდ კი უნივერსიტეტის რექტორის ნებართვის გარეშე ვინც არ უნდა იყოს იგი, უნივერსიტეტში შესვლა არ შეუძლია. იგი შეურაცხმყოფელი სიტყვებით, ძალით შესულა შენობაში, იარაღის გამოყენებით, მსახურნი აიძულა გაეღოთ კანცელარია და საპროფესორო ოთახები და ჩაეტარებინა იქ ჩხრეკა. უნივერსიტეტის პროფესურა და რექტორატი ბატონ მინისტრს სთხოვს მიიღოს გადამჭრელი ზომები ბ.ნოდიას მიმართ, რომელმაც დაარღვია და შელახა უნივერსიტეტის ავტონომიური უფლებები» [98, 54]. პროფესორთა საბჭოს შემადგენლობა ფხიზლად დგას, რათა არ დაუშვან არავისგან უნივერსიტეტის უფლებების დარღვევა, ხოლო დამრღვევთ პასუხი მოსთხოვონ.

როგორც იმდროინდელი განათლების სამინისტროს მაღალ ჩინოსანი ნ. ცინცაძე წერდა, უნივერსიტეტი მთავრობაში ყოველგვარი მხარდაჭერით სარგებლობდა, მათ ერთიანი ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა ამოძრავებდათ. «ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ, რომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მთავრობაში უნივერსიტეტის საბიუჯეტო საკითხებს კამათი და წინააღმდეგობა

გამოეწვიოს, მიუხედავად მაშინდელი გასაგები მძიმე მდგომარეობისა; ამ მხრივ განათლების უწყებას ერთგვარი «კარტ ბლანში” ჰქონდა მინიჭებული» [135, 33ᵃ].

განათლების სამინისტროს კარგად ესმოდა შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობა და მის ფონზე პროფესურის უმწეო მდგომარეობა, ამიტომაც იგი 1918 წლის 27 აგვისტოს ეროვნული საბჭოს განხილვის საგანი გახდა: «საფინანსო კომისია გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ საერთო მდგომარეობა პროფესორებისა ოდნავადაც მაინც უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ჩვენ მეცნიერებს შეეძლოთ მარტო მეცნიერებას ემსახურონ” [93, 6]. აქ გაიმართა მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული პედაგოგის ხელფასის რაოდენობას მისი არსებობისათვის.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ უნივერსიტეტის ფინანსების განკარგვის საკითხი. სადაც უკვე თავი იჩინა წინააღმდეგობებმა. უნივერსიტეტის საარქივო დოკუმენტებში გვხვდება ჩვენთვის მეტად საინტერესო ჩანაწერი, რომელიც ეხება განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის მიმოწერას. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1918 წლის 6 დეკემბრით დათარიღებულ ოქმში ვკითხულობთ: «სამინისტროს მოწერილობა, რომ უნივერსიტეტისათვის ყოველთვიურად საჭირო ხარჯები წინასწარ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს და ეცნობოს სამინისტროს, რომ მთავრობას უნივერსიტეტის ხარჯების წინასწარი კონტროლის უფლება არა აქვს თანახმად უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულებისა» [135, 33]. ამრიგად, პროფესორთა საბჭო არ უშვებს არავითარ დარღვევას, რომელიც უნივერსიტეტის ავტონომიურ უფლებებს ლახავს.

პროფესორთა საბჭო ახსენებს საქართველოს უზენაეს საკონტროლო უწყებას, რომ «უნივერსიტეტის შეძენილი ნივთები, აპარატურა და პრეპარატები, რომლებიც საზღვარგარეთიდან შემოდის მთავრობის მიერ განთავისფუფლებულია გადასახადისაგან» [95, 88].

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა თითქოს ცდილობს მხარში ამოუდგეს ახლად დაარსებულ სამეცნიერო კერას და ხელი შეუწყოს მას თავისი მიზნების განხორციელებაში, იგი მაინც ვერ ახერხებს, სათანადოდ ხელი შეუწყოს მის ყველა წამოწყებას, რასაც უნივერსიტეტის წარმომადგენლები აყენებნენ ხელისუფლების წინაშე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უკიდურესად მძიმე

ეკონომიკურ-ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, რაც, ბუნებრივია, უნივერსიტეტის ბიუჯეტზეც აისახებოდა. ამ მხრივ საინტერესოა ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება, რომელიც, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის წარმომადგენელია, ხოლო მეორე მხრივ, მთავრობის წევრი. «მენშევიკური მთავრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჩვენს უნივერსიტეტს, რომელიც მრავალ დაბრკოლებას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, პროფესორთა დაუღალავი მეცადინეობით ლექციების კითხვა მწყობრად და ჯეროვნად მიმდინარეობდა» [42, 1-2]. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დაუშრეტელი ენერგიის წყალობით, მცირე ანაზღაურების მიუხედავად, ნელა მაგრამ მათი ინტენსიური მუშაობის წყალობით ვითარდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ი. ჯავახიშვილი მიმოიხილავდა რა 1918 -1920 წლების უნივერსიტეტის საქმიანობას წერდა: “უნივერსიტეტს საფუძველი ჩაეყარა 369 სტუდენტით და 89 მსმენელით... 1920 წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტ-მსმენელთა საერთო რიცხვმა 2814 მიაღწია, პროფესორ-დოცენტთა ლექტორების რიცხვმა 66 შეადგინა, ხოლო ასისტენტ ლაბორანტ-ორდინატორებისა კი 61, 49 პროფესორ-დოცენტთაგან 38 ქართველია, ხოლო 11 რუსი პროფესორი. ყველა 11 პირი მხოლოდ დროებით მოწვეულნი არიან და 3 წლის განმავლობაში ან ქართული უნდა შეისწავლონ, ან მოადგილე მოამზადონ და თვითონ უნივერსიტეტს თავი დაანებონ. ყველა რუს პროფესორ-დოცენტს, რომელთაც ასისტენტები ეკუთვნის, ასისტენტებად ქართველები ჰყავთ და პრაქტიკული ვარჯიშობა ქართულად სწარმოებს. პროფ. ანფიმოვის, მანუილოვისა და სალტიკოვის ლექციები ქართულად ითარგმნება და იბეჭდება კიდეც, ასე რომ რუსულად მოსმენილი ლექციების შესასწავლად სტუდენტებს ქართულად დაბეჭდილი კურსი ექნებათ ხელთა... უნივერსიტეტისათვის გამოსადეგ უფლებამოსილ ქართველ მეცნიერთა რიცხვი თითქმის სრულებით ამოწურულია და 5 პირის გარდა, რომელნიც რუსეთში ჩარჩენილან და ჩვენი მრავალგზის ცდის მიუხედავად ბოლშევიკების სამფლობელოთგან თავის დაღწევას ვერ ახერხებენ. დანარჩენნი უკვე უნივერსიტეტში არიან და საქართველოს უმაღლეს სამეცნიერო ტაძარს ემსახურებიან» [104, 11-14].

1918-1919 წლებში უნივერსიტეტი შემდეგი სტრუქტურითაა წარმოდგენილი: “1. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, 2. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო

ფაკულტეტი, 3. სამკურნალო ფაკულტეტი, 4. მას 1919 წლის სექტემბრიდან აგრონომიული ფაკულტეტი ემატება, 5. სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიული ფაკულტეტი, 6. სამეცნიერო-სასწავლო ნაწილი, 7. სასანიტრო ინსტიტუტი, რომელიც დაარსდა 1919 წელს. იგი შედიოდა განათლების სამინისტროში და ექვემდებარებოდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, თუმცა არ წარმოადგენდა მის სტრუქტურულ ნაწილს" [127, 1-1ა]. 1918-1921 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა შემუშავდა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. სტრუქტურა ეტაპობრივად იზრდებოდა სამეცნიერო კადრის ზრდასთან ერთად.

ამრიგად, 1918-1921 წლებში უნივერსტეტის ავტონომიურობის მთავარი არსი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობაში, მთავრობის ჩაურევლობის პოლიტიკაში მდგომარეობდა. ივანე ჯავახიშვილი წინააღმდეგი იყო უნივერსიტეტის პოლიტიზირებისა. შორს იდგა იმ აზრისგან, რომ მეცნიერული გამოკვლევები და უნივერსიტეტის მართვა პარტიების შეკვეთით ან თუნდაც მცირედი ჩარევით წარმართულიყო. მთავრობამ მხოლოდ ზოგადად მეთვალყურისა და ფინანსური საკითხების კონტროლის ფუნქცია შეითავსა.

§3. განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებისა და ქართველი მეცნიერების ერთობლივი მუშაობა ერთიანი ეროვნულ-საგანმანათლებლო რეფორმის შესამუშავებლად

1917 წლის აპრილში, როდესაც ი. ჯავახიშვილი რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. იმ პერიოდის საქართველოში ყველა საჭირბოროტო საკითხს თან ერთვოდა მრავალრიცხოვან პოლიტიკურ პარტიათა დაპირისპირება, რომელიც სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. ამას ემატებოდა რუსეთის იმპერიაში შექმნილი ურთულესი ვითარება, რომელიც, ბუნებრივია, საქართველოში არსებულ გარემოებაზეც ისახებოდა, მაგრამ «... ქართული უნივერსიტეტი იმდენად დიდმნიშვენლოვანი ფაქტორია, რომლის აუცილებლობის და უაღრესად საჭიროების წინაშე ყველა პოლიტიკური პარტია ერთის მისწრაფებით და ერთის აზრითაა გამსჭვალული.» [41, 2]. პოლიტიკური ელიტა თანაგრძნობითა და თანადგომით ცდილობდა, დახმარებოდა ამ საქმის მესვეურთ. საჭირო გახდა შემოწირულობათა

შეგროვება. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოსახლეობას, უაღრესად მძიმე მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, ხალისით შეჰქონდა ფული «უნივერსიტეტის ფონდის» შესაქმნელად. «ფრიად ამაღელვებელი იყო პირველი ფულადი გზავნილის მიღება ციმბირში დასასჯელად გადასახლებულ ქართველებისაგან» [96, 20]. თუ თვალს გადავავლებთ 1917-1921 წლების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ საარქივო მასალას, ყურადღებას მიიქცევს ქართული საზოგადოების უანგარო დამოკიდებულება. ყველას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ ახლა არა, მერე უკვე დაგვიანებული იქნებოდა ამ სანუკვარი მიზნის მიღწევა. უნივერსიტეტის საარქივო ჩანაწერების მიხედვით, ქართული უნივერსიტეტისთვის პირველ შემომწირველებს შორის იყვნენ: ისიდორე კოსტავა, რომელსაც 26 ცალი ძველი ფული (ვერცხლი და სპილენძი) შეუწირავს, გ. ჭიჭინაძეს (სოფ. თლუღიდან) ათონური ხელობის ხის ჯვარი, ბრინჯაოს ბალთა და ბეჭდის თვალი გადმოუცია, ელენე ჯამბაკურ-ორბელიანისას - დიდი ფრანგული წიგნი: «საფრანგეთის რევოლუცია» (გამომცემ. არმან დაიოს რედაქტორობით), ასურმა მურადოვს - ერთი ასურული წიგნი, წერა-კითხვის წიგნის მაღაზიას- ორ-ორი ცალი 45 წიგნი (საკუთარი გამოცემა), ქეთევან ყანჩაველს - თბილისის ტელეგრაფის მუშაკებისაგან შეგროვილი 750,000 მანეთი, თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას - 10000 მანეთი, უცნობ პირს – 1845 წლის დიდი ხელნაწერი, წიგნი «დავრიშნი» და სხვა. [98, 3]

იმდროინდელი პერიოდული თუ საარქივო მასალა დაწვრილებით მოგვითხრობს თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებულ ქველმოქმედებებზე. ხშირად ზოგიერთი მოქალაქის მხრიდან მცირედი თანხის გაღება უნივერსიტეტის სასარგებლოდ მათთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. ამ საქმისადმი ასეთმა მიდგომამ გახადა შესაძლებელი ორი საუკუნის გასაყარზე არქიტექტურული თვალსაზრისით დიდებული შენობის აგება, ხოლო მოგვიანებით კი მასში უნივერსიტეტის დაფუძნება.

1917 წლის 8 ოქტომბერს ყარამან კიკნაველიძემ უნივერსიტეტის გამგეობას თანხასთან ერთად გადასცა შემდეგი შინაარსის წერილი: «ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე! ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრმა უზომოთ გამახარა, ვინაიდან ვგრძნობ, რომ ამ აზრის განხორციელებით ჩვენს ქვეყანას აღორძინების ახალი ხანა უდგება. ნება მიბოძეთ მე, როგორც ჩვენი ერის წინამსვლელობის

მონატრე ერთმა ქართველთაგანმა, ერთდროულ დახმარებად ჯერ-ჯერობით მოგართვათ ასი თუმანი ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად, თანხის გასაძლიერებლად. იმედია თქვენის ჩვეულებრივის მუყაითობით, ჩვენს სამშობლოს მალე ეღირსება საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი ჩვენს დედა-ქალაქ ტფილსში.» [94, 6] ამ წერილით ყარამან კიკნაველიძემ ფაქტობრივად გამოხატა მთელი იმ დროის ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება და მხარდაჭერა იმ მიზნის სისრულეში მოსაყვანად, რომლისთვისაც ძალღონეს არ იშურებდა ივანე ჯავახიშვილი სამშობლოში დაბრუნებულ რამდენიმე ქართველ მეცნიერთან ერთად.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ვაჭარ დავით ბებუთაშვილის ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე, რომელმაც გერმანიაში მყოფი 25 მილიონ ევრო ოქროდ შეფასებული ბიბლიოთეკა მეცნიერების ტაძარს უანგაროდ უანდერძა. ღრმად განსწავლულმა მეცენატმა იცოდა, თუ როგორ ესაჭიროებოდა კარგი ბიბლიოთეკა მაშინდელ ახლად დაარსებულ უნივერსიტეტს, კერძოდ კი, ქართველ სტუდენტობასა და სამეცნიერო ნაწილს. საჭირო იყო ამ წიგნების გერმანიიდან საქართველოში დაბრუნება. მიუხედავად მთავრობის დიდი მონდომებისა და მხარდაჭერისა, წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა მათი საქართველოში ჩამოტანა. დავით ბებუთაშვილის ანდერძი სისრულეში მოყვანილ იქნა მხოლოდ 1930 წელს. ბიბლიოთეკა, ანდერძის თანახმად, უნივერსიტეტს გადაეცა. მის ანდერძში ვკითხულობთ: ,,გარდაცვალების შემდგომ ჩემი ქურქი გაიყიდოს და ამით დაიფაროს ჩემი დაკრძალვის ხარჯები...'' [130, 8] აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორი ი. ჯავახიშვილი სწერდა განათლების სახალხო კომისარს: დიდი და უხვი შემოწირულობა დაუტოვა დ.ი. ბებუთაშვილმა თბილისის უნივერსიტეტს, იმ დროს, როდესაც თვითონ პირადად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო და გულის მძიმე ავადმყოფობა ჰქონდა. ანდერძის დაწერის დროს მას გათვალისწინებული ჰქონდა, რომ გარდაცვალების შემდგომ მას დასასაფლავებლად ფული არ რჩებოდა და ამიტომ ანდერძში ნათქვამი აქვს, რომ მის ასულ ა. გაბუნიას მისი ქურქი უნდა გაეყიდა და ამ ფულით გაესტუმრებინა დასაფლავების ხარჯები. არ შემიძლია არ აღვნიშნო ეს გასაოცარი და იშვიათი უანგარობა, რადგან მას პირადად გაჭირვებულს თავისი წიგნთსაცავი დიდ ფასად

შეეძლო უცხოელებისათვის მიეყიდა და ამით თავისი თავი და ოჯახიც სამუდამოდ უზრუნველყო» [130, 8ᵃ].

ამრიგად, ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი დაფუძნდა ძირითადად ქართველი ხალხის უანგარო შემოწირულობების ხარჯზე. მთავრობისა და მეცენატების ხელშეწყობით, დღითი დღე იზრდებოდა და ფართოვდებოდა თბილისის უნივერსიტეტი თავისი სამეცნიერო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკითაA და კათედრებით, სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით.

ი. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტს მიზნად დაუსახა ერისა და სამშობლოს აღორძინება, ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერის წინაშე აღებული მისი უდიდესი პასუხისმგებლობა. მან კარგად იცოდა, რომ იმ დროს საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობდა საგანმანათლებლო სისტემა, მოშლილი იყო და მოთხოვნებს ვერ უპასუხებდა დაწყებითი და საშუალო სკოლები, ამის შესაბამისად, საქართველო განიცდიდა კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტს. ამიტომაც, ბუნებრივია, ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო კერას უნდა აერჩია სწორი, პრინციპული და ამავე დროს ეროვნული საგანმანათლებლო კურსი. ივანე ჯავახიშვილს საზოგადოება იცნობდა არა მარტო როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს, ილია ჭავჭავაძის საქმის გამგრძელებელს, დიდ მეცნიერსა და ორგანიზატორს, არამედ უდიდესი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას, რომლის აზრსაც ანგარიშს უწევდნენ მთავრობაში. იმ დროისათვის სახელმწიფოს უმაღლეს მმართველობით რგოლში უნივერსიტეტის მესვეურთა და ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობის გარეშე არ განიხილებოდა არცერთი მნიშვნელოვანი კულტურული, ეროვნული, საგანმანათლებლო თუ რელიგიური საკითხი.

უნივერსიტეტის 1918 წლის 19 ივნისს დამტკიცებული დებულების თანახმად: «1. თბილისის უნივერსიტეტი მთავრობის უნივერსიტეტია. იგი უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაა, სამეცნიერო სამოსწავლო სფეროშიც და საუნივერსიტეტო მართვა გამგეობასა და შინაურ მეურნეობის მხრივ სრულებით დამოუკიდებელია და ყველა ამ დარგის საქმეებს თვითონვე განაგებს. 2. უნივერსიტეტის მთავარ ორგანოთა მოქმედების საზოგადო მეთვალყურეობა

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის უფლებას შეადგენს. 3. ქონებრივ სახსრებს უნივერსიტეტს მთავრობა აძლევს[94, 27].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ უნივერსიტეტს ჰქონდა ავტონომია, მაგრამ იგი თავისუფალ უნივერსიტეტად ვერ ჩაითვლებოდა, რადგან ნაწილობრივ, მაგრამ მაინც დამოკიდებული იყო მთავრობაზე, რომელიც მეთვალყურის როლს ითავსებდა. «...აქამდის ქართული უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო, ახლა, როდესაც საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად იქცა, თავისთავად იბადება აზრი, რომ იგიც ამიერიდან შეიძლება ტფილისის მთავრობის უნივერსიტეტად იქცეს. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო კარგად გრძნობს, რა მძიმე ტვირთი და საპასუხისმგებლო შემოქმედებითი მუშაობა არგუნა მას ბედმა საქართველოს ამ აღორძინების ხანაში, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოსა და ქართველი ერისადმი ღრმა სიყვარული, რომლითაც თითოეული უნივერსიტეტის წევრი გამსჭვალულია, ამ მოვალეობის პირნათლად ასრულებას შეაძლებინებს. უნივერსიტეტის საბჭოს სრული იმედი აქვს, რომ საქართველოს მთავრობაც თავის დახმარებით მას ამ მოვალეობის აღსრულებას გაუადვილებს» [94, 29].

თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც შემოწირულობების ხარჯზე დაარსდა, ფინანსურ კრიზისს განიცდიდა. მომავალში ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად მის დამფუძნებლებს სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოხცადება და, შესაბამისად, მთავრობის მხრიდან ფინანსური უზრუნველყოფა მიაჩნდათ, მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის ავტონომიურობის შენარჩუნების პირობით.

დამფუძნებელ კრებასთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ შექმნა სახალხო განათლების კომისია, რომლის თავმჯდომარეც ლევან ნათაძე იყო. მას ევალებოდა განათლების საქმის ძირეული გარდაქმნა, ახლის აგება და აღორძინება. ამ მიზნით მას უნდა დაემუშავებინა სწავლა-განათლების სფეროში ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები და დამფუძნებელ კრებაზე მიღებული სათანადო დადგენილებები და კანონები ცხოვრებაში გაეტარებინა. მისი საზრუნავი უნდა გამხდარიყო არსებული სასწავლებლების შესაფერის სიმაღლეზე დაყენება. კომისიას, დაკისრებული მძიმე მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად, ესაჭიროებოდა მჭიდროდ დაკავშირებოდა ყველა

სარაიონო და ადგილობრივ სკოლებს, გასცნობოდა მათ მოთხოვენებსა და პრობლემებს. ამ მიზნისთვის აუცილებელი იყო კომისიისთვის მიეწოდებინათ ყველანაირი მასალა სწავლა-განათლების საქმესთან დაკავშირებული საკითხების გასაცნობად. «გაირკვეს რაში გამოიხატება ერობათა და ქალაქთა გამგეობებთან არსებული «სახალხო განათლების» განყოფილებათა მოღვაწეობა»... [102, 47]. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კარგად უწყოდა, რომ საჭირო იყო, ახალი ძირეულად შეცვლილი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება, კერძოდ კი, არსებულ დაწყებით სკოლებში სწავლებისადმი ახლებური მიდგომა და ახალი სასწავლო მეთოდების დანერგვა. ამ სიძნელეების დაძლევას იგი უნივერსიტეტის სამეცნიერო კადრთან თანამშრომლობით ლამობდა. შემთხვევითი არ არის, რომ სახალხო განათლების მინისტრის 1920 წლის ბრძანებით, ი. ჯავახიშვილი განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. მთავრობისა თუ პარლამენტის არა ერთი სხდომა მიეძღვნა ეროვნულ საგანმანათლებლო საკითხებს. ერთმანეთს ენცვლებოდნენ: კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ი. ჯავახიშვილი თუ შ. ნუცუბიძე, რომლებიც ჩვეული დამაჯერებლობით ცდილობდნენ ერის მომავლისთვის სასარგებლო რეფორმების გატარებას. თუ არა მათ, სხვა ვის ესმოდა ისე კარგად, რომ დაწყებითი განათლება აუცილებლად ეროვნული ფესვებიდან უნდა ამოდიოდეს და მის წიაღში უნდა ჰპოვებდეს სათავეს. საჭირო იყო განათლებული პედაგოგების შერჩევა, რომელთა აღზრდაც ეროვნული სულისკვეთებით უნივერსიტეტს ევალებოდა.

ამრიგად, საშუალო სკოლებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღებასა და ერთიანი საგანმათლებლო სისტემას საფუძველი საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ჩაეყარა. განათლების სამინისტრო უდიდეს ყურადღებას უთმობდა დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლებას და მათი სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას, რომელთა შედგენაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კარგად უწყოდა, რომ განათლების რეფორმის ჩატარებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა დაწყებით სასკოლო განათლებას, რომლის გარდაქმნასაც და ახალი სასკოლო პროგრამების შემუშავებას იგი უნივერსიტეტის მეცნიერებთან ერთად

ლამობდა. ეს იყო გადაუდებელი, აუცილებლად დასაწყები საქმე, რადგანაც მასზე იყო დამოკიდებული მომავალი თაობების აღზრდა. გარდა ყოველივე ამისა, განათლების სამინისტრო ცდილობდა, გასცნობოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის დაწყებით სწავლებას, შემდგომ კი ევროპული განათლებიდან მისთვის მისაღებს იღებდა და ეროვნულ ტრადიციებთან სინთეზში ახალ პროგრამებს იმუშავებდა კვალიფიცირებულ სპეციალისტებთან შეთანხმებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, 1918 წლისათვის ქართული განათლება უკიდურესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. მას მემკვიდრეობად ერგო ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად სკოლებში დანერგილი სასწავლო პროგრამები, რომლებიც სრულიად მოწყვეტილი იყო ეროვნულ ნიადაგს. საჭირო იყო საქართველოს განათლების სამინისტორს მხრიდან გადამჭრელი ღონისძიებების გატარება. აი, რას ვკითხულობთ ერთ-ერთი გიმნაზიის მერვე კლასელთა მიერ განათლების მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში: «ქართული გინმაზიის მოწაფენი მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, შეგვიცვალოთ უმთავრესად რუსული ისტორიის გაკვეთილები საქართველოს ისტორიის გაკვეთილებით, რუსეთის გეოგრაფია და კანონმდებლობა საქართველოსით, რითაც საშუალებას მოგვცემთ 10 წლის განმავლობაში ქართული ენისაგან მოშორებით უკანასკნელ კლასში მაინც ამოვწუროთ ზემოხსენებულ საგანთა მინიმუმი, რომ თამამად ჩავებად ახლად აღორძიენულ საქართველოს საზოგადოებრივ მუშაობაში». [142, 32-33] მას თან ერთვის განათლების სამინისტროს მთავარი გამგებლის მინაწერი: «გაუწყებთ რომ მერვე კლასის მოსწავლეთა სურვილი სამშობლოს იტორიის სწავლების შესახებ საქებია, მაგრამ წელს ვერ მოეწყობა: ვიდრე პროგრამები და გაკვეთილების ნუსხა არ შეიცვლება საბოლოოდ. თუ თქვენ თავისუფალ საათს გამონახავთ საქართველოს ისტორიის ზედმეტი მეცადინეობისათვის, სამინისტრო წინააღმდეგი არ იქნება» [142,34]

ქართველ მეცნიერებს კარგად ესმოდათ, რომ უმაღლესი განათლება შეუძლებელი იყო დაწყებით სკოლებში არსებული მოძველებული სწავლების წესებით. ამიტომაც, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლის მთავარი გამგე, უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლ ნათაძე შეეცადა ქართული, ეროვნული სკოლის აღდგენა-აღორძინებას. ამ მიზნით მან თავის გარშემო შემოიკრიბა ცნობილი ქართველი პედაგოგები: ი. გველესიანი, ვ. კოტეტიშვილი, ი. ლორთქიფანიძე და

სხვანი და შეეცადა, მათთან ერთად შეემუშავებინა ახალი სასწავლო პროგრამები სკოლებისათვის, სადაც მკვეთრად იქნებოდა განსაზღვრული «სასწავლო საგნის მიზანი და მასწავლებლის საღვაწი საშუალებანი» [148, 51-52]

ეს რეფორმა აუცილებლად უნდა დაფუძნებულიყო ეროვნულ ფესვებზე და უნდა გაეთვალისწინებინა ქართული საგანმანათლებლო საუკუნეობრივი ტრადიციები. ვ. კოტეტიშვილი თავის აზრს მტკიცედ ასაბუთებდა 1919 წლით დათარიღებულ განათლების სამინისტროში გაგზავნილ საქართველოს ისტორიის პროგრამაზე ახსნა-განმარტებით: «მოწაფეს ყველაფერი მიუდგომლად უნდა უთხრათ და უჩვენოთ საკუთარი ერის როგორც ღირსეული, ისე უღირსი მხარეები. მიდრეკილება კი ისეთი უნდა იყვეს, რომ მოწაფეებში გამოაღვიძოთ და განამტკიცოთ გრძნობა ეროვნული სიყვარულისა, თავმოყვარეობისა და თავისუფლებისა. უნდა უჩვენოთ, რომ ერი შემდგომ ნაწილად შედის უფრო დიდ ოჯახში, რომელსაც კაცობრიობა ეწოდება და მოწაფის ერისადმი სიყვარული კაცობრიობაზედაც გადაიტანოთ.

უნდა ყველა ეს მორალური მომენტი მასწავლებელმა მთელი სწავლის პროცესს გააყოლოს, რომ თანდათანობით ხდებოდეს მოწაფის სულის სიკეთით განოყიერება ერისა და კაცობრიობის სასარგებლოდ» [148,48-48ა]. მოსწავლეთა განათლების ასამაღლებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა პედაგოგთა მხრიდან სასწავლო-შემეცნებითი მუშაობა. განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა კლასთან მუშაობის პროცესში გაკვეთილის მსვლელობის დროს უნდა მოახდინოს დემონსტრირება იმ ნივთებისა, რომელიც კავშირში იქნება ასახსნელ გაკვეთილთან. დამსახურებული პედაგოგი ი. ლორთქიფანიძე აუცილებლობად მიიჩნევდა საქართველოს ისტორიის სწავლების პროცესში მუზეუმების ჩართვას «გაკვეთილის საგანი მარტივი და ადვილად გასაგები მოწაფეთათვის რომ იყოს და მით გაუღვიძოს ინტერესი და სიყვარული, უმორჩილესად გთხოვთ, ნება დამრთოთ ვისარგებლო მუზეუმით, ისე, როგრც ამას მოწაფეთა სწავლების საჭიროება მოითხოვს. ამ შემთხვევაში, თუ ნებართვა მოითხოვს, მუზეუმის ქონების დამცველ-პასუხისმგებელი მე შემიძლია ვიქნე.» [142, 85-85ა]

საქართველოს ისტორიის პროგრამის შედგენა საშუალო სკოლებისთვის განათლების სამინისტომ დაავალა ი. ჯავახიშვილს. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მისი დამოკიდებულება XIX-XX სს-ში მიმდინარე პროცესებისადმი. იგი, მისთვის დამახასიათებელი თანმიმდევრობითა და სიზუსტით, ამახვილებს იმ მოვლენებზე ყურადღებას, რომლის ცოდნაც და ანალიზიც მომავალი მოქალაქისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. აი, ნაწყვეტი მისი პროგრამიდან: «ქართული საზოგადოებრივი აზრის თანდათანობით გამოღვიძება მე-19 საუკუნის 30-იან წლებში. ეს მოძრაობა და მისი ხასიათი. 50-იან წლებში ჟურნალ-გაზეთების დამკვიდრება, თეატრის დაარსება. 60-იანელთა მოძრაობა და მისი ეროვნულ-კულტურული ხასიათი. ახალი ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობანი ბატონყმობის მოსპობის შემდეგ. 1905 წლის მოძრაობა ჩვენში; სოციალური და ეროვნული ელემენტები ამ მოძრაობაში; ბურჟუაზიის ზრდა; უმთავრესი პოლიტიკური პარტიები. პირველი მსოფლიო ომი, რუსეთის დიდი რევოლუცია. დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს რესპუბლიკა» [146, 1-3]

მეთოდი საქართველოს ისტორიის შესწავლისა რეფერატების სახით მკვიდრდებოდა ქართულ სკოლებში, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მოწაფის დაინტერესებას მშობლიური ქვეყნის წარსულით. განათლების სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები მიმოიხილავდნენ და შეიმუშავებდნენ რა სასკოლო პროგრამებს, ეროვნული საგნების სწავლების საკითხის განხილვისას აწყდებოდნენ დიდ წინააღმდეგობებს. ამის მიზეზი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული ენის უცოდინარი სხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ. აქედან გამომდინარე, 1918 წელს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ იქნა კანონი – სახელმწიფო ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლების შესახებ არა ქართველთათვის. ამ კანონს შემდგომში უნდა მოეწესრიგებინა აღიშნულ სკოლებში სწავლების პროცესი. ეროვნული უმცირესობისათვის ცალკე დგებოდა სასწავლო პროგრამები, როგორც ქართულ ენაში, ასევე საქართველოს ისტორიაშიც. «შემოღებულ იქნას სახელმწიფო, ქართული ენის სავალდებულო სწავლება რესპუბლიკის საშუალო სკოლებში. რაიცა შეეხება საქართველოს ისტორიას, იგიც სავალდებულო უნდა იყოს არაქართველთათვის, მაგრამ ვინაიდან მოწაფეებმა ჯერ-ჯერობით ქართული არც იციან, ამისათვის

სწავლება დროებით უნდა მოეწყოს რუსულად. ამ საგნისთვისაც საჭიროა მასწავლებელი, რომელსაც ჯამაგირი უნდა მიეცეს სპეციალური თანხიდან.» [136, 3]

ჩვენთვის საინტერესოა, ისიც რომ სასკოლო განათლება იყოფოდა ორ საფეხურად: დაწყებით ანუ უმცროს მოსამზადებელ განყოფილებად და საშუალო განათლების მიმცემ ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებად, რომელთა სასწავლო საგნები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა როგორც ნუსხის ჩამონათვლის სახით, ასევე საგანთა სწავლების საათობრივი დატვირთვითაც. ჩვენთვის Dდღესდღეობით ალბათ საინტერესო იქნება ის საგნები, რომელიც მოსამზადებელ განყოფილებაზე ისწავლებოდა. ესენია: ქართული ენა, არითმეტიკა, სუფთა წერა, ხატვა, გალობა, და ფიზიკური ვარჯიში» [142,18]. ხოლო რაც შეეხება იმ საგნებს, რომლებიც ისწავლებოდა გიმნაზიებში 1918-1919 წლებში, ესენი იყო: «ფიზიკა, მათემატიკა, არითმეტიკა, ლათინური, რუსული ენა, მსოფლიო ისტორია, სუფთა წერა, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, საქართველოს გეოგრაფია, ფრანგული, ხატვა, ხელსაქმე, გერმანული, საქართველოს ისტორია, ქართული ენა, გალობა, ლოგიკა, ფსიქოლოგია, მართლმადიდებლური საღვთო სჯული, სომხური საღვთო სჯული, კათოლიკური საღვთო სჯული, ლუთერანული საღვთო სჯული, სომხური ენა, კანონმდებლობა, კოსმოგრაფია, ფიზიკური ვარჯიშობა.» [142, 17,18]

მოგვიანებით, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, სასკოლო პროგრამიდან ამოღებული იქნა საღვთოსჯულის სწავლება, რასაც, ბუნებრივია, უკმაყოფილება მოჰყვა. არ შეიძლება, ხაზგასმით არ აღინიშნოს განათლების სამინისტროს დაუღალავი შრომა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ერთად, განათლების სისტემის სრულყოფისათვის. იგი ზრუნავდა, რათა ევროპისა და სხვა ქვეყნის გამოცდილებები დაენერგა ქართულ სკოლებში.

1918 წლიდან ფეხს იკიდებს დამრიგებლის ინსტიტუტი გიმნაზიებში: პირველი საქალებო გიმნაზიის უფროსი ჩიჯავაძე ითხოვს: «დაინიშნოს მთელ ჩვენ ქართულ განყოფილებისათვის ერთი კლასის დამრიგებლის თანაშემწე, რომელიც საზოგადოდ დაიჭერს თვალყურს ბავშვებზე შესვენების დროს და უმასწავლებლოდ დატოვებულ კლასს უპატრონებს.» [144,50] დამრიგებლის ავტორიტეტი და ფუნქციები მოგვიანებით უფრო მყარდება საგანმანათლებლო სისტემაში და იგი დღესაც ფუნქციონირებს.

არანაკლებ საინტერესოა თბილისის ქალთა უმაღლესი სასწავლო კურსები, სადაც ასწავლიდნენ ცნობილი რუსი და ქართველი სპეციალისტები. აქ იკითხებოდა ისეთი სპეციფიკური საგნები, როგორებიცაა «ფიზიოლოგიის, სამედიცინო ქიმიის, ზოგადი პათოლოგიის, ელემენტარული და უმაღლესი მათემატიკის, ქიმიის, ორგანული ქიმიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის, გეოლოგია – მინერალოგიის, ანატომიისა და ისტორიის პროგრამები. ხოლო ფარმაციის განყოფილების ქალთა უმაღლეს კურსებზე ამ საგნებთან ერთად ემატებოდა ფარმაკოლოგია და ფარმაცევტული ქიმიის კურსიც» [142, 1-28].

აი, ის ვრცელი ჩამონათვალი იმ საგნებისა, რომელთა პროგრამები დგებოდა და მტკიცდებოდა საქართველოს განათლების სამინისტოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების აქტიური ჩარევითა და თანამშრომლობით.

იწერებოდა ახალი სამეცნიერო გამოკვლევები, შრომები, სტატიები, რომელთა ბეჭდვაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. უნივერსიტეტისათვის სტამბა ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი იყო. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ თხოვნით მიმართა მთავრობას, რომ გადაეცა მათთვის «ბოლშევიკური პარტიის კუთვნილი სტამბა, რომელიც 1918 წლის გაზაფხულზე ჩამორთმეული იქნა ამიერკავკასიის მთავრობის მიერ. ამ სტამბაში დაიბეჭდება სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა, რაც დიდი დახმარება იქნება ქართული უნივერსიტეტისათვის.» [98, 52-52ᵃ]. მთავრობამ იგი კი არ გადასცა, არამედ, 1918 წლის 26 დეკემბერს, იუსტიციის სამინისტროს ბრძანებით, «სახელმწიფო უნივერსიტეტს მისცა ნებართვა ისარგებლოს მეტეხის სტამბით შეღავათიან პირობებში.» [98, 124].

1918-1920 წლებში ქართული უნივერსიტეტი გამდიდრდა ახალი ქართული სამეცნიერო ლიტერატურითა და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებით, უპირველეს ყოვლისა ეს ჰუმანიტარულ დარგებს ეხება. ასე მაგალითად, ი. ჯავახიშვილის «ქალაქები, საქალაქო წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII ს-ში» (ჟურ. «პრომეთე», 1918 წ. ¹1) «ქართველი ერის მოკლე ისტორია», «დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში», «საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული», «ქართული სამართლის ისტორია». კ. კეკელიძის «კიმენი, ტ.I. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები» - 1918წ. «თარგამანებაÁ

ეკლესიასტისაÁ მიტროფანე ზმÂრნელი მიტროპოლისაÁ» - 1920წ; გ. ახვლედიანის «ენათმეცნიერების შესავალი». ლექციები, გამოცემა უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობისა... 1919 წელს გამოვიდა «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე", [1]1. რომელშიც დაბეჭდილია იოსებ ყიფშიძის, შალვა ნუცუბიძის, კორნელი კეკელიძის, დიმიტრი უზნაძის, აკაკი შანიძის, სვიმონ ავალიანისა და ექვთიმე თაყაიშვილის ნარკვევები (II ტომი, 1921-1922 წლებისა, გამოვიდა მხოლოდ 1923 წლებში» [3, 5-8].

ამრიგად, ეს ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა პლეადა თავისი დაუღალავი შრომით სულ უფრო და უფრო დიდ წარმატებებს აღწევდა სამეცნიერო ასპარეზზე და სახელმოხვეჭილი მეცნიერები ხდებოდნენ. ზოგიერთი მათგანი ახალი სამეცნიერო სკოლის დამაარსებლადაც მოგვევლინა. ამიტომაც, ბუნებრივია, საკუთარი სტამბის მოთხოვნა უნივერსიტეტის მხრიდან კანონზომიერი მოვლენა იყო და ამ მხრივ მთავრობისგან განსაკუთრებულ მხარდაჭერას მოითხოვდა, რაც დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ვერ განახორციელა.

§. 4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა მატერიალურ-სოციალური ბაზისი და სამეურნეო კოოპერაციათა დაარსება

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, მას რამდენჯერმე მოუხდა გარეშე მტერთან საომარი მოქმედება, რომელმაც, ბუნებრივია, ქვეყნის დანგრეული ეკონომიკის აღდგენა-განვითარება კიდევ უფრო მეტად დაამუხრუჭა, ხოლო მეურნეობის ზოგიერთი დარგი კი მკვეთრად დაეცა. ამ პროცესს თან სდევდა მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. თუ 1918 წელს ერთი რუსული მანეთის ღირებულება 40 ბონს შეადგენდა, 1920 წლის მიწურულისთვის მან 1300 მიაღწია, ე.ი. 32-ჯერ გაიზარდა. საოცარი სისწრაფით მიმდინარეობდა ფულის ინფლაცია, ამიტომ ხელფასები ვეღარ აკმაყოფილებდა ელემენტარულ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს. აუტანელ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდნენ უნივერისტეტის როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ასევე სტუდენტობა. უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველ საარქივო დოკუმენტებში ხშირად შეხვდებით სასურსათო კომისარიატსა და თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტს შორის მიმოწერას მოსამსახურეთა სურსათით მომარაგების შესახებ. 1920 წლის 15 ოქტომბერს პროფესორთა საბჭო ადგენს: «აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის მდგომარეობა გაუმჯობესდეს. არჩეული იქნას კომისია, შ. ნუცუბიძის, კ. კეკელიძისა და გ. ახვლედიანის შემადგენლობით რომელსაც დაევალება აცნობოს მთავრობას პროფესორ-მასწავლებელთა გაჭირვებული მდგომარეობა., რათა ხელისუფლებამ გამონახოს საშუალება შინაურული გზით (სურსათ-სანოვაგით, შეშით და სხვათა სახით) უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი პროფ-მასწავლებელთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად» [93, 123ᵃ].

სულ უფრო და უფრო უარესდებოდა უნივერსიტეტის მოსამსახურეთა მატერიალური პირობები. უნივერსიტეტის გამგეობა ეძებდა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს. იგი მიმოწერას აწარმოებდა «ერობათა კავშირთან», «მუშათა მაგიდასთან», «მომარაგების სამინისტროსთან» (იგივე შრომის სამინისტრო), «რათა უზრუნველჰყოს თავისი თანამშრომლები: ქერით, პურით, ლობიოთი, შაქრით, ბრინჯით, მარილით, ჩაით, წუმწუმით, სარეცხის საპნით, ნავთით და ა.შ... საჭიროა სასურსათო საქმე ჩაბარდეს ერთ რომელიმე სანდო პირს, რომელსაც განსაკუთრებული ჯილდო უნდა მიეცეს თუ მის გაღებას უნივერსიტეტი ვერ შესძლებს, მაშინ მოსამსახურეებმა უნდა იკისროს იგი» [114, 90].

უსინათლობამ, სიცივემ და შიმშილმა შეარყია უნივერსიტეტის პირველი რექტორის პ. მელიქიშვილის ჯანმრთელობა. ამის გამო ი.ჯავახიშვილმა შუამდგომლობა აღძრა მომარაგების კომისარიატში, «რათა ავადმყოფ პეტრე მელიქიშვილს გამოეყოს ცოტა პროდუქტი, რადგანაც იგი აუტანელი გაჭირვებაში იმყოფება» [119, 23].

უნივერსიტეტის თანამშრომლები კოლექტიური წერილებით მიმართავენ როგორც მთავრობის, ასევე უნივერსიტეტის გამგეობის წევრებს: «...უმორჩილესად გთხოვთ ჯამაგირები გაგვიდიდოთ იმ ზომამდის, რომ თვითეულ ჩვენგანს ეყოს თვიდან-თვემდის უსაჭიროეს და აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად...» [99, 16-16ᵃ].

ბუნებრივია, სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომელთაც მხრებზე მთელი სიმძიმით აწვა ქვეყნის მომავალზე ფიქრი, იგი უზრუნველყოფილი

უნდა ყოფილიყო ეკონომიკურად. ქართული უნივერსიტეტის მოწყობაში და «მის მყარ ნიადაგზე დაყენებაში დაინტერესებულია არა მარტო პროფესორები, არამედ მთელი ქართველი ერი, რომლის კულტურული წინმსვლელობა დაკავშირებულია ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებაზე. საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ კიდევ უფრო აქტიურად შეუწყოს ხელი ამ საქმეს. განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც განათლების საქმეს ემსახურებიან, კავშირი აქვთ უნივერსიტეტთან და სამეცნიერო მუშაობასთან» [90, 3].

სტუდენტთა რიცხვი «უნივერსიტეტის გახსნის მომენტისათვის შეადგენდა 369 სტუდენტს; ამას გარდა ჩარიცხული იყო 89 თავისუფალი მსმენელი. შემდეგი ორი სემესტრის განმავლობაში ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით ახალი ფაკულტეტების გახსნასთან დაკავშირებით» [8, 66]. ახალგაზრდების მატერიალური მდგომარეობა უკიდურესად მწვავდებოდა. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ «სტუდენტი ვერ მიიღებს სრულფასოვან განათლებას თუ იგი დღის განმავლობაში ლუკმა-პურის საძებნელად სხვადასხვა სამუშაოებზე დაკარგავს დროს და საღამოს დაღლილი მივა ლექციებზე, არა აქვთ მათ ამავე დროს სახელმძღვანელოები და ვერც სათხოვნელად შოულობენ. დროა ხელისუფლებამ დროულად მიიღოს გადამწყვეტი ზომები საქმის გამოსასწორებლად» [63, 3-4]. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და მთავრობას კარგად ესმოდათ, რომ საჭირო იყო ქმედითი ღონისძიებების გატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტთა საკითხის მოუგვარებლობასა და მათდამი უყურადღებობას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყოლოდა. აღნიშნული საკითხი დიდ გავლენას იქონიებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. დამოუკიდებელ საქართველოს მომავალს სჭირდებოდა ძლიერი, ნამდვილი ინტელიგენცია და პროფესიონალი სპეციალისტები. «დღეს ძალიან მცირე რაოდენობის ინტელიგენციაა ქ.თბილისში და თუ არ იქნა სტუდენტობის საქმე მოგვარებული, ქვეყანა ინტელიგენციის კრიზისში აღმოჩნდება. თითქმის 3 წელია არსებობს ქართული უნივერსიტეტი. ერთი ან ორი წლის შემდეგ უნდა გვყავდეს კურსდამთავრებულ სპეციალისტთა მთელი თაობა, მაგრამ დღეს არ არის გარანტია რომ სპეციალისტებს სხვადასხვა დარგში რამოდენიმე წლის შემდეგ მივიღებთ, თუ არ გამოსწორდა ეკონომიური მდგომარეობა» [63, 4].

მთავრობასა და უნივერსიტეტს ერთობლივად ქვეყნის ბიუჯეტში უნდა გამოენახათ შესაბამისი თანხები ღარიბ სტუდენტთა სტიპენდიების, უფასო სასადილოების, იაფფასიანი ტანსაცმლისა და ბინებისათვის. მათ ხელი უნდა შეეწყოთ ლექციების სისტემტური დაბეჭდვისა და გამოცემის საქმისათვის. «ბაზარზე ფასების საშინელი ვაკხანალია ხელს უწყობს სტუდენტობის იდეურ დაშლასა და მის მორალურ გაღარიბებას. ინტენსიურ, იდეურ და მეცნიერულ მუშაობისათვის მას უკვე აღარ აქვს ძალა. სტუდენტობის ამგვარი მდგომარეობა ეროვნული უბედურებაა. შეუძლებელია სახელმწიფომა და საზოგადოებამ არ მიიღონ შესაფერისი მასშტაბით ყველა ის ზომა რომელიც დაუბრუნებს ახალგაზრდობას, აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, წიგნს, უკეთ რომ ვსთქვათ მეცნიერულ შრომას» [58, 1-2].

ამ დროს სტუდენტთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ სტუდენტთა კავშირის გამგეობები, რომლებიც ცალკეულ ფაკულტეტებთან იყო მოწყობილი. გარდა საფაკულტეტო გამგეობებისა, არსებობდა საერთო-საუნივერსიტეტო მთავარი გამგეობა. სტუდენტთა ამ ორგანიზაციების მუშაობის მთავარ ამოცანას შეადგენდა ზრუნვა სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა და მათი კულტურული დონის ასამაღლებლად «სტუდენტობა დღეს მხოლოდ საკუთარი ძალების ანაბარათ არის დატოვებული, მაგრამ მან დროზედ შეიგნო თავისი საჭიროება და შეადგინა თავისი კავშირი, რომელიც იურიდიულ პიროვნებას წარმოადგენს და მიღებულ წესდების თანახმად მოქმედებს. ამ ერთი წლის განმავლობაში კავშირის გამგეობამ შესძლო დაეარსებინა სტუდენტთა დამხმარე სხვა და სხვა დაწესებულებები. მაგალითად სასადილო, რომელიც ასე გაჭირვებულ დროს ძალიან დიდ დახმარებას უწევს არამარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არამედ თბილისის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობას. ეს სასადილო მოქმედებს 1919 წლის 3 ივნისიდან...» [144, 221-222].

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდკავშირის გამგეობის მიერ არჩეული იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა საგანგებო ღონისძიებათა გამონახვა სახელმწიფო უნივერსიტეტის სასადილო ფონდის შესაქმნელად, რომლის მთავარ მისიას წარმოადგენდა სტუდენტთა საზრდოთი დაკმაყოფილება. ამ კოოპერატიულმა სასადილოებმა 1919-1921 წ.წ. დიდი როლი ითამაშეს პროვინციებიდან ჩამოსულ სტუდენტთა ცხოვრებაში. ისინი მათ, ფაქტობრივად, შიმშილისაგან იხსნეს. თუმცა არ შეიძლება, არ აღინიშნოს ისიც, რომ, ამ

სასაუზმეებში ადგილი ჰქონდა ფინანსურ დარღვევებს, რასაც მოჰყოლია სასწრაფო რეაგირება გამგეობის მხრიდან. სახელმწიფო უნივერსიტეტის «სტუდენტთა კოოპერატივის «ჩვენი ოჯახის» წევრთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ვიწვევთ კოოპერატივის წევრთა საგანგებო კრებას. განსახილველია შემდეგი გადაუდებელი საკითხები: 1) დაშლილი გამგეობის საქციელი; 2) დამფუძნებელი წევრების უკანონო მოქმედება; 3) ხარჯთაღრიცხვების განხილვა-დამატება და სხვა მიმდინარე საკითხები» [91, 3]. როგორც ვხედავთ, მთავრობა ცდილობდა, დახმარების ხელი გაეწოდებინა გაჭირვებაში ჩავარდნილი ახალგაზრდებისათვის და ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა შექმნილი მდგომარეობა და შეძლებისდაგვარად გადაეწყვიტა ზოგიერთი პრობლემა.

ბიძინა რამიშვილი 1918 წლის აგვისტოს თვეში უგზავნის მიმართვას განათლების სამინისტროს, რომ «ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობამ გადაწყვიტა, რათა ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს უღარიბეს ამხანაგებს არსებობა, მოაწყოს ქ.ტფილისში სტუდენტთა თავშესაფარი; სრულიად დარწმუნებული რომ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდება ამ ჩვენს განზრახვას, მოგმართავთ, უმორჩილესი თხოვნით იშუამდგომლოთ ქალაქის თვითმმართველობის წინაშე, რომ დაგვითმოს შესაფერისი ბინა სტუდენტთა თავშესაფრისათვის» [141, 21]. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილემ, გაეცნო რა აღნიშნულ წერილს, სასწრაფოდ აღძრა შუამდგომლობა ქალაქის თვითმმართველობაში და სთხოვა, რომ «ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას განუზრახავს მოაწყოს თავშესაფარი, რათა ოდნავ მაინც შეამსუბუქოს უღარიბეს მოსწავლეთა მდგომარეობა. გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ, ბატონ ქალაქისთავს, დახმარება აღმოუჩინოთ ხსენებულ სტუდენტთა კავშირის გამგეობას ამ საქმის მოწესრიგებაში და დაუთმოთ შესაფერისი ბინა სტუდენტთა თავშესაფრისათვის» [141, 22]. მისი ეს თხოვნა დაკმაყოფილდა და სტუდენტებს გამოეყოთ შენობის ნაწილი. გაჭირვებული სტუდენტობის დასახმარებლად ზრუნავდა არა მარტო საქართველოს მთავრობა, არამედ ერობები, ქალაქის კოოპერატივები და მათი კავშირები. ამ დაწესებულებებმა თავიანთ თავზე აიღეს სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობის შენახვა იმ პირობით, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ისინი იმსახურებენ იმ დაწესებულებეში, რომლებმაც მათთვის გაიღეს საჭირო თანხები» [44, 3].

სტუდკავშირის გამგეობამ გააქტიურა თავისი მოთხოვნები. 1920 წლის დასაწყისში იგი ითხოვდა, მონაწილეობა მიეღო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსა და ფაკულტეტების სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით. ამასთან დაკავშირებით პროფესორთა საბჭომ დაადგინა: «ეცნობოს სტუდენტთა კავშირის გამგეობას, რომ პროფესორთა საბჭოს სასურველად მიაჩნია გამგეობასთან კავშირის დაჭერა, რადგანაც ეს საშუალებას მისცემს მას ადვილად გადაუწყვიტოს ზოგიერთი ტექნიკური ხასიათის საკითხები, მაგრამ ეს კავშირი უნდა იყოს უნივერსიტეტის გამგეობისა და ფაკულტეტების დეკანების საშუალებით» [93, 100]. ამრიგად, საბჭომ შექმნა ერთგვარი მოდელი სტუდკავშირების ფაკულტეტის დეკანატებთან და უნივერსიტეტის გამგეობასთან ურთიერთობისა, რომლებიც ერთგვარ საშუამავლო რგოლს წარმოადგენდნენ მათი პროფესორთა საბჭოსთან ურთიერთობაში. მათი მოქმედება მკაცრად იყო განსაზღვრული, ერთი მხრივ, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ სტუდკავშირის შემადგენლობა პარტიული თვალსაზრისით ჭრელი იყო. სტუდკავშირებში გაწევრიანებული სხვადასხვა პარტიის ემისრები თავიანთი პარტიული ინტერესების გატარებას ცდილობდნენ. როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლები, ისინი ცდილობდნენ თავიანთი მსოფლმხედველობის გატარებას, რომლის წინააღმდეგიც იყო ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული უნივერსიტეტის პროფესურა. ი. ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრენი კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ სასწავლებლის პოლიტიზირებისა.

1918 წლის 10 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდკავშირის გამგეობამ შეიმუშავა უნივერსიტეტის კოოპერატივის პროექტი, რომელშიაც დასაბუთებულად არის წარმოდგენილი, თუ როგორ შეიძლება პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებთან ერთად, თავი დააღწიონ ამ საშინლად გაუსაძლის სოციალურ პირობებს კოოპერატივის კათედრის შექმნით, რომელიც აქ აღზრდილი კადრის მეშვეობით ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და დაისახავს გზას მისი კრიზისიდან გამოყვანისათვის. სტუდკავშირმა მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დასახმარებლად და ითხოვა «რაც შეიძლება მალე დაარსდეს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ეკონომიურ განყოფილებასთან, კათედრა კოპერაციისა, ხოლო ამ კათედრის მატერიალურ უზრუნველყოფაზე იშუამდგომლოს ამიერკავკასიის კოპერატივთა

კავშირის გამგეობის წინაშე» [98, 122]. ამას თან ერთვის მინაწერი: «კოოპერაცია ერთ-ერთი საგანია პოლიტიკური ეკონომიისა – ამიტომ ცალკე ლექციების კითხვა რასაკვირველია სასურველია, მაგრამ პროფესორთა სიმცირის გამო ვერ ხერხდება» [98, 123].

უნივერსიტეტის სტუდენტობა მარტო ეკონომიკური საკითხით როდი ინტერესდებოდა. სტუდკავშირის მთავარ გამგეობასთან შეიქმნა სამეცნიერო-ლიტერატურული სექცია. «სტუდენტთა ინიციატივის მნიშვნელოვან ფაქტად უნდა იქნეს დასახელებული სტუდენტთა «საპედაგოგო სამეცნიერო წრის» დაარსება 1919 წლის თებერვალში და სტუდენტთა ერთი ჯგუფის მიერ 1920 წელს ყოველთვიური სამეცნიერო-ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალის გამოცემა სახელწოდებით: «მომავალი» - ა.შილაკაძის რედაქტორობით» [8, 66].

1920 წლის 11 იანვარს უნივერსიტეტის სტუდკავშირის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, სრულიად საქართველომ ყოველწლიურად იდღესასწაულოს 26 იანვარი უნივერსიტეტის გახსნის დღე, როდესაც აღსრულდა თაობების ოცნება და საქართველოს ეღირსა მშობლიური, ეროვნული უმაღლესი სკოლა. «საგამგეო კომიტეტი ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ სტუდენტთა გამგეობის და საზოგადო მოღვაწეთა საგამგეო სხდომის დადგენილების თანახმად იანვრის 26-ი ცხადდება «ქართველი სტუდენტის დღედ». ამ დღეს მთავარი კომისიის დადგენილებით სრულიად საქართველოში იმართება სადღესასწაულო საღამოები... ესე იგი, სადღესასწაულო წარმოდგენები... არტისტულ ყველა დარბაზებში გაიმართება დიდი ტრადიციული სტუდენტთა ეროვნული საღამო» [35, 1]. 26 იანვარი გამოცხადდა დიდი ეროვნული დღესასწაულის დღედ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება ეს იყო მნიშვნელოვანი მონაპოვარი ქართველი ერისა, რომელსაც შთამომავლობამ ღირსეული შეფასება მისცა.

ამ დღესთან დაკავშირებით გამოიცა ჟურნალი «ქართველი სტუდენტი» - 700 ეგზემპლიარი. მასში დაბეჭდილია პროფესორების, სტუდენტებისა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები. მისი გავრცელება დაევალა გზათა დეპარტამენტის დირექტორს მატარებლებში, პროპაგანდის თვალსაზრისით.

ქალაქის თავმა ბ. ჩხიკვიშვილმა განკარგულება გასცა, რათა 26 იანვარს არტისტული საზოგადოების დარბაზი საზეიმოდ მოერთოთ. მისი დეკორატიული მორთვა ყვავილებითა და გირლიანდებით მინდობილი ჰქონდათ მხატვრებს: ე.

ახვლედიანსა და ზალცმანს.. ინჟინრებს დაევალათ, დახმარებოდნენ სტუდენტებს დარბაზის მორთვაში, ასევე ქალაქის მერის განკარგულებით, სტუდენტობას დაეთმო ექვსი ავტომობილი სხვადასხვა საჭიროებისათვის [65, 4]. ასე რომ, მთავრობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, შეძლებისდაგვარად, მხარში ედგნენ ახალგაზრდობას და ყველანაირად ცდილობდნენ მათ დახმარებას.

უნივერსიტეტში «სტუდენტთა შორის დაარსდა დრამატული წრე, რომლის ხელმძღვანელობაც იკისრა სახელმწიფო თეატრის კომისარმა ალექსანდრე წუწუნავამ. აღნიშნული წრე მოქმედებას დაიწყებს მომავალ სამეცნიერო წლის დამდეგს. წრის წევრებად ჩაწერა სწარმოებს სტუდენტთა სასადილოში» [67, 3].

ამ დრამატულ წრეში მოსახვედრად საჭირო იყო სპეციალური გამოცდის ჩაბარება, ლექსის ან მონოლოგის სახით. «გამოცდების დაწყებადმდე წრის ხელმძღვანელი ალ.წუწუნავა წაიკითხავს ლექციას დრამატულ დარგში» [98, 3]. ამ დრამატულმა წრემ დიდი როლი ითამაშა სტუდენტთა ცხოვრებაში.

უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობის მიერ აღძრული იქნა საკითხი ქართული უნივერსიტეტის გამგეობის წინაშე 1918 წლის ნოემბერში, თუ რა ნიშანი ან რა ფორმა უნდა ეტარებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობას? «რადგანაც არსად, რუსეთის გარდა, არ არსებობს სტუდენტთათვის განსაკუთრებული ფორმა (კორპორაციები სათვალავში მისაღები არ არის) და რუსეთშიც კი არ ყოფილა იგი... ამიტომ ეს საკითხი ჩვენი სტუდენტობის მიერ ფორმის ტარების შესახებ უარყოფილი იქმნეს» [95, 5]. თუმცა მოგვიანებით ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდა უნივერსიტეტის რექტორი ი. ჯავახიშვილი და თავის მოხსენებაში 1920 წლის 24 ივნისს განაცხადა: «დაწესებულ იქმნეს სტუდენტთათვის სატარებლად განსაკუთრებული ქუდები და აეკრძალათ რუსული უნივერსიტეტის სტუდენტების ქუდების ტარება» [95, 200].

მიუხედავად საქართველოში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს მთავრობამ, სრული იზოლაციის პირობებში, სხვა ქვეყნებისაგან სესხის აღების გარეშე, შეძლო საკუთარი საფინანსო და საბიუჯეტო სისტემის შექმნა.

ამ პერიოდში შეიქმნა მრეწველობის საზოგადოებრივი კოოპერატიული სექტორი, რომლის გამოყენებითაც მთავრობა ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რათა

მცირედ მაინც შეემსუბუქებინა ინტელიგენციისათვის ეკონომიკური სიდუხჭირე, ხოლო სტუდენტთა გაუსაძლისი მდგომარეობის დარეგულირებას იგი ცდილობდა სტუდკავშირის გამგეობების მიერ წამოყენებული წინადადების მხარდაჭერით. სტუდკავშირი ასრულებდა ერთგვარი მაკავშირებელი რგოლის ფუნქციას სტუდენტობისა – უნივერსიტეტის გამგეობასთან.

ამრიგად, დიდია ღვაწლი იმ პერიოდის უნივერსიტეტის სტუდენტთა წინაშე სტუდკავშირის მთავარი გამგეობისა, რომელიც ცდილობდა, როგორც ეკონომიკური ასევე კულტურული ღონისძიებების განხორციელებას.

უდიდესი როლი ითამაშა მთავრობის ხელშეწყობით დაარსებულმა სასადილოებმა, რომელნიც იმ დროს სალონურ დატვირთვის მქონენი იყვნენ. აქ სტუდენტები მართავდნენ დისპუტებს, საღამოებს. აქ სპეციალურად გამოყოფილ დაფაზე იკვრებოდა განცხადებები მიმდინარე მოვლენების შესახებ. სწორედ აქ გადაწყდა 26 იანვრის გამოცხადება «სტუდენტის დღედ», რომელიც სრულიად საქართველომ ზეიმით აღნიშნა.

უნივერსიტეტის პროფესურამ, სტუდენტებთან ერთად, მთავრობის ხელშეწყობით, მიუხედავად დიდი გასაჭირისა, ჩინებულად გაართვა თავი თავის მოვალეობას.

§ 5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კულტურული რეფორმა

ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენამ ძირეულად შეცვალა ქართული კულტურის განვითარების გზა. შეწყდა ეროვნული კულტურის დევნა და შევიწროება. წერტილი დაესვა რუსიფიკაციას. თუმცა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელ პერიოდში რუსეთის დროებითი მთავრობა მაინც არ წყვეტდა ძალისხმევას კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში თავისი პოზიციების ახლებური მეთოდით შესანარჩუნებლად. აღნიშნილი საქართველოს კულტურასთან მიმართებასა და საქართველოს ეკლესიისადმი დამოკიდებულებაში ვლინდებოდა (მაგალითად, რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის არატერიტორიული პრინციპით

აღიარება). ამგვარი პოლიტიკა ხანგრძლივი დროის მანძილზე XX საუკუნის 40-იან წლებამდე გრძელდებოდა.

დემოკრატიული საქართველოს მმართველობის დროს საქართველოში წარმოიშვა ახალი პროგრესული ტენდენციები, რომელთაგან მთავარი იყო საქართველოს კულტურის ნაციონალიზაცია, დემოკრატიზაცია და ევროპეიზაცია. ქართული კულტურისა და განათლების გაეროვნულობის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული ენის უფლებების აღდგენას ენიჭებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა. ბუნებრივია, მარტო ენის სტატუსის აღდგენით არ შემოიფარგლებოდა ქართული კულტურის ფერისცვალება. ამ პერიოდის მწერლობის, განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების პრიორიტეტი ეროვნული სულის, მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ისტორიული ტრადიციების აღდგენასა და განვითარებას ეხება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული კულტურის ევროპეიზაციის საკითხი. აქამდე საქართველოს ევროპულ კულტურასთან ზიარება მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს საშუალებით ხორციელდებოდა. ახლა კი საქართველოს შესაძლებლობა მიეცა, უშუალოდ გასულიყო და გასცნობოდა ევროპულ კულტურას. განსაკუთრებით გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდა, ქართული ეროვნული კულტურის სინთეზი ევროპულ კულტურასთან. ეს პროცესი ნელა, წინააღმდეგობებით, მაგრამ მაინც ინტენსიურად მიმდინარეობდა.

ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება თავის თავად უდიდესი ეროვნული დატვირთვის მქონე იყო, მაგრამ მას შეიძლება უარყოფითი შედეგიც მოჰყოლოდა, თუ იგი სხვა ენების უფლებებს დაუპირისპირდებოდა. იმდროინდელი კონსტიტუციის ერთ-ერთი თავი ეთმობოდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომელიც მათი კულტურისა და ენის დაცვის საკითხებს ეხებოდა. «ყველას აქვს უფლება წეროს, ბეჭდოს და ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე» [62, 57].

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში მოასწრო მნიშვნელოვანი გარდაქმნის გატარება განათლების დარგში. მან უნივერსიტეტის წამყვან სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავა სპეციალური განათლების პროექტი, რომლის მიხედვითაც, პირველდაწყებითი სწავლება უფასო, საყოველთაო და სავალდებულო გახდა. იგი საფუძველი და შემადგენელი ნაწილი იყო საშუალო და უმაღლესი სკოლისა. 1918 წლის კონსტიტუციით

გათვალისწინებული იყო უღარიბესი ბავშვებისათვის ტანსაცმლის, საზრდოსა და სასწავლო ნივთების გადაცემა. «დამოუკიდებლობის პირველსავე წელს 166 დაწყებითი სკოლა გაიხსნა. მარტო სოფლად მოსწავლეთა რიცხვმა 100 ათას მიაღწია. 1921 წლისთვის ყველა სახის 2099 ზოგადსაგანმანათლებლოში 259 ათასი მოსწავლე სწავლობდა» [13, 101]. როგრც საარქივო მასალა ცხადყოფს, სწრაფად იზრდებოდა მოსწავლეთა რიცხვი დაწყებით სკოლებში, რაც, ბუნებრივია, მთავრობის მიერ გატარებულ საგანმანათლებლო რეფორმას უკავშირდებოდა. უფასო დაწყებითმა განათლებამ სკოლებში ბავშვთა რაოდენობის მატება გამოიწვია. აქამდე მოსახლეობას ამისათვის საჭირო თანხები არ გააჩნდა. მათი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დროს საგანმანათლებლო რეფორმა ჭეშმარიტად დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა და იგი ხალხის სამსახურში იდგა. «ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია. სახელმწიფოს მოვალეობაა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას“ [62, 56].

1918 წელს, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მთავრობამ დაიწყო სკოლებისა და სემინარიების ნაციონალიზაცია. ეს სასწავლებლები ქართულ სახელმწიფო სკოლებად გამოცხადდა. რაც მთავარია, აქ ყველგან სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს მათი ეროვნული პოლიტიკის გატარების კიდევ ერთი დადასტურებაა.

რაც შეეხება მთავრობის პოზიციას საეკლესიო პოლიტიკაში, ამოდიოდა რა იგი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის პრინციპიდან, იგი ეკლესიისაგან სკოლის სრულ ჩამოშორებას მოითხოვდა, ხოლო 1918 წლის 26 ნოემბრის კანონით, სკოლებში «საღვთო-სჯულის» სწავლება აიკრძალა. თუმცა არ შეიძლება, არ აღინიშნოს ისიც, რომ მსურველებს მიეცათ უფლება, საკუთარი ხარჯებით შეესწავლათ იგი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებას, ურომლისოდაც უპერსპექტივო იყო თვით საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაც და ქვეყნის ეროვნული კურსიც. ამ დროს არ მუშავდებოდა და არ წყდებოდა მთავრობაში არც ერთი საკითხი, რომლის განხილვაშიც აქტიური მონაწილეობას არ იღებდა თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. «ის, რაც მაშინ შეიქმნა, ადრევე

მზადდებოდა, ეს იყო ორგანული გაგრძელება იმ მიზანდასახული შემოქმედებითი საქმიანობისა, რომელიც წინ უსწრებდა დამოუკიდებლობას და ეს არის მთავარი – იგი ამზადებდა ამ დამოუკიდებლობას სულიერი ცხოვრების სფეროში» [3, 3].

ეროვნული უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტებს დიდად არ ჩამორჩებოდა თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური დონით. იგი თამამად გაუტოლდებოდა უკვე ჩამოყალიბებული დიდი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტებს. იმდროინდელი სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლები ჩვენ წარმოგვიდგებიან, როგორც ევროპული მასშტაბის სახელმოხვეჭილი მეცნიერებათა დარგის მეთაურნი და მეცნიერული სკოლის შემქმნელნი.

უნივერსიტეტის მესვეურთა უდიდეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 18 იანვრის კანონით უნივერსიტეტთან სასანიტრო ინსტიტუტის დაარსება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა შემდეგში სამედიცინო ინსტიტუტის დაარსებას.

თბილისში უნივერსიტეტის დაარსება, უპირველეს ყოვლისა, ქართველოლოგიური ცენტრის საქართველოში გადმოტანას ნიშნავდა, მაგრამ მალე ის სხვა მეცნიერებათა ფუძემდებლად და განშტოებადაც იქცა [13, 45].

ყველასათვის ცნობილია, ქართული მეცნიერება დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რადგან არ გააჩნდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია. სწორედ ამიტომ ქართულ უნივერსიტეტთან 1918 წელსვე დაარსდა სატერმინოლოგიო სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობას პროფესორი ი.ჯავახიშვილი უწევდა. იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა: ,,ტერმინოლოგიის ხაზით უნივერსიტეტში სასწრაფო მუშაობა სწარმოებს ყველა დარგში, განსაკუთრებით კი ქართული ენის ტერმინების შედგენაში. ამიერიდან კი ვინც სახელმძღვანელოების შედგენაზე იმუშავებს, ანგარიში უნდა გაუწიოს იმ ტერმინებს, რომლებიც უკვე შემუშავებულია უნივერსიტეტის პროფესორების მიერ.''[78,3]

გარდა უნივერსიტეტისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, იმ ხანებში კიდევ არსებობდა რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება და საზოგადოება, რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდათ საქართველოს კულტურის შესწავლასთან; ასე მაგალითად: 1. კავკასიის მუზეუმი, რომელიც 1919 წელს საქართველოს მუზეუმად გადაკეთდა. იგი არ იღებდა არავითარ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე. ი.

ჯავახიშვილი იყო მისი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. 2. ყოფილი ეკლესიის მუზეუმი, რომელმაც ბინა უნივერსიტეტის შენობაში დაიდო და ქართველ მეცნიერებთან ერთად ცდილობდა დაეცვა განადგურებისაგან ქართული საეკლესიო განძი. 3. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი. 4. შინამრეწველობის მუზეუმი; «ამ მუზეუმებში არ იყო დაცული სამუზეუმო-საექსპოზიციო თემატიკა. ერთი და იგივე სახის ექსპონატს შეიძლება რამდენიმე მუზეუმში წაწყდომით. 1918-1921 წ.წ. ვერ მოხერხდა სამუზეუმო დარგის რეორგანიზაცია» [3, 9]. თუმცა არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ ამ მხრივ გადადგმული იქნა არაერთი ნაბიჯი და მუზეუმის მუშაკთა მთავარი საქმიანობა მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმობნეული ექსპონატები შეეგროვებინათ და განადგურებისაგან ეხსნათ. ერთი სიტყვით, მათი მოღვაწეობა ძირითადად შემოიფარგლებოდა შემგროვებლობით.

მუზეუმების მსგავსად დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ იმ დროს არსებული საზოგადოებები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, მიზერული თანხით ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად, შეეგროვებინათ და დაეცვათ ქართული ხელოვნების ნიმუშები. ეს საზოგადოებებია: 1. მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომლის თავმჯდომარე იყო ლევ ლოპატინსკი, (წევრები: ლეონ მელიქსეთ-ბეგი და დიმიტრი გორდეევი; საპატიო წევრები: ე. თაყაიშვილი, ოლივერ უორდროპი; ნამდვილი წევრები: ს. კაკაბაძე, მ. ჯანაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ავალიანი.) 2. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომელმაც მალე შეწყვიტა მუშაობა. 3. საქართველოს ტექნიკური საზოგადოება და ა.შ. [3, 10].

თვითმპყრობელობის მოხელეთა აქტიური ქმედებით თითქმის განადგურებული იყო უნიკალური საეკლესიო კედლის მხატვრობა. უკიდურესად მძიმე და სავალალო მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდნენ როგორც ქართველი სასულიერო ფენის წარმომადგენლები, ასევე ჩვენი სამეცნიერო ელიტა. ამ საქმისათვის საგანგებოდ მოიწვიეს გამოჩენილი ფერმწერი და გრავიორი გ.ტატიშვილი, რომელსაც საქართველოს ეპარქიების სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში გადარჩენილი ორნამენტების გადმოღება დაევალა.[136,2] ასეთმა ქმედებამ, ფაქტობრივად, ფრესკული ფერწერის დიდი ნაწილი შეუნერჩუნა შთამომავლობას.

ქართველი სამღვდელოება, ინტელიგენციისა და ხალხის დახმარებით, აქტიურად შეუდგა ქართული სიძველეების, ფოლკლორული მასალის შეგროვებასა და მის ერთ ადგილზე თავმოყრას. მათ დაიწყეს საქართველოს გარეთ რუსი სასულიერო თუ საერო პირების, ქვეყნის მოღალატეთა მიერ გატანილი ნივთების შეგროვება-გამოსყიდვა. ამ საქმეს ღირსეულად ართმევდა თავს საქართველოს სიძველეთა მუზეუმი, რომლის წესდებაც დიმიტრი ბაქრაძემ შეიმუშავა. იგი წერდა: ,,საჭიროა დავაარსოთ სიძველეთა საცავი და მასში შევკრიბოთ საქართველოს ტაძარ-მონასტრებში გადარჩენილი სამწერლო და სხვა ნივთები.''[159,2]

,,1899 წლიდან ქართველი სამღვდელოება ქართული საეკლესიო მუზეუმისთვის ყოველწლიურად 1000 მანეთს იღებდა, რომელიც საერო საქმეს ხმარდებოდა''[159,2]. მოგვიანებით ქართული მაღალი სასულიერო იერარქიის გადაწყვეტილებით, საეკლესიო სიძველეთა მუზეუმი უნივერსიტეტს გადაეცა.

1920 წლის 30 მარტის დამფუძნებელი კრების დეკრეტით შეიქმნა სამხატვრო გალერეა, რომელიც, ფაქტობრივად, ხელოვნების მუზეუმის ჩანასახი იყო. მისი მთავარი ამოცანა იყო როგორც ძველი, ასევე ახალი ფერწერული ტილოებისა და ქანდაკებების შეგროვება და თავმოყრა ერთ ჭერქვეშ.

რესპუბლიკის მთავრობას მხედველობიდან არ გამორჩენია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული საარქივო ფოლიანტები, უძველესი ხელნაწერები, გრაგნილები, რომელნიც უკვე დასაღუპად იყო განწირული, რადგანაც მოსახლეობა მას საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის იყენებდა. საჭირო იყო სასწრაფო, გადამჭრელი ზომების მიღება და აი, 1920 წლის 28 აპრილის, დამფუძნებელი კრების დადგენილებით, შეიქმნა რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივი. თუ არა ს. კაკაბაძე, გ.ბოჭორიძე, გ. გოზალიშვილი, ვ. ბერიძე, შ. ჩხეტია და სხვა აქ მოღვაწე მეცნიერთა თავგანწირვა და დაუშრეტელი შრომა, არ ექნებოდა დღეს საქართველოს ის უძველესი ხელნაწერები და XIX საუკუნის საარქივო მასალა, რომელიც დღეს ინახება საისტორიო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. ქართველი მეცნიერების მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმობნეული ქართული საეკლესიო და საერო წერილობითი ძეგლების ადგილ-სამყოფელი. ისინი დაცული აღმოჩნდა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო-საჯარო ბიბლიოთეკაში, რუსეთის სხვადასხვა მუზეუმში, საეგზარქოსოს მუზეუმში, მეცნიერებათა აკადემიის

ბიბლიოთეკაში, კიევის უნივერსიტეტში, მოსკოვის ბიბლიოთეკაში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ა.შ. საჭირო იყო დაზუსტება და სიების შედგენა იმ ისტორიული ღირებულების მქონე ხელოვნების ნიმუშებისა და ნარატიული ძეგლებისა, რომლებიც იმყოფებოდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ეს მისია დაევალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერსა და სამეცნიერო არქივის გამგეს სარგის კაკაბაძეს, რომელმაც სამშობლოს დაუბრუნა ხელნაწერებით სავსე 39 ვაგონი. ამ ხელნაწერებს შორის იყო დავით აღმაშენებლის ხანძარს გადარჩენილი ანდერძი, თამარ მეფის სიგელი და სხვა უნიკალური დოუმენტი. [131,13]

ქართული კულტურის უდიდეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს 1917 წლის მაისში თბილისის კონსერვატორიის დაარსება. მის დასაარსებლად ბრძოლა XX ს-ის დასაწყისიდანვე გაიშალა, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა მხოლოდ თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ მოხერხდა. ამ საქმის ინიციატორი და ხელისშემწყობი გახლდათ «საქართველოს სამუსიკო საზოგადოება», რომელმაც 1920 წლის 25 იანვარს საგანგებო სხდომა გამართა კ.ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაესწრნენ დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის წარმომადგენელი გ.ქიქოძე, სახალხო განათლების წარმომადგენელი ვ.ბერიძე, სახელწიფო უნივერსიტეტის წამომადგენელი ი.ჯავახიშვილი და სამუსიკო კოლეგია. მათი მთავარი მიზანი იყო უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის დაარსება საქართველოში. ამ სხდომაზე იყო აზრთა სხვადასხვაობა. ი.ჯავახიშვილი კრებაზე სიტყვით გამოვიდა და შეეცადა საზოგადოებისათვის დაესაბუთებინა უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის დაარსების აუცილებლობა, თუმცა, საარქივო ჩანაწერების თანახმად, ,,მხოლოდ შიშობს, რომ ეს ნაადრევი იქნება, რადგან ქართველებს არ ჰყავთ ჯერ-ჯერობით საკმარისად თეორიულად მომზადებული მუსიკოსები. ნამდვილი მეცნიერები, რომელნიც საჭიროა ეროვნული ხელოვნების განვითარების საქმეში. ამისთვის,_ ფიქრობს იგი _ მივმართოთ დასავლეთს''. [116,15] მ.მაჩაბლისა და კ.ფოცხვერაშვილის აზრით, ,,უსათუოდ უნდა დაარსდეს ქართული კონსერვატორია, რომელსაც სარჩულად ქართული სული დაედება. მიეცემა ნაციონალური სახე. ამისთვის შესაძლებლად მიაჩნიათ შეერთებული ძალებით დაარსდეს ქართული კონსერვატორია, რომ ქართველებს მოეპოვებათ ძალები, თეორიულად ბევრად თუ ცოტად მომზადებული. საკმარისია, მხოლოდ ყოფილი რუსული კონსერვატორია გამოცხადდეს სახელმწიფო კონსერვატორიად. ეთხოვოს განათლების მინისტრს, რაც

შეიძლება მალე მიიღოს ყოველი ღონისძიება ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებლად.”[116,16]

თავისი მუშაობა 1920-1921 წლების მიჯნაზე გააქტიურა თეატრალურმა საზოგადოებამ. იგი ცდილობდა, მოეძებნა ეროვნული სტილი და საკუთარი, მშობლიური რეპერტუარი დაემკვიდრებინა სცენაზე. ამ საქმეში განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა პარიზიდან ახლად დაბრუნებული გიორგი ჯაბადარი. რომელიც ევროპაში მიღებული გამოცდილების დამკვიდრებას ცდილობდა ქართულ სცენაზე. ამ დასში ძირითადად გაერთიანებული იყვნენ ახალგაზრდა მსახიობები, რომლებმაც მოგვიანებით საფუძველი ჩაუყარეს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრს.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელმაც მხოლოდ 3 წელი მართა ქვეყანა, ამ მოკლე პერიოდში შეძლო ერისთვის მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმების გატარება, მაგრამ საქართევლოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მმართველობის პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის უნივერსიტეტისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭება. ეს ის პერიოდია, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინარჩუნებდა სრულ ავტონომიას და ქვეყნის მმართველობითი აპარატი მის დასახმარებლად ყოველთვის მზადყოფნაშია იყო. ეს ის წლებია, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები ერთად იღვწოდნენ ეროვნული იდეალების რეალიზაციისათვის.

თავი IV

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკისადმი

§1. რელიგიის სწავლების პრინციპების შემუშავება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

როგორც უკვე აღინიშნა, ახლად დაარსებული უნივერსიტეტი გვევლინება ქართული ეროვნული განათლების მიმართულების განმსაზღვრელად. იგი აქტიურ როლს თამაშობს საგანმანათლებლო პროგრამების შედგენაში. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ უნივერსიტეტში პირველად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი გაიხსნა. აქ საგანგებოდ არ შევაჩერებთ ყურადღებას ამ განხრის დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც მას ი. ჯავახიშვილმა მიანიჭა. 1918 წელს მან, უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანმა, შეადგინა კათედრის მომავალი სამოქმედო გეგმა. უმაღლეს სკოლაში რელიგიის სწავლებისადმი მისი შეხედულებები, რომელიც ნათლად იკვეთება ამ წერილში, პირველად გამოგვაქვს სამეცნიერო სამსჯავროზე. იგი მიმოფანტული ფურცლების სახით შემორჩა შთამომავლობას. სავარაუდოა, რომ ამ გეგმამ, ხელისუფლების მიერ ეკლესიის დევნიდან გამომდინარე, ცვლილებები განიცადა, ოფიციალური სახით სულ სხვაგვარად წარმოგვიდგა. ჩვენთვის საინტერესო ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. იგი ვრცლად საუბრობდა იმ მიზნებსა და ამოცანებზე, რომელიც ამ ფაკულტეტს ეკისრა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მისი აზრით: «ქართულ მომავალ უნივერსიტეტშიაც უნდა იყოს ან ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი ან სიბრძნისმეტყველების ან კიდევ ფილოსოფიურ ფაკულტეტთან სალექციო გეგმა და წასაკითხი საგნების სია უნდა იყოს წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული. თუნდაც რომ ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი შეიქმნას, მას პრაქტიკული ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს, იქ მღვდელმსახურებისათვის კი არ უნდა ამზადებდნენ, არამედ მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით უნდა ხელმძღვანელობდეს... და მის ერთადერთ მიზანს საქრისტიანო დოღმატიკის, მწერლობისა, მთარგმნელობისა, საეკლესიო სამართლისა და ზნე-ჩვეულებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა უნდა იყოს. იმ უმაღლეს სასწავლებელს სადაც ამ საგნებს მკვლევარი არ ჰყავს სრულ უმაღლეს სასწავლებლად ვერ ჩაითვლება». [96, 54-55]. როგორც წყაროდან ჩანს, მეცნიერს სამოქალაქო ისტორიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგების სრულფასოვანი კვლევა ღვთისმეტყველებისა და რელიგიათა ისტორიების კვლევის გარეშე ვერ წარმოედგინა. ეს პროგრამა დიდი სჯა-ბაასის საგანი გამხდარა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წინაშე. ყოფილა აზრთა სხვადასხვაობა, რასაც, ბუნებრივია, კამათიც მოჰყოლია. სწორედ ამის გამო ივანე ჯავახიშვილი გაბედულად ასაბუთებდა თავის

მოსაზრებას და ამით იგი უპირისპირდებოდა მთავრობის ზოგიერთ წარმომადგნელს, ვინც ცდილობდა, თავისი უარყოფითი დამოკიდებულება რელიგიისადმი თავს მოეხვია უნივერსიტეტის პროფესურისათვის. მოგვიანებით ი.ჯავახიშვილი წერდა: «ჩვენში ბევრნი სარწმუნოებას ალმაცერად უყურებენ. ამის გამო თავიანთ ღირსების დამამცირებლად მიაჩნიათ საღვთისმეტყველო მეცნიერებაზე სჯა-ბაასიც კი, მაგრამ ამ შემთხვევაში ფრიად სამწუხაროა ცნებათა აღრევა და გაუგებრობაა. საქრიატიანო და სამაჰმადიანო (დაბადების, სახარების, ყურანის და სხვათა) საღმრთო წერილის წარმოშობისა და თანდათან განვითარების ისტორია მაგალითად იმდენად საგულისხმიერო და დიდმნიშვნელოვანი საგანია, რომ იქ, სადაც ამ საგნებს მეცნიერ-მკვლევარი არ ჰყავს, უნივერსიტეტიც სრულ სამეცნიერო უმაღლეს დაწესებულებად ვერ ჩაითვლება. ამის გამო ცალკე ფაკულტეტის თუ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტში ჩართვით მომავალში მაინც ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტში საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ლექციებიც უნდა შემოღებულ იქნას. ამა თუ იმ სარწმუნოების აღიარება ან უარყოფა ურწმუნოება, რწმენა ყოველი ადამიანის პირადი შეგნებისა და რასაკვირველია გრძნობის საქმეა, მაგრამ სულ სხვაა სარწმუნოებათა ისტორიულ-მეცნიერული შესწავლა. შეიძლება ადამიანი ურწმუნოც იყოს, მაგრამ რომ სარწმუნოებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი ადამიანთა მოდგმის სულიერი შემოქმედების ერთ-ერთი უძლიერესი დარგის გამოხატულობაა, ამის უარყოფა არავის შეუძლიან. ამიტომ თეორიით მეცნიერებაც მოვალეა სარწმუნოებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა თავს იდვას, რაკი ჰუმანურ მეცნიერებათა მიზანი ადამიანის სულიერი შემოქმედების ყოველმხრივ გამოხატულობის შესწავლაა» [96, 56-57]. ი. ჯავახიშვილი თავისი პოზიციის ამგვარი დაფიქსირებით ცდილობდა წინ აღდგომოდა მთავრობის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიმართული იყო რელიგიის სწავლების წინააღმდეგ უნივერსიტეტში. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ივანე ჯავახიშვილს არც მთავრობის საეკლესიო პოლიტიკისადმი უნდა ჰქონოდა დადებითი შეხედულება.

ადგენდა და იხილავდა რა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მომავალ სამოქმედო გეგმას, ი. ჯავახიშვილი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, განსაზღვრავდა აგრეთვე იმ მომავალი საგნების სიასაც, რომელიც აქ უნდა წაკითხულიყო: საეკლესიო ისტორია, ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო

მწერლობის ისტორია, ქართული ძველი სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორია, საეკლესიო სამართალი. ლექციები უნდა წაეკითხათ ღვთისმეტყველების მაგისტროსს, პროფესორ კორნელი კეკელიძესა და პროფესორ იოსებ ყიფშიძეს [90, 98-63-65]. მაგრამ მთავარი იყო იმ კათედრის სახელწოდების შერჩევა, რომელიც შემდეგ ამ საქმეს უხელმძღვანელებდა.

1920 წლის იანვარში ი. ჯავახიშვილის მიერ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე დაისვა საკითხი, რათა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე გამოყოფილიყო განსაკუთრებული ჯგუფი «სარწმუნოებრივ მეცნიერებათა შესასწავლად. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური კომისია I .ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის შემადგენლობით, რომელთაც დაევალათ სახელის გამოძებნა ამ დარგისა, გარკვევა მისი სამეცნიერო დისციპლინებისა და შემდგომ სამოსწავლო გეგმის შედგენა» [125, 46]. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის 1920 წლის 11 თებერვლის სხდომათა დღიური გვამცნობს: «სარწმუნოებრივ მეცნიერებათა განყოფილების დაარსების შესახებ, შემდეგის დამატებით: შეტანილ იქნეს რელიგიის ფილოსოფიის კურსი» [125, 50].

ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურ მუშაობას აწარმოებდა სასულიერო განათლებამიღებული კორნელი კეკელიძე. მან დიდი გულისყურითა და პასუხისმგებლობით შეიმუშავა სარწმუნოების დარგის მოწყობის გეგმა და ის განსახილველად 1920 წლის 29 ივნისს წარუდგინა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს. ამრიგად, საარქივო მონაცემებით, უნივერსიტეტში შეიქმნა "სარწმუნეობრივი მეცნიერების ახალი დარგი, ხოლო მომავალი სემესტრიდან მხოლოდ საქრისტიანო სარწმუნოების განყოფილება, რომელიც თავის თავში მოიცავდა საქრისტიანო სარწმუნოების სფეროს, მოგვიანებით მას ემატება რელიგიის ფილოსოფიის კურსიც» [125, 69-72[ა]].

უნივერსიტეტი ქვეყანაში ამკვიდრებდა თავის ეროვნულ პოზიციას. ამავე დროს იგი ცდილობდა, მთავრობას გაეტარებინა ქვეყნისა და ერისთვის საჭირო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სინთეზი იქნებოდა ეროვნულისა ევროპულთან.

«სარწმუნოებრივ მეცნიერებათა» განყოფილების დაარსებამ ახალი ამოცანები დასახა. «მან მეცნიერების წინაშე დააყენა ახალი მოთხოვნები - ღრმად და

ობიექტურად იქნეს შესწავლილი საქართველოს ისტორიის ნებისმიერი ეპოქა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განვითარების ფონზე» [16, 5]. თითქოს წინასწარმეტყველებასავით გაისმა საქართველოს ეკლესიის მამამთავარ კირიონ II–ის ჯერ კიდევ უნივერსიტეტის გახსნის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო დღეს წარმოთქმულ სიტყვაში გამჟღავნებული სურვილი, რომ «ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გაიხსნას ყველა განზრახული ფაკულტეტი და მიჰმატებოდეს მას საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი... სარწმუნოება არასდროს მტრულად არ უცქერდა მეცნიერებას და ამიტომაც იგი მუდამ ეკედლებოდა სარწმუნოებას» [41, 77].

ქართველი სასულიერო ფენა იმედოვნებდა, რომ ახლადფეხადგმულ უნივერსიტეტში საეკლესიო პირებსაც ექნებოდათ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, ქართველ მრევლს ამიერიდან ეყოლებოდა ეროვნულ განათლებას ნაზიარები სამღვდელოება. საარქივო მასალებმა შემოგვინახეს ცნობები იმ საეკლესიო მსახურთა შესახებ, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა «ეკლესია-მონასტრებში მღვდელმსახურებთან ერთად ირიცხებოდნენ უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელებად» [125, 72]. ჯრუჭის ეკლესიის არქიმანდრიტი პავლე, რომელიც ათონის მონასტერშიც იმყოფებოდა 2 წლის განმავლობაში, ითხოვდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად მიღებას: «რადგან მოვესწარი ქართულ უნივერსიტეტს სურვილი მაქვს არ მოვაკლდე სწავლა-განათლებას და ვიქნე უფრო ერთგული მსახური ჩვენი ერისა და ეკლესიისაო», - სწერდა არქიმანდრიტი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას [125, 56].

სამწუხაროდ, სარწმუნოებრივი მეცნიერებისადმი ინტერესი და სამეცნიერო კვლევა-ძიება 1921 წლის თებერვლის რევოლუციამ შეაფერხა. ამ პერიოდის საარქივო მასალიდან ქრება ამ დარგის შესახებ ისტორიული ცნობები. არც არაფერია ნათქვამი ამ განყოფილების მსმენელთა შემდგომი ბედის შესახებ.

1918-1921 წლის თებერვლამდე ქართველ მეცნიერთა ყურადღება ზოგადად რელიგიისა და განსაკუთრებით, ქართული ეკლესიის ისტორიის შესაწავლისაკენ იყო მიმართული. ცარიზმის პოლიტიკის შედეგად საქართველოში ბევრი ტაძარი გაიქურდა, ბევრიც კირით იქნა შეთეთრებული, ხოლო მოგვიანებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გაცემული განკარგულების შედეგად, დაიხურა ასობით ეკლესია-მონასტერი, დაიტაცეს და სახლებში წაიღეს უნიკალური

საეკლესიო სარიტუალო ნივთები და ხატები. საჭირო იყო დარჩენილის გადარჩენა და, ბუნებრივია, ამ საქმის მეთაურადაც უნივერსიტეტის ამაგდარი მეცნიერები მოევლინენ. დაარსდა სამუზეუმო ფონდი, რომელმაც, ფაქტობრივად, ბევრი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთი გადაურჩინა ერს.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ფონდიდან, რომელიც 4000 მანეთს მოიცავდა, დაწესდა წამახალისებელი პრემიები იმ სტუდენტური თემებისთვის, რომელიც ქართულ ეკლესიასა და მართლმადიდებლურ სარწმუნოებას შეეხებოდა. აი, რას წერდა 1920 წლის 15 მარტით დათარიღებულ განცხადებაში მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი: «ამასთანავე ვადგენ 4000 მანეთს და გთხოვთ ეს ფული ხელ-უხლებელ თანხად დაიდოს, რომლის სარგებელი უნდა მოხმარებულ იქმნას სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მიერ სარწმუნოების და ეკლესიის ისტორიის დარგიდან დროგამოშვებით გამოცხადებულ თემაზე სტუდენტთა მიერ საუკეთესო თხზულებათა დასაჯილდოებლად... ჩემი სურვილია, რომ ჯილდოს ჩემი განსვენებული მეუღლის ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ ორბელიანის სახელი ჰქონდეს.” ამ დოკუმენტს ახლავს რექტორის მინაწერი: “უნივერსიტეტის გამგეობამ სასურველად სცნო თუ თქვენი დასტურიც იქნება თანხის სარგებელი ერთდროულ დახმარებად ეძლეოდეს თქვენ მიერ შერჩეულ მოსწავლეს” [115, 79]. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა გამოყო კომისია, ა. შანიძის, დ. უზნაძის, შ. ნუცუბიძის შემადგენლობით, და დაავალა მათ, შეემუშავებინათ წესდება საპრემიო თხზულებათა შესარჩევად [125, 54]. ასე უწყობდა ხელს თბილისის უნივერსიტეტი სტუდენტებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიისა და სასულიერო მწერლობის მეცნიერული შესწავლისადმი ინტერესის გაღვივებას.

იმდროინდელი მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ცდილობდა «განათლების ეკლესიისაგან გამიჯვნას, ამით ისინი ფაქტიური გზამკვლევნი აღმოჩნდნენ რუსეთის კომუნისტური პარტიის ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკისა საქართველოში. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება საერო სასწავლებლებზე გამახვილდა, სადაც სასულიერო დისციპლინების სწავლება იზღუდებოდა» [16, 5].

1919 წლიდან სასწავლო პროგრამებიდან ამოღებული იქნა საღვთო სჯულის სწავლება. დემოკრატიული მთავრობის ამ პოლიტიკამ საბოლოო ლახვარი ჩასცა იმ

ეროვნულ სასკოლო განათლებას, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში მებრძოლი ქართველი ერი ინარჩუნებდა და, რომელიც ტრადიციულად საქართვლოში სამონასტრო სკოლების სახით არსებობდა.

ნიშანდობლივია, რომ საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებამ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც საერო სასწავლებლის პედაგოგთა შორის, ისევე საკათალიკოსო საბჭოს წევრებში, რომლებმაც 1920 წლის 21 აპრილს დახმარებისათვის მიმართეს უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს. საკითხის სათანადო შესწავლის შემდეგ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საკათალიკოსო საბჭოს ამცნო, რომ «საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში სასწავლო გეგმის საკითხია» [125, 55-56]. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ უნივერსიტეტის პროფესურა მეტისმეტი სიფრთხილით უდგებოდა ხელისუფლების მიერ გატარებულ საგანმანათლებლო რეფორმას. იგი გარკვეული ლავირებით ქართული ტრადიციების ერთგული რჩებოდა.

ეროვნული საგანმანათლებლო რეფორმის გატარებაში აქტიურად ჩაებნენ უნივერსიტეტის მეცნიერები. ეროვნული განათლებისა და ქრისტიანული მოძღვრების სწავლების დაშვება-გამართლებისათვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მოქმედების ნაირსახოვან ფორმებს მიმართავდა. მაგალითად, დამფუძნებელი კრების სხდომაზე სახალხო განათლების კომისიის წევრმა გრიგოლ ნათაძემ შემოიტანა წინადადება «საღვთოსჯულის მაგიერ შეტანილი ყოფილიყო პროგრამაში რელიგიათა ისტორია და ეთიკა. ნ. ნანეიშვილს კი მიაჩნდა, რომ რელიგიის ისტორიასთან დაკავშირებულია რელიგიის წარმოშობის სხვა საკითხებიც, ეს პრობლემები კი მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიის ფილოსოფიასთან. ბოლოს კი სარწმუნოების ისტორია რელიგიის ფილოსოფიის ისტორიის სახეს მიიღებს» [125, 1]. თუ გადავხედავთ იმ პერიოდის საარქივო მასალასა და პერიოდიკას, დავინახავთ, თუ როგორ ცდილობდა, წინ აღდგომოდა ქართული საზოგადოება მთავრობის ამ გადაწყვეტილებას. საულიერო ფენა, ქართველ მეცნიერებთან ერთად, ცდილობდა, ლავირების გზით, გადაეჭრა ეს პრობლემა. ხობის ეკლესიის არქიმანდრიტი იოანე კანდელაკი წერდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას: «...ყველაფერზე უფრო შემძლები და შეუდარებელი მოსწავლეების ზნეობრივი აღზრდისას წარმოადგენს სარწმუნოება. ეთხოვოს დამფუძნებელ კრებას, რათა საღმრთოსჯული საქართველოს ყოველგვარ

სასწავლებელში ისევ იქნეს მიღებული სასწავლო საგნად. ვინაიდგან საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და ამ ეკლესიის მსახურნი წარმოადგენენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებას, ვინაიდგან სახელმწიფო ქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხოლო ეკლესია კი ზნეობრივად ამაღლებს ცხოვრებას ქრისტეს ჭეშმარიტების შეცნობით» [123, 6].

ამრიგად, ქართულ საზოგადოებას დაუშვებლად მიაჩნდა ქართული ეკლესიისა და მასთან დაკავშირებული საკითხების უგულებელყოფა, რადგანაც ეკლესია და სახელმწიფო ერთი განუყოფელი ნაწილია და თუ ქართველი ერი ფიზიკურად და ზნეობრივი თვალსაზრისით გადარჩა, ამაში ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას უდიდესი წვლილი მიუძღვის. «ეკლესია არ უნდა იქნეს განცალკევებული სახელმწიფოსაგან, უნდა სარგებლობდეს სახელმწიფო კანონების მფარველობით და მატერიალური მხრით უნდა იყოს უზრუნველყოფილი» [123, 7].

თუ თვალს გადავავლებთ 1918-1921 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მოღვაწეობას, რომლის დეკანიც კ. კეკელიძე იყო 1920 წლიდან, დავრწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი შრომა მიუძღვის მას "ქართული ეკლესიის ისტორიის, ზოგადად სარწმუნოებრივ მეცნიერებათა, შესწავლის, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინების დამკვიდრების მიმართულებით უნივერსიტეტში». [126, 8-9]. შეიძლება ითქვას, რომ ამ რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანას ქართული უნივერსიტეტის პროფესურამ ჩინებულად გაართვა თავი.

§2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელთა დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიისადმი

ნიკო ცხვედაძის ძალისხმევითა და ხუროთმოძღვარ სვიმონ კლდიაშვილის მონდომებით 1900 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის ღირშესანიშნავ დღეს, საძირკველი ჩაეყარა სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობას. მშენებლობა თითქმის დამთავრებული იყო როდესაც, სამშენებლო კომიტეტის გადაწყვეტილებით, საჭიროდ იქნა მიჩნეული შენობის გაფართოება.

«ნ. ცხვედაძემ გააფართოებინა სააქტო დარბაზი, გაამრავლებინა კლასები და დაამატებინა ეკლესია ვესტიბიულის თავზე, ხოლო მოპირდაპირე მხარეს, სასპორტო სადგომს ზემოთ, სააქტო დარბაზი. კლუბიც და ეკლესიაც ორშუქიანია და მთელი შენობის სიმაღლეს ავსებს. ყველა სადგომი ამ ცენტრალური ბირთვის გარშემოა განლაგებული, სიმეტრიულ ფრთებში... ეკლესიას უკვე სავსებით დაეკარგა თავდაპირველი სახე: ორსართულად და მრავალ მცირე ოთახად არის დანაწილებული და უწინდელი სივრცის წარმოდგენაც, რა თქმა უნდა, სრულებით აღარ ხერხდება [31, 42-43]. სულ შენობა გათვალისწინებული იყო 800 მოწაფეზე, პანსიონი 300-ზე, ხოლო ეკლესია კი 800 კაცზე» [31, 42]. ქართული გიმნაზიის შენობაში მყოფი ტაძარი, რომ დავით აღმაშენებლის სახელობის არის ადასტურებს უნივერსიტეტის საზეიმო გახსნისადმი მიძღვნილი იმდროინდელი საგაზეთო სტატიები. «ვინაიდან დღეს დავით აღმაშენებლის დღეობა არის და ქართული გიმნაზიის ეკლესიაც მის სახელობაზეა აგებული, ამისათვის ეკლესიაში საკათალიკოსო წირვა იქნება შესრულებული. წირვის შემდეგ გადახდილი იქნება პარაკლისი ეკლესიაშივე» [78, 2]. როგორც საარქივო, ასევე პერიოდიკის მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული გიმნაზიის შენობაში აგებული ტაძარი დავით აღმაშენებლის სახელთან იყო დაკავშირებული, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, ისიც, რომ 1989 წლის პრესაში გავრცელდა აზრი «უნივერსიტეტში წმინდა გიორგის სახელზე ნაკურთხი ეკლესიის აღდგენის შესახებ»[80, 2], რომელიც მცდარია და საფუძველს მოკლებული.

ფუნქციონირების დაწყებისთანავე უნივერსიტეტის გამგეობა ცდილობს მათ განკარგულებაში მყოფი შენობები მთლიანად გაათავისუფლოს იქ მყოფი სხვადასხვა ორგანიზაციისაგან, როგორიცაა ლტოლვილები, გერმანელთა ჯარი, ინგლისელთა ტყვია-წამლის საწყობები და ა.შ. ამასთან დაკავშირებით ისინი მიმართავენ ზემდგომ ინსტანციებს დასახმარებლად. 1919 წლის 10 მაისის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სხდომათა დღიურში გვხვდება შემდეგი ხასიათის ჩანაწერი:

«უნივერსიტეტს ჯერ არ ჩაუბარებია ყოფილი საკათალიკოსო კომიტეტისაგან არც შენობის გეგმა და არც ამ შენობაში მოთავსებული ეკლესია. – ეთხოვოს

განათლების მინისტრს გამოითხოვოს გიმნაზიის გამგე კომიტეტისაგან შენობის გეგმა და გადმოსცეს იგი უნივერსიტეტს» [95, 41-41[ა]].

როგორც დოკუმენტური მასალიდან ჩანს, უნივერსიტეტის გახსნიდან მოყოლებული მთელი წლინახევრის განმავლობაში მის შენობაში ფუნქციონირებდა წმ. დავითის სახელობის ეკლესია. სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ბოლსევიკების შეხედულებებს ავითარებდნენ რელიგიის საკითხებში, ვერ ეგუებოდნენ ეკლესია-მონასტრებში მიმდინარე საეკლესიო წირვა-ლოცვას, რის გამოც ასობით ტაძარი იხურებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბუნებრივია, ხელისუფალთა ფარული ზეწოლით, დღის წესრიგში დგება უნივერსიტეტში მყოფი ეკლესიის საკითხიც, რომელიც ოფიციალურად 1920 წლის 17 ივნისს გადაეცა გამგეობას. «დაევალოს კორნელი კეკელიძეს, ა.შანიძეს და შენობათა მეთვალყურეს ანტონ თვალჭრელიძეს მიიღონ ალექსანდრე მიქაბერიძისაგან უნივერსიტეტის ეკლესიის გასაღები და ჩაიბარონ ქონებაც» [124, 30]. საარქივო ჩანაწერები კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ ეს იყო ეკლესია უნივერსიტეტის შენობაში მთელი თავისი ქონებით და აქ ტარდებოდა საეკლესიო წირვა-ლოცვა 1920 წლის ზაფხულამდე.

გ.ჩუბინაშვილი იძლევა აღწერას საწყობად ქცეული უნივერსიტეტის ეკლესიის, რომელიც გადაკეთდა ხელოვნების მუზეუმად: ,,ყოფილი სამლოცველო, რომელიც შედგება კარგად განათებული დარბაზისაგან, ოთხი მასიური პილონისა და ცენტრში გუმბათისაგან, კაბინეტის არქიტექტორ ნ.პ.სევეროვის მჭიდრო თანამშრომლობით გადაკეთდა სამუზეუმო ექსპოზიციისთვის, დამზადდა დაბალი ქსოვილგადაჭიმული კედლები ექსპონატების გამოსაფენად.''[25, 8].

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საკმაოდ მწყრალად იყო განწყობილი რელიგიისადმი, უნივერსიტეტი, თავისი ავტონომიური უფლებებიდან გამომდინარე, ცდილობდა მკაცრად დაეცვა საუნივერსიტეტო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა. უნივერსიტეტის საოქმო ჩანაწერში, რომელიც 1919 წლის 12 აპრილით თარიღდება, წერია: «სააღდგომო დასვენება-ლექციების კითხვა შეწყდეს ვნების კვირაში-ხუთშაბათს» [95, 34]. ამ პერიოდის სტუდენტობას საშუალება ჰქონდა უნივერსიტეტის შენობაში მყოფ ტაძარში დასწრებოდნენ წირვა-ლოცვას, რაც კიდევ უფრო აახლოვებდა ქართველ ახალგაზრდობას სასულიერო

მოძღვრებასთან, რომლისაგან გამიჯვნასაც ასე ცდილობდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობა.

უნივერსიტეტის პოლიტიკის მთავარი არსი ეროვნული საკითხის გადაწყვეტისას იყო ილია ჭავჭავაძის დევიზი – მამული, ენა, სარწმუნოება. ამიტომ მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში ი.ჯავახიშვილი ცდილობს არა მარტო დაიცვას არამედ იხელმძღვანელოს ამ დებულებით ცხოვრებაში.

ქართული ენის დანერგვა განათლების დარგში, საშუალო თუ უმაღლეს სკოლაში, იყო ერთ-ერთი მთავარი საკითხი ერის გადარჩენისათვის ბრძოლაში. საქართველოს მრავალენოვანი ქვეყანაა. აქ მრავლად არის სხვადასხვა აღმსარებლობისა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომები, რომელნიც ხსნიან თავიანთ ეკლესიებსა და სკოლებს. განსაკუთრებით მათი რიცხვი იზრდებოდა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში. ეს კი ხელს უწყობდა ქართული ენის დაბინძურებას, მისი უფლებების, კერძოდ, სახელმწიფო ენის სტატუსის შელახვას. განსაკუთრებით აქტიურ ხასიათს იღებდა ანტიქართული კამპანია ქართული უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ, რისი მიზეზებიც რუსეთის ანტიქართული პოლიტიკიდან გამომდინარეობდა. ამასთან დაკავშირებით მწვავე დისკუსია გაიმართა განათლების კომისარიატში 1919 წლის 27 ნოემბერს. თ.კიკვაძე აცხადებდა: «ძალით ნურც გასომხებას მოვახდენინებთ და ნურც გაქართველება გვინდაო. სწავლება უსათუოდ დედა ენაზე უნდა მიმდინარეობდესო. ე.თაყაიშვილი მოითხოვდა, რადგანაც სკოლები (სიღნაღის რ-ში) კანონის გადახვევით გახსნეს, საჭიროა ეხლავე ზომების მიღება მათ დასახურად, თორემ როგორც გაამრავლებენ სკოლებს, მათ დახურვას ვეღარ შევძლებთ»[148, 2]. «თუ ამ გავლენისაგან თავი ვერ დაუღწევიათ უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებების წევრებს, მენშევიკების ფრაქციიდან, საეჭვოა რომ უბრალო მოქალაქემ შეიგნოს და დაიცვას ქართული კულტურის გაეროვნების საჭიროება». [148, 3]

საქიმო ფაკულტეტის გახსნისთანავე უნივერსიტეტში, თავი იჩინა მრავალმა ისეთმა საკითხმა, რომელსაც უნივერსიტეტის გამგეობის მხრიდან ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისას ფაქიზი მიდგომა ესაჭიროებოდა. მიხეილის საავადმყოფოში სამკურნალო ფაკულტეტის მოსაწყობად და მისთვის ოთახების გამოსაძებნად საჭირო გახდა ეზოში მყოფი გრიგორიანული და მართლმადიდებლური ეკლესიათა გაუქმება.

აი, რას წერდა 1919 წლის 21 ივლისს სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს სახელით დეკ. კ.ცინცაძე უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს «პატივისცემით გაცნობებთ, რომ საკათალიკოზო საბჭომ ამა წლის 8 ივლისს განიხილა სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის დეკანის მოხსენების ასლი, ქალაქის მიხეილის საავადმყოფოს შენობაში მართლმადიდებელთა ეკლესიის გაუქმების შესახებ და გამოიტანა შემდეგი განჩინება: ეცნობოს, რომ თუმცა საკათალიკოსო საბჭოს სამწუხაროდ მიაჩნია მიხეილის სახელობის საავადმყოფოში ეკლესიის მოშლა, მაგრამ ვინაიდგან საავადმყოფოს ეზოში აგებულია ახალი ტაძარი შესაძლებლად სცნობს პირველის ეკლესიის მოშლას და იქ მოთავსებულ სიწმინდეთა ახალ ტაძარში გადასვენებას» [150, 18-18[ა]]. რაც შეეხება გრიგორიანულ ეკლესიას, «უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არავითარი წირვა-ლოცვა და წესი არ შესრულებულა» [150, 17]. საავადმყოფოში უნდა განთავსდეს სამი კათედრა მათი ამბულატორია-ლაბორატორიებითა და სხვა საჭირო დაწესებულებებით. «...ამიტომ საექიმო ფაკულტეტის დეკანი ა.ნათიშვილი სთხოვს განათლების მინისტრს, რომ აღძრას შუამდგომლობა სასულიერო მმართველობის წინაშე რომ მართლმადიდებელთა და გრიგორიანთა ეკლესიები, მოთავსებული მიხეილის საავადმყოფოში სრულიად იყოს ახლავე გაუქმებული»[150, 17]. ამას თან ერთვის ი.ჯავახიშვილის მიერ კატეგორიული ტონით მიწერილი წერილი შინაგან საქმეთა მინისტრისადმი:

«სამინისტროს განკარგულებით, ლაბორატორიათა გასაფართოებლად უნდა გაუქმებულიყო მართლმადიდებელთა და სომეხ გრიგორიანთა ეკლესიები. მართლმადიდებლური ეკლესია უკვე გადატანილი იქნა სხვაგან, ხოლო სომეხ – გრიგორიანთა ეკლესია ჯერ კიდევ თავის ადგილას იმყოფება; რაც მეტად აფერხებს საავადმყოფოს უნივერსიტეტის მიზნებისათვის შეფარდებას... გთხოვთ მიიღოთ გადამჭრელი ზომები, რათა აღნიშნული ეკლესია გადატანილი იქნას საავადმყოფოდან» [150, 72-28].

უნივერსიტეტის მესვეურები მეტისმეტი სიფრთხილით ეკიდებოდნენ სარწმუნოებრივ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს და მათი გადაჭრისას ყოველთვის ამოდიოდნენ ეროვნული პოზიციებიდან, ეს იქნებოდა რელიგიური დოგმატების სწავლება უმაღლეს სკოლებში, თუ მართლმადიდებლური ეკლესიის

ყოფნა თვით უნივერსიტეტის შენობასა თუ საავადმყოფოს ეზოში. ქართული უნივერსიტეტის წინამძღოლმა ი.ჯავახიშვილმა კარგად უწყოდა, რომ მომავალი თაობის ზნეობრივი აღზრდას სწორედ სასულიერო, მართლმადიდებლური სარწმუნოება წარმართავდა.

§3. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სამღვდელოების ერთობლივი ძალისხმევა საქართველოს ეკლესიის დაცვა-გადარჩენის საქმეში.

თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ისტორია ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. მეცნიერების ახლადფეხადგმულ ტაძარს მეტად რთულ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობის დაწყება. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, თავის თავზე უნდა აეღოთ არა მარტო ერის განათლების საკითხი, არამედ თვალყური უნდა ედევნებინათ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისათვის და თავისი აზრიც გამოეთქვათ ამ მოვლენებთან დაკავშირებით.

1917-1921 წ.წ. რომელიც ჩვენი კვლევის სფეროს წარმოადგენს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი რთული პერიოდია როგორც ქვეყნისთვის, ასევე უნივერსიტეტისთვისაც. მისი დაარსებისათვის ბრძოლა სხვა სახელმწიფო მმართველობების ფონზე მიმდინარეობდა. ამათ შესატყვისად ყალიბდებოდა უნივერსიტეტის ამოქმედების იდეაც. ქართული საუნივერსიტეტო ინტელიგენციის მთავარი მიზანი, სხვა საკითხებთან ერთად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობის მიღებაც იყო. ქართველ პროფესსორ- მასწავლებლებს უყურადღებოდ არ უნდა დარჩენოდათ ერის ისტორიისა და კულტურის ამსახველი არცერთი ნიმუში, რომელიც ქართველი ხალხის ისტორიული კუთვნილება იყო.

1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი დიდი ცვლილებებით ისარგებლა ქართველმა სამღვდელოებამ და 12(25) მარტს მცხეთის, სვეტიცხოვლის ტაძარში მიიღო ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება, ამ დღიდან აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. «რუსეთსა შინა დამყარდა ახალი სახე, სახე სახელმწიფოს მართვა-გამგეობისაჲ და მას აღარ შეესაბამების ქართველთა ეკლესიისა უფლება შეჩერებულად ყოფნაჲ; ამისათვის აუცილებლად ვსცანით და ერთხმად და ერთსულოვნად განვაჩინეთ:

ამიერითგან აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოსა შინა ავტოკეფალიური საეკლესიო მმართველობანი, ხოლო, ვიდრე კანონიერად აღირჩეოდეს კათალიკოსი საქართველოს ეკლესიისაი, მოსაყდრედ მისა დაინიშნოს ყოვლადსამღვდელო ლეონიდე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, და მასთან, განსაგებლად ეკლესიისა, დაწესდეს დროებითი მმართველობა საქართველოს ეკლესიისაჲ, სასულიეროთა და საერო პირთაგან შემდგარი .... განჩინებაჲ ეს ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს უფალს როზიანკოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავადს ლვოვს, სინოდის ობერპროკურორს უფალს ლვოვს და კავკასიის კომისარიატს ტფილისში». [10, 14]

ამ დროს გადასახლებაში მყოფი კირიონი ვიტებსკიდან მიესალმა ავტოკეფალიის აღდგენას: ,,გილოცავთ ავტოკეფალიას. ხუნდები აეხსნა ივერიის ეკლესიას, რადგან დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სიწმინდე, მდაბო ერად იყო ქცეული ქართველი ხალხი, იგი ტანჯვის ცრემლს ჰღვრიდა, ეხლა კი სიხარულის ცრემლს ვაფრქვევთ. გაუმარჯოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას.'' [10, 14]

რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება, ბუნებრივია, შეეცადა ქართველი ერის ნების აღმსრულებელი 1917 წლის 12 მარტის საეკლესიო გადაწყვეტილების გაუქმებას. რუსეთის ხელისუფალთ არც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წარმომადგენლები ჩამორჩნენ. როგორც მისი ერთ-ერთი წევრი ხატისოვი განმარტავდა: «აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი დამოკიდებულება არ შეიძლება იქონიოს, რადგან კომიტეტი იცავს მხოლოდ არსებულ წესწყობილებას და მცხეთაში მომხდარს კი ახალი ფორმა შემოაქვს ეკლესიის ცხოვრებაში.» [10,15] ამრიგად, როგორც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, ასევე რუსეთის მთავრობაც უარყოფითად შეხვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და ისინი ერთობლივი ძალებით შეეცადნენ გარკვეული განხეთქილების ჩამოგდებას ქართველ სამღვდელოებაში. რუსეთში მყოფი ქართული დელეგაცია დარწმუნდა, რომ პეტერბურგში პროფესორ ვ. ვენეშევიჩის აზრებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სინოდის წევრების უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ქართველები აგრესიულები არიან, რომ ისინი რუსებს დევნიან, რომ მათი მსხვერპლი გახდა არა ერთი რუსი პატრიოტი, ამიტომაც მათ ,,საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა რევოლუციურ აქტად მონათლეს. უფრო მეტიც, ქართველებს ,,სქიზმაში''

(განხეთქილებაში) დასდო ბრალი. სინოდი გრძნობდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ხელს ვერ შეუშლიდა, ამიტომ იმ აზრისკენ იხრებოდა, რომ ეს ეროვნულ ავტოკეფალიას არ უნდა გასცილებოდა. ქართველი პატრიარქი სვეტიცხოველში უნდა ყოფილიყო, ხოლო თბილისში _ რუსი მიტროპოლიტი.'' [10, 20_21] ბუნებრივია, ამ ფაქტს ვერც ქართული სამღვდელოების მაღალი იერარქია შეეგუებოდა და ვერც ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი. საქართველოს ეკლესიის პოზიცია აქტიურად დაიცვა კარლო ჩხეიძემ, რომელიც პეტროგრადში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ,,ჩვენი პატრიარქი არ შეიძლება თბილისში არ დაბრძანდეს, ჩვენს სიონში უცხოს რა ხელი აქვს. ჩვენი ეკლესიისათვის სულ ერთი არ არის, თბილელი ერქმევა რუსის მღვდელმთავარს, თუ სხვა სახელი.''[10. 21]

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ინტელიგენცია რუსეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ განსხვავებულ პოზიციებზე იდგა, ის ერთსულოვანი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხში. მათ განაცხადეს, რომ ყველაფერს იღონებდნენ, რათა რუსეთის დროებით მთავრობას დაემტკიცებინა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება. ამ თვასაზრისით განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ზ. ავალიშვილი, ნ. გელოვანი, ი. ჯავახიშვილი, კ. ჩხეიძე, ი. წერეთელი. ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ რუსეთის დროებით მთავრობას ეცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ხელისუფლება მკვეთრად გაემიჯნა ეკლესიას და უფრო მეტიც, დაუპირისპირდა და ბრძოლა გამოუცხადა მას. ასე რომ, ეკლესიის მსახურთ ბრძოლა ჯერ რუსეთის, ხოლო შემდგომ ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ უწევდათ.

ქართველი სოციალ-დემოკრატები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რელიგიის საკითხებში იზიარებდნენ რუსი ბოლშევიკების აზრს, რის გამოც მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იხურებოდა ათასობით ეკლესია-მონასტერი, უყურადღებობის გამო იკარგებოდა უნიკალური ხატები და საეკლესიო სარიტუალო ნივთები.

თუ თვალს მივადევნებთ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის პრესასა თუ საარქივო მასალას, დავინახავთ, როგორ იბრძოდნენ ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, ი. ჯავახიშვილი და სხვანი, რათა გადაერჩინათ ჟამთა ვითარებისაგან განადგურებული,

ხელყოფილი და გაძარცული ეკლესია-მონასტრები. საამისოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიუჯეტიდან «გამოყოფს სამეცნიერო მივლინებისათვის განკუთვნილ თანხებს: ჯრუჭის, გელათის, ხოვლეს და სხვა მონასტრებისათვის, სადაც იგზავნებიან ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები, ასპირანტები» [96, 73-74]. უნივერსიტეტის ექსპედიციის წევრები აწარმოებდნენ ქართული არქიტექტურული კომპლექსების აღნუსხვას, აზომვას, ფოტოგრაფირებას. იძლეოდნენ ზუსტ სიებს აქ დაცული ნივთებისა, რომელთაც ჰქონდათ როგორც საეკლესიო, ისე ისტორიული ღირებულება. 1920 წლის ზაფხულში, ქუთაისის მიტროპოლიტის წინადადების თანახმად, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ ქუთაისში, გელათის მონასტერში თამარის საფლავის საძიებლად მიავლინა სპეციალური ჯგუფი, რომლის მუშაობაშიც უნივერსიტეტის წარმომადგენლად მონაწილეობდა პროფესორი კორნელი კეკელიძე» [96, 73-74]. მას «უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებით, გამოეყო 6000 მანეთი, თამარ მეფის საფლავის შემმოწმებელ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად [115, 23]. მეტისმეტად საინტერესო გამოდგა ეს ექსპედიცია მეცნიერისათვის, იგი წერდა: «გელათის მონასტერში მე აღმოვაჩინე ერთი ჰაგიოგრაფიული კრებული, რომელიც მეთერთმეტე საუკუნის მწერლის იოანე ქსიფილინოსის მეტაფრაზებს შეიცავს, როგორც წინასიტყვაობაშია ნათქვამი, იგი სვიმეონ ლოღოთეტის შრომის გაგრძელებას წარმოადგენს... ქართულ მწერლობაში შემონახული იყო ცნობა, რომ არსებობდა რაღაც განსხვავებული რედაქცია წმ. გიორგის ცხოვრებისა, რასაც «დადიანური» ეწოდებოდა. ეს თხზულება აღმოჩნდა მეცამეტე საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში და როგორც საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, გადმოვწერე» [96, 73]. რამდენადაც მნიშვნელოვანი იყო ეს მოგზაურობა კ. კეკელიძისთვის ახალი ქართული ხელნაწერების აღმოჩენის თვალსაზრისით, იმდენად ვერ გამართლდა ექსპედიციის მოწყობის მთავარი მიზანი, შეუძლებელი აღმოჩნდა თამარ მეფის საძვალის მიკვლევა. «საფლავი გავთხარეთ და ის გამოდგა აკლდამა არა თამარ მეფისა, არამედ როგორც აღნიშნულია და ერთ-ერთ ხატის წარწერიდან შეგვიძლია დავასკვნათ, მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის ოჯახობისა გამოდგა» [96, 74].

სამეცნიერო ექსპედიციებში მონაწილეობას ღებულობდნენ სტუდენტებიც, რომელნიც აქტიურად მოგზაურობდნენ საქართველოს მთასა და

ბარში და აღნუსხავდნენ გადარჩენილ ეკლესია-მონასტრებსა და ფრესკებს; შემდგომ აგროვებდნენ და უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტს გადასცემენ სხვადასხვა ლითონით მოჭედილ ხატებსა თუ საეკლესიო ნივთებს. 1919 წლის 28 ნოემბერს ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჩუბინაშვილი განცხადებით მიმართავდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას, სადაც იგი პროფესურას სთავაზობდა უნივერსიტეტში ხელოვნების კაბინეტის ან მუზეუმის მოწყობის გეგმას, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ უნივერსიტეტში თავი მოიყარა უნიკალურმა ნივთებმა, რომელთა დაცვისათვის შესაფერისი პირობების შექმნა იყო საჭირო. «შეიქმნას უნივერსიტეტში ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი, რომელიც ხელს შეუწყობს ხელოვნების მეცნიერების საფუძვლიანად შესწავლის საქმეს. კაბინეტმა უნდა: 1. უზრუნველყოს სწავლების საჭიროება და 2. დახმარება გაუწიოს მსმენელთ, რომელთაც ჰსურთ დამოუკიდებლად იმუშაონ სპეციალურ დარგში. ხელოვნების შესასწავლად საჭიროა მასალები მხედველობითი გზით შეთვისებისათვის, ე.ი. საჭიროა: ა.სურათები წიგნებში; ბ. ცალკე ფოტოგრაფიულად გადაღებული სურათები, თუ ნახაზ-ნახატები; გ. დიაპოზიტივები. ამას გარდა, კაბინეტი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მსმენელთ საშუალება ჰქონდეთ დამოუკიდებელი მუშაობა ნორმალურად აწარმოვონ, მასში უნდა მოიპოვებოდეს 1) მეცნიერული მუშაობისათვის მუდმივი დამხმარე აპარატი (საძიებელი ძეგლებისა, წარწერებისა, ისტორიულ პირთა, ფოტოგრაფიებისა, წიგნებისა და სხვა) 2) მუზეუმი ორიგინალური ნახატებისა, გრავიურებისა, დასურათებული ხელნაწერებისა და ნივთებისა» [106, 224-229].

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში თავმოყრილი სამუზეუმო ექსპონატები, რომელნიც მოგვიანებით საზღვარგარეთ არ იქნა გატანილი, 1924 წლამდე ჩალაგებული იყო დაბეჭდილ ყუთებში. საჭირო იყო მათი ამოღება, დაბინავება და ექსპოზიციისათვის საჭირო პირობების შექმნა. მუზეუმისათვის საუკეთესო სივრცეს წარმოადგენდა უნივერსიტეტის შენობაში მყოფი გაუქმებული სამლოცველო. ამასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი 1924 წლის 18 აპრილს უნივერსიტეტის რექტორ ი.ჯავახიშვილისა და გ.ჩუბინაშვილის მიერ პროფესორთა საბჭოს სხდომაზე. ქართველი ხელოვნებათმცოდნე თავის ნაშრომში «ქართული ოქრომჭედლობა» წერდა: ,,თუ შესაძლებელია, გათავისუფლდეს უნივერსიტეტის ყოფილი სამლოცველო მასში დროებით

მოთავსებული ინვენტარისაგან და გადაეცეს იგი უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტს გადასაკეთებლად. მე კი, როგორც კაბინეტის გამგე, მზად ვარ, მივიღო ზემოთ ნახსენები სამუზეუმო ქონება და მოვაწყო ყოფილ სამლოცველოს შენობაში ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტთან არსებული ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, რომელსაც სასწავლო დანიშნულება ექნება.'' [25, 7]. ამრიგად, 1924 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ხელოვნების მუზეუმი განთავსდა ყოფილი ეკლესიის შენობაში, გუმბათის ქვეშ. მოგვიანებით მის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.

აქ, ამ ხელოვნების კაბინეტ-მუზეუმში, გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით, აღიზარდა ხელოვნებათმცოდნეთა არა ერთი თაობა, რომელთაც შემდეგში მთელი სიღრმითა და სიზუსტით შეისწავლეს და სამეცნიერო შრომები მიუძღვნეს ქართული ხელოვნების შედევრებს. უნივერსიტეტის თანამშრომლები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით, აწყობდნენ არა ერთ გასვლით ექსპედიციას, რომლის მიზანი იყო არა მარტო შეგროვება ისტორიული და ხელოვნების ნიმუშებისა, არამედ მათთვის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება. შალვა ამირანაშვილი თხოვნით მიმართავდა უნივერსიტეტის გამგეობას: «განზრახვა მაქვს ამ ზაფხულს სამეცნიერო მიზნით ვიმოგზაურო ყვირილის, ძირულის და ჩხერიმელის ხეობაში და შევისწავლო საეკლესიო ხუროთმოძრვრების და მხატვრობის ძეგლები, აგრეთვე ხატების მოჭედილობანი, მინანქრიანი ნივთები და სხვა ისტორიულ არქეოლოგიური ნაშთები. ამიტომ ვსთხოვ ფაკულტეტს თუ როგორმე შესაძლებელია ნივთიერი დახმარება აღმომიჩინოს, რადგანაც სიღარიბის გამო ჩემს განზრახვას სისრულეში ვერ მოვიყვან.'' დოკუმენტს ერთვის დეკანის რეზოლუცია: "მიეცეს ცხრაათასი მანეთი, რის შესახებაც აღიძრას შუამდგომლობა გამგეობის წინაშე» [126, 16].

წარჩინებული სტუდენტები უნივერსიტეტის მერხიდანვე ეუფლებოდნენ თავიანთ სპეციალობებს და შემდეგ, პრაქტიკული და თეორიული სწავლების სინთეზის საფუძველზე, პროფესიონალ სპეციალისტებად ყალიბდებოდნენ. მათ მუდმივ მეთვალყურეობასა და მეცნიერულ დახმარებას უწევდნენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი მეცნიერები. საქართველოს საეკლესიო განძეულობის დაცვა-გადარჩენის საკითხი მხოლოდ ქართული ეკლესიისა და ინტელიგენციის ინტერესებში არ შედიოდა. ამ

პრობლემით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც იყო დაინტერესებული.

1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ქართველი საზოგადოების ზეწოლის შედეგად, 919 წლის გაზაფხულზე მიიღო კანონი "საქართველოს საკათალიკოსო ტაძრებისა და ეკლესიების შესახებ". ქართველ ინტელიგენციას საეკლესიო სამღვდელოებასთან ერთად საერთო მიზანი ამოძრავებდა - დაეცვათ უძველესი კულტურული მემკვიდრეობა ძარცვისაგან.

1919 წლის 9 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის ოქმში ვკითხულობთ: «მონასტრების ძარცვისა (გარეჯა, შემოქმედი, მარტვილი, გელათი) და ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის ნივთების დაკარგვა დაღუპვის გახშირების გამო (ხატები, ხელნაწერები) მიღებულ იქმნეს ფიცხელი და საჭირო ზომები ჩვენი წარსულის ძეგლების გადასარჩენად და დასაცავად. ეთხოვოს ივანე ჯავახიშვილსა და ექვთიმე თაყაიშვილს, რათა მოლაპარაკება გამართონ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან და საკათალიკოსო საბჭოსთან, რათა შეერთებული ძალითა და ერთურთის თანხმობით გამონახული იქმნეს შესაფერისი ზომები ჩვენი წარსულის ისტორიულ-არქეოლოგიურისა და ხელოვნების ძეგლებისა და ნივთების გადასარჩენად, დასაცავად» [93, 66].

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოზე რუსეთის ბატონობის პერიოდში, ეკლესიების უმრავლესობაში წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგარამ მათი დარბევისა და ხელყოფის ნაკლები საშიშროება არსებობდა მოგვიანებით დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით, მრავალი მონასტერი დაიხურა. მათი მოქმედება არასისტემური ხასიათისა იყო, არ არსებობდა არავითარი დამცავი მექანიზმი, რასაც, ბუნებრივია, თან მოჰყვა ხალხის მიერ ეკლესიების ძარცვა და განადგურება. ამ ბარბაროსულ საქმეს წინ აღუდგნენ, როგორც ინტელიგენცია, ასევე მთავრობის მესვეურნი. ისინი შეეცადნენ არა მარტო მათ გადარჩენას, არამედ იმ სახით შენარჩუნებას, როგორც მოაღწიეს მათ XX-ის ოციან წლებამდე.

ინტენსიურად დაიწყო ალბომების გამოცემებზე ზრუნვა. ექვთიმე თაყაიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს სწერდა: «საქართველოს სიძველენის და ქართული ხელოვნების ლექციების კითხვისათვის

აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სიძველეთა ალბომების გამოცემა. დღემდის ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ დიბუა დე მონპერეს, ბროსეს და გაგარინის ატლასები, რომელნიც არ აკმაყოფილებენ ამ დროის მოთხოვნილებას... მე მაქვს დამზადებული სურათები სიძველენი სვანეთისა, სამეგრელოსი, კახეთისა, ზოგიერთ იმერეთ-გურიის სიძველენისა და აგრეთვე თორთუ-ისპირის ხეობისა. ყველა ამ მასალის გამოცემას დიდი თანხა დასჭირდება, მაგრამ უყურადღებოდ დატოვება ამათი შეუძლებელია. ამიტომ ვთხოვ საბჭოს ამ ხანად გადასდვას ამ საჭიროებისათვის სამასი, ოთხასი მანეთი, რომლითაც შესაძლო იქნება დამზადება საზღვარგარეთ, გერმანიაში, ერთი მოზრდილი ალბომისა» [128, 147].

სულ უფრო და უფრო გახშირდა ძარცვა, დარბევა ისტორიული ძეგლებისა. უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი აღაშფოთა ალავერდის მონასტრიდან განძის გატაცების ამბავმა, რომელიც მოგვიანებით შინაგან სახალხო კომისარიატის მიერ მიკვლეული იქნა, თუმცა ი. ჯავახიშვილმა მისი ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოახერხა. იგი აკადემიური ცენტრის თავმჯდომარეს დავით კანდელაკს სწერდა: «თანახმად ჩვენს მიერ მიღებული ცნობებისა ალავერდის მონასტრიდან აქედან საგანგებოდ გაგზავნილმა კომისიის წევრებმა წამოიღეს განძეულობა, რომელიც ადგილობრივ სათანადო პირების თანდასწრებით არ ყოფილა აღნუსხული და შემოწმებული. ჩვენ არ ვიცით ამჟამად სად და ვის განკარგულებაში იმყოფება ეს განძი და არის თუ არა იგი უზრუნველყოფილი დაკარგვისაგან. ამიტომ სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით პატივი გვაქვს გთხოვთ, გამოარკვიოთ სად იმყოფება ეს განძი და გვიშუამდგომლოთ, რათა იგი გადმოეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს» [128, 147].

ქვეყანაში შექმნილმა მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ და ორსაუკუნოვანმა ცარიზმის ანტიეროვნულმა პოლიტიკამ საზოგადოების სარწმუნეობრივ-ზნეობრივი დეგრადირება გამოიწვია, რის შედეგადაც მოსახლეობის ნაწილი ფიზიკური არსებობისათვის იძულებული იყო, ბაზარზე გასაყიდად გაეტანა ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ნივთები. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ქართველი მეცნიერები და მთავრობის მესვეურნი მივიდნენ იმ აზრამდის, რომ საჭიროა რაიმე ღონისძიებების გატარება, რომელიც ხელს შეუშლიდა ხელოვნების ნიმუშთა საზღვარგარეთ გადინებას. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, «ისტორიული მნიშვნელობის ნივთების შესაძენათ საჭირო იყო შექმნილიყო

სამუზეუმო ფონდი» [153, 10], რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა, შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ პროცესის ისეთნაირად დარეგულირება, რომელიც შეაჩერებდა ქართული საუნჯის საზღვარგარეთ გატანას, მის საბოლოოდ დაკარგვას.

აი, რას ვკითხულობთ ბაქოში მცხოვრები ქართველი თავადის გიორგი ამილახვრის 1919 წლის პირველ ივლისს ნოე ჟორდანიასადმი მიწერილ წერილში: «მე მაქვს ისტორიულ-საარხეოლოგიო საეკლესიო განძი, მათ შორის ცნობილი (წმინდა გიორგის) მთელ საქართველოში გორიჯვრის ჯვარი, მასთან წმინდა გიორგის ხატებითურთ და სხვანიც, რომელიც მინდოდა დამეგირავებინა, ახლა კი გადავწყვიტე მათი გაყიდვა, საქართველოს გარეთ არ მინდა. მინდა ამით ჩემს შვილებს არ დავსდო ეს ჭუჭყი... მე ვთხოულობ მთავრობის წინაშე ნება მომცენ ამ ნივთების ლოტარიაში ჩაგდების; ამ წესით რომ მომგები ამ ხსენებული ნივთებისა მოვალე იყოს მოგებისთანავე გარდაეცეს ანუ მუზეინს, საკუთრებით ეროვნებისა... აგრეთვე თუ ჩემგან დარქმეული ფასი ამ ნივთისა მეტია, მაშინ გთხოვთ შეჰყაროთ სპეციალისტნი, რომლებმაც შეაფასონ იგი». [155, 18-19]. ნ. ჟორდანიამ ამ საკითხის გასარკვევად მიმართა ე. თაყაიშვილს. ამ ამბით შეძრწუნებულმა მეცნიერმა საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებაში «გამოითხოვა ამილახვრისაგან ჯვარი, მოიწვია წარმომადგენელნი სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის ფაკულტეტისა, პროფესორები ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, კ. კეკელიძე და წარმომადგენელი ხელოვანთა საზოგადოებისა დიმიტრი შევარდნაძე და მათთან ერთად გასინჯა, აღწერა და შეაფასა ხსენებული ჯვარი... ლოტარიაში ჯვრის ჩაგდება ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია კომისიას და წინადადებას იძლევა ჯვარი შეძენილი იქმნას ათმილიონიან ფონდიდან ეროვნული მუზეუმისათვის» [155, 14-15].

შექმნილ რთულ ვითარებიდან გამომდინარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა თხოვნის საფუძველზე, 1919 წლის 24 ოქტომბერს მთავრობამ მიიღო «დეკრეტი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძვირფასი ნივთების შესაძენად სამუზეუმო თანხის დაარსებისათვის (1 000 000 მან.)» [155, 6]. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა იმ ეროვნულ საგანძურს, რომელიც წლების განმავლობაში იყიდებოდა საზღვარგარეთ. დეკრეტით დადგინდა, რომ «განათლების სამინისტროსთან დაარსდეს ორგანო, რომელიც ისტორიულ ნაშთებს მოუვლის» [154, 30].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ათეისტური მიმართულების აშკარა გამოხატულებას წარმოადგენდა მათ მირ მიღებული 1918 წლის 26 ნოემბრის კანონი, რომლის გადაწყვეტილებითაც, სახალხო განათლების სამინისტროს გადაეცა ყოფილი სასულიერო სასწავლებლების ქონება თავისი შენობებით. ამასთანავე, მთავრობამ სპეციალური დეკრეტით ეკლესიებსა და მონასტრებს ჩამოართვა მიწები, ვენახები, სათიბები, ტყეები, ე.ი. არსებობის სახსარი მოუსპო მათ. ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, უნდობლობა გამოუცხადა ეკლესიას და, ზემოთ დასახელებული კანონის საფუძველზე, იგი გაუთანაბრა საქართველოს მოქმედ სხვადასხვა კონფესიებს. მიმდინარე პროცესებიდან ნათლად ვლინდება, რომ ხელისუფლების მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის იზოლაცია სახელმწიფო პოლიტიკისაგან. მთავრობას კარგად ესმოდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. მას ეშინოდა, რომ ელიტარულ სასულიერო ფენას არ გამოეყენებინა საზოგადოების ნაწილი სახელმწიფოში გატარებული რეფორმების საწინააღმდეგოდ.

დამცირებული და აბუჩად აგდებული სასულიერო ფენა თავისი უფლებებისა და ქონების კანონიერების დამტკიცებას შეეცადა, რასაც პასუხად ხელისუფალთა მხრიდან საოცარი ცინიზმი მოჰყვა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ პერიოდში არსებული ვითარებით უკმაყოფილო უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს პატრიარქის ლეონიდეს წერილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასადმი: «რომელი სახელმწიფოებრივი საქმე უნდა გარიგდეს მშრომელი ბერების შიმშილით გაწყვეტით? ჩვენი ქვეყნის საამაყო ისტორიული ნაშთების განზრახ დანგრევა-განადგურებით? ჩვენი მთავრობა სოციალისტურია და პრინციპულად ვერ შეგუებია ეკლესიას. თანახმა ვარ, დიახაც ნუ შეგუებია ეკლესიას. თანახმა ვარ, დიახაც ნუ შეგუებიან ურთიერთს ეკლესია და სოციალისტები. დროზე დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ განშორებაშიც სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენც მარტო სამართლიან გაყრას ვთხოულობთ სახელმწიფოსაგან, სხვას არაფერს». [10,42]

სხვადასხვა ხასიათის უძველეს, უნიკალურ ქართულ საეკლესიო და ისტორიულ ნივთებს დაკარგვის საფრთხე დაემუქრა. საქართველოდან უწყვეტ ნაკადად გაედინებოდა ერის საგანძური და მომავალი თაობებისათვის იგი

იკარგებოდა. პროგრესულად მოაზროვნე სამღვდელოების ნაწილმა კარგად დაინახა შექმნილი რთული სიტუაცია, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა მართლმადიდებლურ რელიგიასა და ქართულ ეკლესიას და მიიღო იმ დროისათვის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. ასეთი ურთიერთ დაპირისპირების ფონზე ვლინდება ქართველი ინტელიგენციის, უნივერსიტეტის პროფესურის თანადგომა ეროვნული კულტურისა და ეკლესიისადმი. ეს უკანასკნელი ცდილობდა, მისი საუკეთესო ქონება უნივერსიტეტის მფარველობაში გადაცემულიყო, რათა მთავრობასა და საზოგადოებას ის სრულად არ გაენადგურებინა.

ეკლესიამ უნდობლობა გამოუცხადა ხელისუფლებას და გაემიჯნა მას შეძლებისდაგვარად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ფაქტობრივად, ეკლესია სახელმწიფოსაგან გამიჯნა და დაიწყო მისი შევიწროება, იგი, უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერების მოთხოვნითა და თანადგომით, დგამდა მნიშვნელოვან ნაბიჯებს, მომართულს ქართული საუნჯის გადარჩენისაკენ, ექსპედიციების დაფინანსებისაკენ. ქართული სამუზეუმო ფონდის შექმნით მთავრობამ და უნივერსიტეტმა გადაურჩინეს ერს მრავალი ისტორიული ღირებულების ნივთი საბოლოო დაკარგვას, საზღვარგარეთ გაყიდვას. ეს იყო იმ პერიოდში ქართველი უნივერსიტეტელებისათვის უდიდესი მონაპოვარი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული კულტურისა და ეკლესიისადმი განსაკუთრებული ზრუნვა ყველაზე მკაფიოდ სიძველეთა დაცვის საგანგებო ორგანიზაცია-მუზეუმების დაარსების მიმართულებით განხორციელებულ მუშაობაში გამოვლინდა. უნივერსიტეტმა ითავა საქართველოში არსებული მუზეუმების მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა. ი. ჯავახიშვილის მხედველობის არეს არ რჩებოდა არც რუსეთის ყოფილი იმპერიის თუ საზღვარგარეთის ქვეყნების ბაზრები, სადაც შეიძლებოდა გაყიდულიყო ქართული ფოლიანტები თუ ისტორიული ღირებულების მქონე ნივთები. უნივერსიტეტის პროფესურის მთავარ საზრუნავად იქცა ქვეყნის ძნელბედობის ჟამს უცხოეთის ქვეყნებში გაფანტული ეროვნული საგანძურის დაბრუნება.

კავკასიის მუზეუმის დირექტორმა ნოე ყიფიანმა, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მეცნიერების ტაძართან, 1919 წლის 22 მაისს ოფიციალური წერილი გაუგზავნა თფილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო

საბჭოს და აცნობა, რომ «ქ. ერევანში იყიდება რუსეთსა და მთელ ევროპაში ცნობილი დიმიტრი მალიუჟენკოს მიერ აღნუსხული ენტომოლოგიური კოლექცია. მოგროვილი მასალა შეეხება საქართველოსა და მეზობელ კუთხეებს, ასე რომ იგი დიდ განძს წარმოადგენს ჩვენი საბუნებისმეტყველო მუზეუმებისათვის. კოლექცია შეიცავს 63.000 ეგზემპლიარს და სთხოვს დახმარება აღმოუჩინოს უნივერსიტეტმა კავკასიის მუზეუმს და გაიღოს თანხა მის შესაძენად» [152, 34]. კავკასიის მუზეუმის დირექტორი ნოე ყიფიანი 1918 წლის 15 ივნისს ი. ჯავახიშვილს უგზავნიდა ანგარიშს და იწვევდა მას როგორც განსაკუთრებული სარევიზიო კომისიის წევრს მუზეუმში და აცნობებდა, რომ: ,,მე თავიდანვე აღმოვაჩინე, რომ მუზეუმის განყოფილებაში, არის სხვათაშორის, ისეთი მატერიალური და სამეცნიერო ხასიათის ქონება, რომელიც არსად არაა რეგისტრირებული.''[148, 20-21].

ქვეყანაში მიმდინარე ყოველგვარი საგანმანათლებლო და სამუზეუმო საქმიანობის საქმის კურსში იყვნენ უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერები, ისინი ცდილობდნენ თავიანთი წვლილი, ცოდნა და გამოცდილება მოეხმარებინათ ქვეყნისათვის. მათ მხედველობის არედან არ რჩებოდათ არც საზღვარგარეთ გამოცემული ბუკინისტური, უიშვიათესი წიგნები თუ ხელნაწერები. ისინი ცდილობდნენ, მიუხედავად ფინანსური კრიზისისა, მათ შესყიდვას უნივერსიტეტისათვის. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ალექსანდრე ჯავახიშვილის წერილი: «კავკასიის რელიგიური რუკა დიდი მასშტაბის, ჰქონია ერთ უცნობ პირს, პირი ამ რუკისა, რომელიც არის სამხედრო ტოპოგრაფიულ განყოფილებაში და რომელიც ყოფილა პარიზში გამოფენაზე, აფასებენ 50.000 მანეთად... მის შეძენას ცდილობს სომხეთის მთავრობა. ვთხოვ სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას მომცეს საშუალება ეს იშვიათი განძი გეოგრაფიული კაბინეტისათვის შევიძინო, რადგან მეშინია სომხეთის მთავრობამ არ გამოგვაცალოს იგი ხელიდან» [130, 133].

საეკლესიო ხელისუფლებისათვის ამ შემთხვევაშიც აშკარა გახდა, რომ საგანძურის გადარჩენა-დაცვის ყველაზე საიმედო ადგილი თბილისის უნივერსიტეტი იყო. მუზეუმ-არქივებსა და ეროვნულ-ისტორიულ გამოფენებზე დაცული ისტორიული სიძველენი არა მარტო საკულტო დანიშნულების იყო, არამედ მას დიდი ისტორიულ-კულტურული ღირებულება ჰქონდა. ქართულმა ეკლესიამ

ისარგებლა ამით და ამოვიდა მთავრობის პოლიტიკის იმ მთავარი მიზნიდან, რომელიც მიმართული იყო ისტორიულ სიძველეთა გადარჩენისაკენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პერიოდში და მისი ხელშეწყობით ამოქმედდა «საეკლესიო სიძველეთა» მუზეუმი. იგი შეიქმნა 1918 წლის 10 ივნისს საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით. მისი კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე), ხოლო კომისია დაკომპლექტდა იუსტინე აბულაძის, მღვდელი ვასილ კარბელაშვილის და მოსე ჯანაშვილის შემადგენლობით» [100, 1].

საეკლესიო სიძველეთა გადარჩენის საქმეში აქტიურად ჩაებნენ ქართველი მეცნიერები, კულტურის საზოგადო მოღვაწეები. მათი უპირველესი მიზანი იყო, დაეცვათ და აღედგინათ უძველესი ქართული საეკლესიო ნივთები. აღნიშნული ფაქტი ნათელი დადასტურება იყო ქართული სასულიერო ფენისა და მეცნიერთა ერთობლივი ზრუნვისა, დაეცვათ ეროვნული კულტურის ნიმუშები განადგურებისაგან, მათ ერთობლივი მუშაობის ისტორიული გამოცდილება ჰქონდათ. სანკტ-პეტერბურგის მუზეუმის მხატვარ-რესტავრატორ კონსტანტინე ქავთარაძის უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა ნამუშევრების პირველი გამოფენა. მან, უმაღლესი სამღვდელოების თანადგომითა და დახმარებით, შეკრიბა 1918 წლამდე არსებული საეკლესიო ფერმწერთა ნამუშევრები, ჩაუტარა მათ სარესტავრაციო, საკონსერვაციო სამუშაოები, შემდგომ კი დაამზადა მათი ასლები. მისი და ისტორიკოს-მეცნიერთა კონსულტაციების საფუძველზე აღდგენილი იქნა სასულიერო პირთა სამოსელი. «საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტრების კედლის მხატვრობიდან შესრულდა მრავალი ქანდაკებისა და ფრესკის მოდელი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მისი ძალისხმვით შეგროვდა რუსეთისა და უცხოეთის მუზეუმ-გალერეებში დაცული უძველესი ქართული საეკლესიო განძეულობათა ასლები.'' [17,6]

საქართველოს საეკლესიო განძეულობის დაცვა-გადარჩენის საკითხი მხოლოდ ქართული ეკლესიის პრეროგატივა არ გახლდათ. საღად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა, ამ პრობლემით საქართველოს მთავრობა დაეინტერესებინა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტომ მიიღო კანონპროექტი საკათალიკოსო ტაძრებისა და ეკლესიების შენახვის შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილი

კომისიისაგან მოითხოვდა, მიეღოთ დადგენილება, რომელიც უძველესი კულტურული მემკვიდეობის დასაცავად გამოყოფდა სპეციალურ რაზმებს, ხოლო ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე ტაძრებში მომსახურე სასულიერო პირებს სახელმწიფო ხაზინიდან დაუნიშნავდა ხელფასს. მართალია, თათბირზე დაისახა გზები ამ მიმართულებით მუშაობისა, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია. ეკლესია-მონასტრებზე მაინც საქართველოს საკათალიკოსო საბჭო ზრუნავდა.

მწირი მატერიალური შესაძლებლობანი ვერ აკმაყოფილებდა მუზეუმისთვის წაყენებულ მოთხოვნებს; ამას ერთვოდა მათი სისტემატური ძარცვა. დაუცველობისაგან ნადგურდებოდა საეკლესიო ექსპონატები და ისინი მომავალი საქართველოსა და მისი მოსახლეობისათვის სამუდამოდ იკრაგებოდა. აღნიშნული მუზეუმის დაარსებას იმ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც ბევრი ისეთი ექსპონატი, რომელიც ამ განუკითხაობის დროს შეიძლებოდა სამუდამოდ დაკარგვოდა ერს, სწორედ ამ მუზეუმის თანამშრომლების წყალობით გადარჩა. გაუქმებული მონასტრებიდან წამოღებულმა არა ერთმა ნივთმა დაიდო ბინა სიძველეთა მუზეუმში. მაგრამ არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს მუზეუმი სრულფასოვნად ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მან თავის თავზე ვერ აიღო ის სამეცნიერო დატვირთვა, რომელიც საერთოდ მუზეუმს აკისრია. 1920 წლის 22 იანვარს ექვთიმე თაყაიშვილი უგზავნიდა ოფიციალურ წერილს სიძველეთა მუზეუმის კომიტეტს და სთხოვდა: «დროა, საეკლესიო მუზეუმი მთლად გადაეცეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას; მიმართვა ესე მოხსენდეს საეპარქიო კრებას, კათალიკოზ ლეონიდეს. როგორც კომიტეტს მოეხენება, საეკლესიო მუზეუმმა დაიწყო ლიტოგრაფიულად გამოცემა თავისი უძველესი სიგელ-გუჯრებისა. რამდენადაც ვიცით, უსახსრობის გამო ეს საქმე დიდიხანია შეჩერებულია. საისტორიო და საეთნოგრაფია საზოგადოება მზად არის იტვირთოს ეს საქმე და თავისი სახელით და საფასით გამოსცეს დასახელებული საბუთები”. აქვეა მინაწერი მისი უწმინდესობის ლეონიდესი: “გამოსცეს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებამ და სამღვდელოების მუზეუმს დაუთმოს 50 ცალი ამ გამოცემიდამ» [159, 2]. როგორც ირკვევა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და სიძველეთა მუზეუმის შერწყმა არ განხორციელებულა. მუზეუმში შეიქმნა ურთულესი მდგომარეობა, ამას თან ერთვოდა მთავრობის მხრიდან მისი შევიწროება. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორმა ი. ჯავახიშვილმა

კრიტიკული წერილი მისწერა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტეს: «ყველას მოეხსენება ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ჩვენი უმდიდრესი სიძველეთსაცავი-საეკლესიო მუზეუმი. აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც მისი კარები თითქმის არ გაღებულა და ეს საუცხოვო საგანძური ხელმიუწვდომელია შიგ სამეცადინოდ მეცნიერ-მკვლევართათვისაც და დასათვალიერებლად უცხოეთიდან მოსულ ტურისტებისათვისაც. უნივერსიტეტის გამგეობა სთხოვს კომიტეტს მიიღოს ზომები რათა მუზეუმი ხელმისაწვდომი გახდეს მეცნიერული საქმიანობისა და კვლევა-ძიებისათვის» [159, 7]. ამ წერილის საფუძველზე მუზეუმის საქმე განხილულ იქნა მცხეთა-ტფილის-ურბნის ალავერდის ეპარქიის წარმომადგენელთა კრებაზე, რომელზეც სიტყვით გამოვიდა დეკანოზი კ. ცინცაძე, მან აღნიშნა, რომ უწმინდესობის, კათალიკოს-პატრიარქის 1921 წლის 25 მარტის «განჩინებითა და პატივისცემით საეკლესიო მუზეუმის კომიტეტმა მოისმინა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რათა მუზეუმი, რომლის კარები ამ უკანასკნელ 2 წელიწადში თითქმის არ გაღებულა, ხელმისაწვდომი გამხდარიყო მეცნიერული საქმიანობისა და კვლევა-ძიებისათვის... მან მიიღო განჩინება ქართული სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმი ჩაბარდეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც კვლევა-ძიებისათვის სასარგებლოდ, ისე მოსავლელ დასაცველად იმ პირობით, რომ ყოველ ნახევარი წლის გასულს, მან აცნობოს სამუზეუმო კომიტეტს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება მუზეუმი». [159, 8-9]. ქართველი სამღვდელოების ზრუნვის საგანი იყო საღად მოაზროვნე, სამშობლოსთვის თავდადებული თაობის აღზრდა. ელიტარულმა სასულიერო ფენამ სწორად შეაფასა დემოკრატიული მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც, მომავალ სტუდენტ-ახალგაზრდობას განათლება უნდა მიეღო არა სარწმუნოებრივ, არამედ სამეცნიერო საფუძველზე. მათ პრაქტიკულ-სემინარული სამუშაოები ჩაუტარდებოდათ არქივებში, გალერეებსა და მუზეუმებში. სწორედ ამიტომაც საეკლესიო საბჭომ ქართველ პროფესურაზე შეაჩერა არჩევანი, რომელთანაც ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. სიძველეთა მუზეუმის ჩაბარება უნივერსიტეტისათვის მისმა უწმინდესობამ ლეონიდემ მიანდო კომიტეტის წევრებს: კორნელი კეკელიძესა და მოსე ჯანაშვილს. ამრიგად, სამწლიანი მოღვაწეობის შემდეგ მუზეუმის ხელმძღვანელობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ

დამოუკიდებლად არსებობისათვის მას საჭირო თანხები და ძალები აღარ გააჩნდა და არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გააკეთა.

საეკლესიო სიძველეთა მუზეუმის 1921 წლის იანვრით დათარიღებულ დებულებაში ვკითხულობთ: «მუზეუმი არის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი სამეცნიერო დაწესებულება. მისი დანიშნულებაა საისტორიო-საარქეოლოგო ნაშთთა შეგროვება, დაცვა და მათი გამოყენება უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისათვის. მუზეუმი ექვემდებარება სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს, რომელიც შუამდგომლობს ხოლმე მის საჭიროებათა გამო უნივერსიტეტის მართვა-გამგეობის ორგანოთა წინაშე. მუზეუმს განაგებს ერთ-ერთი პროფესორი თავისი სპეციალობით მასთან დაახლოებული, რომელსაც ამ თანამდებობაზე ირჩევს ფაკულტეტი და ამტკიცებს პროფესორთა საბჭო» [117, 40].

1921 წლის 10 ივნისს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით «საეკლესიო-მუზეუმი გადაეცა ქართულ უნივერსიტეტს, რის გამოც პროფესორთა საბჭო დიდ მადლიერებას გამოხატავს» [121, 10]. საეკლესიო სიძველეთა მუზეუმმა, ფაქტობრივად, ძნელბედობის ჟამს ბევრი უნიკალური საეკლესიო ნივთი გადაარჩინა და შემოუნახა ერს.

ეკლესიის მესვეურთა და ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა ერთობლივ მუშაობას იმ დროისათვის შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში 1921 წლის დასაწყისისთვის განთავსდა «საეკლესიო სიძველეთა მუზეუმთან» ერთად «საისტორიო, საეთნოგრაფიო საზოგადოება», «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» და ხელოვნების კაბინეტში თავმოყრილი უნიკალური ნიმუშები. ამ საცავების ექსპონატებით გამდიდრება-შევსებისათვის აქტიურ მუშაობას აწარმოებდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები. ყოველ მნიშვნელოვან საკითხს განიხილავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო და გამოჰქონდა შესაბამისი განკარგულება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს ეკლესიასთან ერთად დაიცვა და ერს გადაურჩინა არა ერთი ძვირფასი ექსპონატი თუ ხელნაწერი,

რომელთა ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა მას შემდეგ, რაც გამძაფრდა ბრძოლები საქართველოს საზღვრებთან რუსეთის მე-11 არმიასა და ქართულ დივიზიას შორის.

დამფუძნებელმა კრებამ ქართველ ახალგაზრდობას, ერსა და ბერს მოუწოდა სამშობლოს დასაცავად. ამ მოწოდებას აქტიურად დაუჭირა მხარი უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილმა და სტუდენტობამ. სამშობლოს დასაცავად მიმავალ სტუდენტებს ბრძოლის გზა დაულოცა უნივერსიტეტის რექტორმა.

ელვის უსწრაფესად იცვლებოდა ვითარება ფრონტზე, ამის შესაბამისად ტარდებოდა მთელი რიგი ღონისძიებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც 1921 წლის 16 თებერვალს საგანგებოდ მოწვეული პროფესორთა საბჭო ღებულობდა. უნივერსიტეტის რექტორმა ი. ჯავახიშვილმა მიმართა წერილით დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს: «პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ. ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვონ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის. ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის» [120, 13-14]. ქართველმა იუნკრებმა თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს კოჯრის მისადგომებთან. ქართული ჯარი სისხლისაგან იცლებოდა. საქართველოს ოკუპაცია ეჭვს აღარ იწვევდა, ეს მაშინ, როდესაც სულ ორიოდე კვირის წინ 1921 წლის 4 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას «საქართველოს იურიდიული ცნობის გამო» [93, 139].

ფრონტზე შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის გამგეობამ გამოსცა ბრძანება: «ქართული განძის, რომელიც საისტორიო-

საეთნოგრაფიო საზოგადოების განკარგულებაში იმყოფებოდა, მისი ჩაბარგების შესახებ საზღვარგარეთ გასატანად» [121, 12]. აი, რას ვკითხულობთ შექმნილი მდგომარეობის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ წერილში, რომელიც ზუსტად ასახავს და ნათელს ჰფენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ ზოგიერთ მოსაზრებას: ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა: «როდესაც საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად თავს დაგვესხა და ჩვენი დამარცხების აჩრდილი გამოჩნდა... მიხმო ჩემმა მეგობარმა ივანემ და მითხრა: მოდის ბოლშევიკური პროპაგანდით გაჟღენთილი საბჭოთა რუსეთის რუსის ჯარი, ჩვენდამი უაღრესად სიძულვილით გამსჭვალული, მშიერი და მწყურვალი, ისინი ჩვენ დაგვარბევენ, გაგვძარცვავენ, დაიტაცებენ ჩვენს ისტორიულ განძეულობას მოღალატე ორჯონიკიძე-მახარაძეების მეთაურობით, საჭიროა მისი დროზე შეგროვება, აღრიცხვა და უცხოეთშიდ გატანა ნ. ჟორდანიას მთავრობის მიერ მის გადასარჩენათ, საქართველოშიდ ჩვენ ამ განძეულობის გადამალვას ვერ შევძლებთო... მე მან მთხოვა, ნოე ჟორდანიას ეხლა სად აქვს ამის დრო, რომ განძეულობაზე იფიქროს, ამიტომ ეხლავე, ეახელ მას, აუხსენი ყველაფერი და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის შენ არ გაგაწბილებს, მოგცემს საჭირო თანხებს და სანდო პირობებსაცო... ნოემ მაშინვე მიმიღო და მითხრა, სია ნივთების აღწერილობის ორი ცალი თან აახლეთ განძეულობას და ორი ცალიც დასტოვეთ საქართველოში თქვენი სურვილის თანახმად... ეს აზრი, რომ ივანეს არ მოსვლიოდა, შეიძლება კი არა, დარწმუნებული ვარ, რუსის ბრმა ჯარი მას, განსაკუთრებით საეკლესიო ნივთებს მიითვისებდა და სადღაც სამიკიტნოში არაყზე და ღვინოზე გადაცვლიდაო... ივანე ჯავახიშვილს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ ისტორიულ საუნჯე-განძეულობის გადარჩენასო» [32, 62-64], [178, №3267]. უკანასკნელ პერიოდში ახალი საარქივო დოკუმენტების გამოვლენამ ნათელი მოჰფინა ქართული განძის საზღვარგარეთ გატანის საიდუმლოებას. ზოგიერთი მომენტი უფრო გასაგები გახდა საზოგადოებისათვის, კერძოდ, ქართული საუნჯის გახიზვნა მეტად დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ექვთიმე თაყაიშვილს მოუწვევია თბილისის მუზეუმის გამგეები და მათი მრჩევლები. საქართველოს ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქივმა შემოგვინახა მეტად საინტერესო წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი მიწერილი, რომელიც 1921 წ. 17 თებერვლით თარიღდება: «საქართველოს საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის გამგემ ექვთიმე

თაყაიშვილმა, საეკლესიო მუზეუმის გამგემ კალისტრატე ცინცაძემ და საქართველოს მუზეუმის გამგემ ნოე ყიფიანმა იქონიეს რა მხედველობაში ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა დაადგინეს, რომ მათდამი რწმუნებულ მუზეუმთა უძვირფასესი საგნები ჩააბარონ ქუთაისის ხაზინას. აღნიშნულის გამო, გთხოვთ გვიბოძოთ სათანადო მოწერილობა ქუთაისის ხაზინისადმი. მუზეუმის მხრივ აღნიშნულ საგნებს გაჰყვება 2 მცველი» [176, 151/139-47]. სწორედ უნივერსიტეტის შენობის მესამე სართულზე 16 თებერვალს მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართული სამუზეუმო ექსპონატების ყუთებში ჩალაგება და სიების შედგენა. განსაკუთრებით საყურადღებოა 1921 წლის 17 თებერვლით დათარიღებული წერილი «ბატონო მოსე, (მხედველობაში ჰყავს მ.ჯანაშვილი – ე.ლ.) რაც ძვირფასი ოქრო-ვერცხლის ნივთებია ჩაალაგეთ ყუთში და გაგზავნეთ წერა კითხვისა და საისტორიო მუზეუმების ნივთებთან ერთად. მათეს ჩააბარეთ ის ყუთი, რომელიც სიონში არის დაცული, ეს განკარგულებაა მისი უწმინდესობის.” ბარათს ხელს დეკანოზი კ. ცინცაძე აწერს. წერილს თან ერთვის პატარა მინაწერი: “ეს ნივთები ჩავიბარე მოსე ჯანაშვილისაგან, თანახმად კათალიკოს-პატრიარქის განკარგულებისა ჩვენს ნივთებთან ერთად გასაგზავნად.” ხელს აწერს ს. გიორგაძე. “ჩავაწყვეთ ერთ ყუთში და ბეჭდითა და ლუქით დავბეჭდეთ 1921 წ. 18 თებერვალს» [121, 1-1^{ა}]. ეს დოკუმენტი პირველად ხდება სამეცნიერო განსჯის საგანი.

საქართველოში დატრიალებულ განუკითხაობას განარიდეს საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ქართული საუნჯე. როგორც ირკვევა, მისი გატანის მომხრე იყო როგორც ქართული უნივერსიტეტის პროფესსორ-მასწავლებლები, ასევე მთავრობაც და საკათალიკოსო საბჭოც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში გადასაცემად გამზადებული საეკლესიო სამუზეუმო ნივთების ნაწილის გატანა საზღვარგარეთ სწორედ პატრიარქ ლეონიდეს განკარგულებით გადაწყდა. რაც ეწინააღმდეგება პროფესსორ გ. ჟორდანიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს იგი ეწინააღმდეგებოდა მის საზღვარგარეთ გატანას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი არსებობის 3 წლიანი ისტორიის განმავლობაში ერის რუდუნებით შეგროვილი კულტურული ღირებულების მქონე ექსპონატები გადარჩენის მიზნით საზღვარგარეთ გაგზავნა დასაცავად. ქვეყანა სიწმინდეების გარეშე დარჩა, მას კიდევ მრავალი უბედურების

გადატანა მოუხდა, სანამ ექვთიმე თაყაიშვილის დიდი გულმოდგინების საფუძველზე იგი მას დაიბრუნებდა

თავი V

ევროპული საგანმანათლებლო პრინციპების დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

რუსეთსა და ევროპის უნივერსიტეტებიდან დაბრუნებული ქართველი პროფესურა მშობლიურ უნივერსიტეტში ევროპული სისტემის დანერგვას ცდილობდა. საამისოდ უმაღლესი სკოლა სათანადო სამეცნიერო და სახელმძღვანელო ლიტერატურას საჭიროებდა. ქართველი მოღვაწენი საზღვარგარეთიდან, კერძოდ, საფრანგეთიდან, ინგლისიდან და გერმანიიდან უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურასა და პროგრამებს იწერდნენ. ქართული უნივერსიტეტი, ბუნებრივია, ერის ინტერესების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. მას ქართველი ახალგაზრდობა ეროვნული სულისკვეთებით უნდა აღეზარდა და შეექმნა ისეთი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრი, რომელიც საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების შესატყვისი იქნებოდა. ქართველი მოაზროვნენი უნივერსიტეტის სასწავლო სამეცნიერო გეგმის შედგენისას ხელმძღვანელობდნენ საზღვარგარეთის სამეცნიერო კერებში დადგენილი სასწავლო წესებით, რომლებიც, ბუნებრივია, ტრადიციული განათლების შესატყვისი უნდა ყოფილიყო.

უფრო მოგვიანებით, გასაბჭოების შემდეგ (ვიდრე ჩვენი კვლევის არეალია), ი. ჯავახიშვილი მიმოიხილავდა და ადარებდა რა ერთმანეთს რუსეთისა და საქართველოს საუნივერსიტეტო სასწავლო სისტემას, წერდა: «სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის მიერ თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სასწავლო გეგმის პროექტი ამ ფაკულტეტის აწ არსებული სასწავლო გეგმას ძირფესვიანად სცვლის. მოსპობილია მთლიანად ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და ისტორიის დარგები, არსად მოიპოვება ბერძნული, ლათინური და მახლობელი აღმოსავლეთის იმ ენებისა და მწერლობის ისტორია, რომელთა სწავლება უნივერსიტეტის დაარსებიდანავე სწარმოებდა. თვით ქართულ მწერლობის ისტორიაც კი მარტო ახალი და უახლესი ხანით არის

განსაზღვრული, მაშასადამე ქართული მწერლობის ცამეტი საუკუნის ისტორია მთლიანად გაუქმებულია .... აღსანიშვია, რომ მთელ პროგრამაში ისეთი ძირითადი საგნების, როგორიცაა მინერალოგია, კრისტალოგრაფია, პალეონტოლოგია, პეტროგრაფია, ანატომია, ანთროპოლოგია, ფიზიოლოგია, ხსენებაც კი არ მოიპოვება. შედარებითგან ირკვევა, რომ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის შემუშავებული გეგმა ნამდვილად მოსკოვის მე-2 სახელმწიფო უნივერსიტეტის გეგმის უბრალო თარგმანს წარმოადგენს, მხოლოდ იმ მცირედი განსხვავებით, რომ სადაც რუსულ ტექსტში რუსეთი და რუსული ენა სწერია, იქ საქართველო და ქართული ენაა დამატებული.” [105,5]

შეუძლებელია ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებიდან სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების პირდაპირი გადმოღება. ეს საკითხი სათუთ მიდგომას საჭიროებს, რადგანაც მისი გაუანალიზებლად ჩართვა სასწავლო პროცესში «განსაცდელში ჩააგდებს ჩვენს უნივერსიტეტსა და მეცნიერებას» [105,8] - წერდა ი. ჯავახიშვილი განათლების სახალხო კომისარიატს თავის მოხსენებით ბარათში.

განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ დროისათვის ქართულ უნივერსიტეტში, მსგავსად ევროპულისა, ერთი სამეცნიერო ხარისხი იყო მიღებული, კერძოდ – დოქტორისა, იგივე «მოძღვართ-მოძღვარი» - გელათის აკადემიის მსგავსად. ამით იგი განსახვავდებობა რუსეთისაგან, სადაც ორი ხარისხი არსებობდა. მეცნიერს, რომელსაც რუსეთის უმაღლეს სამეცნიერო სკოლაში უხარისხოდ პროფესორობა ან დოცენტობა ჰქონდა მოპოვებული, თბილისის უნივერსიტეტის გამგეობასა და პროფესორთა საბჭოს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, შეეძლო მისი პროფესორად მოწვევა. ვისაც რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხისათვის მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა ჰქონდა ჩაბარებული, ვიდრე დისერტაციას დაიცავდა, პროფესორის მოადგილედ ან მოვალეობის აღმასრულებლად ითვლებოდა. უნივერსიტეტს უფლება ჰქონდა სამეცნიერო ხარისხისათვის უნივერსიტეტთან დატოვებული სათანადო გამოცდის შემდეგ «მოძღვართ-მოძღვრობის» სამეცნიერო ხარისხით აღეჭურვა.

პროფესორთა საბჭო უფლებამოსილი იყო, განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებებისათვის დისერტაციის დაცვის გარეშე მიენიჭებინა მოძღვართ-მოძღვრის ანუ დოქტორის ხარისხი. ამრიგად, 1918 წელს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა სამეცნიერო ხარისხის მოპოვების

ძირითადი წესები: თბილისის უნივერსიტეტში, როგორც უკვე ითქვა, მიღებული იყო ერთი სამეცნიერო ხარისხი. იგი არ ანიჭებდა მის მომპოვებელს არავითარ განსაკუთრებულ უფლებებს და თავის თავად არ ითვლებოდა საკმარისად უნივერსიტეტის ამა თუ იმ კათედრის დასაკავებლად.

«სადოქტორო გამოცდა ერთად-ერთია, რომელსაც ატარებენ უნივერსიტეტის სათანადო ფაკულტეტები მეცნიერული თვასაზრისით. იგი არსებითად განსხვავდება სახელმწიფო გამოცდებისაგან, როგორც თავისი მიზნით, ისე უფლებრივად. გამოცდებზე დაიშვებიან ყველა უმაღლესი განათლების მქონე პირნი განურჩევლად იმისა, თუ სად მიუღიათ მათ ეს განათლება. გამოსაცდელმა უნდა წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს თხოვნა უმაღლესი განათლების საბუთებითურთ. გამოცდები ხდება ფაკულტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამით საჯაროდ ფაკულტეტის სხდომაზე. ყოველ წევრს ფაკულტეტისა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა გამოცდაში. გამოცდები გრძელდება არა უმეტეს 2 აკადემიური წლისა. გამოცდების შედეგი უნდა შეფასებულ იქნას ფაკულტეტის სხდომაზედვე და დადგენილება შეიტანება სხდომის ოქმში. უკეთუ გამოცდა არ იქნება დაკმაყოფილებული, გამოსაცდელს ნება ეძლევა იმეოროს იგი თავიდან არა უადრეს ერთი წლისა და არა უმეტეს ორი გზისა ერთსა და იმავე უნივერსიტეტში. ზეპირი გამოცდების გათავების შემდეგ ხარისხის მაძიებელი ვალდებულია წამოადგინოს ერთი წლის ვადაში წერილობითი შრომა. შრომის თემას ირჩევს თვით გამოსაცდელი და იგი არავის წინასწარ დასტურს არ საჭიროებს. ნაშრომის ზომა სავალდებულო ნორმით არ განისაზღვრება. წარმოდგენილ შრომას ეცნობა ყოველი წევრი ფაკულტეტისა, ხოლო ორი მათგანი ვალდებულია არა უგვიანეს სამი თვისა წარმოაგინოს წერილობითი დასაბუთებული განხილვა ფაკულტეტში. აღნიშნული მასალის მიხედვით ფაკულტეტი ანიჭებს გამოსაცდელს დოქტორის ხარსხს, და თავის დადგენილებას აცნობებს უნივერსიტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. მას მიეცემა შესაფერისი სიგელი.» [103, 5-5ᵃ]. ჩასაბარებელი საგნები სადოქტორო გამოცდებისა, ამ ძირითადი წესების მიხედვით, იყოფოდა მთავარ და დამხმარე საგნებად. გამოცდის წინ დისერტანტი პროფესორს წარუდგენდა არჩეული საკითხების პროგრამას, წყაროების აღნიშვნით. ასე მაგალითად, ფილოსოფიის ფაკულტეტის დოქოტორანტურაში ჩასაბარებელი მთავარი საგნები იყო: 1) ლოგიკა,

ფსიქოლოგია, ეთიკა, ფილოსოფიის ისტორია; 2)საზოგადოების ისტორია; 3) საქართველოს ისტორია; 4) ქართული სიტყვიერება (ქართული ენა, ქართული მწერლობის ისტორია); 5) საზოგადო სიტყვიერების ისტორია; 6) ხელოვნება (ხელოვნების თეორია, ბერძნულ და რომაულ ხელოვნების ისტორია; 7) ინდო-ევროპული ენათმეცნიერება (შედარებითი ინდო-ევროპული გრამატიკა); 8) პოლიტ-ეკონომია (საფინანსო მეცნიერება, სტატისტიკა). ხოლო დამხმარე საგნები გახლდათ: 1)ბერძენი და რომაელი ფილოსოფოსები; 2) საქართველოს ისტორია - პოლიტიკური ეკონომია; 3) არაბული (ან სპარსული) ენა; სომხური ენა, 4) ქართული ხელოვნების ისტორია, არქეოლოგია, 5) სანსკრიტი, ძველი ენები, 6) ფსიქოლოგია, სახელმწიფო სამართალი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ხარისხი მიენიჭებოდა არა თვითოეულ საგნის, არამედ დარგის მიხედვით. [103,5ᵃ]

უნივერიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირად შემადგენლობას ეკუთვნოდნენ ,,დამსახურებული პროფესორები, უხუცესი პროფესორები, დოცენტები, პრივატ-დოცენტები, პროზექტორები, ასტონომ-დამკვირვებელნი» [103,6]. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918 წლის წესდების მიხედვით, პროფესორად მხოლოდ ისეთი მეცნიერი შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული, რომელიც ან თბილისის უნივერსიტეტის ან უცხეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტიდან იქნებოდა. მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო შრომები. კონკურსანტისათვის საჭირო იყო სულ ორი წლის სააკადემიო მოღვაწეობის გამოცდილება და, სათანადო წესის თანახმად, ფაკულტეტის მიერ პროფესორად იქნებოდა არჩეული, ხოლო შემდგომ მას დაამტკიცებდა საბჭო. პროფესორად არჩევისას სათანადო ფაკულტეტს, პროფესორთა საბჭოს ნებართვით, შეეძლო, საჯარო კონკურსისთვის მიემართა, ან მოწვევის წესით ესარგებლა. იგი შესაბამისი ფაკულტეტის მიერ აირჩეოდა ფარული კენჭისყრით. კენჭის ყრას წინ უძღოდა ფაკულტეტის მიერ არჩეული კომისიის წერილობითი მოხსენება კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობისა და მისი სამეცნიერო შრომების შესახებ. არჩევანი ხმის უმეტესობით წყდებოდა. საბოლოო შედეგი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსთვის უნდა წარედგინათ დასამტკიცებლად.

კათედრაზე ახლად მოწვეული პროფესორი ხუთი წლით ითვლებოდა არჩეულად. ვადის გასვლის შემდგომ იგი კვლავ იყრიდა კენჭს და ამჯერად ამ

თანამდებობაზე 15 წლით რჩებოდა. არჩევნები მიმდინარეობდა ფარული კენჭის ყრით. წარდგენილი კანდიდატი საბჭოს წინაშე აკეთებდა მოხსენებას თავის ხუთ წლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, რომელიც წერილობით ერთვოდა მის პირად საქმეს [103,6]

დამსახურებულ პროფესორად 1918 წლის თ.ს.უ-ის წესდების თანახმად, ის პროფესორი იწოდებოდა, რომელსაც უნივერსიტეტში 20-წლიანი (დოცენტობიდან ან პრივატ-დოცენტობიდან მოყოლებული) სამეცნიერო-სასწავლო მოღვაწეობის გამოცდილება ჰქონდა და ფაკულტეტის მიერ იყო წარმოდგენილი. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ უხუცესი პროფესორი დამსახურებულ პროფესორად ითვლებოდა მანამ, სანამ მას სურდა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის საბჭოს წევრობა და მისი უფლებები შეუზღუდავია. თუმცა 30-წლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის შემდგომ პროფესორი მოვალე იყო, კათედრა დატოვებინა და მის მაგიერ სხვა უნდა არჩეულიყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა წესის მიხედვით, დოცენტად წარდგინება ხდებოდა ისეთი მეცნიერის, რომელსაც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოეპოვებოდა, ოღონდ არ ჰქონდა აკადემიური მოღვაწეობის 2 წლის გამოცდილება. არჩევნებს წინ უძღვოდა სტუდენტების წინაშე წაკითხული სანიმუშო ლექცია, რომელიც ფაკულტეტის მიერ დანიშნულ თემას უნდა შეხებოდა.

აქვე ხდებოდა გამონაკლისიც. კერძოდ, განსაკუთრებულ შემთხვევაში დოცენტად შეიძლებოდა არჩევა ისეთი მეცნიერის, რომელსაც არ ჰქონდა დაცული სადოქტორო დისერტაცია, ოღონდ გამოქვეყნებული ჰქონდა სამეცნიერო შრომები და ჩაბარებული ჰქონდა დოქტორანტურის გამოცდები. ასეთ დოცენტს ეძლეოდა უნივერსიტეტის მხრიდან განსაზღვრული ვადა დისერტაციის დაცვისა და შემდგომ ხარისხის მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დოცენტობას დაკარგავდა. [103,7]

პრივატ-დოცენტი შეიძლება ყოფილიყო დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე მეცნიერი, რომელსაც სურდა ლექციების წაკითხვა სათანადო ფაკულტეტზე. იგი განცხადებით მიმართავდა უნივერსიტეტის რექტორს, ხოლო საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდგომ, ფაკულტეტი მოისმენდა პრივატ-დოცენტობის მაძიებლის ორ სანიმუშო ლექციას. მხოლოდ მოწონების შემდგომ ეძლეოდა უფლება ამ თანამდებობის დაკავებისა. იგი აუცილებლად ფაკულტეტს უნდა ეცნობებინა საბჭოსა და გამგეობისათვის. [103-6].

ყოველი პროფესორი, დოცენტი და პრივატ-დოცენტი, რომელიც ფაკულტეტის დაუკითხავად და ნებადაურთველად ერთი სემესტრის განმავლობაში ლექციებს არ წაიკითხავდა და თავის მოვალეობას არ შეასრულებდა, გადამდგარად უნდა ჩათვლილიყო და უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის სიიდან ამოშლილიყო. ამის თვალყურის დევნება უნივერსიტეტის რექტორსა და სათანადო ფაკულტეტის დეკანს ევალებოდა. [103,7]

უნივერსიტეტის გამგეობა ვალდებული იყო, ყოველწლიურად გაეგზავნა განათლების მინისტრისადმი ლექციების ნუსხა და თანამშრომელთა სრული მონაცემები, კერძოდ კი, იგი აწვდიდა ცნობებს მათი განათლებისა და სამეცნიერო ცენზის შესახებ. განათლების სამინისტრო აკონტროლებდა პედაგოგ-მასწავლებლების პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობას.

საარქივო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ თითოეული საგნის წასაკითხად საბჭო 1920 წლის მაისში ატარებდა კონკურსს სხვადასხვა საგნებში, პროფესორის, დოცენტის და მასწავლებლის თანამდებობაზე.

თ.ს.უ-ის პროფესორთა საბჭო განსაზღვრავდა და ამტკიცებდა ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილი იმ საგნების სიას, რომელიც აღნიშნულ განყოფილებაზე იკითხებოდა. ასე მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამათემატიკო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე 1919-1921 წლების I სემესტრში იკითხებოდა: «უმაღლესი მათემატიკა – ანდრია რაზმაძე, ვარსკვლავთ მრიცხველობა და გეოდეზია – ანდრია ბენაშვილი, ქიმია – პეტრე მელიქიშვილი, ბოტანიკა – პროფესორი ქურდიანი, ანატომია – ნათიშვილი და კახიანი, ჰისტოლოგია- კრინიცკი, ფიზიოლოგია – ბერიტაშვილი და მოსეშვილი, ფარმაკოლოგია – ჭეიშვილი და მოსეშვილი, ფარმაცია – ქურდიანი, პედიატრია – გოგიტიძე, რადიოლოგია და რენდგენოსკოპია - ღამბარაშვილი.» [98,167-68]

1920 წელს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტმა გამოაცხადა კონკურსი შემდეგ საგნებში «მცენარეთა ფიზიოლოგია და ანატომია, ზოოლოგია, საზოგადო მიწათმოქმედება, კერძო მიწათმოქმედება, ზოოტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო ეკონომია და სტატისტიკა, სატყეო მეურნეობა და სტატისტიკა, ტაქსაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგია, ენტომოლოგია, ბეიტლობა, სასოფლო-სამეურნეო საინჟინრო–სააღმშენებლო ხელოვნება, სატყეო ტექნოლოგია, მებაღეობა და მებოსტნეობა, მევენახეობა, ძვირფას მცენარეთა კულტურა.» [111,27]

დემოკრატიულ საქართველოში მთავრობის ყურადღება მოპყრობილი იყო იქითკენ, რომ საქართველო გადაქცეულიყო აგრარულ ქვეყნად, რომლის გამოცდილებაც მას უკვე ჰქონდა. ამისათვის კი საჭირო იყო შესაფერისი ტექნიკა და კვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება. თუმცა არ შეიძლება, არ გავიხსენოთ იყალთოს აკადემია, სადაც სწავლება ძირითადად ტრივიუმ-კვადრივიუმის ციკლის საგნებს ითვალისწინებდა. აქ, აგრეთვე ისწავლებოდა მევენახეობა-მეღვინეობა, მებაღეობა, მჭედლობა და კერამიკა (მეკეცეობა). როგორც ვხედავთ, ძველად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დარგებში განსწავლას საგანგებო ყურადღება ეთმობოდა

სამეცნიერო კადრის აღზრდა, ბუნებრივია, უნდა ეტვირთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც უნდა გახსნილიყო სოფლის მეურნეობის ფაკულტეტი.

1918 წლის 19 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა უგზავნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მოხსენებას, სადაც იგი აყალიბებს აგრარული ფაკულტეტის გახსნის აუცილებლობას და ეძებს ამისთვის გზებს. ამ მიმართულებით ენერგიულ მუშაობას ატარებს რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა ერთი ჯგუფი, აგრეთვე რუსეთის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის ყოფილი ქართველი სტუდენტები, რომლებსაც უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების მიღება მშობლიურ ენაზე სურდათ. მრავალგზის იხილებოდა სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის გახსნის საკითხი. აი, რას ვკითხულობთ საარქივო ჩანაწერებში: «რაკი საქართველოს რესპუბლიკას პირველ ხანებში შედარებით პატარა ბიუჯეტი ექნება და რამოდენიმე უმაღლეს სასწავლებელს ერთად შენახვას ვერ შესძლებს, როგორც ეს ვერ შესძლო ბულგარეთმა, სერბიამ და სხვებმაც, ამიტომ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ფიქრობს, რომ სასოფლო-სამეურნეო და სხვაგვარი ჩენთვის საჭირო უმაღლესი ტექნიკური ცოდნის შეძენა და გავრცელება უნივერსიტეტთან შესაფერის ინსტიტუტების შექმნით შეიძლება. მაგალითად, სააგრონომო ინსტიტუტი და სხვა. ამ დარგის სტუდენტები და მსმენელნი საზოგადო საგნებს სამათემათიკო-საბუნებისმეტყველო და სასოფლო ფაკულტეტებზე მოისმენენ, თავიანთ სპეციალური დარგის მეცნიერებას კი ინსტიტუტში შეისწავლიან. ამით საშუალო ხარჯებიც შესამჩნევად შემცირდება და თვით ტექნიკური ინსტიტუტებიც იმგვარსავე

სამეცნიერო დონეზე იქნებიან დაყენებულნი, რა უმაღლეს დონეზეც სდგას მეცნიერება უნივერსიტეტში». [138,6]

ქართველ მეცნიერთა თვალთახედვა ევროპის იმ უნივერსიტეტებისაკენ იყო მიპყრობილი, რომელიც სოფლის მეურნეობის სწავლების უახლესი პროგრამების დანერგვას აქცევდა ყურადღებას. საზღვარგარეთ მივლინებაში მყოფი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, შემდეგში ცნობილი ნიადაგმცოდნე, დიმიტრი გედევანიშვილი მის მიერ შედგენილ მოხსენებით ბარათში ვრცლად მიმოიხილავდა გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის უნივერსიტეტებში აგრონომიული კადრების მუშაობასა და აქ დანერგილი სწავლების მეთოდებს, რადგანაც ევროპას მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ამ საქმეში წარმატებებისათვის, თუმცა არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ ისიც, რომ თავდაპირველად სოფლის მეურნეობას ევროპაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ხოლო XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აგრონომიული ქიმიის განვითარებამ განაპირობა საგნებისთვის მეტის ყურადღების მიქცევა და მათი წინა პლანზე დაყენება. ამ გარემოებას ბევრად შეუწყო ხელი ცნობილმა ევროპელმა მეცნიერმა იუსტიუს ლიბიხმა, რომელმაც სამეცნიერო წრეში დასვა საკითხი აგრონომიულ უნივერსიტეტებში სასოფლო-სამეურნეო საგნების გაფართოებული გეგმით სწავლებისა. მისი აზრით, ერთხმად იქნა მიღებული და სწორედ ამის შემდგომ გერმანიის უნივერსიტეტში დაიწყო დაარსება სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებმა. «მათი მიზანი იყო: 1. მისცეს ზოგადი და სპეციალური განათლება პრაქტიკულ სოფლის მეურნეებს. 2. აღზარდოს მასწავლებლები სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის; 3. გააცნოს საფუძველები რაციონალურ სოფლის მეურნეობისა ყველა იმ პირთ ვისაც ესაჭიროებათ ამის შესწავლა მისი მომავალი მოღვაწეობისათვის ამ დარგში. გერმანიის უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე სწავლების ხანგრძლივობა 4 დან 8 სემესტრამდის იყო განსაზღვრული. კურს დამთავრებულს დიპლომის მიღება შეეძლო მხოლოდ 2 წლის პრაქტიკის გავლისა და არა ნაკლებ 4 სასემესტრო კურსის მოსმენის შემდგომ. სახელმწიფო გამოცდები სწარმოებდა, როგორც წერილობით ასევე ზეპირად შემდეგ საგნებში. 1. მიწათმოქმედებაში, 2. მესაქონლეობაში, 3. წარმოებაში, 4. ქიმიაში, 5. ფიზიკაში, 6. ბოტანიკაში და ფიზიოლოგიაში» [110, 152].

იტალიაში, ისევე როგორც გერმანიაში განათლება ემსახურებოდა სოფლის მეურნეობას. როგორც უნივერსიტეტი, ისე განსაკუთრებული სპეციალური

აგრონომიული სასწავლებლების და უნივერსიტეტის ბაზაზე მყოფი სამეურნეო სკოლების მიზანი იყო მიეწოდებინათ სტუდენტებისათვის დამატებითი ცნობები სოფლის მეურნეობის შესახებ. ახალგაზრდებს უკითხავდნენ ლექციებს უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორები. იტალიაში არსებულ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო დარგების სასწავლებლებს მიზნად ჰქონდათ: «1. შეუთავსონ მსმენელებს სასოფლო-სამეურნეო დარგებისა სამეცნიერო და პრაქტიკული ცნობები, რომლებიც შეეფერებიან თანამედროვე მეცნიერებას და სახელმწიფოს საჭიროებას. 2. მოამზადონ მასწავლებლები აგრონომიულნ საგნებში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის. 3. რომ კურს გათავებულთ შეეძლოთ ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობის აღმშენებლობასა და მის შემდგომ მოწყობაში. 4. მოამზადონ გამგეები კულტურულ სამეურნეო მამულებისათვის. 5. ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის განყოფილებას თავისი სამეცნიერო გამოკვლევებით» [110, 156].

იტალიაში სწავლის ხანგრძლივობა 4 წლით განისაზღვრებოდა, უკანასკნელი წელი მთლიანად პრაქტიკას ჰქონდა დათმობილი საცდელ მეურნეობებში.

საფრანგეთის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება ორი სახის იყო, "კერძოდ: მებაღეობისა, მეღვინეობისა და მებოსტნეობისა და ე.წ. განცალკევებული სასწავლებელი, როგორც პარიზის აგრონომიული ინსტიტუტი უნივერსიტეტთან არსებული. სწავლება აქაც 4 წელიწადს გრძელდება, პირველი 2 წელი ისწავლება ზოგადი საგნები, შემდგომ კი ხდება ლექციების განაწილება ამ მიზნით სხვადასხვა უნივერსიტეტებში სპეციალიზაციის მიხედვით, სახელდობრ: ნიადაგთმცოდნეობაში, მერძევეობაში, მესაქონლეობაში, მებაღეობაში, მეტყეობაში და სასოფლო-სამეურნეო საინჟინრო სახეობებში» [110, 162].

ასევე საინტერესოა ჩვენთვის ამერიკული უნივერსიტეტის თავისებური მიდგომა ამ დარგის სწავლებისადმი. აქ ხდება «საზოგადო კურსების ნაწილ-ნაწილ დაყოფა და ცალკე კურსებად კითხვა, რაც შესაძლებლობას აძლევს მსმენელს საფუძვლიანად შეისწავლოს ის საგანი, როემლიც მას უნდა რომ შემდგომ იმოღვაწეოს სოფლის მეურნეობის იმ დარგში. ამრიგად ყოველ სტუდენტს შეძლება აქვს გაათავოს მხოლოდ ის სპეციალური საგნები, რომელიც იპყრობს მის ყურადღებას» [110, 165].

ზემოაღნიშნულიდან ნათლად იკვეთება, რომ, როგორც ევროპის, ისე ამერიკის სახელმწიფოებში აგრონომიული სასწავლებლები უნივერსიტეტის ორგანულ ნაწილს

შეადგენდნენ და ისინი უპასუხებდნენ სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებებს და არ სდევნიდნენ თავიანთი კერიდან არც პრაქტიკულ და არც ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. ამ უნივერსიტეტებში თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა პრაქტიკულ მუშაობას საცდელ მეურნეობებში. ამრიგად, აქ იყო სინთეზი თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა.

დ. გედევანიშვილი შეეცადა თავისი მივლინებიდან მიღებული გამოცდილება, ევროპიდან წამოღებული პროგრამები, მეთოდური რეკომენდაციები და საზღვარგარეთ დაგროვილი ცოდნა უნივერსიტეტის იმდროინდელ რექტორთან ი. ჯავახიშვილთან ერთად შეეჯერებინა და დაენერგა მშობლიურ უნივერსიტეტში. ისინი შეთანხმდნენ: «რაკი ჩვენში საექსპერიმენტო სასოფლო მეურნეობის მცოდნე მეცნიერნი არ მოიპოვებიან, ჩვენი მომავალი წარმატებისათვის ამგვარ სპეციალისტთა ყოლას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ უნივერსიტეტის გამგეობამ გერმანიაში რადიოტელეგრამა გააგზავნინა აქ მყოფ გერმანიის წარმომადგენელს, თუმცა უნივერსიტეტს ჯერჯერობით არავითარი პასუხი არ მიუღია. მაგრამ უნივერსიტეტის გამგეობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, დროებით მაინც სანამ ახალი მეცნიერნი ამ დარგებისათვის მოემზადებიან, აუცილებლად დასავლეთ ევროპითგან მოიწვიონ კარგი სპეციალისტები ამ საქმისა» [102, 31-32].

1919 წლის 3 იანვარს პროფესორთა საბჭო სამეურნეო განყოფილების გახსნას დაეთანხმა. საკითხის დაწვრილებით შესწავლა კი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს დაევალა. 1919 წ-ის 14 იანვარს, ქურდიანის მოხსენების საფუძველზე, მიღებული იქნა დადგენილება: გაიხსანას არა ცალკე სამეურნეო ფაკულტეტი, არამედ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სამეურნეო განყოფილება და ამავე დროს დღის წესრიგში დადგა ამ განყოფილებისათვის შენობის, მამულების დათმობის აუცილებლობა. ამ მიზნით საკითხი დაისვა საკათალიკოსო საბჭოს წინაშე, რომ უნივერსიტეტს დათმობდა ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობა ვაკეში თავისი ეზოთი. ამრიგად, 1919 წლის შემოდგომიდან შეიქმნა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სააგრონომო დარგიც. სადაც ნიადაგმცოდნეობისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრაზე პროფესორთა საბჭომ დაამტკიცა ცნობილი მეცნიერ-აგრონომი დიმიტრი გედევანიშვილი.

ამრიგად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო აგრონომიული ფაკულტეტის დაარსება, რომელიც მოგვიანებით

საფუძვლად დაედო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გახსნას. «1920 წლის შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტის საბჭომ პრინციპულად გადასწყვიტა უმაღლესი ტეხნიკური ინსტიტუტის დაარსება. ამ აზრის განსახორციელებლად და გეგმის შესადგენად საბჭომ განსაკუთრებული კომისია აირჩია» [102, 33]. აგრარულ ინსტიტუტს მომავალში უნდა ეპასუხა ყველა იმ მოთხოვნილებაზე, რომელიც ახალგაზრდა ქვეყნის წინაშე მწვავედ იყო დასმული სოფლის მეურნეობის დარგში.

ახლად გამოცხადებულ დამოუკიდებელ საქართველოს მეფის რუსეთისგან მემკვიდრეობით ომიანობების და ეკონომიკური კრიზისების შედეგად დანგრეული ეკონომიკა ერგო. ყოველივე ამას ემატებოდა იმპერიაში შექმნილი სოციალურ დაპირისპირებათა ტალღა, რაც იმპერიის ეკონომიკაზე მძიმე შედეგებს ტოვებდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში, როდესაც საქართველოს რუსეთის იმპერიული მარწუხებისაგან ცდილობდა განთავისუფლებას, ეკონომიკური კავშირების ვაკუუმში მოექცა და ქვეყანაც უსახსრებოდ დარჩა. სახელმწიფოს უნივერსიტეტის დასაფინანსებლად არანაირი სახსახრი არ გააჩნდა. ამ დროისათვის უნივერსიტეტში არცერთი სახაზინო სტიპენდია არ არსებობდა და სტიპენდიები ძირითადად კერძო პირთა შემოწირულობებით ფინანსდებოდა, გარდა საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტებისა, რომლებზეც მეურვეობას თავის თავზე განათლების სამინისტრო იღებდა უნივერსიტეტთან ერთად. მიუხედავად უნივერსიტეტის ავტონომიურობისა, განათლების სამინისტრო ცდილობდა უნივერსიტეტის შინაურ საქმეებში ჩარევას და მისი ხარჯთაღრიცხვის წინასწარ განხილვას, რაშიც უნივერსიტეტის მხრივ დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ხელისუფლება ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ თავისი ზედამხედველობიდან არ გაეშვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და რუსეთში არსებული რევოლუციური სიტუაცია, ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლების რიგებში ბადებდა შიშს. სწორედ ამით იყო განპირობებული ისიც, რომ უნივერსიტეტის პერსონალზე განათლების სამინისტრო მეთვალყურის როლში იმყოფებოდა. იგი ქმნიდა პირად საქმეებს, სადაც დაფიქსირებული იყო, როგორც მათი პარტიულობა, ასევე განათლების ცენზიც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებლები, მისი პროფესორ-მასწავლებლები ეროვნული იდეოლოგიის გამტარებლები იყვნენ, მათი მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საქართველოს უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებასთან,

რომელთანაც არცთუ სახარბიელო დამოკიდებულებაში იყო მთავრობა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ხელისუფლებას არ მოსწონდა უნივერსიტეტის ავტონომიურობა და სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით ცდილობდა მის კონტროლის ქვეშ ყოფნას. ეს არც უნდა იყოს ერთი შეხედვით გასაკვირი, რადგანაც ყველა ქვეყნის მთაავრობამ კარგად უწყის, რომ ახალი რევოლუციური იდეები სწორედ უნივერსიტეტის კედლებში ისახება.

1919 წლის ბოლოდან სულ უფრო ძლიერდებოდა უნივერსიტეტის კავშირები საზღვარგარეთთან. შეიქმნა სპეციალური დებულება, სადაც მკაცრად იყო განსაზღვრული საზღვარგარეთ მივლინებულთა უფლება-მოვალეობანი. კერძოდ, მივლინება ხდებოდა ან საკუთარი სახსრებით, ან სახელმწიფოს ხარჯით. «ამ უკანასკნელით სარგებლობის უპირატესობა ჰქონდა იმ პირთ, რომელნიც ემზადებოდნენ უნივერსიტეტში კათედრაზე დასარჩენად. მეცნიერ-ხელმძღვანელთა და კათედრების დეფიციტის გამო, მათი მივლინება ევროპაში აუცილებლობით იყო განპირობებული. მეორენი, რომელთაც სადოქტორო ზეპირი გამოცდა ჩააბარეს და დოქტორის ხარისხი მოიპოვეს, მაგრამ სჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება; მესამენი, რომელთაც საზღვარგარეთ წასვლის ნებართვით არ უსარგებლიათ. მივლინებულს კაგად უნდა სცოდნოდა უცხო ენა. საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდი განისაზღვრებოდა არა უმეტეს ორი და არანაკლებ ერთი წლით. ყოველ ექვს თვეში მას უნივერსიტეტისათვის სამეცნიერო ანგარიში უნდა ეგზავნა» [95, 49-50].

ემიგრანტ ქართველ სტიპენდიატებს უმძიმეს პირობებში უხდებოდათ საზღვარგარეთ ცხოვრება, მათთვის გამოყოფილი ფინანსების უკიდურესი სიმცირის გამო; საამისო სახსრებს ძირითადად უნივერსიტეტი გასცემდა, საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებით. ამის დასტურად გამოდგება განათლების სამინისტროს შეტყობინება ივანე ჯავახიშვილისადმი: «მინისტრის ამხანაგის განკარგულების თანახმად დანიშნულია სხდომა იმ საუწყებათაშორისო კომისიისა, რომელსაც დამფუძნებელ კრების მიერ მინდობილი აქვს საზღვარგარეთ სპეციალურ ცოდნის შესაძენად გასაგზავნ პირთათვის სასტიპენდიო თანხის განაწილების წესის შემუშავება და რომელშიაც შედის აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი წარმომადგენელიც... გთხოვთ ბატონო რექტორო გამოგზავნოთ უნივერსიტეტის წარმომადგენელი ხსენებულ კომისიაში» [108, 44].

1919 წლის 26 ივლისს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანმა ი. ჯავახიშვილმა თხოვნით მიმართა სახალხო განათლების მინისტრს, რათა სამართალმცოდნე გიორგი ნანეიშვილს საზღავრგარეთ წასასვლელად დაუნიშნოს საჭირო სტიპენდია, მაგრამ - ამაოდ. დიდი გაჭირვების ფასად, კერძო შემოწირულობებით უხდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საზღვარგარეთ მყოფ მივლინებულთა სტიპენდიით დაკმაყოფილება. გ. ნანეიშვილი გერმანიაში არამარტო თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად იღვწოდა, არამედ აქტიურად მუშაობდა გერმანიის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში. «აქ მრავალი ახალი იურიდიული წიგნია გამოცემული. – სწერდა გერმანიაში მივლინებული ახალგაზრდა მეცნიერი ივანე ჯავახიშვილს, - ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში კი ძალიან ცოტა იურიდიული წიგნი მოიპოვება. რაც არის, ისიც მოძველებულია, მისით ხელმძღვანელობა ამჟამად აღარ შეიძლება. ეხლა მე ვადგენ წიგნების სიას, რომელსაც მოკლე ხანში გამოგიგზავნით და თუUთქვენ მიერ მოწონებული იქნება, მაშინ მისი მოწესრიგება მისიის საფუძველზე შესაძლებელი იქნება» [113, 26-27].

აი, რას ვკითხულობთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი სხდომის ჩანაწერში, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა ემიგრანტ სტუდენტთა მატერიალურ მდგომარეობას. დოკუმენტი 1919 წლის 26 იანვრით თარიღდება: «უცხოეთში სტიპენდიატ სტუდენტთა შესანახავად მომავალი წლის ბიუჯეტში შეტანილ იქმნას თანხა, რომლის რაოდენობა განისაზღვროს დაახლოვებით პარიზის ნორმებით (სწავლის ფულის დამატებით) 20 კაცის კვალობაზე. ამისდამიხედვით მოხდეს სტიპენდიატთა რიცხვის შემცირებაც» [138, 1]. მიუხედავად იმ დიდი ეკონომიკური კრიზისისა, რომელშიც იმდროს ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, მთავრობასთან ერთად, ცდილობდა, საზღვარგარეთ სამეცნიერო ცოდნის გასაღრმავებლად რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გაეგზავნა, რადგანაც მათ კარგად უწყოდნენ, რომ ქვეყნის აღმშენებლობას განათლებული, ეროვნული ცნობიერების მქონე და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თაობა ესაჭიროებოდა.

უნივერსიტეტის პროფესურა თვალყურს ადევნებდა საზღვარგარეთ სწავლის დონის ასამაღლებლად, კერძოდ კი მოსამზადებლად გაგზავნილთა სამეცნიერო მოღვაწეობას, რომელნიც უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსის დაცემის გამო. მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში

ჩავარდნილი ვლადიმერ ემუხვარი 1920 წლით დათარიღებული ბარათში სწერდა ი. ჯავახიშვილს: «გაჭირვება ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ქმნის, რომ ნორმალურად მეცადინეობა ძალიან ძნელი ხდება და ჩვენ იმას, რაც სტუდენტობის დროს აგვიტანია, ვერ ავიტანთ რომ ჩვენი ძალა მატერიალურ მდგომარეობაზე ფიქრს და მასთან ბრძოლას რომ მოვახმაროთ, ვერ შევსძლებთ იმის შესრულებას, რაც დავალებული გვაქვს და სხვა რომ თავი დავანებოთ ეს ჩვენს თავმოყვარეობასაც შელახავს» [112, 22]. საზღვარგარეთ მივლინებულთ მოსვენებას არ აძლევდათ, ერთი მხრივ, მოვალეობის გრძნობა, მეორე მხრივ, კი უმძიმესი ეკონომიკური პირობები. ხშირად ალბათ ჩვენს მეცნიერთ სამშობლოს ამგვარმა სიყვარულმა და ვალდებულების გრძნობამ გადაალახინათ ის მძიმე დღეები ევროპაში. აქ კი მშობლიური უნივერსიტეტი ცდილობდა მათი მდგომარეობის ნაწილობრივ შემსუბუქებას «უნივერსიტეტს აღარავითარი სახსარი არ ექნება მათთვის ფულის გასაგზავნად (1919-1920წწ) და თუ მთავრობა არ მიეშველება უნივერსიტეტს, გამგეობა იძულებული იქმნება ისინი უკან დააბრუნოს. სასურველია უნივერსიტეტთან დატოვებულებსაც საზღვარგარეთ მყოფ მთავრობის სტიპენდიატებს უცხო ვალუტა მიეცეს მთავრობისაგან რომ ისინი გაჭირვებაში არ იყვნენ და მთელი თავიანთი ენერგიით პირნათლად მოემზადონ საპროფესორო მოვალეობისათვის» [104, 20-21].

ამის მიუხედავად, 1918-1920 წლებში უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსა და მთავრობის ერთობლივი ღონისძიებებით ინტენსიურად მიმდინარეობდა გამორჩეულ სტუდენტთა საზღვარგარეთ, კერძოდ კი ევროპაში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. ესენი იყვნენ ალექსანდრე ჯანელიძე – საფრანგეთში, კონსტანტინე გამსახურდია – იტალიაში, გიორგი ნანეიშვილი, ვლადიმერ ემხუარი, ივანე ნიკურაძე – გერმანიაში და სხვები, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. უმძიმესი იყო თითოეულის ეკონომიკური მდგომარეობა, მათ მუდმივი მიმოწერა ჰქონდათ უნივერსიტეტის რექტორ ი. ჯავახიშვილთან, რომელიც მზრუნველობას არ აკლებდა თავის აღზრდილებს და თან მათგან მუდამ ითხოვდა იმ სამეცნიერო მუშაობის შესახებ ანგარიშებს, რომლებსაც ისინი ეწეოდნენ. «ჩემი მუშაობის პირველ ანგარიშს და დაწვრილებით გეგმას პარიზში მომავალ სასწავლო წლის დასაწყისში გაახლებთ. მუშაობის პირობები აქ ძლიერ კარგი არის, როგორც წინათ იყო. მხოლოდ ერთი რამ არის ახალი წიგნის ნაკლებობა, – იწერებოდა პარიზიდან ალექსანდრე

ჯანელიძე. - ომის დროს თითქმის სამეცნიერო გამომცემლობა სრულიად შეწყვეტილია. ადრინდელი დაბეჭდილი რაც რამ იყო მეტ წილად გამოლეულია და ამიტომ კლასიკური შრომები თითქმის არც ერთი აღარ იშოვება» [113, 33]. გარდა იმისა, რომ ალ. ჯანელიძე საფრანგეთსა და გერმანიის უნივერსიტეტში გეოლოგიის სწავლებას ეუფლება, როგორც იგი წერდა: «ჯერ-ჯერობით მთავარ ყურადღებას სასკოლო საკითხს აპყრობდა, რომელიც განათლების სამინისტროს დავალება იყო» [113, 33].

ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ უნივერსიტეტს სამეცნიერო მუშაობისათვის ესაჭიროებოდა სამეცნიერო ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილი უნდა ყოფილიყო ახალი აპარატურით. იგი უშუალო მონაწილეობდა უნივერსიტეტის სასწავლო-პრაქტიკულ სამუშაოებში, ხელს უწყობდა როგორც სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებას, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონის ამაღლებას. მათი გამოწერა და ჩამოტანა ძირითადად საზღვარგარეთიდან ხდებოდა. «გერმანიითგან მაისში გამოწერილი იყო ფიზიკის ლაბორატორიუმისათვის იარაღები და ხელსაწყოები... ასევე ქიმიის ლაბორატორიუმის სრული მოწყობილობა, იარაღები და ქიმიკატები» [104, 36,41]. ზოგიერთი სამეცნიერო ლაბორატორია იყო მფლობელი უიშვიათესი კოლექციისა, რომლითაც იამაყებდა ბევრი უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულება. ასე მაგალითად, «უნივერსიტეტმა ენტომოლოგიური კაბინეტისათვის 200 000 მანეთის ტროპიკული და პალეარკტიკული ხოჭოების ძვირფასი კოლექცია შეიძინა 40 საგანგებოდ მომზადებული მინით დაფარულ ყუთში მოთავსებული თავის კაკლის ხის კარადით» [104, 71].

1920 წლის 24 იანვარს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ გამგეობას დაავალა ნოტიფიკაციის ტექსტის შედგენა ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტებისათვის გასაგზავნად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მის მცირერიცხოვან კოლექტივს არაერთი ურთულესი დღე ჰქონდა თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, ამას თან ერთვოდა ქვეყნის რთული ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარება, მაგრამ მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, მას ერთი დღითაც არ შეუწყვეტია თავისი მუშაობა თვით სამხედრო ოპერაციების დროსაც. პირიქით, სულ უფროდაუფრო ააქტიურებდა თავის კონტაქტებს საზღვარგარეთთან და ცდილობდა ევროპული

კულტურის მიღწევების დანერგვას ქართულ მეცნიერებაში. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მიუხედავად საქართველოს ეკონომიური გაჭირვებისა, ბევრად უფრო მეტი ახალგაზრდა გაიგზავნა ევროპაში სასწავლებლად სახელმწიფო ხარჯით, ვიდრე გასაბჭოების შემდეგ. ეს განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: 1. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ისეთივე სახელმწიფო მმართველობის სისტემის შექმნა სურდათ, როგორიც იყო დასავლეთ ევროპაში. ბუნებრივია, აქედან გამომდინარე, მათ კადრს უცხოეთში საფრთხე არ ემუქრებოდა. მომავალში სახელმწიფოს არ ექნებოდა საშიშროება მათ მიერ რევოლუციური იდეების პროპაგანდისა, 2. მაშინ, როდესაც რადიკალურად განსხვავებული იყო ბოლშევიკების მმართველობითი სისტემა, მის იდეოლოგიას ემტერებოდა მსოფლიო და, ბუნებრივია, ბოლშევიკები არ დაუშვებდნენ სხვა იდეოლოგიით ,,მოეწამლათ'' თავისი კადრი, მათ ხომ კომუნისტური სულისკვეთებით უნდა აღეზარდათ მომავალი თაობა. უფრო მეტიც, 30-იან წლებში დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ ე.წ. წმენდა, რომელიც ძირითადად შეეხო საზღვარგარეთ განათლებამიღებულ ინტელიგენციას, რამაც ლახვარი ჩასცა უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალს.

დ ა ს კ ვ ნ ა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალგაზრდაა მსოფლიოს იმ უნივერსიტეტებთან შედარებით, რომელთაც ასეული წლების ისტორია აქვთ. ქართული განათლება საქართველოს ისტორიის შორეულ წარსულში იღებს სათავეს და თავისი ტრადიციებით ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში.

ქართული და უცხოური წყაროები გვამცნობენ საგანმანათლებლო კერების არსებობის შესახებ, როგორც საქართვლოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ფაზისის, იყალთოსა და გელათის აკადემიებმა საყოველთაოდ გაუთქვეს სახელი საქართველოს. ისინი ჩვენი დღევანდელი უნივერსიტეტის შორეული წინაპრებია.

XIV საუკუნეში ფაქტობრივად შეწყდა აკადემიების ფუნქციონირება. შემდეგ პერიოდში ქართველ ერს მრავალ მომხდურთან უხდებოდა ბრძოლა. ეს რთული მონაკვეთი ჩვენი ისტორიისა სავსეა უდიდესი დანაკარგებით. ამ პერიოდში ჩვენი წინაპრების წინაშე მწვავედ დადგა აქამდე მოტანილი კულტურის უიშვიათეს ნიმუშთა გადარჩენისა და დაცვის საკითხი.

XVIII საუკუნის მიწურულიდან უკვე იწყება ზრუნვა ქართული განათლების აღორძინებისათვის. ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს თბილისსა და თელავში აღმოცენებული სემინარიები. ამავე საუკუნის დასასრულს ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ იოანე ბატონიშვილმა დაამუშავა საქართველოს სახელმწიფოებრივი გარდაქმნის პროექტი, სადაც მეტად აქტუალურად დაისვა საკითხი გორში, თელავსა და თბილისში უმაღლესი სკოლის გახსნის აუცილებლობის შესახებ. ეს პროექტი თავის მხრივ პროგრესულად იყო ჩამოყალიბებული და აქტიურად უპასუხებდა იმ პერიოდის მოთხოვნებს. იგი ამასთანავე ითვალისწინებდა იმ ხალხთა ენების ღრმა ცოდნას, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოში, სამწუხაროდ, ამ მისიის განხორციელებას ხელი შეუშალა გეორგიევსკის ტრაქტატმა, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვა და სამეფო გვარის რუსეთში გადასახლება მოჰყვა.

საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლამ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებები გამოიწვია. საბოლოოდ გადაწყდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია. მან გაარღვია მის გარშემო მყოფი მტრული მაჰმადიანური გარემოცვა და ამიერიდან ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა.

რუსეთის იმპერიასთან ჩვენ ქვეყნის ნებსით თუ უნებლიეთ დაკავშირებას დადებითი მხარეებიც ახასიათებდა, მას ახალი პირობები შეექმნა ევროპულ და რუსულ კულტურასთან ზიარებისთვის. საბოლოოდ გაირღვა ის ჩაკეტილი გარემოცვა, რომელშიც ქართული კულტურა იმყოფებოდა. მიუხედავად ქართველი ერის ევროპისკენ ლტოლვისა, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოში კულტურის განვითარება ძირითადად ეროვნული ტრადიციების საფუძველზე წარმართულიყო. ქართულ კულტურას, როგორც მცირერიცხოვანი ერის მიერ შექმნილს, უნდა დაემკვიდრებინა თავისი თვითმყოფადობა და გადარჩენილიყო დიდ ერებთან ასიმილიციისაგან. ამიტომ იყო, რომ ქართველი ინტელიგენციის მთავარ ამოცანას შეადგენდა თვითმპყრობელობის კოლონიური რეჟიმის პირობებში ქართული ეროვნული ტრადიციების მქონე კულტურისა და მათ შორის ეროვნული სკოლის შენარჩუნება.

XIX საუკუნის საქართველოს უპირველესი მიზნი გახდა მეცნიერული აზროვნების განვითარება და ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლის შექმნისათვის

პირობების მომზადება. საუნივერსიტეტო მოძრაობა საქართველოში მძლავრ ტალღად გადაიქცა. არაერთმა რუსმა მოხელემ აღძრა შუამდგომლობა რუსეთის იმპერატორის წინაშე, რათა თბილისში ისეთი უმაღლესი სასწავლებელი გაეხსნათ, რომელიც უნივერსიტეტის მაგივრობას გასწევდა და რუსეთის სასარგებლო კადრს მოამზადებდა, მაგრამ ეს თხოვნა იმ ეტაპზე ნაადრევი აღმოჩნდა და უგულვებელყოფილ იქნა. მეფის რუსეთის ეშინოდა იმისა, რომ მომავალი უნივერსიტეტი გახდებოდა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების გამავრცელებელი, რაც, ბუნებრივია, საფრთხეს შეუქმნიდა მათი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას.

თერგდალეულთა მოღვაწეობით ფაქტობრივად იწყება ახალი ეტაპი საქართველოში, რასაც თან მოჰყვა იმ გზებისა და საშუალებების გამოძებნა, რომელიც უზრუნველყოფდა თბილისში ეროვნული კონცეფციებიდან ამოსული უმაღლესი სკოლის დაფუძნებას. სათავადაზნაურო ბანკის დაარსებით ნაწილობრივ გადაიჭრა ეს საკითხი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავლებს ერის კულტურულ საგანმანათლებლო ინტერესებს ახმარდა. ილია ჭავჭავაძე ნიკო ცხვედაძესთან ერთად ქართული გიმნაზიის შენობას თვლიდა მომავალი უნივერსიტეტისა და პედაგოგიური კადრების კერად.

რუსული განათლების მქონე სხვა ეროვნების წარმომადგენლები და ზოგიერთი ქართველი, რუსეთის ხელისუფლების დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა და ყოველგვარი ეროვნულისადმი გულგრილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა.

სწორედ ამ ძალაზე დაყრდნობით რუსეთის მთავრობამ თბილისში ამიერკავკასიის უნივერსიტეტი დააფუძნა, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთის მთავრობის პლაცდარმს წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიმართულს. იგი მის დამფუძნებელთა მხრიდან ნივთიერად ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო. მიუხედავად ყოველგვარი ხელშეწყობისა რუსეთის მთავრობის მხრიდან, ამიერკავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომლის უმთავრეს მიზანს ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტთან დაპირისპირება წარმოადგენდა, თავისი მოღვაწეობა კრახით დაასრულა. იგი თავისი ინვენტარითა და პედაგოგ-მოსწავლეებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა. 1921 წ. ი. ჯავახიშვილი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში შეეცადა, დაესაბუთებინა ეროვნული უნივერსიტეტის უპირატესობა კავკასიის უნივერსიტეტთან შედარებით.

ამით მან პასუხი გასცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში გაბატონებულ აზრს იმის შესახებ, თითქოს საქართველოს არც სამეცნიერო ლიტერატურა, არც სათანადო ტერმინოლოგია და არც სამეცნიერო პოტენციალი გააჩნია ეროვნული უმაღლესი სკოლის გასახსნელად.

ქართველმა ინტელიგენციამ საუნივერსიტეტო იდეისთვის ბრძოლა წარმართა ერთი მხრივ, პეტროგრადში მყოფ დროებით მთავრობასთან და, მეორე მხრივ, კი თბილისში მყოფ ამიერკავკასიის კომიტეტთან. უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა კარგად იცოდნენ, რომ მომავალში ქართული უნივერსიტეტი ხელს შეუწყობდა ქართველი ახალგაზრდების გონებისა და ნებისყოფის განვითარებას. შექმნიდა ნამდვილი ეროვნული ცნობიერების მქონე გენო-ფონდს, რომელსაც ასე საჭიროებდა ჩვენი ქვეყანა.

ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დაფუძნებას საფუძვლად დაედო 1914 წლის პირველი ივლისის კანონი კერძო უმაღლესი სასწავლებლების შესახებ, რომელმაც, მიუხედავად ნაკლოვანებებისა, დადებითი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკაში.

ქართველი მოწინავე საზოგადოების მთავარი ამოცანა იყო ეროვნული კონცეფციის ბაზაზე შექმნილი ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა ქართული კულტურის, განათლების, მეცნიერების აღორძინება. იმ გზის გაგრძელება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ისტორიის შორეულ წარსულში გელათის, იყალთოს აკადემიების სახით და შემდგომ თავისებური განშტოებით გაგრძელება ჰპოვა პეტერბურგში ქართველოლოგიის ცენტრში. მოგვიანებით აქ აღზრდილმა სამეცნიერო კადრმა თავისთავზე აიღო ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება და მომავალი განათლებული თაობის აღზრდა.

1917 წლის 12 მაისს პ. მელიქიშვილის ბინაზე მოხდა ჩამოყალიბება ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის განსაკუთრებული საზოგადოებისა, რომელმაც, ფაქტობრივად, უდიდესი როლი შეასრულა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. ი. ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა თავის თავზე აიღეს ი. ჭავჭავაძის მიერ დაწყებული საქმე. უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის სტრუქტურული აგებულებისა და მისი გაფართოებისათვის ზრუნვისას,

უნივერსიტეტის დამაარსებლები გამოდიოდნენ არამარტო კერძო, აკადემიური, არამედ, უპირველესყოვლისა, ეროვნული ინტერესებიდან.

ი. ჯავახიშვილმა სწორედ შეაფასა იმდროინდელი სამეცნიერო პოტენციალი და შექმნილი რთული ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარება და მეცნიერებათა აკადემიის გახსნისთვის მზადებას შეუდგა უნივერსიტეტის დაარსების პარალელურად. მან კარგად უწყოდა ისიც, რომ ამ ეტაპზე ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, მაგრამ მეცნიერებათა აკადემია წარმოადგენდა აუცილებელ პირობას ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ნაწილისათვის. იმ ეტაპზე მეცნიერებათა აკადემია უნივერსიტეტთან შეთავსებით უნდა არსებულიყო.

ი. ჯავახიშვილმა შეიმუშავა და უნივერსიტეტის გამგეობას წარუდგინა ერთიანი ერონული განათლების განვითარების პროგრამა, სადაც იგი დემოკრატიულ მთავრობასთან ერთად, თავისი მეცნიერული დასაბუთებით, შეეცადა საუნივერსიტეტო და ეროვნული საკითხების მოგვარებას საკუთარი შეხედულებების შესაბამისად. მისი მთავარი მიზანი იყო ქართული საუნივერსიტეტო განათლება ეროვნული პოზიციების მქონე ყოფილიყო. უნივერსიტეტის დაარსების საქმეში დემოკრატიული საქართველოს მთავრობასა და უნივერსიტეტის დამფუძნებლებს შორის ერთსულოვნება სუფევდა.

ა. ჩხენკელმა 1918 წლის 26 იანვარს უნივერსიტეტის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე თავის გამოსვლაში ჩამოაყალიბა საქართველოს მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკა. მან უნივერსიტეტის დამფუძნებლებს მოუწოდა, მთავრობასთან ერთად, შეემუშავებინათ ეროვნული განათლების ერთიანი სისტემა, და გამოეყენებინათ ევროპის წამყვან სახელმწიფოთა გამოცდილება.

ამ საგანმანათლებლო პოლიტიკით მთავრობა, უნივერსიტეტის დამფუძნებლებთან ერთად, რადიკალურად უპირისპირდებოდა ზოგადად რუსულ და ბოლშევიზმის კონკრეტულ ინტერესებს, რომელიც მოგვიანებით აქტიურად ცდილობდა ფეხის მოკიდებას მეცნიერების ტაძარში.

დამფუძნებლები უნივერსიტეტის მუშაობის მთავარ არსს მის ავტონომიურობაში, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობაში ხედავდნენ. მისი შიდა წესდება ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო. უმაღლესი სასწავლებელი, მართალია, საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულს ვერ ჩამორჩებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მეცნიერული გამოკვლევები პარტიების შეკვეთით, ან პირიქით,

პოლიტიკური კურსის მიხედვით ყოფილიყო შეფასებული. ი. ჯავახიშვილი სწორედ ამ იდეებით ხელმძღვანელობდა, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებას და მის დებულებას ამუშავებდა, სადაც მკაცრად იყო განსაზღვრული სახელმწიფოს მიმართება უნივერსიტეტთან და პირიქით, უნივერსიტეტის დამოკიდებულება მთავრობისადმი. აქ მან ლაკონურად ჩამოაყალიბა უნივერსიტეტის სამოქმედო პროგრამა, მისი დანიშნულება ერისა და ქვეყნის წინაშე. წესდების მიხედვით, პროფესორთა საბჭო მკაცრად იცავდა მის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას და ხელმძღვანელობდა სასწავლო სამეცნიერო პროცესს. თუმცა არ შეიძლება, არ აღინიშნოს ისიც, რომ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ვალდებული იყო, ყოველწლიურად გაეგზავნა განათლების მინისტრისადმი ლექციების ნუსხა და თანამშრომელთა სრული მონაცემები განათლებისა და სამეცნიერო ცენზის შესახებ. როგორც ვხედავთ, თავის მხრივ განათლების სამინისტრო კონტროლს უწევდა უნივერსიტეტის მომსახურე პერსონალის პროფესიონალიზმს და პასუხისმგებელი იყო მასზე. ამრიგად, მთავრობამ ზოგადად მხოლოდ მეთვალყურისა და კონტროლის განსაზღვრული ფუნქცია შეითავსა. ი.ჯავახიშვილის და მის თანამებრძოლთა მიერ ჩამოყალიბებული უმაღლესი სკოლის კონცეფცია ქმნიდა განათლების რეფორმის მწყობრ სისტემას. ეს იყო ეროვნული ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ინტერესების უნივერსიტეტის მაგალითზე განვითარებული მეცნიერული პროგრამა, რომელიც ასოცირებული იყო შემდგომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ პოლიტიკასთან.

ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი დაფუძნდა ძირითადად ქართველი ხალხის უანგარო შემოწირულობების ხარჯზე, რაშიც, ფაქტობრივად, გამოიხატა ერის მისწრაფება და დამოკიდებულება უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისადმი. მთავრობისა და მეცენატების ხელშეწყობით, დღითიდღე იზრდებოდა და ფარფოვდებოდა თბილისის უნივერსიტეტი თავისი სამეცნიერო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკითა და კათედრებით, სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით. როგორც ნაშრომიდან ჩანს, საქართველოში ძლიერი საზოგადოებრივი აზრი იყო მომწიფებულ-ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის აღორძინებისათვის.

სწავლების დროს უდიდესი ყურადღება ექცეოდა ენის საკითხს. ეს შემთხვევითი არ იყო, რადგანაც ახლად დაარსებულ ქართულ უმაღლეს

საგანმანათლებლო კერას უნდა აერჩია სწორი, პრინციპული და ამავე დროს ისეთი ეროვნული საგანმანათლებლო კურსი, რომელიც გამოიწვევდა განათლების დარგის ძირეულ გარდატეხას ახლის აგებასა და აღორძინებას. საქართველოს დამფუძნებელ კრებასთან შექმნილმა სახალხო განათლების კომისიამ, ლევან ნათაძის ხელმძღვანელობით, ჩინებულად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას უნივერსიტეტის პროფესსორ-მასწავლებლების დახმარებით. მათ შეძლეს ამ დარგში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და დანერგვა. უნივერსიტეტის პედაგოგებმა მთავრობასთან ერთად კარგად უწყოდნენ, რომ ახალი, ძირეულად შეცვლილი საგანმანათლებლო პოლიტიკა სწორედ არსებულ დაწყებით სკოლებში სწავლებისადმი ახლებური მიდგომითა და სასწავლო მეთოდების დანერგვით უნდა დაწყებულიყო.

ამრიგად, საშუალო სკოლის ეროვნული იდეოლოგიით მოწყობას და მის განვითარებას საფუძველი სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ჩაეყარა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო უდიდეს ყურადღებას უთმობდა სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემას, რომელთა შედგენაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლები.

საქართველოს მთავრობა ყოველმხრივ უწყობდა ხელს უნივერსიტეტის აღორძინებას. მისი განკარგულებით, საზღვარგარეთიდან გამოწერილი წიგნები, პრეპარატები თუ სხვადასხვა ლაბორატორიული აღჭურვილობანი სახელმწიფო ბაჟისგან იქნა განთავისუფლებული. თუმცა სტამბის საკითხები, რომელიც ესოდენ საჭირო იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობისათვის მთავრობამ დადებითად ვერ გადაჭრა.

1920 წლის იანვარში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ი. ჯავახიშვილის მოთხოვნით, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტთან დაარსდა «სარწმუნოებრივ მეცნიერებათა» განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობაც კორნელი კეკელიძეს დაევალა. სარწმუნოებრივ მეცნიერებათა დარგის შემსწავლელმა კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ქრისტიანული სარწმუნოების შესწავლას. ამ განყოფილების დაარსებამ ახალი ამოცანები დაუსახა უნივერსიტეტის მეცნიერებს. მისი ერთად-ერთი მიზანი საქრისტიანო დოგმატიკის, მწერლობისა, მთარგმნელობის, საეკლესიო სამართლისა და ზნე-ჩვეულებათა მეცნიერულ-

ისტორიული შესწავლა უნდა გამხდარიყო. ეს ყველაფერი მიმდინარეობდა მაშინ, როდესაც მთავრობამ მკაცრად გამიჯნა ერთმანეთისგან სახელმწიფო და რელიგია. ასეთ რთულ ვითარებაში ი. ჯავახიშვილი, თავისი პოზიციის დაფიქსირებით, წინ აღუდგა მთავრობის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიმართული იყო რელიგიის სწავლების წინააღმდეგ უნივერსიტეტსა თუ სკოლებში. ამრიგად, ი.ჯავახიშვილი შედგენილი პროგრამით აშკარა ბრძოლას უცხადებდა ხელისუფლების სარწმუნოებრივ პოლიტიკას და სარგებლობდა უნივერსიტეტის ავტონომიით, კერძოდ კი მის შიდა საქმიანობაში ჩაურევლობის მანდატით, და ცდილობდა ღრმად შეესწავლა ქრისტიანული ღვთისმეტყველება, ფილოსოფია და ა.შ. ხელს უწყობდა სასულიერო ფენას უმაღლესი განათლების მიღებაში. იგი თვლიდა, რომ განათლებული სამღვდელოება აუცილებელი პირობაა ერის სულიერი ფორმირებისათვის.

ნ. ცხვედაძის მოთხოვნით, ქართული გიმნაზიის შენობას დაემატა ეკლესია, ვესტიბიულის თავზე, ხოლო მოპირდაპირე მხარეს სააქტო დარბაზი. კლუბიც და ეკლესიაც ორ შუქიანი იყო და მთელი შენობის სიმაღლეს ავსებდა, ხოლო ყველა სხვა ოთახი ამ ცენტრალური ბირთვის გარშემო იყო განლაგებული. ტაძარი 800 კაცს იტევდა, თავის მხრივ ეკლესია წმ. დავითის სახელობის იყო, ამით ბათილდება ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული აზრი, რომ უნივერსიტეტის ეკლესია წმ. გიორგის სახელს უკავშირდება.

1920 წლის 17 ივნისს ოფიციალურად ალექსანდრე მიქაბერიძისაგან ჩაიბარა ეკლესიის გასაღები და მისი ქონება უნივერსიტეტის შენობათა მეთვალყურე ანტონ თვალჭრელიძემ, კორნელი კეკელიძემა და აკაკი შანიძემ.

1918-1921 წლებში მთავრობის განკარგულებით დაიხურა ასობით ეკლესია-მონასტერი. მოსახლეობა ძარცვავდა, ანგრევდა და არბევადა ტაძრებს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და წარჩინებული სტუდენტები მიემგზავრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათ აღსანუსხავად და აღსაწერად. ისინი უნივერსიტეტის მერხიდანვე ეუფლებოდნენ თავიანთ სპეციალობებს და შემდგომში პრაქტიკული და თეორიული სწავლების სინთეზის საფუძველზე პროფესიონალ სპეციალისტებად ყალიბდებოდნენ. საქართველოს საეკლესიო განძეულობის დაცვა-გადარჩენის საკითხი მხოლოდ ქართული ეკლესიისა და ინტელიგენციის ინტერესებში არ შედიოდა. ამ პრობლემით

საქართველოს მთავრობაც იყო დაინტერესებული. მათ ერთი მიზანი ამოძრავებდათ: დაეცვათ უძველესი კულტურული მემკვიდრეობა ძარცვისაგან. საჭირო იყო მათი აღნუსხვა, ფოტოგრაფირება, ესკიზების გაკეთება, ალბომების გამოცემა. ამას კი გარკვეული თანხები ესაჭიროებოდა. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისისა, მთავრობის მხრიდან უდიდეს ფინანსურ მხარდაჭერას გრძნობდნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

მიუხედავად იმის, რომ მთავრობამ ქართული ეკლესია განათლებისაგან ფაქტობრივად გამიჯნა, სასულიერო ფენა, ქართული უნივერსიტეტის პროფესურასთან ერთად, ცდილობდა, აქტიური როლი შეესრულებინა ქვეყნის სამეცნიერო თუ კულტურულ საქმიანობაში.

საგანძურის გადარჩენის ყველაზე საიმედო ადგილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო. აქ იყრიდა თავს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება, უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სიძველეთა საეკლესიო მუზეუმი. მათი მთავარი მიზანი იყო დაეცვა და ერისთვის შემოენახა ხელოვნების თითოეული ნიმუში იმ სახით, როგორმაც მან მოაღწია, მოეხდინა მისი მეცნიერული შესწავლა. სიძველეთა საეკლესიო მუზეუმმა უდიდესი როლი ითამაშა იმ ძნელბედობის ჟამს. მან დაკარგვას გადაარჩინა არაერთი ექსპონატი, თუმცა იგი ვერ უპასუხებდა იმ სამეცნიერო დატვირთვას, რომელიც მუზეუმს აკისრია ზოგადად, და იგი უნივერსიტეტს შეუერთდა.

1921 წ. 16 თებერვალს საქართგველოს საზღვრებთან შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქ ლეონიდესა და დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით, ეროვნული საუნჯის ჩაწყობა მოხდა ყუთებში სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის მეორე სართულზე. თითოეულ მათგანს დაერთო სია, დაილუქა და გაიგზავნა სადგურში. ამრიგად, უნივერსიტეტის შენობაში გადაწყდა ქართული საუნჯის საზღვარგარეთ გახიზვნის საკითხი. არავინ იცოდა, რა ბედი ეწეოდა მას საქართველოში დარჩენის შემხთვევაში. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება იმ პერიოდისათვის. მე-11 არმიის უკვე თბილისის მისადგომებთან იდგა.

რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებიდან დაბრუნებული ქართველი პროფესურა მშობლიურ უნივერსიტეტში განათლების ევროპული სისტემის დანერგვას ცდილობდა, საამისოდ უმაღლესი სკოლა სათანადო სამეცნიერო ლიტერატურას საჭიროებდა. აქედან გამომდინარე ქართველი მოღვაწენი საზღვარგარეთიდან იწერდნენ უცხოურ სამეცნიერო წიგნებს, პროგრამებსა და წესდებებს. სასწავლო სამეცნიერო გეგმის შედგენისას ხელმძღვანელობდნენ ევროპული და რუსული განათლების სინთეზით, რომელიც, ბუნებრივია, ტრადიციულ-ეროვნულ საფუძველზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული.

მთავრობამ საქართველოს განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენისას მთავარი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საქართველო გადაქცეულიყო აგრარულ ქვეყანად. ამისათვის კი საჭირო იყო შესაფერისი ტექნიკა და კვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება. ამ მიზნით საზღვარგარეთ გაგზავნილი იქნა მეცნიერთა ერთი ჯგუფი. მივლინებულ მეცნიერთა მიღებული გამოცდილება, ევროპიდან წამოღებული პროგრამები, მეთოდური რეკომენდაციები და საზღვარგარეთ დაგროვილი ცოდნა, თ.ს.უ.-ის რექტორ ი. ჯავახიშვილთან ერთად უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოში განიხილებოდა და შემდგომ ქართულ რეალობასთან მისადაგებული, ინერგებოდა უნივერსიტეტში. 1920 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის საბჭომ პრინციპულად გადაწყვიტა უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტის დაარსების საკითხი. მას უნდა ეპასუხა ყველა იმ მოთხოვნაზე, რომელიც ახალგაზრდა ქვეყნის წინაშე იდგა. ქვეყანას განათლებული კადრი ესაჭიროება. ამიტომაც ინტენსიურად მიმდინარეობდა წარჩინებულ სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ, როგორც საკუთარი სახსრებით, ასევე სახელმწიფო ხარჯით ერთი ან ორი წლით. ყოველ ექვს თვეში მათ ანგარიში უნდა გამოეგზავნათ უნივერსიტეტისათვის. მიუხედავად მძიმე ფინანსური კრიზისისა, მთავრობა, უნივერსიტეტის მესვეურებთან ერთად, მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა სამშობლოსგან მოწყვეტილ სტიპენდიატებს. უგზავნიდა მათ გარკვეულ თანხას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მთავრობასთან ერთად, ცდილობდა, საზღვარგარეთ ცოდნის გასაღრმავებლად რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გაეგზავნა, რადგან ქვეყნის აღმშენებლობას ევროპული განათლების

ეროვნული ცნობიერების მქონე და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თაობა ესაჭიროებოდა.

ამრიგად, თბილისის უნივერსიტეტი სულ უფრო და უფრო ააქტიურებდა თავის კონტაქტებს საზღვარგარეთთან და ცდილობდა ევროპული კულტურის მიღწევების დანერგვას ქართულ მეცნიერებაში. 1918-1921 წლებში უფრო მეტი ახალგაზრდა გაიგზავნა ევროპაში სასწავლებლად სახელმწიფო ხარჯით ვიდრე გასაბჭოების შემდეგ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ღრმად სწამდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები მის დამოუკიდებლობას აღიარებდნენ. პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაცია ცდილობდა, მოეპოვებინა ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერა, მაგრამ - ამაოდ, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა მათ ინტერესებში არ შედიოდა. ყველა მათგანს თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ და თავიანთი პლაცდარმის შექმნას აპირებდნენ ამიერკავკასიაში. ამავე დროს ისინი ხელს უწყობდნენ კაკვასიელი ხალხის ურთიერთ დაპირისპირებას, მათ შორის შუღლის ჩამოგდებას. 1918 წლის 20 დეკემბერს სომხეთის სახელმწიფო ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს. გამარჯვების სასწორი როდესაც ქართველთა მხარეს გადმოიხარა, მაშინ არბიტრის როლი ერთი მხრივ, ინგლისის, მეორე მხრივ, რუს ბოლშევიკთა მისიამ იკისრა და ომი შეწყდა. შეიქმნა დემილიტარიზებული ზონა, მაგრამ საქართველოსა და სომხეთის მთავრობათა შეთანხმება ვერ მოხერხდა. შეიქმნა საერთაშორისო საარბიტრაჟო კომისია, მაგრამ ვერც მისმა მუშაობამ გამოიღო შედეგი. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიული დავა ბოლომდე გადაუწყვეტელი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა კომისია ი. ჯავახიშვილისა და პ. ინგოროყვას შემადგენლობით, რომელმაც შეიწავლა და დაადგინა საქართველოს საზღვარი სომხეთთან, მაგრამ მისი გატარება შეუძლებელი აღმოჩნდა. საქართველომ ამ ომში დაკარგა თავისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. იგი მსხვერპლი გახდა დიდი სახელმწიფოების ფარული გარიგებების, რამაც, ბუნებრივია, დიდი ზეგავლენა მოახდინა მოკავშირის გარეშე დარჩენილი საქართველოს მთავრობის პრესტიჟზე.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა უაღრესად მწირი იყო 1918-1921 წლებში. მიუხედავად ასეთი კრიზისისა, მას არ აუღია არანაირი ვალი უცხო

სახელმწიფოებისაგან. იგი საკუთარი ძალებით ცდილობდა მდგომარეობიდან გამოსვლას. იქმნებოდა სხვადასხვა სახის კორპორაციები, რომლებიც ნაწილობრივ აკმაყოფილებენ მოსახლეობის ელემენტარულ მოთხოვნილებებს.

უნივერსიტეტის თანამშრომლებს მხრებზე აწვათ უდიდესი პასუხისმგებლობა, მათ ევალებოდათ ერის მომავლის ფორმირება, მისი ჩამოყალიბება და განათლებული, ერუდირებული ახალგაზრდობის აღზრდა. ამიტომ, ბუნებრივია, მათ არ ჰქონდათ საშუალება სხვადასხვა ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, რომლის გადაჭრასაც მთავრობა შეეცადა შრომის სამინისტროს მეშვეობით.

ქვეყნის ბიუჯეტში გარკვეული თანხის გამოყოფა ხდებოდა ღარიბ სტყუდენტთა სტიპენდიების, უფასო სასადილოების, იაფფასიანი ტანსაცმელისა და ბინებისათვის. მის დარეგულირებაში მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტის სტუდკავშირები და სტუდკავშირის გამგეობები, რომლებიც ცალკეულ ფაკულტეტებთან იყო მოწყობილი. მათ ზრუნვის საგანს გარდა ეკონომიკურისა შეადგენდა სტუდენტთა კულტურული დონის ამაღლება. სტუდკავშირის გამგეობამ გააქტიურა თავისი მოთხოვნები 1920 წლის დასაწყისში. მან მოითხოვა, მონაწილეობა მიეღო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსა და ფაკულტეტის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით. ეს მოთხოვნა მიზანშეუწონლად ჩათვალეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა და მიიჩნიეს, რომ სტუდენტები აქტიურად უნდა ყოფილიყვნენ ჩართულნი ფაკულტეტთა საბჭოებში. ამრიგად, შეიქმნა ფაკყულტეტის დეკანატებთან და უნივერსიტეტის გამგეობასთან სტუდკავშირის ურთიერთობის ერთგვარი მოდელი.

სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ მთავრობამ ძირეულად შეცვალა ქართული კულტურის განვითარების გზა, შეწყდა მისი დევნა და შევიწროება. გაჩნდა ახალი პროგრესული ტენდენციები, რომელთაგან მთავარი იყო საქართველოს კულტურის ნაციონალიზაცია, დემოკრატიზაცია და ევროპიზაცია.

1918-1921 წლებში განსაკუთრებით გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდა ქართული კულტურის სინთეზი ევროპულ კულტურასთან. ეს პროცესი ნელა, წინააღმდეგობებით, მაგრამ მაინც ინტენსიურად მიმდინარეობდა. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წარმატებულ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ გატარებული განათლების რეფორმა, ურომლისოდაც უპერსპექტივო იყო თვით

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაც და მისი ეროვნული პოზიციაც. 1918-1921 წლების სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლები ჩვენ წარმოგვიდგებიან, როგორც ევროპული მასშტაბის სახელმოხვეჭილი მეცნიერებათა დარგის მეთაურნი და თბილისის უნივერსიტეტის ფუძემდებლები. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ატარებდა არაერთ მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებას: ეს იყო სამუზეუმო საქმის აღორძინება, ცენტრალური არქივის დაარსება, კონსერვატორიისა და სამხატვრო გალერეის დაფუძნება და ქართული თეატრალური დასის აღორძინება. ამ პერიოდში საქართველოს მთავრობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ერთად იღვწოდნენ ეროვნული იდეალების, შემლებისდაგვარად, რეალიზაციისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ანთელავა ი., ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის 30-იან-50-იან წლებში. მმართველობის სისტემა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1972 წ.
2. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990 წ.
3. ბერიძე ვ., კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში, თბ., 1992 წ.
4. ბენდიანიშვილი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წლებში, თბ., 1980 წ.
5. გერსამია დ., ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა, თბ., 1996 წ.
6. გურგენიძე ი., თბილისის უნივერსიტეტის რექტორები, თბ., 1988 წ.
7. გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, თბ., 1935 წ.
8. გამყრელიძე გ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1948 წლებში, თბ., 1948 წ.
9. გოგიჩაიშვილი ფ., წერილები, მოგონებები, თბ., 1993 წ.

10. ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1932 წლებში, თბ., 2001 წ.
11. თელია ა., მდივანი ლ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ისტორიული სათავეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეოდ, თბ., 1968 წ.
12. თბილისის უნივერსიტეტი 1918-1968 წლებში, საიუბილეო გამოცემა, თბ., 1968 წ.
13. ლომაშვილი ფ., საქართველოს ისტორია 1918-1921 წლების, თბ., 1997 წ.
14. მეტრეველი რ., ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი, თბ., 1996 წ.
15. პავლიაშვილი ლ., რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა და განათლების მდგომარეობა საქართველოში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, (საკანდიდატო დისერტაცია, 1998 წ.).
16. პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბ., 2000 წ.
17. პავლიაშვილი ქ., საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბ., 1995 წ.
18. სურგულაძე პ., ეროვნული კულტურის კერა, თბ., 1988 წ.
19. სურგულაძე ა., საქართველოს მეწშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.VI, თბ., 1972 წ.
20. სურგულაძე ა., საქართველოს ისტორია, თბ., 1992 წ.
21. ქართული საბჭოთა ენციკლობედია, თბ., 1980 წ.
22. ქაჯაია ვ., ნიკო ცხვედაძე 150 წლის გამოჩენილი განმანათლებელი და მამულიშვილი, თბ., 1995 წ.
23. ქაჯაია ვ., სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული I, თბ., 1953 წ.
24. ღამბაშიძე გ., საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან, თბ., 1961 წ.
25. ჩუბინაშვილი გ., ქართული ოქრომჭედლობა, თბ., 1959 წ.
26. ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984 წ.

27. ჯორბენაძე ს., თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბ., 1968 წ.
28. ჯორბენაძე ს., თბილისის უნივერსიტეტის ისტორია, თბ., 1988 წ.
29. ხუნდაძე ტ., ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1940 წ
30. Голоян, Борьба за Советскую власть в Армении, М, 1957 г.

საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციები

31. ბერიძე ვ., ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი, თ.ს.უ. შრომები, XXXIII, თბ., 1948 წ.
32. გაიპარაშვილი ზ., ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობა საქართველოს საგანძურის საზღვარგარეთ გატანის საქმეში, კრ. კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები, თ.ს.უ., XX, თბ., 2004 წ.
33. გვახარია ა., ნიკო მარი – მტერი თუ მოყვარე? ესეც საკითხავი ყოფილა!, გაზ. ქართული წიგნი, 2001 წლის 10 ოქტომბერი.
34. განცხადება სტუდენტის დღის მომწყობ მთავარ კომისიისაგან, გაზ. სახალხო საქმე, 1920 წლის 11 იანვარი.
35. განცხადება სტუდენტის დღის მომწყობ მთავარ კომისიისაგან, გაზ. სახალხო საქმე, 1920 წლის 25 იანვარი.
36. გორიაგინა ლ., ბრძოლა უნივერსიტეტის გარშემო რეფორმის შემდეგ დროინდელ პრესაში, ჟურ. მნათობი, №10, 1958 წ.
37. ელპარიძე, ი.ჯავახიშვილის ლექცია, გაზ. საქართველო, 1918 წლის 20 დეკემბერი.
38. ელისე, სახელმწიფო უნივერსიტეტი, გაზ. საქართველო, 1918 წლის 20 დეკემბერი.
39. ზურაბიშვილი ლ., ქართული უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის თავზე პარიზში, ჟურ. კავკასიონი, პარიზი, 1968 წლის დეკემბერი.
40. ზურაბიშვილი ი., ნიკოლოზ ცხვედაძე, გაზ. თბილისის უნივერსიტეტი, 1968 წლის სექტემბერი.
41. თოფურიძე ც., ქართული უნივერსიტეტი და ქართველი ერი, გაზ. სახალხო გაზეთი, 1918 წლის 26 იანვარი.

42. თაყაიშვილი ე., მოგონებებიდან ნაწყვეტი, ჟურ. საქართველოს ქალი, №10, 1968 წ.

43. თოფურია ვ., პირველი წლები, გაზ. თბილისის უნივერსიტეტი, 1968 წლის 26 აპრილი.

44. ინ-ი ალ., ქართველი სტუდენტობა მეცნიერებას უნდა დაუბრუნდეს!, გაზ. სახალხო საქმე, 1920 წლის 13 მაისი.

45. იანვარაშვილი ლ., სალოცავი ხატი, გაზ. ალაზნის განთიადი, 1988 წლის 15 ოქტომბერი.

46. კირიონ II-ის უწმინდეს და უნეტარესის საქართველოს კათალიკოს პატრიარქის მიერ წარმოთქმული საზეიმო სიტყვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნაზე, გაზ. საქართველო, 1918 წლის 30 იანვარი.

47. კეკელიძე კ., მცირე მოგონებები მამაჩემზე, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1988 წლის მაისი, № 158.

48. კეცხოველი ნ., თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის უხამსი დამახინჯების გამო, გაზ. კომუნისტი, 1952 წლის 27 სექტემბერი.

49. ლეჟავა ე., დიდი დავითის დღეს, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1993 წლის 9 თებერვალი.

50. ლეკიშვილი ს., ილია ჭავჭავაძე ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლე, ჟურ. მნათობი, თბ., №10, 1988 წ.

51. ლილუაშვილი ე., სამშობლოს დაშორებით – ივანე ნიკურაძის წერილები, კრ. საისტორიო მოამბე, №73, თბ., 2001 წ.

52. ლილუაშვილი ე., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოკიდებულება დემოკრატიული მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკისადმი, კრ. კულტურის, ისტორიისა და თეორიის საკითხები, თ.ს.უ. XVI, 2003 წ.

53. ლილუაშვილი ე., ვერ დავმშვიდდები, სანამ ის ნივთები საქართველოში არ დაბრუნდება – ექვთიმე თაყაიშვილი და ორი უცნობი საარქივო დოკუმენტი ქართული განძის გატანასთან დაკავშირებით, კრ. საისტორიო მოამბე, №75-76, თბ., 2002-2003 წ.

54. ლილუაშვილი ე., გამორჩეული მეცენატი და საზოგადო მოღვაწე, დავით ბებუთაშვილის ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე, კრ. საისტორიო მოამბე, თბ., 2003 წ.

55. ლილუაშვილი ე., უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სამღვდელოების ერთობლივი ძალისხმევა საეკლესიო განძის დაცვა-გადარჩენისათვის 1918-1921 წლებში, ჟურნ. ამირანი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, XII, მონრეალი-თბილისი, 2005 წ.

56. ლილუაშვილი ე., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოკიდებულება ეკლესიისადმი, კრ. საისტორიო მოამბე, №77-78, თბ., 2004-2005 წ.

57. ლომოური ი., მოგონებებიდან, ჟურ. მნათობი, №7, 1970 წ.

58. მდივანი ა., კიდევ ჩვენი სტუდენტობა, გაზ. სახალხო საქმე, №894, 1920წ.

59. ნიკოლაძე რ., მამების ოცნება და შვილები – სინამდვილე, ჟურ. მეცნიერება და ტექნიკა, №10, თბ., 1968 წ.

60. ნუცუბიძე შ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, ჟურ. სკოლა და ცხოვრება, 1968 წლის 10 ოქტომბერი.

61. პატარიძე ე., ქართველი სტუდენტობა, გაზ. საქართველო, 1918 წლის 20 დეკემბერი.

62. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921 წ., თბ., 1990 წ.

63. სტუდენტის გამოძახილი, გაზ. სახალხო საქმე, №1906, 1920 წ.

64. სონღულაშვილი ა., თბილისის უნივერსიტეტის როლი საქართველოს ინტელიგენციის ფორმირებაში 1918-1921 წლებში, ალმანახი კლიო, თბ., 2000 წ.

65. უცნობი ავტორი, სტუდენტის დღე, გაზ. სახალხო საქმე, 1920 წ. 25 იანვარი.

66. ცნობა, გაზ. სახალხო საქმე, 1919 წ. 26 ივლისი.

67. ცნობა, გაზ. სახალხო საქმე, 1919 წ. 27 ივლისი.

68. ცნობა., გაზ. სახალხო საქმე, 1919 წ. 22 ნოებერი.

69. გაზ. სახალხო საქმე, 1919 წ. 2 თებერვალი.
70. გაზ. საქართველო, 1917 წ. № 61.
71. გაზ. სახალხო საქმე, 1919 წ. 26 ივლისი.
72. ტაბლიაშვილი თ., ი.ჯავახიშვილი საარქივო დოკუმენტების მიხედვით, კრ. საისტორიო მოამბე, №21-22, თბ., 1967 წ.
73. ურიდია ო., ჟურ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, საარქივო ცნობები თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, თბ. 1969 წ.
74. ფულბრაიტი უილიამი., ძალის ამპარტავნობა, გაზ. სახალხო განათლება, 1992 წლის 31 ივლისი.
75. ქართული უნივერსიტეტი, გაზ. ალიონი, 1917 წლის 19 ნოემბერი
76. ქართული უნივერსიტეტი, გაზ. ალიონი, № 244, 1918 წ.
77. ქართული უნივერსიტეტის გახსნა, გაზ. სახალხო საქმე, 1918 წ. 28 (10) იანვარი.
78. ქართული უნივერსიტეტი, გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 2 იანვარი.
79. ქართული უნივერსიტეტის გახსნა, გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 28 იანვარი
80. ქართული უნივერსიტეტი, გაზეთი ახალგაზრდა კომუნისტი, 1989 წლის 25 ნოემბერი.
81. ყაუხჩიშვილი ს., უმაღლესი განათლება საქართველოში, ჟურ. სკოლა და ცხოვრება, 1968 წლის 10 ოქტომბერი.
82. შენგელია გურამი, ქართველი სტუდენტობა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, კრ. საისტორიო მოამბე №73-74, თბილისი, 2001 წ.
83. ჩიქობავა ა., თბილისის უნივერსიტეტი და ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინება, ჟურ. ცისკარი, №10, თბ., 1968 წ.
84. ჯანაშვილი მ, ქართული უნივერსიტეტი, გაზ. საქართველო, 1917 წ.
85. ჯავახიშვილი ი., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის, თ.ს.უ. შრომები XXXIII, 1948 წ.
86. ჯაფარიძე ლ., რუსული უნივერსიტეტის საკითხი პარლამენტში, გაზ. სახალხო საქმე, 1918 წლის 18 ოქტომბერი.
87. ციციშვილი გ., გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები, ჟურ. ცისკარი, თბ., №1-2, 1995 წ.

88. ჭირაქაძე ს., თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავი, ჟურ. კავკასიონი, № 3, პარიზი, 1968 წ.

89. ხანთაძე შ., მასალები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის, ჟურ. მნათობი, №9, 1968 წ.

90. ხუნდაძე პ., სტუდენტის ხმა, გაზ. სახალხო საქმე, 1920 წლის 3 ივნისი.

91. 11 კოოპერატივის გამგეობა, გაზეთი სახალხო საქმე, 1919 წ. 11 დეკემბერი.

გამოუქვეყნებელი წყაროები:

92. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (უ.ი.ც.ს.ა.), ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 1

93. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 2

94. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 3 ა

95. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 6

96. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 7

97. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 8

98. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 10

99. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 12

100. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 15

101. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 22

102. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 23

103. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 24

104. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 26

105. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 27

106. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 30

107. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 33

108. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 35

109. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 40

110. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 41

111. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 42

112. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 46

113. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 47

114. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 50

115. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 57

116. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 59

117. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 68

118. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 72

119. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 75

120. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 77

121. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 79

122. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 114

123. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 138

124. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 1, საქმე 198

125. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 6, საქმე 1

126. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 6, საქმე 7

127. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 13, საქმე 87

128. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწ., 17, საქმე 18

129. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 300, ანაწ., 3, საქმე 53

130. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 284, ანაწ., 1, საქმე 1144

131. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 335, ანაწ., 1, საქმე 7
132. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 478, ანაწ., 1, საქმე 114
133. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 2080, ანაწ., 1, საქმე 191
134. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1836, ანაწ., 1, საქმე 140
135. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1836, ანაწ., 1, საქმე 253
136. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 30
137. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 111
138. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 160
139. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 121
140. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 168
141. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 187
142. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 229
143. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 211
144. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 237
145. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 255

146. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 253

147. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 1000

148. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 424

149. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 664

150. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1863, ანაწ., 1, საქმე 782

151. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1863, ანაწ., 1, საქმე 505

152. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 22

153. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 270

154. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 301

155. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 590

156. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 962

157. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1864, ანაწ., 1, საქმე 3

158. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1864, ანაწ., 1, საქმე 47

159. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1471, ანაწ., 1, საქმე 16

160. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 435, ანაწ., 1, საქმე 1093

161. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 479, ანაწ., 1, საქმე 6
162. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 479, ანაწ., 1, საქმე 10
163. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1825, ანაწ., 1, საქმე 6
164. საქართველოს საისტორიო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული ჰარვარდის კოლექცია (დაუმუშავებელი), ყუთი 1, საქმე 3
165. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1861, ანაწ., 2, საქმე 58
166. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1819, ანაწ., 1, საქმე 172
167. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1818, ანაწ., 1, საქმე 210
168. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1933, ანაწ., 1, საქმე 295
169. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 2021, ანაწ., 1, საქმე 68
170. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1891, ანაწ., 1, საქმე 28
171. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1968, ანაწ., 1, საქმე 509
172. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1938, ანა., 1. საქმე 1-20
173. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1459, ანაწ., 1, საქმე 5
174. საქართველოს სისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1861, ანაწ., 1, საქმე 49
175. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 481, ანაწ., 1, საქმე 361

176. საქართველოს საისტორიო ცენტრალური სახლემწიფო არქივი, ფონდი 1699, ანაწ. 1, საქმე 64
177. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივი, ფონდი 1921, 151/139
178. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ფონდი, ¹ 3267
179. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ფონდი, ¹ 1797
180. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ფონდი, გ-154
181. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ფონდი, გ-452
182. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ფონდი, დ-860